კვირის პალიტრა

ფლეა

N1 (395) 3/I-9/I.2008

80 თეთრი

საპრეზიდენტო კანდიდატების ფსიქოპორტრეტები და შანსები

წლის

სკანდალისტები, მეხოტბეები, მოვლენები, ჟურნალისტები და ტელეგადაცემები

ISSN 1987 - 5029

9 771987 502009

გილოცავთ ახალ წელს!

საბა ◻ SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info @ saba.ge (+995 32) 38 44 54

ᲙᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ
№1 (395)
3 – 9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, 2008 წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲘ

ᲟᲖᲐ ᲥᲕᲘᲚᲔᲑᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲔᲑᲘ
„ᲓᲐᲒᲑᲔᲓᲔᲑᲝᲓᲔᲗ, ᲜᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲐᲮᲓᲔᲜᲐ“ ᲐᲜᲣ ᲦᲝᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲠᲗᲮᲘᲡ ᲒᲖᲐᲒᲐᲡᲐᲧᲐᲠᲖᲔ 5
■ ᲡᲝᲪᲘᲣᲛᲘ
ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ, ᲐᲜᲢᲘᲒᲛᲘᲠᲘ, ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ... 6
■ ᲛᲭᲔᲕᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲘ
2007 ᲬᲚᲘᲡ „ᲛᲐᲠᲒᲐᲚᲘᲢᲘ“ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ 7
■ ᲨᲔᲯᲐᲛᲔᲑᲐ
ᲬᲚᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲒᲣᲠᲔᲑᲘ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲑᲝᲡᲢᲐᲜᲨᲘ ᲜᲐᲡᲠᲝᲚᲘ ᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲛᲙᲘᲗᲮᲔ ᲛᲔᲮᲝᲢᲑᲔᲗᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘ 8
■ ᲐᲡᲢᲠᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘ
ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ „ᲕᲘᲠᲗᲮᲔᲑᲘ“ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲖᲔ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲛᲔᲓᲔᲑᲘ 9
■ ᲤᲡᲘᲥᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘ
„ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲗᲥᲕᲐᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲥᲔᲡᲢᲔᲑᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲒᲐᲢᲧᲣᲔᲑᲡ...“ 11
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲤᲥᲘᲐᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲥᲠᲐᲕᲔᲓᲐ 14
■ ᲖᲔᲘᲛᲘ
ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲐ 16
■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲡᲝᲥᲠᲐᲢᲔ, ᲑᲠᲣᲙ ᲨᲘᲚᲓᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲡᲔᲡᲮᲔᲑᲘ 30 ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ „ᲠᲐᲪ ᲛᲔ ᲥᲐᲠᲐᲓᲐᲨᲘ ᲓᲠᲝ ᲛᲘᲢᲐᲠᲔᲑᲘᲐ...“ 18
■ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲦᲛᲐ
CNN-ᲘᲡ ᲡᲐᲨᲝᲑᲐᲝ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲢᲐ-ᲙᲚᲐᲣᲡᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ 20
■ ᲛᲔᲢᲐᲛᲝᲠᲤᲝᲖᲔᲑᲘ
ᲛᲐᲠᲘᲜᲐ ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ 22
■ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲖᲐᲐᲑᲜᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲗᲣᲛᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲮᲔᲕᲠᲐᲓ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲬᲘᲑᲚᲘ 24
■ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐ
ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲗᲐᲜ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ, ᲪᲔᲪᲮᲚᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲜᲫᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ 26

मममममम

■ წლების მიჯნაზე
საახალწლო გადარბენები და ჩაფიქრებული სურვილები 28
■ თამადა
ქართული სუფრის მადლი და თამადა, რომლითაც უცხოელები მოიხიბლნენ 30
■ კომპლექსიანი თავისუფლება
„უნამუსო“ თოვლის ბაბუა და ბუხრიდან ჩამოყვანილი ნაშები 32
■ დაიჯესტი 33
■ ადათ-წესები
„სინიე ქველ“, მეგობრებო...“ 35
■ საკითხავი ქალებისთვის
ახალი წელი — დღესასწაულთა მეფე 36
■ ჯანმრთელობა
ნაბახუსევი: ვინ არის დამნაშავე და რა უნდა იღონოთ? 37
■ ქურნალი ქურნალში
გზავნილები 39-70
■ სასიძო
„მოგეპარები და კოცნით დაგაცრეჩობ...“ 71
■ ანტიდეპრესანტი 72
■ ნამდვილი ამბავი
ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდე 72
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. მტკვარწაღებულნი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ დღესასწაული
რატომ დასჭირდა ათასწლეულები აღთქმული მესიის — იესო ქრისტეს შობას? 80
■ ბესტსელერი
გოჩა მანველიძე. მგლები 4 (გაგრძელება) 82
■ ვარსკვლავები
მიზანსწრაფული გოგონას 38 წლის ასაკში ახდენილი ოცნება 86
■ ბელადი
მხედართმთავარი სტალინი (გაგრძელება) 89
■ აქცენტი
ახალწლის დილას 90
■ მადლი
„იმით, რაც „გზამ“ გააკეთა, ვერც ერთი ტელევიზია თუ პრესა ვერ დაიკვეხნის“ 92
■ ტკივილი
5 იანვარს, 81 წლის ქალბატონი თავის დაწვას აპირებს 93
■ თინეიჯერული პონტები
✓„ქალაქური“ და „სოფლური“ ახალი წელი 94
✓„ღმერთო ჩემო, ყველანი თავის მოკვლაზე როგორ ფიქრობთ?“ 95
■ კრიმინალი
გულუბრყვილო კრიმინალები 98
■ ავტო 100
■ სკანვორდი 101
■ პროგნოზი 102
■ ტესტი 104
■ კალეიდოსკოპი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ქართულ-ჩინური ოჯახის ორი საახალწლო ზეიმი

„რადგან საქართველოში ვიმყოფებით, ახლა ქართული ტრადიციის მიხედვით ვემზადებით: ვრთავთ სახლს საახალწლო მოსართავებით, ნაძვის ხეს ვდგამთ, ვემზადებით გოზინაყის მოსამზადებლად“.

35

ახალი წელი – დღესასწაულთა მეფე

ქალმა სიახლე არა მარტო სუფრაზე, არამედ ინტიმურ უთიერთობაშიც უნდა შეიტანოს. როდესაც ბინის ინტერიერს შეცვლით, არც საწოლი ოთახი დაგავიწყდეთ: კედლებზე ჩამოკიდეთ წითელი და ოქროსფერი სათამაშოები, საწოლები ლამაზი ბალიშებით მორთეთ.

36

38 წლის ასაკში ახდენილი ოცნება

„მისი სანუკვარი ოცნება ასრულდა. ცოლ-ქმარი სიხარულით მეცხრე ცაზეა“ — ამბობენ მათი ახლობლები. ნოემბერში ჯენიფერის ორსულობის ამბავი დიზაინერმა ბერგო კავალიმ ოფიციალურად დაადასტურა. კავალი ლოპესისთვის კაბებს ქმნის.

86

— კარგი... ვინ მოვა შენგან და რამდენ ხანში?

— ქალი მოვა.

— ქალი? — დაიბნა ჩაჩბა.

— რა, არ გაწყობს?

— როგორ არა... მაგრამ მაინც მოულოდნელია.

— მოკლედ, სად შეგხვდეს ის ქალი?

— მოსაცდელი დარბაზის მარცხენა ფრთაში, მეორე სართულზე, დაველოდები... როგორ ვიცნო?

— თვითონ გიცნობს!

— როგორ?! — გაუკვირდა გურამს.

— იცის, რომ ყველაზე დიდი ნაბიჭვარი ელოდება!.. და ვაი, შენი ტყავის ბრალი, იმ ქალს თუ რამე არ მოეწონა!!! — ცივად ესროლა ლუკამ და ტელეფონი გათიშა.

82

„დაგბედებოდეთ, ნაცვრის ახლენა"

ანუ ლორისა და ვირთხის გზაგასაყარზე

კიდევ ერთი წელი გადავაგორეთ სხვებთან ერთად და კიდევ ერთი 365 დღე გავუძელით ერთმანეთის ქება-დიდებას, ლანძღვა-გინებას, მუშტი-კრივს, სტუმრების მიღება-გაცილებასა და „ანტრე-ბატონოს". ერთი სიტყვით, პატარა კი გაგვიჭირდა, მაგრამ მაინც ვიქართველეთ, როგორც შეგვეძლო...

ურიგო მართლაც არ აღმოჩნდა 2007 წელი. ღორის წელიწადი ეძახე შენ და მთლიანობაში კარგი იყო. „ხორციც ბევრი მოგვცა და ჯაგარიც". ეკონომიკური აღმავლობით მსოფლიოც გავაოგნეთ და თვითონაც

გავოგნდით, რამ გააოგნა ეს მსოფლიო, ჩვენ არაფერი გვიგრძნია-თქო; მატერიალური თვალსაზრისით, მართლაც რომ გამოსწორდა მდგომარეობა: დენის, გაზისა და წყალ-დასუფთავების ტარიფები გაიზარდა და მაინც ყველას აქვს დენიც, გაზიც და წყალ-სისუფთავეც, ე.ი. ვიხდით და თუ ვიხდით, ე.ი. გვაქვს. აგერ, ცოტათი პენსია გაიზარდა, ცოტათი — ხელფასი, ცოტათი — დასაქმებულთა რაოდენობა და მეტი რა გვინდა?! მართლა თუ კარგად ვიცხოვრეთ და სამიტინგო-საპროტესტო არაფერი გვექნა, დავღუპულვართ და ესაა: მარტო ჭამა და ჩაცმა ხომ არ კმარა, ცოტა გართობაც ხომ გინდა კაცს?!

ტრიუმფულ შედეგებს მივაღწიეთ დემოკრატიის განმტკიცებაში! ერთხელ და სამუდამოდ დამტკიცდა, რომ კანონისა და წიხლის წინაშე, ყველა თანაბარია: 2007 წლის განმავლობაში იცემა რამდენიმე დეპუტატი და სახელმწიფო მოხელე. საბოლოოდ დაიმსხვრა მავანთა აზრი, რომ საქართველოში ილახება პატიმართა უფლებები: ილახება კი არა, ისეთი პრივილეგირებულები არიან, „მის საქართველოც" კი მსჯავრდადებული გახდა...

დემოკრატიის განმტკიცების უტყუარ ნიშნად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ადამიანს თავისუფლად შეუძლია მოიხსნას კომპლექსები და ხალხს სიმართლე დაანახვოს. ჟურნალ Playboy-ს წყალობით, საზოგადოებას შიშველი სიმართლე დაანახვეს ნინამ და მულატკამ და ჯერ სად ვართ, კიდევ ბევრი ცნობილი ქალის „შიშველ სიმართლეს" დავინახავთ.

საოცარი შედეგები მოგვცა გასულმა წელმა ქართულ ესტრადაზე: ისე განვითარდა ჩვენი ესტრადა, რომ ქართულ სცენებზე შავი პრინცისა და ქეთი გომართელის ნაცვლად, „ბონი ემი" „რიკი ე პოვერი", ტოტო კუტუნიო, ლუ ბეგა და შაკირა მღერიან. სამაგიეროდ, ჩვენი ესტრადა უცხოეთში გავაექსპორტეთ და მთელ ქვეყნიერებას დავანახვეთ, ქართული სიმღერა კუჭის მოქმედებას რომ უწყობს ხელს — ძოწენიძემ „სლავიანსკი" ბაზარზე „ჩაისვარა", გოგოლაშვილმა — „იურმალაზე"... სიმღერას რომ პოლიტიკაზე მეტი ძალა აქვს, ესეც კი დავამტკიცეთ და კოკოითის რეპუტაცია და კაცობა ორ წამში გავაფანდარასტეთ...

ყველაზე წარმატებული, 2007 წელი, მაინც ეკონომიკაში იყო. დავიწყეთ საუკუნის პროექტი — სარკინიგზო მაგისტრალის თბილისი-სტამბოლი-ლონდონის მშენებლობა. ისეთი ჩქარი მატარებელი გვეყოლება, რომ შეხვალ ვაგონში, დაიძინებ და დილით ლონდონში ხარ. უფრო სწორად, ისეთი ლამაზი გამცილებლები იმუშავებენ, რომ შეხვალ ვაგონში, არ დაიძინებ და დილით, თვალებდაწმენდილი, ლონდონში ხარ...

ერთხელ და სამუდამოდ მოვხსენით ენერგორესურსების პრობლემა: აქამდე რომ გვაშინებდა რუსეთი, გაზს შეგიწყვეტთო, ახლა იმდენი გვაქვს, რომ ვერ ვხარჯავთ და რაც გვრჩება, ცრემლსადენ გაზად ვიყენებთ...

დაბოლოს, ყველაზე მთავარი თემა — პოლიტიკა: 2007 წელი პოლიტიკოსებისთვის იყო მისწრება, თუ იყო! დაინიშნა საპრეზიდენტო არჩევნები და ყველა პარტიას მიეცა საშუალება, ერთხელ მაინც დაეხარჯა სერიოზული მაყუთი ხალხის საკეთილდღეოდ. გამოჩნდა ოცდაერთი და ფინალურ ტურში გავიდა პრეზიდენტობის შვიდი, ერთმანეთზე უკეთესი კანდიდატი. ისევ დავიკაპიწეთ ხელები, ისევ ვიშიშვლეთ ენები და დავცხეთ ერთმანეთის ლანძღვით საკუთარი თავის ქება. ისევ კავკასიურ ცარცის წრეში ჩავაყენეთ ხალხი და ერის ექვსი „მამა", უფრო სწორად, ერთი „დედა" და ხუთი „მამა": აქეთ-იქით ექაჩება და მზრუნველ დედობას ჰპირდება. ხომ არ გაგვეხლიჩა შვიდ სამთავროდ ერი და ქვეყანა, რა, ისტორია ხომ მეორდება ხოლმე?! ისე არ აგიდგეთ გვერდები!..

ბედნიერი წელი და 5 იანვარს ბედნიერი შედეგი მოგვცეს ღმერთმა!..

P.S. პრეზიდენტობის კანდიდატი ოჯახში ახალი წლის ღამეს:

— შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ მე!

— რა მოგვიტანე, თოვლის ბაბუავ?

— ახლა არაფერი, ამირჩიეთ და მოგიტანთ.

— გადი გარეთ! შენნაირი კიდევ ხუთი იყო მოსული. ვინც დარჩება და ძველით ახალ წელსაც მოვა, ის ერთი იქნება ნამდვილი თოვლის ბაბუა...

პროვოკატორი

მოვლენა, ანტიგმირი, სკანდალი, ქალბატონი, ჟურნალისტი...

2007 წლის შეჯამებისას, „გზის“ რედაქციამ გადაწყვიტა, საზოგადოებისთვის ყველაზე საინტერესო საკითხებზე საკუთარი ბლიცგამოკითხვა ჩაეტარებინა და ტელეფონით დაუსვა კითხვები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის, პროფესიისა და ასაკის ადამიანებს. სულ ორმოცდაათამდე რესპონდენტს დავუკავშირდით და ჩაწერილი ინტერვიუების ყველაზე ტიპურ ნაწილს გთავაზობთ. ცხადია, ჩვენს ანკეტას სრულყოფილი სოციოლოგიური გამოკითხვის პრეტენზია არ აქვს, მაგრამ პასუხები რომ ყურადსაღებია, ამაში იმედია, მკითხველიც დაგვეთანხმება.

დასახელეთ

1. **2007 წლის მოვლენები: დადებითი და უარყოფითი**
2. **წლის სკანდალი**
3. **წლის ადამიანები: გმირი და ანტიგმირი**
4. **წლის ქალბატონი**
5. **წლის ტელეგადაცემა**
6. **წლის ჟურნალისტი**
7. **წლის კულტურული მოვლენა**
8. **წლის მოხდენილი ან სასაცილო ფრაზა**

ხატია ძისიშვილი, *ფარმაცევტი, 26 წლის:*

1. 7 ნოემბერი ჩემთვის, წლის დადებითი მოვლენაცაა და უარყოფითიც. ამ დღეს მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ვადამდელი არჩევნები დანიშნულიყო. ეს, რა თქმა უნდა, დადებითია. უარყოფითი კი ის დღე, ამითაა, რომ საკუთარმა ხელისუფლებამ ამ დღეს ხელკეტები დაგვცხო.
2. ტელეკომპანია „იმედის“ დახურვა მიმაჩნია.
3. გმირი — შალვა ნათელაშვილი, ანტიგმირი — მიხეილ სააკაშვილი.
4. წლის ქალბატონს ვერ დავასახელებ.
5. „დროება“.
6. ინგა გრიგოლია.
7. ალბათ, უამრავი შადრევნის გახსნა.
8. ფრაზა არ მახსენდება.

ნინო მხეიძე, *მედდა, 39 წლის:*

1. დადებითი იყო ის, რომ წელს უხვი მოსავალი მივიღეთ. უარყოფითი, სამწუხაროდ, ბევრი იყო, განსაკუთრებით 7 ნოემბერს გამოვყოფდი.
2. „იმედის“ დახურვა.
3. გმირი — ლევან გაჩეჩილაძე, ანტიგმირი — მიხეილ სააკაშვილი.
4. ნინო ბურჯანაძე.
5. „ნანიკოს შოუ“.
6. გიორგი თარგამაძე.
7. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 30 წლის იუბილე.
8. „გზები გავაკეთეთ და მუდმივი ელექტროენერგიით მოგამარაგეთ“.

ცეზარ ფაცაცია, *პენსიონერი, 71 წლის:*

1. დადებითი — გზების გაკეთება და 24-საათიანი ელექტროენერგია, უარყოფითი — 7 ნოემბერი.
2. „იმედის“ დახურვა.

3. გმირი — გია ბურჯანაძე, ანტიგმირი — ვანო მერაბიშვილი.
4. სანდრა რულოვსი.
5. დავით აქუბარდიას გადაცემა.
6. ინგა გრიგოლია.
7. ვერ ვიხსენებ.
8. „საქართველოში აწი, წვრილთვალებიანი ბავშვები დაიბადებიან“.

ეკა ფცორფაძე, *ექიმი, 30 წლის:*

1. უარყოფითი — 7 ნოემბერი, დადებითი — 2 ნოემბერი.
2. პატარკაციშვილისა და ერეკლე კოდუას ფარული ჩანაწერის გავრცელება.
3. დღესდღეობით საქართველოში გმირები არ გვყავს. ანტიგმირი? — მიხეილ სააკაშვილი.
4. წლის ქალბატონი?.. ?
5. „დროება“.
6. გიორგი ახვლედიანი.
7. პრომეთეს ძეგლის დადგმა (ბრჭყალებში).
8. „ალვა ნათელაშვილის ნათქვამი მახსენდება — „ორუმპირებულ-მილიარდერკაციისმკვლელ-ცლესიათმოძულე“.

თამარ გეგეშიძე, *35 წლის:*

1. უარყოფითი — 7 ნოემბერი, დადებითი — 2 ნოემბერი.
2. ირაკლი ოქრუაშვილის პოლიტიკაში გამოჩენა და პრეზიდენტის მიმართ წაყენებული ბრალდებები.
3. გმირი — პატრული ირაკლი ქუთათელაძე, რომელიც ადამიანის გადასარჩენად, მტკვარში გადახტა და დაიღუპა, ანტიგმირი — მაია ნადირაძე.
4. თინა ხიდაშელი.
5. „რე-აქცია“.
6. ინგა გრიგოლია.
7. პრომეთეს ძეგლის გახსნა ცირკთან (ბრჭყალებში).
8. „ჩარეცხილები“. ქვეყნის პრეზიდენტმა ამ სიტყვით ღვაწლმოსილი ადამიანები შეამკო.

ლეილა გიორგაძე, *პედაგოგი, 41 წლის:*

1. დადებითი — გზების გაკეთება და მუდმივი ელექტროენერგია, უარყოფითი — „იმედის“ დახურვა.
2. 7 ნოემბერი.
3. გმირი — ლევან გაჩეჩილაძე, ანტიგმირი — მიხეილ სააკაშვილი.
4. თინა ხიდაშელი.
5. დავით აქუბარდიას საავტორო გადაცემა.
6. ინგა გრიგოლია.
7. საქართველოში მომღერალ შაკირას ჩამოყვანა.
8. „ამ მთავრობას ხმას მარტო მუხათგვერდის სასაფლაოს მიცვალებულები აძლევენ“.

ლევან ჩხეიძე, *45 წლის:*

1. დადებითი — ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, უარყოფითი — 7 ნოემბერი.
2. ტელეკომპანია „იმედის“ დარბევა.
3. გმირი — კობა დავითაშვილი, ანტიგმირი — გიგა ბოკერია.
4. თინა ხიდაშელი.
5. „რე-აქცია“.
6. ინგა გრიგოლია.
7. „ქართული ხმების“ ვარსკვლავის გახსნა.
8. „უნიჭო ოპოზიციონერები“.

ნანა სეგისკვერაძე, *იურისტი, 45 წლის:*

1. დადებითი — სააკაშვილის გადადგომა, უარყოფითი — 7 ნოემბერს განვითარებული მოვლენები.
2. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება.
3. გმირი — ირაკლი ოქრუაშვილი, ანტიგმირი — მერაბ სეფაშვილი.
4. ინგა გრიგოლია (ბრჭყალებში).
5. „ღია ეთერი“.
6. გიორგი თარგამაძე.
7. პრომეთეს ძეგლის გახსნა (ბრჭყალებში).
8. „მარილი აღმართებზე უკვე დავყარეთ, ახლა კი დაღმართებზე დავყრით“.

ზურაბ ბარათაშვილი, *51 წლის:*

1. დადებითი — ვადამდელი არჩევნების დანიშვნა, უარყოფითი — „იმედის“ დარბევა.
2. ბადრი პატარკაციშვილისა და ერეკლე კოდუას ფარული ჩანაწერის გავრცელება.
3. გმირი — პოლიციელი ქუთათელაძე, რომელიც სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, საკუთარი გასწირა, ანტიგმირი — ოქრუაშვილი.
4. გამოკვეთილი ფიგურა არ მყავს.
5. „დროება“.
6. დაჩი გრძელიშვილი, რომელიც „იმედის“ ეთერშიც მუშაობდა, გაზეთ „კვირის პალიტრის“ ფურცლებიდანაც საინტერესო მასალებს გვაწვდიდა და „დროების“ სხვა ჟურნალისტებთან ერთად, ჟურნალისტისთვის ძალზე გონივრული და ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა.
7. ფონდ „იავნანას“ საქველმოქმედო აქცია — მონსერატ კაბალიეს კონცერტი.
8. „უფალმა მიიღო გადაწყვეტილება — საქართველო გაბრწყინდება!“

ვფიქრობთ, მართლაც, საგულისხმო და ალბათ, არცთუ ისე მოულოდნელი პასუხები მივიღეთ. ბოლოს, მოგილოცავთ ახალ წელს და 5 იანვარს სწორი არჩევანის გაკეთებას გისურვებთ!

სოფო ჭონიშვილი ■

2007 წლის „მარგალიტი" ფრაზები

აგერ უკვე ზედიზედ რამდენიმე წელია, საქართველო აქტიურ პოლიტიკურ რეჟიმში ცხოვრობს. ამ მხრივ გამონაკლისი, არც აწ უკვე გასული, 2007 წელი ყოფილა და იმის მიუხედავად, რომ ამ ახალ, 2008 წელსაც „პოლიტიკურად" — არჩევნებით ვიწყებთ, შარშანდელი წელი კიდევ დიდხანს გვემახსოვრება. ამის დასტურად, წლის რამდენიმე საინტერესო ფრაზას შემოგთავაზებთ, ხოლო ვის მიანიჭებთ „წლის მარგალიტის", „წლის ფრთიანი გამონათქვამის" თუ „წლის მჭევრმეტყველის ტიტულს", — მთლიანად თქვენი გემოვნებისთვის მომინდვია. სტილი დაცულია.

„ორ წელიწადში ჩვენ გვექნება კარგად დავარცხნილი საავადმყოფოები".
ლადო ჭიპაშვილი

„მარილი ჯერ აღმართებზე დავაყარეთ, ახლა დაღმართებზე დავაყრით".
კობა სუბელიანი

„გლახა კედარი (მოზვერი) დედამისს მიახტებაო".
გიორგი ცანავა

„ეს სუბიექტი (ლომაია) აქ იმისთვის არ მოგვიწვევია, რომ 40 წუთის განმავლობაში ეფურთხა. პარლამენტი ზოოპარკი არ არის და აქ აქლემივით ნუ იფურთხებით. ეს არის საკანონმდებლო ორგანოსთვის ნამუსის ახდა".
ზვიად ძიძიგური

„ხალხს მივმართავთ — არ იმგზავრონ მეტროპოლიტენით და სანდრაბუსებით..."
გიორგი გუგავა

„რა თქმა უნდა, ვინც ვერ გადაიხდის, მისი საფლავი გაუქმდება და სხვაზე გასხვისდება".
გიორგი გუგავა

„რატომ უნდა ამიკიდოს პუტინმა, რა ვალდებულია, რუსეთში წამიყვანოს და იქ ბინა და აგარაკი მომცეს?"
მანანა არჩვაძე

„ქვეყანაში, სადაც ერთი მხრივ, „პლეიბოის" უშვებ და ამბობ, რომ მე სრული თავისუფლება მაქვს მიცემული და მეორე მხრივ, ჟურნალისტებს სასამართლოში არ შევუშვებო, აქ უკვე ნონსენსია".
გოჩა ჯოჯუა

„ოპოზიცია ამტკიცებს: განათლების მინისტრთან სერიოზული კითხვები გვაქვსო. მათი შემხედვარე კი საზოგადოება ფიქრობს: ნუთუ ამათ სანახავად ვუცქერ ტელევიზორს და ვუხდი ხელფასს სახელმწიფო მოხელეებსო?"
კახა (ალექსანდრე) ლომაია

„სხდომამდე იუმორზე აცრა გავიკეთე, თქვენც მიდით ინფექციურში და აიცერით".
მიხეილ მაჭავარიანი

„...თუ ეს მოთხოვნები ხვალ 12 საათამდე არ დაკმაყოფილდება, მაშინ ჩვენ ყველანი შევიკრიბებით და „ცულს მოვიტანთ ცუნცულასა".
ირაკლი წერეთელი

„მე პრეზიდენტების სექსუალურად აღქმა საერთოდ არ ვიცი და კოკოითი საერთოდ სექსთან რა კავშირშია, ვერ გამიგია".
ნინო ნაკაშიძე

„ჩვენი პრეზიდენტი პირველ ადგილზეა, ის ყველაზე სექსუალურია. მე პუტინს რომ ვუყურებ, ასე მგონია, რომ გამხმარი თევზია".
ელენე თევდორაძე

„იმის გამო, რომ რამდენიმე დეპუტატი სხდომათა დარბაზში პირდაპირ კიოფში ზის, დუჟმორეული და გაცივებული თვალებით, ნინო ბურჯანაძე, ან დავით საგანელიძე, ან სხვა კეთილსინდისიერი დეპუტატები შარდის ანალიზისთვის არ უნდა დარბოდნენ".
დავით საგანელიძე

„ასეთი მტრობა და გამყიდველობა, როგორც სააკაშვილის ხელისუფლება ექცევა ჩვენს ქვეყანას, არ გაუწევია არც ერთ მომხდურ, შინაურ თუ გარეულ მტერს".
გიორგი გუგავა

„დამნაშავეთა დაკავება უფრო ცივილური და ესთეტიური ფორმით უნდა ხდებოდეს".
ნინო ბურჯანაძე

„შეიძლება, რაღაც სატელეფონო ჩანაწერი ამოგიქექონ, სადაც სულ სხვა რაღაცაზე გექნება ლაპარაკი, მოგკიდებენ ხელს, ჩაგაყუდებენ ციხეში და მერე ამტკიცე, რომ არ ხარ აქლემი".
დავით ზურაბიშვილი

„ლომები (*გალაკტიონის ხიდის ჯებირზე დადგმული. — ავტ.*) ზაფხულის ბოლომდე ფერს შეიცვლიან".
კობა სუბელიანი

„ტანსაცმლის გახდას სადარბაზოში ვიწყებ... პირველად ვიხსნი ჰალსტუხს და კონწიალით შემაქვს სახლში. შარვალს და პერანგს არ ვიცვლი, რადგან უკვე ისეთი გვიანია, ტანსაცმლის გამოცვლას აზრი არ აქვს".
კობა ხაბაზი

„პლატონი და არისტოტელე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამბობდნენ: უბედურებაა ხალხის ენაზე მოლაპარაკე პოლიტიკოსიო".
თემურ შაშიაშვილი

„ვითანამშრომლებთ იმათთანაც, ვისაც ჩვენთან პარტნიორობის სურვილი არ ექნება".
ჯონდი ბაღათურია

„ოპოზიციის სკაბრეზულად დეკლარირებული სკეპსისი გამაღიზიანებელია".
მაია ნადირაძე

„ოცდაათლარიან თანამშრომლებს პასუხს ვერ მოსთხოვ, სამას ლარზე მომუშავეს უკვე მოსთხოვ, კიდევ უფრო მაღალანაზღაურებადს კი „ტყავსაც გააძრობ".
გიგი უგულავა

„ბოკერიას, ისევე, როგორც მერაბიშვილს, აქვს ერთი დადებითი თვისება — უკიდურესად არაპოპულარულია".
კახა კუკავა

„უფალმა მიიღო გადაწყვეტილება — საქართველო გაბრწყინდება..."
გია მაისაშვილი

„ჩემი გუნდის დევიზი ასეთია — ასაკოვანი, მაგრამ პროდუქტიული ფუტკრები ვართ... დღეს თუ ვერ გაგვიგებენ, ხვალ გაგვიგებს ჩვენი ხალხი".
ავთანდილ მარგიანი

„პრეზიდენტ გრეჩიხას ალბათ პრემიერად უფრო მოუხდებოდა პადოშა... ხუთში ხალხს მართლაც, რეფერენდუმის ტიპის არჩევანი აქვს გასაკეთებელი, ოღონდ იმ თვალსაზრისით, თუ ვინ უნდათ პრეზიდენტად — მიხეილ სააკაშვილი თუ გრეჩიხა, პა-

დოშა, დელფინა, კოკო, შალიკო და ა.შ.“

გივი თარგამაძე

„აგერ, კაცო, გივი თარგამაძემაც ამოიდგა ენა!“

მიხეილ სააკაშვილი

„თუ კიდევ ვინმეს სამინისტროებში გყავთ „ვოლკები“, ტურები, ვეფხვები, ლომები და სხვა ცხოველები, გაახილეთ თვალები და მოუარეთ“.

მიხეილ სააკაშვილი

„პატარა მოღალატუკები, ერთუჯრედიანები, დარაზმულები არიან, მაგრამ ქართველი ხალხი უფრო ბრძენია... ხანდახან ასეთი ავი აზრებიც გამიელვებს ხოლმე თავში“.

მიხეილ სააკაშვილი

„ახლა მე რომ გითხრათ, პატარკაციშვილი მაჩვია-მეთქი, დამიჯერებთ?“

გიგი უგულავა

„რაც მე და ჩვენს მოძრაობას აქვს აღებული ბადრი პატარკაციშვილისგან, იმდენი ჩემს ჯანში, ხოლო რაც „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს მოპარული ბიუჯეტიდან, იმდენი უგულავას ჯანში“.

გოგა ხაინდრავა

„ამ ჩვენს საცოდავ პროზას თუ გამოვაკლებთ ოზას და მივუმატებთ უწუნს, მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს“.

კოკო გამსახურდია

„ნეტავი... ნეტავი არა, მაგრამ ოპოზიციის ლიდერი რომ ვიყო მე, პირდაპირ გეტყვით, ამ ხელისუფლებას ვერ დავამარცხებდი, მაგრამ სერიოზულ კონკურენციას გავუწევდი... ნამდვილად არ ვაპირებ, რომ „ნავერტილე“ კაცს, შალიკოს და ჯონდის მივცე რჩევები“.

მიხეილ სააკაშვილი

„რა ძნელი ყოფილა პრეზიდენტობა, მოუკვდეს მიშიკოს ჩემი თავი!..“

ირინა სარიშვილი

„მე გახლავართ საერთო სახალხო მოძრაობის პრეზიდენტობის კანდიდატი, სადაც გაერთიანებულია ცხრა პარტია და ორი ადამიანი“.

ლევან გაჩეჩილაძე

„არც ერთ პოლიტიკოსს, მით უფრო პრეზიდენტს, არ აქვს იმის უფლება, ვიღაცას დედა შეაგინოს და ვიღაცას ტრ..ზე აკოცოს“.

სოსო პავლიაშვილი

„არა მგონია, ქალბატონო სალომე (*ზურაბიშვილს მიმართავს. — ავტ.*), ცრემლი დასაცინი იყოს, თქვენც მოგიხდებოდათ, რომ იცოდეთ...“

გიგი უგულავა

„რისიც მე მეშინია, ეს არის პასუხისმგებლობის სრული დეფიციტი ხელისუფლების მხრიდან...“

დავით ბაქრაძე (სააკაშვილის საარჩევნო შტაბის სპიკერი)

„მარგალიტებს“ მთელი წლის მანძილზე გულმოდგინედ აგროვებდა

ემა ტუხიაშვილი

წლის სკანდალური ფიგურები, ხელისუფლების ბოსტანში ნასროლი ქვა და არამკითხე მეხოტბეთა ახალი გუნდი

გასულ, 2007 წელს პოლიტოლოგები საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე დაძაბულ პერიოდად მიიჩნევენ. წლის ყველაზე სკანდალურ პოლიტიკოსებად, ბადრი პატარკაციშვილს და ირაკლი ოქრუაშვილს ასახელებენ და მიაჩნიათ, რომ ამ ადამიანებმა ქვეყანაში მდორედ მიმდინარე პროცესები ქაოსით შეცვალეს.

შარშანდელი წლის უმნიშვნელოვანესი მოვლენების შესახებ ბატონები — სოსო ცინცაძე და რამაზ საყვარელიძე გვესაუბრებიან.

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო სოსო, თქვენი აზრით, 2007 წელი საქართველოს ისტორიაში როგორ შეფასდება?

— განვლილი წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დრამატული მოვლენებით შევა. მხედველობაში მაქვს ნოემბრის საპროტესტო აქციები, პრეზიდენტის გადადგომა და წინასაარჩევნო ბატალიები. მაგრამ ყველაზე სკანდალურ ფაქტად პატარკაციშვილის უცნაურ საქციელს მივიჩნევ: როგორც აღმოჩნდა, ის ძალადობრივი გზით ხელისუფლების შეცვლას გეგმავდა, მაგრამ თუ დღეს არსებული კომპრომატების გარდა, მის წინააღმდეგ სხვა არაფერი არსებობს, მაშინ ჩვენს სახელმწიფოებრიობას სერიოზული საფრთხე ნამდვილად არ ემუ-



ბომბი უცებ გასკდა, ამფეთქებელი კი, სამიდან ერთ-ერთი „ზვიგენი“ აღმოჩნდა

ქრებოდა და ბიზნესში წარმატებული პატარკაციშვილი პოლიტიკაში დილეტანტი და დაუდევარი ყოფილა. ხელისუფლების გადატრიალება ისე არ ხდება, როგორც ამას ბატონი ბადრი გეგმავდა. მისი ჩანაფიქრი ძალზე სულელური გახლდათ და თავიდანვე ჩავარდნისთვის იყო განწირული.

— ხელისუფლების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ოქრუაშვილი პატარკაციშვილმა საკუთარი იდეების სარეალიზაციოდ გამოიყენა. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

— პატარკაციშვილმა გამოიყენა ოქრუაშვილი თუ — პირიქით, ეს ძნელი გასარკვევია. ფაქტია, რომ ორივე წაგებულია. სიმშვიდის პირველი დამრღვევი — ირაკლი ოქრუაშვილია, ხელისუფლების ბოსტანში ყველაზე დიდი ქვა სწორედ მან ისროლა. პროცესები მდორედ მიმდინარეობდა, ოპოზიცია ქრონიკულ რეჟიმში აცხადებდა პროტესტს, მაგრამ შედეგს ვერ აღწევდა. ბომბი უცებ გასკდა, ამფეთქებელი კი, სამიდან ერთ-ერთი „ზვიგენი“ აღმოჩნდა. ოქრუაშვილის დემარშმა მეორე სუნთქვა გაუხსნა ოპოზიციას და ქვეყანაში ყველაფერი არია. ამიტომ ვფიქრობ, რომ წლის სკანდალური პოლიტიკოსის საეჭვო რეპუტაციის გვირგვინს პატარკაციშვილი და ოქრუაშვილი თანაბრად იყოფენ. ეს წელი კიდევ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ძალზე ბევრი არამკითხე მეხოტბე გამოჩნდა. ერთ ინკუბატორში გამოჩეკილი ბიჭები და გოგონები, რომლებსაც ტელევიზიამ მომღერლების „ტიტული მიაწება“, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სააკაშვილის კეთილგანწყობილება დაიმსახურონ. ფიქრობენ, რომ მათი „ბროლის ოცნება“ მოახლოვდა და მალე საპარლამენტო სიებში მოხვდებიან.

თუ ეს არის ქართული ინტელიგენცია, ჩვენი საქმე ცუდად ყოფილა. სააკაშვილს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ მეხოტბეებს პატივს არ სცემს. ვფიქრობ, ბოლო არჩევნებია, როდესაც მომღერლებს ასეთი აქტიურობის საშუალება ეძლევათ. იტალიის ხელისუფლების წინააღმდეგაც იყო შეთქმულებები, მაგრამ თქვენ წარმოგიდგენიათ, რომ პავაროტი გამოსულიყო და პრემიერისათვის მხარი დაეჭირა?!. ნამდვილი ინტელიგენტი სულ უნდა ბუზღუნებდეს და ხელისუფლებას არსებულ პრობლემებზე მიანიშნებდეს.

— წლის ყველაზე იღბლიან პოლიტიკოსად ვის მიიჩნევთ?

გაგრძელება იხ. გვ. 97

ცნობილი „ვირთხები“ და საკუთარ წელიწადზე დაქუარებული იმედები

აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, 2008 ვირთხის წელია. ნატო გელაშვილი, დავით ბაქრაძე, დავით ბერძენიშვილი, კოტე გაბაშვილი, ალანა გაგლოევა, ივა კუზანოვი, ნატო მეტონიძე, გიორგი ნემსაძე, გია თორთლაძე, ეკა მამალაძე, ეკა ხერხეულიძე, გურამ წიბახაშვილი — ეს ვირთხის წელში დაბადებულ ცნობილ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია. რა თვისებებით გამოირჩევიან „ვირთხები“? — ამ თემაზე სასაუბროდ, რამდენიმე მათგანს დავუკავშირდით.

თამუნა კვინიკაძე

„მეუღლის მოთხოვნებს შევეგუები თუ არა, ნამდვილად არ ვიცი“

ალანა გაგლოევა:

— ზოგჯერ, ჩემს ჰოროსკოპს ვკითხულობ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, წაკითხული 1 საათში მავიწყდება. შესაბამისად, ასტროლოგთა რჩევებს არ ვითვალისწინებ.

— როგორ ფიქრობთ, გაწონასწორებული ადამიანი ხართ?

— თუ ჩემი მხრიდან ამის დადასტურება უხერხული არ იქნება, ვარ.

— ასტროლოგები „ვირთხებზე“ ამბობენ: მათ წინათგრძნობა და ინტუიცია ყველა სხვა ნიშანზე მეტად აქვთ განვითარებულიო. ამ მოსაზრებას ეთანხმებით?

— ვეთანხმები. როცა საკუთარ წინათგრძნობას არ მივენდე, ყოველთვის წაგებული დავრჩი.

— როგორც ვიცი, სასწორის ნიშნის ქვეშ ხართ დაბადებული, მათ კი ცივ და უსულგულო ადამიანებად მიიჩნევენ, რადგანაც განზე დგომა ახასიათებთ.

— ზოგჯერ, ასეც ხდება ანუ შემიძლია, ისე მოვიქცე, რომ ყველას აისბერგი ვეგონო.

— ეს როდის ხდება?

— მაშინ, როცა ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანების გამო დისკომფორტს ვგრძნობ.

— ისინი გამუდმებით ეძებენ ახალ და საინტერესო ადამიანებს. ასეა?

— მიუხედავად იმისა, რომ ჩემ ირგვლივ უამრავი საინტერესო ადამიანი ტრიალებს, ახალ ნაცნობობაზე უარს არასდროს ვამბობ. მით უმეტეს, თუ ის საინტერესო პიროვნებაა.

— გუნება-განწყობილება ხშირად გეცვლებათ?

— საკმაოდ. მაგრამ ამას ვერავინ ამჩნევს.

— ცნობისმოყვარე ხართ?

— ძალიან. „ცხვირს“ ყველგან ვყოფ (*იცინის*).

— „სასწორს“ მიაჩნია, რომ ელეგანტური და დახვეწილია. ის ყველაფერს იღონებს, ოღონდ ისეთ ადამიანებთან არ იკონტაქტოს, რომელიც ეთიკის კანონებს არღვევს. ასტროლოგებს ამაშიც ეთანხმებით?

— ზოგჯერ, ელეგანტურად გამოიყურები, მაგრამ მაშინ, როცა დახეული ჯინსითა და კედებით დავდივარ (ჩაცმის ასეთი სტილი კი ძალიან მიყვარს), არა მგონია, ელეგანტური ვიყო... უმეტესად, ისეთ ადამიანებთან მიწევს ურთიერთობა, რომლებიც ეთიკის კანონებს მართლაც არ არღვევენ.

— „სასწორების“ ოცნება სხვაა, რეალობა — სხვა...

— ვერ ვიტყვი, რომ არც ერთი ოცნება არ ამსრულებია. თუმცა, არის ისეთი რაღაც, რაზეც დღემდე ვოცნებობ და იმედი მაქვს, ის მომავალში ამისრულდება.

— გაგვიმხელ?

— ვერა (*იცინის*).

— ასტროლოგები „სასწორებს“ ერთგულ მეგობრებად მიიჩნევენ და იმასაც ამბობენ, რომ ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ქალბატონები ქმრების მოთხოვნებს ითვალისწინებენო.

— მართლაც, ერთგული მეგობარი ვარ. ბევრი ბავშვობის მეგობარი მყავს და ვიცი, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა არასდროს გაცივდება. რაც შეეხება ცოლქმრობას, ამ კითხვაზე პასუხს მომავალში გაგცემთ. დღეს მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჯიუტი ადამიანი ვარ, ჩემი ყოველთვის გამაქვს და მეუღლის მოთხოვნებს შევეგუები თუ არა, ნამდვილად არ ვიცი. ისე, იმასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ რას და როგორ მომთხოვს.

— ისინი ხშირად ფუქსავატობენ...

— ზარმაცი ადამიანი არ გახლავართ. საქმეს მხოლოდ მაშინ ვერ ვაკეთებ, როცა ცუდად ვარ.

— ალბათ, ბევრი „ვირთხა“ მეგობარი გყავთ. ერთად შეკრებილი „ვირთხები“ დროს როგორ ატარებთ?

— (*იცინის*) ჩვეულებრივად. ვირთხა ხასიათით შემგროვებელია, გამუდმებით რაღაცას ეძებს და მერე, სოროში მიაქვს. ჩემთვის მისი ეს თვისება უცხოა. 2008 წელს, თითქოს რაღაც სხვანაირი განცდით შევხვდი, რადგან ჩემი წელი დაიწყო. ეს კი 12 წელიწადში ერთხელ ხდება.

„საკუთარ თავს მფლანგველი „ვირთხის“ ტატეგორიას მივაკუთვნებ“

— თქვენ ვირთხის წელში დაბადებული „კურო“ ბრძანდებით. ასტროლოგები ამბობენ, რომ მიზნის მისაღწევად „კურო“ ძალას იყენებს. თქვენს შემთხვევაშიც ასეა?

ივა კუზანოვი:

— ვფიქრობ, დასახული მიზნის მისაღწევად, ადამიანმა ყველაფერი უნდა იღონოს, მაგრამ ისეთი რამ არ უნდა გააკეთოს, რასაც ცოტა ხანში ინანებს.

— უმეტეს შემთხვევაში, მამაკაცი „კურო“ კეთილი და უწყინარია, იშვიათად ბრაზდება, მაგრამ თუ გაბრაზდა...

— მართლა იშვიათად ვბრაზდები, მაგრამ არავის ვუსურვებ, განრისხებული მნახოს.

— „კურო“ სილამაზის დამფასებელია. განსაკუთრებით, ადამიანის სხეულის სილამაზე ხიბლავს. ასტროლოგებს ამ შემთხვევაშიც ეთანხმებით?

— რა თქმა უნდა, ვეთანხმები. ულამაზოდ და ულაზათოდ გაკეთებული საქმე არასდროს ამართლებს. ვფიქრობ, რომ ამქვეყნად ულამაზო ქალი არ არსებობს. უბრალოდ, ზოგს აქვს ამ სილამაზის წარმოჩენის ნიჭი, ზოგს — არა. თუ ადამიანს სიცოცხლე არ უხარია, სილამაზეც იკარგება.

— „ვირთხა“ მატერიალისტია.

— აი, აქ კი ცდებიან ასტროლოგები: ფულის „გასაკეთებლად“ გეგმა არასდროს შემიმუშავებია.

— ანუ არ იცით, როგორ გამობერტყოთ ოქრო სხვისი ქისებიდან?

ჯიუტი ნამდვილად ვარ, მაგრამ სხვისი მოსაზრების მოსმენის უნარიც მაქვს

— გულწრფელად გეუბნებით — არა (*იცინის*)! ალბათ, ეს აღზრდის ბრალია: მე და ჩემი ძმა ექიმების ოჯახში დავიბადეთ. მშობლები ყოველთვის გვეუბნებოდნენ, — ფული ხელის ჭუჭყიაო. „ვირთხების“ ორი ტიპი არსებობს — მომჭირნე და მფლანგველი. საკუთარ თავს მფლანგველი „ვირთხის“ კატეგორიას მივაკუთვნებ.

— ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანების უარყოფით თვისებებად სიჯიუტეს, გულგრილობასა და ეგოიზმს ასახელებენ. თქვენ თუ ხართ ამ თვისებების მატარებელი?

— ჯიუტი ნამდვილად ვარ, მაგრამ სხვისი მოსაზრების მოსმენის უნარიც მაქვს. თუმცა, რამდენად გავითვალისწინებ, ეს სხვა საქმეა. რაც შეეხება გულგრილობასა და ეგოიზმს, ეს თვისებები ჩემგან შორსაა. პირიქით, ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა ვიცი.

— „ვირთხა“ ყოველთვის ცდილობს, რომ სურვილები დაიკმაყოფილოს. მის მეორე ნაკლად კი ზესიფრთხილეს მიიჩნევენ.

— ეს მართლაც ასეა. ახლა ახირებული მაქვს, რომ ჩემი საკუთარი კლინიკა მქონდეს. წლებია, რაც არენდით აღებულ კლინიკებში ვმუშაობ.

— „კუროს“ ცვალებადობა არ უყვარს...

— სიახლეს ყოველთვის მივესალმები, მაგრამ ჩემს ხასიათში კონსერვატიზმის ელემენტიც ჭარბადაა.

— ასტროლოგები გეკითხებიან — როდის ისწავლი ორმხრივ საუბარში მონაწილეობასო?..

— მათ ცნობისმყვარეობას დავაკმაყოფილებ და ვიტყვი, რომ უკვე ვისწავლე (*იცინის*).

— დაბოლოს, ახალ წელთან დაკავშირებულ თავგადასავალსაც ხომ არ გაიხსენებდით?

— ახალ წელს ტრადიციულად, შინ ვხვდები. სანამ მამაჩემი ცოცხალი იყო, ყველანი მასთან ვიკრიბებოდით, ახლა კი, რადგან ძმებს შორის უფროსი ვარ, ამ ტრადიციამ ჩემს ოჯახში გადმოინაცვლა. 2 იანვარს ოჯახის უახლოეს ნათესავებთან და მეგობრებთან ერთად, ხაშს ვაკეთებ და ამ კერძს მივირთმევთ. ქართული სუფრა და თამადობაც ძალიან მიყვარს. ახალი წლის ოჯახში შეხვედრის ტრადიცია მაშინაც კი არ დამირღვევია, როცა მოსკოვში ვსწავლობდი. ერთხელ, ცუდი ამინდის გამო, ფრენა არ იყო და ჩამოსვლას ვერ ვახერხებდი. აეროპორტში უამრავი ქართველი იყო შეკრებილი. თბილისისგან განსხვავებით, თვითმფრინავებს ერევნის აეროპორტი იღებდა, მაგრამ რეისი არ გახლდათ. ჩვენთან სომხები მოვიდნენ და გვითხრეს, — ფულს ვაგროვებთ და თქვენც თუ თანახმა იქნებით, ერევნამდე გადაგაფრენთო. ყველას გაგვიკვირდა, ერევნის რეისი არ არის ან ამას როგორ შეძლებთ-მეთქი? გვიპასუხეს: ერთი თვითმფრინავი ოდესაში მიფრინავს, მას მგზავრები თითქმის არ ჰყავს. ჰოდა, „ლიოჩიკებს“ ფულს რომ შევთავაზებთ, ამ რეისს მოხსნიან და ერევანში გადაგვაფრენენო. ერთი სიტყვით, საჭირო თანხა შევკრიბეთ და რეისი ვიყიდეთ. ერევნიდან თბილისში 31 დეკემბერს, ღამის 11 საათზე მანქანით ჩამოვედი. უკვე აღარ მელოდნენ და რომ დამინახეს, ჩემი ოჯახის წევრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

„ვირთხა“, რომელიც ახალ წელს 5-ნომრიანი წითელი ჯაშნეთი შეხვდა

კოტე გაბაშვილი:

— პირად ჰოროსკოპს ხშირად ვეცნობი. თუ წავიკითხე, რომ იმ დღეს შესაძლოა, ჩემმა მკვეთრმა ქმედებებმა ოჯახის წევრები გააღიზიანოს, ასეთი ქცევისგან თავს შევიკავებ.

— თუ ანალოგიური რამ ოპონენტების მისამართით წერია, მაშინ როგორ იქცევით?

— (*იცინის*) ასტროლოგთა რჩევებს მათთან მიმართებაშიც ვითვალისწინებ.

— ასტროლოგები ამბობენ, რომ „სასწორები“ გონიერებით გამოირჩევიან და მათ ჭკუის საკითხავად ბევრი ადამიანი აკითხავს. მართლა ასეა?

— ამ შემთხვევაში ასტროლოგებს ვეთანხმები. მოგეხსენებათ, პროფესიით პედაგოგი ვარ და მთელი ჩემი ცხოვრება სხვებს ვასწავლი.

— საკუთარი უსიამოვნების ხარჯზე, სხვისთვის სიამოვნების მინიჭებაზეც ფიქრობთ ხოლმე?

— აბა, რა. მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრი, ნებისმიერი ადამიანისთვის დამღუპველია. ჩემს თავს წინა პლანზე არასდროს ვაყენებ, ამას ეგოიზმი ჰქვია.

— თქვენი სიმბოლო — სასწორია. ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს, სიმბოლოს მსგავსად, პირად ცხოვრებაში ბევრი „ზევით-ქვევით რყევა“ აქვთო...

— თვით ცხოვრებაა ასეთი. ჯანმრთელი ადამიანის კარდიოგრამას ავარდნები და ჩავარდნები აქვს, სწორი ხაზი — სიკვდილია...

— „სასწორები“ საკუთარ თავს ელეგანტურობასა და დახვეწილობასთან აიგივებთ?

— (*იცინის*) ასტროლოგებს ამ შემთხვევაშიც დავეთანხმები. სახლიდან მოუწესრიგებელი არასდროს გავდივარ. ესეც ელეგანტურობისკენ სწრაფვის ნიშანია.

— ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებიც ეთიკის ნორმებს არღვევენ, გაურბიხართ?

— სამწუხაროდ, ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ხშირად მიწევს. რაც არ უნდა ვეცადო, მათ ვერსად გავექცევი.

— თავს არაპრაქტიკულ ადამიანად მიიჩნევთ?

— საქმის კეთების დროს, პრაქტიკული ვარ, ხოლო დოვლათის დაგროვების თვალსაზრისით — არაპრაქტიკული. გაჩნია, ასტროლოგები რას გულისხმობენ.

— „სასწორს“ ხშირად უდგას ფუქსავატობის პერიოდი, შემდეგ ეს სანანებელი უხდება...

— არის დღეები, როცა გინდა დაისვენო და ყველა საქმეს გამოეთიშო. შეიძლება, ამის უფლება საკუ-

საქმის კეთების დროს, პრაქტიკული ვარ, ხოლო დოვლათის დაგროვების თვალსაზრისით — არაპრაქტიკული

თარ თავს ყოველთვის ვერ მისცე. სამწუხაროდ, ფულის ფუქსავატურად ხარჯვა ჩემი თვისებაა, თუმცა ეს, ახალგაზრდობაში უფრო ხდებოდა.

— სამწუხაროდო, — აღნიშნეთ. შემდეგ, სინანულის გრძნობა გიჩნდებათ?

— აბა, რა. როცა ფულს იმაში დახარჯავ, რაც აუცილებელი არ არის და შემდეგ აღმოაჩენ, რომ გადასახადისთვის აღარ გრჩება, წუხხარ.

— ფულს დაუნანებლად რაში ხარჯავთ?

— შეიძლება, წიგნებში ან რაიმე ნივთში; ყველაფერში, რაც მომეწონება.

— „სასწორის“ ოცნება — სხვაა, რეალობა — სხვა...

— ამჯერად, ასტროლოგებს ვერ დავეთანხმები: ჩემი ყველაზე დიდი ოცნება — საქართველოს დამოუკიდებლობა იყო და ამისრულდა.

— დღეს რაზე ოცნებობთ?

— დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებასა და ნატოში შესვლაზე. მჯერა, ეს ოცნებაც მალე ამისრულდება.

— პირად ცხოვრებაში გიმართლებთ?

— უკმაყოფილო არ ვარ. მყავს მეუღლე, რომელიც ძალიან მიყვარს, შვილები და შვილიშვილები. დღემდე მხოლოდ ერთი ოცნება არ ამისრულდა: საქართველოს ფეხბურთის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონობა.

— „სასწორის“ მთავარი სიტყვაა „ჰარმონია“.

— ყოჩაღ, ასტროლოგებს! მათ „სასწორები“ კარგად შეუსწავლიათ. ჰარმონიის მიღწევა ძალიან ძნელია იქ, სადაც სიყვარული არ არის და ადვილია იქ, სადაც ეს გრძნობა არსებობს.

— თქვენი წელი დაიწყო. როგორი განწყობილება გაქვთ?

— არაჩვეულებრივი. ახალ წელს მეკეთა წითელი ყელსახვევი, რომელსაც ნომერი 5 აწერია. ჩვენ ტრადიციულად, ახალ წელს ოჯახში ვხვდებით. განსაკუთრებით მძიმედ მახსენდება უცხოეთში გატარებული 9 ახალი წელი. იქ მყოფი ქართველები ვიკრიბებოდით, ქართულ კერძებს ვამზადებდით და ნოსტალგიას ასე ვიქარვებდით. გარდა ამისა, პირველი იანვარი ჩემი მშობლების ქორწინების დღეა. დედას ამ თარიღს ყოველთვის ვულოცავთ. ასე რომ, ამ დღეს ჩვენი ოჯახისთვის ორმაგი დატვირთვა აქვს. ყველა ჩემს თანამემამულეს ვულოცავ 2008 წლის დადგომას, წინსვლას, გამარჯვებასა და გაერთიანებულ, ძლიერ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებ!

„შესაძლოა, პოლიტიკოსმა ტყუილი თქვას, მაგრამ ჟესტებით ვერ მოგატყუებს...“

სანამ ამომრჩეველს პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამის წაკითხვის სურვილი გაუჩნდება, მის ცნობიერებასა და განწყობილებაზე მათი პიროვნული მომხიბვლელობა ახდენს ზეგავლენას. დღეს პრეზიდენტობის ყველა კანდიდატს ერთგვარი ფლირტი აქვს ამომრჩეველთან, — ხალხს ეფერება და ბაგეთაგან მხოლოდ მის გასახარს აფრქვევს. მაგრამ რამდენად ახლოსაა დაპირებები რეალობასთან? ამის გამოცნობაში ჟესტების ენა და უნებლიე წამოცდენები გამოგვადგება, რომელიც საკმაოდ კარგად მომზადებულ ორატორებსაც კი მოსდით ხოლმე.

ფსიქოლოგის თვალით დანახული კანდიდატები

იგო რიკაძე

მარინა ბალიაშვილი, *მეცნიერებათა დოქტორი, დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი:*

— ხელისუფლების შეცდომა ის იყო, რომ გაუაზრებლად დაიწყო რაღაცების კეთება. ძალიან დიდი აქცენტი გაკეთდა მატერიალურ მხარეზე. სამაგიეროდ, დაიჩრდილა კულტურა, სულიერება, ეროვნულობა და ტრადიციები — ის, რის გარეშეც ქართველს საკუთარი თავი ვერ წარმოუდგენია. კულტურის, როგორც მოვლენის, ნიველირება მოხდა. არადა, კულტურას საზოგადოების გამაერთიანებლის, შემაკავშირებლის ფუნქცია აქვს. თუ საზოგადოებაში მორალური კონსენსუსი, ზოგიერთ საკითხზე თანხმობა არ არსებობს, ის ვერ იარსებებს, დაიშლება. ასეთი გამაერთიანებელია სწორედ კულტურა. რატომღაც სულ გვესმის: ის, რაც გვაქვს და გვქონდა, არ ვარგა, რაღაც სხვა უნდა გავაკეთოთო. ქვეყნის, ერის არსებობის საფუძველს, მის ზოგად ორიგინალურ შეხედულებებს ხაზი გადაესვა.

ეს „სხვა“, რა არის, არ ვიცით და ვგონებ, თავადაც არ იციან. იქნებ, ქართველებს ბევრი ნაკლი გვაქვს, მაგრამ ასეთი უდიერი ურთიერთდამოკიდებულება, უხეშობა, უტაქტობა, ერთმანეთის ჩაძირვა, რა მოსაწონია?! სწორედ ამან გამოიწვია საზოგადოების გაღიზიანება, თორემ არც არავინ ელოდა, რომ 2-3 წელიწადში ყველას მოსაწონი ქვეყანა აშენდებოდა, სადაც ყველა დასაქმდებოდა. ისეთ ღირებულებებს შეეხნენ, რისი შეხებაც არ შეიძლებოდა. არ შეიძლება, ერს თავმოყვარეობა შეულახო. ჩვენი საზოგადოება შიშობს, თუ ყველაფერი ასევე გაგრძელდება, უარეს დღეში ჩავცვივდებითო.

— ჩვენს გაღიზიანებულ საზოგადოებას სხვადასხვა სლოგანი შესთავაზეს. თქვენი აზრით, რომელი კანდიდატის სლოგანია უფრო ახლოს ხალხის მისწრაფებებთან?

— პირველი ნომრის, ლევან გაჩეჩილაძის სლოგანი — „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ — ქართველი ხალხის მოთხოვნასაც პასუხობს და თვითონ გაჩეჩილაძისთვისაც ორგანულია. ამიტომ მისგან წარმოთქმული ეს ფრაზა ყალბად არ ჟღერს. შესაძლოა, გაჩეჩილაძე ვინმეს აღიზიანებდეს კიდეც, მაგრამ სანდოა, რადგან თავმოყვარეობას ძალიან უფრთხილდება და აქვს განცდა, რომ „კარგი კაცი უნდა იყოს“. თავმომწონეა. მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, თუ რას ფიქრობენ მასზე. ის არ არის პრაქტიკული ადამიანი, რომელიც მხოლოდ შედეგზეა ორიენტირებული და ნაკლებად აინტერესებს, რას იფიქრებენ მასზე. ქართული ხასიათისთვის მნიშვნელოვანი კითხვაა — ვინ რა თქვა ჩემზე, სხვას მოვწონვარ თუ არა? ქართველს უპირველესად, თვითონ უნდა მოსწონდეს საკუთარი თავი და მერე მოაწონებს სხვას. გაჩეჩილაძე

მარინა ბალიაშვილი

ისეთი ტიპის კაცია, რომლისთვისაც მთავარია, — არ შევრცხვეო, — და ამისთვის ბევრ რამეს დათმობს.

— მეორე ნომერი ბადრი პატარკაციშვილი „შეხდებას, გარღვევასა და საქართველოს გაბრწყინებას“ გვპირდება. არის ამის გამკეთებელი და საერთოდ, რა კაცია? გაჰყვება ხალხი ამ კაცს, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ მატერიალურ დოვლათს ჰპირდება საზოგადოებას?

— პატარკაციშვილი თავს არ ავლენს. ეს არის კაცი, რომელმაც დიდი კაპიტალი დააგროვა. ის „ხაზეინის“ ტიპის კაცია და ეს ხალხზე მოქმედებს. მზრუნველი პატრონის ტიპია.

— მესამე ნომერზე — დავით გამყრელიძეზე რას იტყვით?

— პოზიტიური ადამიანია. მას მიაჩნია, რომ ქართველ ხალხს აქვს შესაძლებლობები და საჭიროა ამ ყველაფრის რეალიზაცია.

ის კონცენტრირებულია. „ჩვენ გვწამს ღმერთი და შეგვწევს ძალა“ — სლოგანი კი არა, ფრაზაა, თანაც — ძალიან აბსტრაქტული, ჯობდა, რაიმე სხარტი მოეფიქრებინა. ეს სლოგანი ძალიან ჰგავს წარწერას დოლარზე — „ჩვენ გვჯერა ღმერთის“.

— როგორია ფსიქოლოგის თვალით დანახული, პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი? მისი სლოგანია — „დავამარცხოთ გაჭირვება“.

— ნათელაშვილი პოპულისტია, ხალხისადმი კეთილგანწყობილი, ეს ჩანს მის საქციელსა და ჟესტებში. ხალხი მისი წიაღია. არ არის ქედმაღალი. მიკვირს, ამდენ დაპირებას რომ იძლევა. ეს არარეალურად მეჩვენება. პატარკაციშვილი რომ გპირდება, დასძენს, — ამას ჩემი ჯიბიდან გადავიხდიო, — მაგრამ ნათელაშვილი როგორ აასრულებს ამ დაპირებებს, — ამას არ აკონკრეტებს. გაბედული და ჭკვიანი კაცია და რატომ არ ფიქრობს, — რასაც ვამბობ, ასე ადვილი გასაკეთებელი თუ არის, სხვებიც ხომ გააკეთებდნენო?.. ნათელაშვილის დაპირებები გულუბრყვილო ხალხს თუ ააღელვებს, მათ, რომელთაც ურჩევნიათ, იმედის ის ძაფი არ გაწყვიტონ, რაც მომავალთან აკავშირებს.

— ექსპრეზიდენტმა სოციალური შინაარსის სლოგანი აირჩია — „საქართველო სიღარიბის გარეშე“.

— არ არის ცუდი ლოზუნგი და არც არარეალურია. მაგრამ ის აგდებით ეპყრობა ხალხს. არა მგონია, ასეთი ყოფილიყო გაპრეზიდენტებამდე. ვფიქრობ, პრეზიდენტის სავარძელმა მასზე უარყოფითად იმოქმედა... ადამიანი მთელი ცხოვრება ვითარდება, განვითარებისთვის, წინსვლისთვის კი აუცილებელია, მის წინაშე მდგარი საკითხები გადაწყვიტოს. უფრო მაღალ სოციალურ საფეხურზე ასვლას კი არა, მის პიროვნულ ზრდას ვგულისხმობ. როდესაც კაცი რაღაცას დასძლევს, უსათუოდ იძენს რაღაცას, რაც მის შინაგან სამყაროს ემატება. უცებ

გაპრეზიდენტება ფსიქოლოგიურად ძალზე რთულია. რაც საკაშვილს დაემართა, ნებისმიერ ადამიანს შეიძლებოდა დამართვოდა. იმავეს ვიტყოდი მის გარემოცვაზეც: ბევრი ადამიანი საკუთარი თანამდებობისთვის შეუსაბამოა. არც ერთს არ აქვს გრძელი ცხოვრების გზა გავლილი და ეს კარგად ჩანს საქმეშიც და ადამიანებთან ურთიერთობაშიც. არაპროგნოზირებადია თავად საკაშვილი და მის გარშემო ყველაფერი. ისიც არ მესმის, რაში დასჭირდა 7 ნოემბერი. უპირველესად ხომ საკუთარ თავს ავნო?! კარგ წინასაარჩევნო კამპანიას ეწევა. კარგად მუშაობს მისი ჯგუფი, თავად საკაშვილიც ენერგიული და შემტევია, მაგრამ არ მომწონს წითელი ფერის დომინირება და ხუთიანების ფრიალი, კომუნისტურ დროს მაგონებს. ხუთიანები, წითლები და კანფეტები ცხადყოფს, რომ ხალხს პატივს არ სცემს. საკაშვილი ძალიან ენერგიულია, ენერგიულობა პოლიტიკაში ბევრს ნიშნავს, პოლიტიკოსი ენერგიას უნდა აფრქვევდეს, აღაფრთოვანებდეს. ლიდერი ის კი არ არის, ვინც თვითონ გააკეთებს რამეს, არამედ — სხვას გააკეთებინებს. საკაშვილი ასეთია. მისი მთავარი კოზირი — ენერგიულობაა, სხვა არც აქვს არაფერი.

— გია მაისაშვილი არ დაგიხასითებიათ, ის რა ფსიქოტიპია?

— ხმის ტემბრი არ უვარგა — არადა, ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს. პრინცესა დაიანას, დედოფლისთვის შეუფერებელი, წვრილი ხმა ჰქონია და მისი ხმის შესაცვლელად (დასაბოხებლად) საგანგებოდ იმუშავეს იმიჯმეიკერებმა. მაისაშვილს არა აქვს ლიდერის ხმა. რაღაც დაუსრულებელი ტიპაჟია, ერთგვარი ნაკრები „ქართულ-ამერიკულის“. უცნაური „ვინეგრეტია“ — არც ქართველია და არც ამერიკელი. მასში არ ჩანს ძალა და მონდომება.

— სარიშვილი?

— ბოლო დროს ძალზე ბევრი შეცდომა დაუშვა, ადრე არა უშავდა. გაუგებარია მისი მეტამორფოზები.

— ქართველი საზოგადოების მოთხოვნას ყველაზე მეტად, რომელი კანდიდატი უპასუხებს?

— თბილისი გაჩეჩილაძისაა, რაიონები ალბათ, საკაშვილის. შესაძლოა, რეგიონებში 7 ნოემბრის კადრები არ უნახავთ და ისე არ განიცადეს მომხდარი, როგორც თბილისელებმა. საკაშვილი რეგიონებზე მეტად მუშაობს. ქართველ საზოგადოებას კი უნდა, ქვეყნის მეთაური ყველას პრეზიდენტი იყოს და არა ცალკეული კუთხის ან თანაგუნდელების. ის უნდა იყოს ტრადიციების დამცველი, განათლებული. ისეთი კი არა, აშშ-ში ორკვირიან სემინარებს რომ გაივლიან და თავი მოაქვთ. ქვეყნის მეთაურობის მსურველმა საერთო ქართული იდეა უნდა წამოსწიოს წინ. წინა პრეზიდენტმა საზოგადოება ორად გახლიჩა, სისულელეები აკეთა. ჩვენ გამაერთიანებელი ლიდერი გვჭირდება, რომელშიც ყველა იმას დაინახავს, რისი დანახვაც სურს. ლიდერმა უნდა მოგცეს საშუალება, რომ მასში რაღაც შენეული დაინახო, მაგრამ როდესაც მისგან აგრესია მოდის, როდესაც გეუბნება, — შენ რა იცი, კომუნისტი ხარ, არ ვარგიხარო, — ასეთი რაღაცები არ უნდა თქვას.

— საკაშვილი ამას აღარ ამბობს და ხალხის გაჭირვების გამო ცრემლსაც ღვრის.

— იმიტომ აღარ ამბობს, რომ უთხრეს, — არ თქვაო. მისი მოფერება და ცრემლიც აღარ არის დამაჯერებელი. მთავარი ის კი არ არის, დარიგებისა და რჩევის შემდეგ რას გააკეთებ, მთავარი ისაა, რას აკეთებ სპონტანურად, ბუნებრივად და არა — პრესინგების მერე. წამოცდენილს მეტი ფასი აქვს, ვიდრე წინასწარ მოფიქრებულსა და ნათქვამს. საკაშვილს კი ისეთი წამოცდენები აქვს, რომ დიდი კაცთმოყვარე არ ჩანს. მას საკუთარი თავის გარდა არავინ უყვარს.

— მაგრამ ჩვენ ვნახეთ ატირებული საკაშვილი.

— ნაკლებსარწმუნო ემოციაა: პრეზიდენტობა უნდა და ამისთვის ტირის. ყალბია მისი ცრემლები. ვითომ ძალიან გულჩვილია და გაჭირვებული მოხუცები რომ დაინახა, ვითომ შეეცოდა. ძალზე უგემოვნო კლიპია. მართლა გულჩვილი რომ იყოს ადამიანი, ასეთი კლიპი როგორ უნდა გადაიღოს? ტელეკამერების წინ ტირილი როგორ შეიძლება, გულწრფელი იყოს? ექსპრეზიდენტი კამერების წინ პოზიორობდა, ფარული კამერით ხომ არ გადაუღიათ. გულჩვილობის გამოვლენას ახლობლური სიტუაცია სჭირდება და არა ისეთი, როდესაც 200 კაცი გახვევია. იმიჯმეიკერებს ბრმად ენდობა საკაშვილი, რომლებიც, ამ კლიპიდან ჩანს, რომ უცხოელები არიან. ქართველები კი ვართ ემოციური ხალხი, მაგრამ ქართულ კულტურაში არ არის მიღებული, რომ კაცმა ცრემლები სხვას დაანახვოს. საკაშვილმა მას, ვინც ტელეკამერის წინ ატირება ურჩია, წესით, ფული კი არ უნდა გადაუხადოს, უნდა მოხსნას და გაგდოს...

პოლიტიკოსისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვიზუალურ მხარესაც. გაჩეჩილაძეს არა უშავს, კარგი ტიპაჟია. გამყრელიძეს ეკუთვნის შეფასება — „ისე, რა“. ნათელაშვილი კარგია გარეგნობით, მაგრამ უცნაური გამოხდომები აქვს. საკაშვილსაც არა უშავს. მაისაშვილიც არ არის დიდად მომხიბვლელი. სარიშვილი ადრე უფრო ელეგანტური იყო, ახლა ვერ არის ისეთ ფორმაში. ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ადამიანს საშუალო სილამაზის სახე მოსწონს. ძალიან ლამაზი და თვალისმომჭრელი, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური სახეები ზოგს შეიძლება ძალიან მოეწონოს, ზოგს კი — არა. პრეზიდენტობის კანდიდატების ჟესტიკულაციაც საინტერესოა. წინათ ხელს რომ ვიქნევდი, მშობლებისგან შენიშვნას ვიღებდი, ახლა პოლიტიკოსებში ჟესტიკულაცია და ექსპრესიულობა ჭარბობს. ეტყობა, მიდგომები შეიცვალა. ძალიან საინტერესოა ჟესტების ენა. პოლიტიკოსები ჟესტებით უნებლიეთ გათქვამენ ხოლმე თავს. ჟესტიკულაციით მიღებული ინფორმაცია ძალზე ღირებულია. შესაძლოა, პოლიტიკოსმა ტყუილი თქვას, მაგრამ ჟესტებით ვერ მოგატყუებს, ჟესტებს ვერ გააკონტროლებს. დააკვირდით პრეზიდენტობის კანდიდატთა ჟესტებს და მათ სიტყვებზე მეტს ჟესტები გეტყვით. ■

my dollarstore

დიდმაღი

- კოსმეტიკა და სილამაზე
- საწმენდი საშუალებები
- საკვები პროდუქტი და კანფეტი
- ერთჯერადი გამოყენების ნივთები
- სამზარეულოს ნივთები
- ხელსაწყოები
- პლასტმასის ნივთები
- საკანცელარიო ნივთები
- დეკორი სახლისათვის
- სადღესასწაულო ნივთები
- საბავშვო ნივთები
- სათამაშოები
- ყველაფერი ავტომანქანისათვის
- ყველაფერი შინაური ცხოველებისათვის

9, Mikeladze Str., DIGOMI

საახალწლო საჩუქრები

თოვლის ბაბუისა და ფიფქიას ვინაობა გამჟღავნდა

ანუ ღუკილი, რომელსაც ყველა ბავშვი სისარულით ეგებება

ჟურნალ „გზის“ წინა ნომერში ამ რუბრიკაში გამოქვეყნებულ მასალას, სადაც ჟურნალისტის როლში თოვლის ბაბუა და ფიფქია მოგვევლინნენ, უამრავი ბავშვი გამოეხმაურა. ზოგიერთი მათგანი ფიქრობდა, რომ ფიფქიას ნილაბი ნინო არაზაშვილს ჰქონდა მორგებული, ზოგს თოვლის ბაბუა — დუტა სხირტლაძე ეგონა. მაგრამ ბავშვების უმრავლესობამ ამ ნილბების მიღმა დამალული ადამიანები ამოიცნო. გამარჯვებული კი, ჩვენ მიერ გამოცხადებული პირობის თანახმად, ის გახლავთ, ვინც ყველას დაასწრო და სწორი პასუხი პირველმა მოგვწერა. ეს გახლავთ 5 წლის ქეთი ახობაძე. დაპირებისამებრ, „გზის“ რედაქციამ ის დაასაჩუქრა.

ჩვენი რუბრიკის დღევანდელი სტუმრები კი, ბაბილინა (ნატო სულხანიშვილი) და გოგიჩა (გიორგი გოგიჩაიშვილი) არიან, რომლებიც ამჯერად ერთმანეთს ნილბების გარეშე ესაუბრებიან.

ნათია ქინძიძე

ჟურნალისტი — ნატო სულხანიშვილი
რესპონდენტი — გიორგი გოგიჩაიშვილი

— გავიგეთ, რომ თოვლის ბაბუა არ ხარ. სინამდვილეში, რა არის შენი პროფესია?

— პროფესიით სოფლის მეურნეობის ელექტროინჟინერი ვარ. მეორადი ფაკულტეტიც მაქვს დამთავრებული. იმ დიპლომით რეჟისორი ვარ. ენერგეტიკაში რომ არ ვმუშაობ, ამიტომ გაქვთ შუქი, თორემ იქ რომ ვიყო, სინათლეს ნამდვილად ვერ ეღირსებოდით... ხომ ხედავ, საქართველოს ენერგეტიკაში მეც დიდი წვლილი მაქვს შეტანილი!

— ბავშვებს რომ ძალიან უყვარხარ, ეს ყველამ იცის. მათმა ასეთმა სიყვარულმა რა შეცვალა შენს ცხოვრებაში?

— ბავშვობიდან კარგ გარემოში ვიზრდებოდი. ბავშვების სიყვარულმა ჩემი ცხოვრება კი არ შეცვალა, უბრალოდ, ამის წყალობით, ჩემ ირგვლივ ყველაფერი ფერადია. სულ კარგ განწყობილებაზე ვარ, სულ რაღაცა მიხარია. ხშირად გამომიჭერია საკუთარი თავი, საჭესთან უმიზეზოდ გაღიმებული რომ ვზივარ. მოკლედ, სიცოცხლე მიხარია.

— შენ რომ კარგად ხარ, ჩვენც კარგად ვართ... გადაცემა „მუსიკალური ფესტივალის“ წამყვანი ხარ. იქ, ბავშვების სახით, კომპეტენტური ჟიურის წევრები გყავს. ისინი რაიმეს თუ გირჩევენ ხოლმე და მათ რჩევებს ცხოვრებაში თუ ითვალისწინებ?

— ამას წინათ მირჩიეს, — შენ რომელიღაც ზღაპრის გმირი უნდა იყოო. არ მახსოვს, რა სახელი მითხრეს, ასეთი გმირი არასოდეს გამიგონია. მითხრეს, — პლაჟზე ზღვა ხალხს მობილურებს რომ წაართმევს, შენ მათ ტელეფონების პოვნაში უნდა დაეხმაროო. ამ რჩევას აგვისტოში გავითვალისწინებ. ზღვაზე რომ ჩავალ, თუ ვინმე მობილურს დაკარგავს, შეუძლია, მე მომმართოს, რადგან ბავშვების რჩევით, ასეთ დაზარალებულ ხალხს უნდა დავეხმარო. როგორც წესი, აგვისტოში არ ვმუშაობ და ამ საქმით სამუშაოც ვიშოვე.

ძალიან მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცოტა მეტად მრუნავდნენ ბავშვებზე

— ყველა, გოგიჩას რატომ გეძახის?

— კომუნისტების დროს სახლმმართველობაში ფული გადავიხადე და პირადობის მოწმობაში „გოგიჩა“ ჩავაწერინე. რასაკვირველია, ეს სახელი ჩემი გვარიდან მომდინარეობს. ყველა გოგიჩაიშვილი — გოგიჩაა.

— „გიორგის“ ვინმე გეძახის?

— არა და რომც დამიძახონ, „გიორგიზე“ არც გავიხედავ.

— აბა, ოჯახის წევრები რას გეძახიან?

— „ეი“, „ფიუ“ (*იცინის*)... მეძახიან „მამას“, „თოვლის ბაბუას“... ჩემს დისშვილს ჰქვია გიორგი. ამ სახელს რომ დაიძახებენ და მე ვუპასუხებ, — შენ არა, პატარა გიორგის ვეძახითო, — მეუბნებიან. თავიდანვე „პატარა გიორგი“ დაუძახონ, რა, რას მაწვალებენ?! სიდედრი „გოგიჩას“ მეძახის, ცოლს კი „გრიშას“ ვეძახი. უნდა ნახო, ხალხში რომ ვდგავარ და ჩემი ცოლი მირეკავს, რა ხდება. ასე ვპასუხობ: „ჰო, გრიშა, კარგი, გრიშა, გკოცნი, ჩემო გრიშა“ და ა.შ. ყველას ჰგონია, რომ ასე ვიღაც კაცს ვესიყვარულები... ადრე ზაზუნა მყავდა და გრიშა ერქვა. ნათია ცოლად რომ მოვიყვანე, მიწის თხილს ზუსტად იმ გრიშასავით ჭამდა. ძალიან უყვარს მიწის თხილი. ზაზუნასა და ნათიას შორის ამის გამო, დიდი კონკურენცია იყო. ამიტომ დავარქვი გრიშა. ამ სახელს ყველა ისე მიეჩვია, რომ მამამისიც კი ასე ეძახის. მე კი „გრიშა“ „პაპკას“ მეძახის.

— როგორი მამა ხარ, მკაცრი?

— ბავშვების მეგობარი ვარ. ახლა ჩემს შვილებს რომ დაურეკო და ჰკითხო, — მამათქვენი მკაცრია თუ არაო? — სიცილით მოკვდებიან... ჩემი დიდი რიდი აქვთ. ყოველთვის ვგრძნობ, რომ არაფერზე მაწუხებენ. მათ საქმეებს დედა და ბებია უჩემოდ უგვარებენ, თუმცა ხანდახან მათ საქმეში მეც ვერთვები. ერთხელ შვილს სკოლაში გავყევი. კლასის დამრიგებელი გამოვიდა და ჩემს „გრიშას“ უთხრა, — ასეთი სტუმარი თუ მოგყავდათ, წინასწარ რატომ არ გვითხარით? მოვემზადებოდით და ისე

დავხვდებოდითო. რომ უპასუხა, — სტუმარი კი არა, ბავშვის მამაო, — ძალიან გაუკვირდა, რადგან როგორც წესი, ბავშვებს სკოლაში არ ვაკითხავ. რა ვქნა, არ შემიძლია ასეთი რაღაცები. ისე, მათი მოვლა კი შემიძლია. ნათია ჟურნალისტია და მუშაობს. ბავშვების მოვლა ძირითადად, ჩემი დედ-მამის კისერზეა. თუ სახლში არავინ არის, შემიძლია, ბავშვებს რაიმე გავუმზადო და დავანაყრო. ყველაზე ხშირად ასე აგვისტოში ვიქცევი. ბათუმში რომ მივდივართ, სახლიდან არ გავდივარ ხოლმე — ასე უფრო ვისვენებ. შინ კერძებს ვამზადებ და პლაჟიდან დაბრუნებულ ცოლ-შვილს ვუმასპინძლდები. მოკლედ, ვუვლი, როგორც შემიძლია.

— კარგად ვიცი, რომ მთელი საქართველო შენი მეგობარია, მაგრამ განსაკუთრებულად მაინტერესებს, როგორ დაახასიათებ გადაცემაში — „მუსიკალური ფესტივალი“ — შენს თანაწამყვანს, დიჯეი გოგას?

— რადგან გოგა შენი ქმარია, ამიტომ გაინტერესებს, ხომ?.. კარგი. გეტყვი, რომ დიჯეი გოგა (*მსახიობი გოგა ხეჩიკაშვილი. — ავტ.*) ჩემი ძმაკაცია. ხომ იცი, რომ ის ყველა ბავშვს უყვარს. გოგა საოცარი იუმორის გრძნობით გამოირჩევა. ძალიან ერუდირებული და კაცური კაცია. მოკლედ, ბედნიერი ადამიანი ვარ. ნამდვილად გამიმართლა ცხოვრებაში. ისე, მიმაჩნია, რომ დადებით რაღაცებზე უნდა ვიფიქროთ. ჩვენ გარშემო უამრავი კარგი რაღაც ხდება. კარგზე უნდა ვიფიქროთ, თორემ ცუდის პოვნას რა უნდა?! ამას წინათ, მანქანის წინა საქარე მინა გამიტყდა. ხალხი მოდიოდა და მისამძიმრებდა. რატომღაც ეგონათ, რომ ვნერვიულობდი...

— მაგათ ალბათ ჩემი დამტვრეული მაქნანა არ უნახავთ...

— იცი, რა... ზოგიერთი ადამიანი მანქანის ფარის გატეხას გადაჰყვება. მე ასეთ წვრილმანებზე არასოდეს ვნერვიულობ.

— ქუჩაში ბავშვები როგორ გხვდებიან?

— ადრე, გადაცემა „კარუსელის“ წამყვანი რომ ვიყავი, ბავშვები გამარჯობის ნაცვლად, პირდაპირ ლექსის თქმას იწყებდნენ. ახლა მანქანით ვმოძრაობ და მათ ქუჩაში ისე ხშირად ვეღარ ვხვდები, მაგრამ თუკი სადმე მნახავენ, ძველი ნაცნობებივით მხვდებიან. ბავშვი ხომ ყველა ანგელოზია! ის ღმერთის ენით ლაპარაკობს და ყოველთვის მართალია. ჩათვალეთ, რომ ანგელოზებს ველაპარაკები ხოლმე.

— მერე, რას გეუბნებიან ანგელოზები?

— ისინი ყველაფერს კარგს მეუბნებიან. მათგან ყოველთვის სუფთა ენერგია მოდის.

— ახლა მითხარი, არჩევნებზე თუ აპირებ წასვლას?

— რა თქმა უნდა. ეს ყველა ქართველის ვალია, რადგან 5 იანვარს საქართველოს ბედი წყდება. ყველაფერი ხომ ღმერთის ნებით ხდება. ამიტომ ყველას მოვუწოდებ, რომ არჩევნებზე წავიდნენ და თავიანთი აზრი დააფიქსირონ.

ჟურნალისტი – გიორგი გოგიჩაიშვილი
რესპონდენტი – ნატო სულხანიშვილი

— ნატო, უამრავ ადგილას მუშაობდი, მაგრამ მგონია, რომ „ბაბილინა“ აბსოლუტურად სხვა სამყაროა...

— სხვა სამყარო ნამდვილად არ არის, რადგან პატარაობიდანვე ვოცნებობდი, რომ საბავშვო ბაღი გამეხსნა. დედას ქუჩაში რომ მივყვებოდი, სულ მინდოდა, ყველა შემხვედრ ბავშვს მოვფერებოდი, — მნიშვნელობა არ ჰქონდა, დაუბანელი იყო, თუ — დაბანილი. მინდოდა, რომ მათზე მეზრუნა. ვიდრე „ბაბილინა“ გავხდებოდი და ჩვეულებრივი ნატო ვიყავი...

— აა, ნატოში რომ გვინდა შესვლა, შენ ის ნატო ხარ?

— ისე, მეც ყოველთვის მაინტერესებდა, ამ ორგანიზაციას ჩემს სახელს რატომ ეძახიან...

— შენ იმ კახელივით მოგდის, ომში რომ გაგზავნეს. იქ ვილაც ყვიროდა — ნიკარაგუა, ნიკარაგუაო!. ამას ნიკა ერქვა და ასე გაიგო: ნიკა როგუა, ნიკა როგუაო? ჰოდა, უპასუხა, — კარგადა ვარ, კარგადო (*იცინიან*)!..

5 წლის ქეთი ახობაძე საჩუქრის მისაღებად რედაქციაში გვესტუმრა

— ჩემს კარიერაზე საუბარს განვაგრძობ. მუსიკალური განათლება მაქვს. დასარტყამ საკრავებზე ვუკრავდი. დედაჩემი კერძო ბაღში მუშაობდა. ერთხელ სადღაც მიდიოდა და მთხოვა, ცოტა ხნით შემცვალეო. მას შემდეგ, ბაღში მუშაობა განვაგრძე. მერე, ვიდრე ზღაპრის თეატრში დავიწყებდი მუშაობას, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში დავდიოდით და ბავშვებს სპექტაკლებს ვუჩვენებდით. ერთხელ, „წითელქუდა“ გვქონდა დადგმული. ჩემი მეუღლე მგლის როლს ასრულებდა, ჩემი და — წითელქუდა გახლდათ, მე კი — ბებიის როლსაც ვასრულებდი და თან ზღაპარს ვყვებოდი.

— ოჯახური ბიზნესი გქონიათ...

— ჰო, ასე გამოდის. მახსოვს, დიღმის მასივში ერთ-ერთ საბავშვო ბაღში მივედი და გამგეს ჩვენი სპექტაკლის ჩვენება შევთავაზე. მსახიობები ვინ არიანო? — მკითხა იმ ქალმა. ჩამოვუთვალე: მაია სულხანიშვილი, გოგა ხეჩიკაშვილი, ნატო სულხანიშვილი... ამ სახელებმა არაფერი უთხრა. მერე თემურ კალანდაძე ვახსენე და შემაწყვეტინა, — ეგ ბესო კალანდაძის ძმა ხომ არ არისო? დავუდასტურე, რადგან თემურის ძმას მართლა ბესო ჰქვია, თუმცა მომღერალი არ არის. სწორედ მისი ხათრით, სპექტაკლის ჩატარების ნებართვა მოგვცეს. სხვათა შორის, ეს სპექტაკლი ძალიან მოეწონათ.

— საზღვარგარეთ თუ დადიხარ ხოლმე?

— მხოლოდ ერთხელ ვიყავი ამერიკაში. 1990 წელს ჩვენი ორკესტრი გასტროლებზე წავიდა. ამერიკელებს ყოფითი პრობლემები არა აქვთ, ამიტომ ბავშვებივით არიან — ყველაფერი უკვირთ და უხარიათ...

— ის არ გაუკვირდათ, ნატოს ქვეყანაში ნატო რომ ჩახვედი?

— არა... სხვათა შორის, იმ ოჯახის წევრები, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ქართულად მღეროდნენ „აბესალომ და ეთერის“ არიას. ძალიან საინტერესო იყო.

— ვიცი, რომ მანქანას კარგად მართავ. იმის გამო, რომ ქალი ხარ, შემხვედრი მძღოლები გზას გითმობენ ხოლმე?

— უკვე სამი წელია, საჭესთან ვზივარ და მივეჩვიე. მგონია, რომ კარგად ვმართავ. რაც შეეხება გზის დათმობას, იშვიათად მითმობენ. სამაგიეროდ, მე ყოველთვის ყველას ვუთმობ გზას.

— ახლა თემა შევცვალოთ და შენს ოჯახზე ვისაუბროთ. ვიცი, რომ კარგი დიასახლისი ხარ. თავისუფალი დრო როცა გაქვთ, შენ და გოგა რითი ერთობით ხოლმე?

— გოგას ახალი ჰობი აქვს. რაც DVD პლეიერი ვაჩუქე, მას შემდეგ სულ სხვადასხვა ფილმსა და მუსიკას იწერს კომპიუტერიდან და მერე ამ ყველაფერს უყურებს და უსმენს. მერე, XX საუკუნის 70-იან და 60-იან წლებს მახსენებს. მაგალითად, ამას წინათ, ედიტა პიეხას მთელი რეპერტუარი მომასმენინა.

— უი, რა დღეში ყოფილხარ! დიმა ბილანის საღამო როცა გექნებათ, მეც დამიძახეთ, რა, არ გამომაპაროთ.

— მე და გოგა იმ ასაკში აღარ ვართ, რომ ბილანს ვუსმინოთ. რატომღაც, მას არც ჩემი შვილები ახსენებენ. ასე რომ, მის საღამოზე ვერ დაგპატიჟებ.

— ბავშვებს რა რეაქცია აქვთ, როცა გხედავენ?

— ხელს მკიდებენ და „მამოწმებენ“ — ნამდვილი ვარ თუ — არა. კვირაში 150 ბავშვთან მაინც მიწევს ურთიერთობა და ერთმანეთთან არაჩვეულებრივი დამოკიდებულება გვაქვს. რაღაც-რაღაცებს მიყვებიან, მთელი მათი ოჯახის ამბები ზეპირად ვიცი. თავიანთ საიდუმლოებებს მანდობენ. კიდევ, რაღაცების კეთებას მასწავლიან. ნახატებს მჩუქნიან, სადაც აუცილებლად ჩემი სახლია დახატული, გვერ-



ამას წინათ მირჩიეს, — შენ რომელიღაც ზღაპრის გმირი უნდა იყოო

დით კი მე ვდგავარ... შენი არ იყოს, ამ ყველაფრის გამო, მეც საუკეთესო განწყობილება მაქვს. ხომ შეიძლება, რომ დილით გავიღვიძო...

— ...შეიძლება, გაიღვიძო?!! აუცილებლად უნდა გაიღვიძო, კაცო, რა პესიმისტურად ლაპარაკობ?!

— დამამთავრებინე სათქმელი. ხომ შეიძლება, რომ დილით გავიღვიძო და ცუდ ხასიათზე ვიყო?.. მაგრამ ბავშვებს დავინახავ თუ არა, მაშინვე არაჩვეულებრივი განწყობილება მეუფლება.

— ამწუთას რაზე ოცნებობ?

— ძალიან მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში ცოტა მეტად ზრუნავდნენ ბავშვებზე. უნდა იყოს მეტი საბავშვო ტელეგადაცემა. ფერად-ფერადი წიგნი კი ბევრია, მაგრამ სამწუხაროდ, ყველას არ აქვს საშუალება, რომ შვილისთვის შეიძინოს... მინდა, რომ ყველა ბავშვი ბედნიერი იყოს. ყველა მათგანს უნდა ჰქონდეს ისეთი გარემო, რომ ჯანსაღ ადამიანად გაიზარდოს. სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოში საკმაოდ ბევრი, მზრუნველობამოკლებული ბავშვია. ■

რა არის ახალი წელი და საიდან მოდის თოვლის ბაბუა

ახალი წელი ნებისმიერი ადამიანისთვის ყველაზე საყვარელი დღესასწაულია, თუმცა ალბათ დამეთანხმებით, რომ მის მოახლოებას განსაკუთრებული გულისფანცქალით ბავშვები ელოდებიან. მათ ამ მოლოდინს რამდენიმე მიზეზი აქვს: იმედოვნებენ, რომ მოთოვს, ნაძვის ხეს მორთავენ და თოვლის ბაბუა მათთვის სასურველ საჩუქრებს მიუტანს.

ნათია ქივიძე

ყველა საბავშვო ბაღში ჩვეულებრივ, საახალწლო ზეიმი იმართება, სადაც ბავშვები ნაადრევად ხვდებიან თოვლის ბაბუას. პატარაობიდან მახსოვს, თუ ასეთი ზეიმისთვის როგორი გულმოდგინებით ვემზადებოდი ხოლმე. აუცილებლად ლამაზი კაბა უნდა მცმოდა, თოვლის ბაბუას წერილსაც ვუგზავნიდი და საახალწლო ლექსსაც ვიზეპირებდი. დავინტერესდი, წლების შემდეგ, ამ ზეიმებმა როგორი სახე მიიღო და ინტერესის დასაკმაყოფილებლად, 144-ე ბაღს ვესტუმრე. გამიმართლა: შენობაში შესვლისთანავე, პატარების ჟრიამული გავიგონე. დარბაზის წინ ლამაზ-ლამაზ კოსტიუმებში გამოპრანჭულები დარბოდნენ.

შენობაში შესვლისთანავე, პაგარების ჟრიამული გავიგონე

ზოგი, დედას ეძებდა, ზოგი — ლექსს იმეორებდა. დამინახეს თუ არა, მაშინვე გარს შემომეხვივნენ და ჩემი ვინაობით დაინტერესდნენ.

— მე ნათია მქვია. არ მეტყვით, დღეს აქ რა ხდება? — დავსვი პირველი შეკითხვა და მათთან ჩავიმუხლე.

— რა ხდება და ახალი წლის ზეიმია! შენ ჩემი სახელი იცი?

— არა და ძალიან მაინტერესებს.

— გიორგი მქვია. ჩემი მამიკო მოძღვარია.

— რა კარგი მამიკო გყოლია!.. გიორგი, ახალი წელი რა არის?

— ახალი წელი თოვლია, სხვა რა უნდა იყოს?..

— არა, ბიჭო, თოვლი კი არა, ახალი წელი — თოვლის ბაბუაა! — საუბარში კიდევ ერთი — შავტუხა ბიჭი ჩაერთო.

— შენთვის კი არ შეუკითხია, მე შემეკითხა და მე ვუპასუხე!.. ნათია, იცი, ამას ირაკლი ჰქვია და წეღან დამარტყა, — ქომაგად მიმიჩნია და თავისი გულისწუხილი შემომჩივლა.

— როგორ შეიძლება ერთმანეთის ცემა?! თქვენ ხომ მეგობრები ხართ! — შევეცადე, სიტუაცია განმემუხტა, მაგრამ შავტუხამ არ დამითმო:

— აბა, თვითონ რომ მირტყამს, კარგია?! მეც ხომ უნდა დამერტყა!

— მოდი, ნუღარ იჩხუბებთ და მითხარით, თოვლის ბაბუას წერილი თუ მისწერეთ?

— წერილს როგორ მივწერდი? ჯერ ოთხი წლისაც არა ვარ და წერა არ ვიცი. ისე, ვუთხარი, რომ საახალწლო საჩუქრად,

ჯიპი მინდა, — მიპასუხა გიორგიმ. მას არც ირაკლი ჩამორჩა:

— მე კიდევ, წერილი გავუგზავნე. დედას ვუკარნახე და თვითონ დაუწერა. ტაქსი მინდა, რომ მყავდეს, ოღონდ — ნამდვილი.

— რად გინდა ტაქსი? — მისი სურვილი უცნაურად მომეჩვენა.

— როგორ თუ რად მინდა?! ხალხს წავიყვან ხოლმე, სადაც ენდომებათ და ფულს ვიშოვი.

— საინტერესოა. ისე, თოვლის ბაბუა თუ გინახავთ ოდესმე?

— კი, როგორ არა?! დღესაც მოვა ჩვენთან სტუმრად... არ დაიღალე, მასე ჩაცუცქული რომ ხარ? აქ ჩამოვსხდეთ, — მითხრა გიორგიმ და ჩემთვის მაგალითი რომ მოეცა, პირველად თვითონ დაჯდა იატაკზე. უარს ხომ არ ვეტყოდი — მეც გვერდით მივუჯექი. ამასობაში, უკნიდან კიდევ ერთი ბიჭუნა შემომეხვია და ყურში ჩამჩურჩულა, — ხომ კარგი ბიჭი ვარ, სხვე-

ბივით რომ არ ვტირიო? — თან, ცრემლიანი თვალები შემომანათა. როგორც ჩანს, ტიროდა და დედამ უთხრა, — იმ უცხო გოგომ არ დაგინახოს, სირცხვილიაო... პატარას მოვეფერე. ისიც გვერდით მომიჯდა, თან, ჩემთვის ხელი არ გაუშვია.

— შენ იცი, რა არის ახალი წელი?

— როგორ არა?! — სრული სერიოზულობით დამიქნია თავი. — ახალი წელი ახალი წელია.

სიცილი ვერ შევიკავე. ამ დროს ერთი პატარა გოგონა მომიახლოვდა და პირდაპირ გამეცნო, — ნუცა მქვია და ჯერ კიდევ სამი წლის ვარო, — თან ბავშვებისთვის უჩვეულოდ მომხიბვლელად გამიღიმა. პატარა ნუცაც შემოგვიერთდა და ისიც იატაკზე მოკალათდა.

— საახალწლო ზეიმებზე რას აკეთებთ ხოლმე? — დავსვი მორიგი შეკითხვა.

— არ იცი?!. ძალიან დიდი და ლამაზი ნაძვის ხე გვაქვს. თან, ახლა ჩვენთან თოვლის ბაბუაც მოვა და საჩუქრებსაც მოგვიტანს. წეღან დავინახე, სადღაც აქ არის. შავი ტანსაცმელი აცვია, — პასუხის გაცემა ნუცამ ყველას დაასწრო.

— ლექსები არ უნდა თქვათ?

— როგორ არა?! — ისევ ნუცამ მიპასუხა. — მე დათუნიაზე უნდა ვთქვა ლექსი, იმან კიდევ — ახალ წელზე, — დამანახვა ჩოხაში გამოწყობილი ბიჭუნა.

— სიმღერაც კი ვიცით, — ფეხზე წამოდგა გიორგი. — გინდა, გიმღეროთ?.. მოდი, ბავშვებო!.. „საქათმეში შეპარული მელა, ქათმებს ეჩურჩულებოდა ნელა“... — ყველა ერთად მღეროდა. მათ სიმღერას მეც ავყევი. ამ ფაქტმა ბავშვები უფრო გაამხიარულა და ნახევარი საათის განმავლობაში აღარ გაჩუმდნენ — დაასრულებდნენ სიმღერას თუ არა, ისევ თავიდან იწყებდნენ... ბოლოს, პროტესტი გამოვთქვი, — ეს სიმღერა აღარ მომწონს-მეთქი, — და გაჩუმდნენ. მაგრამ ნუცას გაჩერება არ უნდოდა.

— მე ცეკვაც ვიცი. ნახე, როგორ ვცეკვავ, — მითხრა და ისე, რომ ჩემს პასუხს არც კი დალოდებია, „აჭარული“ ჩამოუარა. სხვათა შორის, მისი ასაკისთვის, საკმაოდ კარგად ცეკვავდა. სხვა გზა არ მქონდა — გასამხნევებლად, ტაში დავუკარი. როგორც იქნა, ნუცა ცეკვით დაიღალა და საუბრის გაგრძელების საშუალება მოგვეცა.

— თქვენთან ფიფქიაც მოვა?

— არა, რა ფიფქია?!. ის ხომ დედინაცვალმა მოკლა! — სრული სერიოზულობით მიპასუხა ირაკლიმ. ყურებს არ დავუჯერე და ვიკითხე, — ეგ ვინ გითხრათ-მეთქი? გიორგიმ განმიმარტა:

— ფიფქიას ბოროტი დედინაცვალი ჰყავდა. საქართველოში წამოსვლას რომ აპირებდა, დედინაცვალს შეშურდა და მოკლა. ამიტომ ვეღარ მოდის ხოლმე ჩვენთან... არავისაც არ უთქვამს. ეს ამბავი ჩვენ თვითონ ვიცოდით. შენ რატომ არ იცი?.. ყველა დედინაცვალი ხომ ბოროტია!

გაოგნებული ვუსმენდი. სამი წლის ბავშვი მკვლელობაზე რატომ უნდა ფიქრობდეს?!. მაგრამ რა გასაკვირია, როცა თითქმის ყოველდღე საინფორმაციო გამოშვებები ვიღაცის მკვლელობის ამბავს აშუქებს... საუბრის თემა სასწრაფოდ შევცვალე:

— სულ მაინტერესებდა, სად ცხოვრობენ თოვლის ბაბუები. ვისაც ვკითხე, არავინ იცის. თქვენ ხომ არ იცით? გიორგიმ პასუხი არავის დააცადა:

— სად ცხოვრობს და — ტყეში. ყოველ ახალ წელს იქიდან მოდის ჩვენთან.

— ტყეში კი არა, თოვლში ცხოვრობს. იმიტომაც ჰქვია თოვლის ბაბუა, — შეუსწორა ნუცამ — ტყეში რომ იყოს, სანამ ჩვენთან მოვიდოდა, მგლები ხომ შეჭამდნენ!

— შენ არ იცი, რომ თოვლის ბაბუები მგლებსაც უყვართ?.. იმათთანაც ხომ მიაქვს საჩუქრები! თოვლში რომ ცხოვრობდეს, ზაფხულში ხომ დადნებოდა!

— დნება და მერე, თოვლი რომ მოვა, ისევ ჩნდება.

— მაშინ, წელს საიდან გაჩნდა? თოვლი ხომ ჯერ არ მოსულა! — ნიშნის მოგებით შეეკითხა გიორგი. ბავშვი აშკარად ლოგიკურად აზროვნებდა. — არაფერი არ იცი, რა.

— შენ არ იცი, თუ კაია, — ვალში არც ნუცა დარჩა და გიორგის თავში წაუთაქა. ვიდრე ბავშვები სერიოზულად იჩხუბებდნენ, მათ კამათში ჩავერიე და შევეკითხე, — ახალ წელს სახლში ხვდებით-მეთქი?

— ახალ წელს მე უკვე მძინავს. გვიან მოდის და ვერ ველოდები ხოლმე, — მიპასუხა გიორგიმ.

ამასობაში, მასწავლებლებმა პატარები გაიხმეს — ზეიმის დაწყების დრო დამდგარიყო. ბავშვები დარბაზისკენ ჟივილ-ხივილით გაიქცნენ, თან მომაძახეს, — ჩვენს ზეიმს აუცილებლად უყურეო. ამაზე გულს როგორ დავწყვეტდი?!

ტყეში კი არა, თოვლში ცხოვრობს. იმიტომაც ჰქვია თოვლის ბაბუა

ქუჩაში გამოვედი და თან ბავშვების სითბო, სიყვარული და ახალი წლით გაბრწყინებული თვალები გამოვიყოლე...

მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხოლოდ 3 წლისანი არიან, სცენაზე თავს არაჩვეულებრივად გრძნობდნენ

მიუხედავად იმისა, რომ ისინი მხოლოდ 3 წლისანი არიან, სცენაზე თავს არაჩვეულებრივად გრძნობდნენ. დიდი გულმოდგინებით ამბობდნენ ლექსებს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და თავიანთ მშობლებს ბედნიერი სახეებით უყურებდნენ. ცოტა ხანში მათთან თოვლის ბაბუაც მოვიდა და თითოეულს საჩუქარი გადასცა.

საბავშვო ბაღიდან ქუჩაში გამოვედი და თან ბავშვების სითბო, სიყვარული და ახალი წლით გაბრწყინებული თვალები გამოვიყოლე... ■

ჭუთაისელი სოფლელი, შოთა მელიქიშვილის ნასეხსენები 30 ოთხი და „მაინც მე ყოფილიყო ლმერთ მიყოფენია!"

საახალწლო ნომერში რუბრიკა „ერუდიტს" განსხვავებული ფორმატით წარმოგიდგენთ. ამჯერად, კითხვების უმრავლესობა ცნობილ ადამიანთა ხუმრობებზე ავაგეთ და „კომედი-შოუს" მსახიობებს — ნიკა არაბიძეს და ვასო ფხაკაძეს დავუკავშირდით. ორივე მათგანი ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა. „ბავშვობაში და სტუდენტობის პერიოდში წიგნებთან „ვმეგობრობდი", დღეს კი ამისთვის ნაკლები დრო მრჩება", — მითხრა ნიკა არაბიძემ. მისი საყვარელი მწერლები ნოდარ დუმბაძე და კონსტანტინე გამსახურდია არიან, საყვარელი წიგნი — „დათა თუთაშხია". ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად საყვარელი წიგნის მთავარ გმირს ირჩევს. ამბობს, რომ წიგნი არასდროს მოუპარავს, მაგრამ იმის შეხსენება, რომ ნათხოვარი წიგნი უკან დააბრუნოს, მინიმუმ 7-ჯერ მაინც სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რცხვენია, წიგნის ქურდობას აღიარებს ვასო ფხაკაძე და თან, დასძენს: როცა ეს ჩავიდინე, უკვე ზრდასრული ვიყავიო. ნაქურდალ წიგნს იმ მიზეზით არ ასახელებს, რომ „ამ ინტერვიუს მისი ადრინდელი მეგლობელიც წაიკითხავს და მერე „დიდი ომი" ატყდება". ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრად ზღაპრულ გმირს, სპაიდერმენს ირჩევს. მისი საყვარელი წიგნი ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაა".

თამუნა კვინიკაძე

— რას ეძახიან ახალ წელს გურიაში?

ნიკა:

— კალანდას.

ვასო:

— ეგ მეც ვიცოდი, მაგრამ დამასწრო.

— რასთან დაკავშირებით დაერქვა იანვარს იანვარი?

— იან გილანის პატივსაცემად. რა ვიცი, მიშა ანდღულაძემ ასე მითხრა და...

— იან გილანი ვინ არის?

ნიკა:

— არ ვიცით, მაგრამ რადგან მიშას უყვარს, ალბათ გიტარისტია.

— სინამდვილეში, დროის ღმერთის, იანუსის პატივსაცემად დაერქვა... ამ თამაშს თითქმის ყველა ოჯახში თამაშობენ, მასში ნახატების სახით შედის ფრინველი, რელიგიური სიმბოლო, სამშენებლო მასალა და ადამიანის შინაგანი ორგანო.

ნიკა:

— კარტი.

ვასო:

— ძალიან მარტივი კითხვებია.

— რა ჰქვია კლოუნის მოკლე სახუმარო ნომერს?

ნიკა:

— ვერა და ვერ ვიხსენებ. აჰა, ვასო, ესეც შენი მარტივი კითხვები. მიდი, უპასუხე.

ვასო:

— (*იცინის*) ჩვენ მინიატიურებს ვაკეთებთ.

— რეპრიზა. „თქვენს შემოქმედებას მილიონობით ადამიანი ნახავს და გაიგებს. თქვენ უზომოდ ნიჭიერი ადამიანი ხართ და მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდებით", — მისწერა აინშტაინმა ჩარლი ჩაპლინს. როგორი პასუხი გასცა მის წერილს ჩაპლინმა?

ვასო:

— რამეს მუნჯურად მისწერდა.

ნიკა:

— რა სისულელეს ამბობ, მუნჯური წერა სად გაგიგონია?!

ვასო:

— ყველა მუნჯურად არ ვწერთ? შენ რა, თან წერ და თან, ლაპარაკობ (*იცინის*)?

ნიკა:

— ალბათ, მისწერა: ჩემი ფილმები გინახავსო?

— ჩაპლინმა აინშტაინს მისწერა: „თქვენი ფარდობითობის თეორია კი ძალზე ცოტა ადამიანს ესმის"... ტაილანდში ქოქოსის კაკლის შემგროვებელთა კურსები არსებობს. ვინ არიან მისი მოწაფეები?

— ვასო, ამ კითხვაზე პასუხი ვიცი. შენ?

ვასო:

— მეც ვიცი და მოდი, ერთად ვთქვათ. მაიმუნები.

— სად მდებარეობს ჭავჭავაძის ქუჩა?

ნიკა:

— ვაკეში.

— ვასო, შენ რას მეტყვი?

— მე არ ვიცი.

ნიკა:

— მაპატიეთ, შემეშალა, ვაკეში ჭავჭავაძის გამზირია. ქუჩა სად არის? ღმერთო, გამახსენე.

ვასო:

— ქუჩების დასახელება საერთოდ არ ვიცი.

ნიკა:

— გამახსენდა. რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდისკენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა ადის.

ვასო:

— შენ რა იცი? ამას უნდა ჰკითხო, საფიჩხია და ბალახვანი სად არის. ქუთაისიდან რომ ჩამოვიდა, ფურცელზე ეწერა, სად რომელი „მარშრუტკა" მიდიოდა, მეტროს სადგურების თანამიმდევრობა და ა.შ. (*იცინის*).

— მაგ ფურცელს ნიკასგან თუ ინათხოვრებ, კარგი იქნება, რადგან ამჯერად, კითხვაზე სწორად მიპასუხა. ლუარსაბ თათქარიძეს ჭირის დღესავით ეჯავრებოდა სტუმარი. რატომ?

— იმიტომ, რომ საჭმელს ჰპარავდა.

ნიკა:

— ფეხზე უნდა ამდგარიყო და შეჰგებებოდა. არა?

— მას სტუმარი იმის გამო ეჯავრებოდა, რომ ტანსაცმელი უნდა ჩაეცვა. ოთახში 50 სანთელი ანთია. თუ 20-ს სულს შევუბერავთ და ჩავაქრობთ, რამდენი დარჩება?

— 50.

— ვასო, რამდენი დარჩება?

— მე რა ვიცი, მაგ კითხვაში რაღაც ეშმაკობაა ჩადებული.

ნიკა:

— მე გეტყვი. 50-მეთქი, რომ ვთქვი, არ ჩაწერო. 20 სანთელი დარჩება, 30 კი ჩაიწვება.

ვასო:

— ამდენ კითხვას რომ გვისვამ, ახლა ჩვენ შეგეკითხებით. ხეზე ზის 2 ჩიტი, მონადირემ ერთ-ერთ მათგანს თოფი ესროლა, რამდენი ჩიტი დარჩება ხეზე?

— არც ერთი. ორივე გაფრინდება.

— (*იცინის*) გამოიცანი. მეგონა, იტყოდი, 1 ჩიტი დარჩებაო.

— ონორე დე ბალზაკთან ერთხელ ხანდაზმული ქალბატონი მივიდა, ნაწერები აჩვენა და ჰკითხა: შეიძლება თუ არა, მისგან მწერალი გამოვიდეს? ცოცხალი, მოძრავი ბავშვი ჩანს, მაგრამ გონებაჩლუნგია, — უპასუხა მას ბალზაკმა. — ვისი ნაწერები მიუტანა მას

ქალბატონმა?

— ასეთი ნაწერები ჩვენთანაც ხშირად მოაქვთ. როგორც ვხვდები, ბალზაკთან თავისივე ნაწერები მიიტანეს.

— დიახ და ეს ქალბატონი მისი მასწავლებელი გახლდათ.

ნიკა:

— ვასო მთლად გონებაჩლუნგი არ არის (*იცინის*).

— ვენის „ვაკერისა“ და კლაუგენფურტის „აუსტრიის“ მატჩი ფრედ დამთავრდა. მსაჯმა გასახდელისკენ გასწია, დაიბანა, ჩაიცვა და რაღაც გაახსენდა. ამის გამო, კვლავ გაიხადა, ფორმა ჩაიცვა და მოედანზე გავიდა. რა დააგვიწყდა მსაჯს?

ნიკა:

— მატჩის საფინალო ჩასტვენა.

ვასო:

— ან რაღაც ამდაგვარი.

— მატჩი დამატებითი დროის გამო გრძელდებოდა. ერთხელ სოკრატეს ქალაქის გარეუბანში მგზავრი შეხვდა და ჰკითხა: ქალაქამდე რამდენი საათის სავალიაო? რა უპასუხა სოკრატემ?

ნიკა:

— სოკრატე ქუთაისელია და რაღაც მაგარს ეტყოდა.

ვასო:

— ჰო, საფიჩხიაზე ცხოვრობდა.

— მან უპასუხა: წადი, იარე და მერე გეტყვიო. ბალზაკი წერდა: „ყველა კედლის კარადა ექვემდებარება განადგურებას, თუნდაც მასში უამრავი მურაბის ქილა თავსდებოდეს“. რატომ?

ნიკა:

— იქ შეიძლება, ქალმა საყვარელი დამალოს.

ვასო:

— მეც ვიცოდი. რაც მე კარადაში დრო მაქვს გატარებულიიი (*იცინის*).

— ერთხელ ილიას უთხრეს, თქვენ აკაკის გამუდმებით აქებთ, ის კი გაძაგებთო. რა უპასუხა ილიამ?

ვასო:

— ძმაკაცები ვართ, ერთმანეთზე ხან რას ვიტყვით და ხან — რასო.

— ალბათ, ჩვენ ორივენი ვცდებითო.

ნიკა:

— ვასო, ხედავ, რა უპასუხია?! შენ ამას 100 წელი ვერ მოიფიქრებდი.

— ერთ საქველმოქმედო საღამოზე, ბრუკ შილდსმა ისეთი რამ გაყიდა...

ვასო:

— (*მაწყვეტინებს*) რაო, მაგას ვენაცვალე, რა ქნა?

— ისეთი რამ გაყიდა, რისთვისაც საქმრომ — ანდრე აგასიმ სკანდალი ატეხა. რა გაყიდა ცნობილმა მსახიობმა, რომლის ფასმაც მაშინ 45.000 დოლარი შეადგინა?

ნიკა:

— ტრუსი.

— არა.

ვასო:

— ნივთი იყო?

— არა.

ნიკა:

— გამახსენდააა!!! კოცნა გაყიდა.

ვასო:

— კაცურად მითხარი, შენ ამ კოცნაში რამდენს გადაიხდიდი?

ნიკა:

— რას გადავიხდიდი, სულ 30 ლარი მაქვს და თუ უნდოდა, ვასესხებდი. შენ?

ვასო:

— მე კი არ გადავიხდიდი, პირიქით, აქეთ მოვთხოვდი. ამ ბოლო დროს, რაღაც ისეთი კარგი აღარ არის, „მოტყდა“.

— ცნობილმა მსახიობმა რობერტ დე ნირომ თავისი გატაცების გამო, მეტსახელი მენახშირე მიიღო. რა იყო ეს გატაცება?

ნიკა:

— შავკანიანი ქალები უყვარდა.

ვასო:

— და მათ უმღეროდა.

ნიკა:

— იცი, რამდენჯერ ვახლდი? — ვერ დათვლი.

ვასო:

— ისე შენ რა გითხარი (*იცინის*). შოკოლადი ყველას გვიყვარს.

— „ახალი წელია... თოვლიც გვესალმება... /თოვლიც გვესალმება ციდან,/ — ცრემლები?! — ცრემლებზე ბოდიში./ ღიმილი?! — ღიმილი, რამდენიც გნებავთ...“ — ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ნიკა არაბიძე.

ნიკა:

— დაიცა, ბიჭო, მართლა არ იცი, ეს ლექსი ვინ დაწერა?

ვასო:

— შენ ხომ რას ამბობ, სულ ზეპირად იცი.

— მიგანიშნებთ, იგი წარმოშობით საჩხერის რაიონიდანაა.

ნიკა:

— არისო, ე.ი. ცოცხალია. ვასილ, ეგ თავი კედელს მაინც მიარტყი.

ვასო:

— საჩხერიდან თუა, ბიძინა ივანიშვილი იქნება. იმერელი შენ ხარ. ჰოდა, გაიხსენე.

ნიკა:

— რაც არ ვიცი, რა გავიხსენო?

— კარგი, გეტყვით, რომ ამ სტროფის ავტორი მუხრან მაჭავარიანია. ერთი ახალგაზრდა კბილის ექიმი აკაკის ცუდად იხსენიებდა. რა უპასუხა მას აკაკიმ?

ნიკა:

— კარგს რომ არაფერს ეტყოდა, ვიცი.

ვასო:

— რა უნდა ამ ადამიანს ჩემგან? ეტყობა, იმიტომ ბრაზობს, რომ საღი კბილები მაქვსო.

— ერთხელ, „დროების“ რედაქციაში გაზეთის თანამშრომლები შეიკრიბნენ და რაღაცაზე ცხარედ კამათობდნენ. იქ იყო იონა მეუნარგიაც, რომელიც „ლელოს“ ფსევდონიმით წერდა. როგორ გააჩუმა იგი აკაკიმ?

ვასო:

— ლელო, ლელო, საქართველო!

— სულ ერთი სიტყვა უთხრა.

ნიკა:

— სუ, ლელო. ასე უთხრა?

— გამოიცანი. ერთი მწერალი ალექსანდრე დიუმას გამოთქმის — „მტკივნეული სიცარიელე“ — გამო აკრიტიკებდა. რა უპასუხა მას დიუმამ?

ნიკა:

— აბა, ეგ მე საიდან უნდა ვიცოდე?

— „ნუთუ, თქვენ თავი არასდროს გტკივებიათ?..“

ვასო:

— მაგას ნიკა საიდან მიხვდებოდა (*იცინის*)?

— გოეთეს სახლ-მუზეუმში შესულ დამთვალიერებელს გოეთეს სკამი აჩვენეს. იგი მივიდა და სკამზე დაჯდა. მუზეუმის მესვეურებმა შეახსენეს, ეს გოეთეს სკამიაო. — რა მიიღეს დამთვალიერებლისაგან პასუხად? თქვენ მის ადგილზე რას

ძმაკაცები ვართ, ერთმანეთზე ხან რას ვიტყვით და ხან – რასო

ეტყოდით?

ᲜᲘᲙᲐ:

— წართმევას კი არ ვუპირებ, ცოტა ხნით ჩამოვჯდები და წავალო.

— **არა უშავს, მოვა და ავდგებიო.**

ᲕᲐᲡᲣ:

— ვაა! რა მაგარი „მასტი“ ყოფილა, ისე ნიკა ზუსტ პასუხთან, შენც ახლოს იყავი. „მოვა და ავდგებიო“ — მოვა არა, კვანტი (*იცინის*).

— **ერთი ხელოვნებათმცოდნე ფერწერულ ტილოს აძაგებდა, ნახეთ ვარდი ვარდს არ ჰგავს და ბუზი — ბუზსო. რა მოხდა ამ დროს?**

ᲜᲘᲙᲐ:

— ზუსტად ვიცი, ნახატიდან ბუზი აფრინდა.

ᲕᲐᲡᲣ:

— ეს რა ნიჭიერი მეგობარი მყოლია.

— **ბერძნული გადმოცემის თანახმად, ვაზის გასხვლა ადამიანებმა ერთ-ერთი შინაური ცხოველისაგან ისწავლეს. დააკვირდნენ, როცა ის ვენახში ფოთლებს ჭამდა, იმ წელს კარგი მოსავალი მოდიოდა. რომელ შინაურ ცხოველზეა ლაპარაკი?**

ᲕᲐᲡᲣ:

— ძაღლი.

ᲜᲘᲙᲐ:

— ვაი სირცხვილო, როცა არ იცი, გაჩუმდი. სად გინახავს ძაღლი, რომელიც ფოთლებს ჭამს?

ᲕᲐᲡᲣ:

— ძაღლები ყურძენს ჭამენ, მაგდენი არ იცი?

ᲜᲘᲙᲐ:

— სწორი პასუხია თხა. „თხამ ვენახი შეჭამა“.

— **ყოჩაღ, ნიკა, შექებას ნამდვილად იმსახურებ. ბოლოს ერთ გამოცანას გეტყვით. თუ გამოიცნობთ: „არც კბილი აქვს და არც პირი/ დევს უძრავად, მეტად ფრთხილი,/გრძელკუდებს და გაიძვერებს,/ გაჩენის დღეს აწყევლინებს“. — რა არის?**

ᲕᲐᲡᲣ:

— მხოლოდ ბოლო ორი ხაზი რომ გეთქვა, გიპასუხებდი, მიშა საკაშვილი-მეთქი. შევარდნაძეს რა დამართა, ხომ გახსოვთ.

ᲜᲘᲙᲐ:

— არც კბილი აქვს და არც პირი... რა საგონებელში ჩამაგდე (*ფიქრობს*).

ᲕᲐᲡᲣ:

— ჩაინიკა ხო არ არის?

ᲜᲘᲙᲐ:

— ჩაინიკას თუ პირი არ აქვს, აბა სხვაზე რა უნდა ვთქვათ.

ᲕᲐᲡᲣ:

— ორი თვეა არ დაგვისვენია. ძილი გვენატრება, ვეღარ ვაზროვნებთ, ნუ ამოგვხადე სული, პასუხი გვითხარი (*იცინის*).

— **სათაგური.**

ᲜᲘᲙᲐ:

— ხედავ შენ? სათაგურივით როგორ გამოგვიჭირა. ადვილი კითხვებიაო და მიგვიტყუა. მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, თავი არც ჩვენ შეგვირცხვენია. ■

სხვადასხვა მიზეზის გამო, უამრავი ჩვენი თანამემამულე დამდეგ შობა-ახალ წელს, საქართველოს ფარგლებს მიღმა ხვდება. მათ შორის ტელეკომპანია „სი-ენ-ენის“, თეთრი სახლის ახალი ამბების პროდიუსერი, ᲜᲣᲜᲣ ᲫᲐᲨᲕᲐᲠᲘᲫᲔ. უკვე რვა წელია, ნუნუ ოჯახთან ერთად აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში ცხოვრობს. ჰყავს ქართველი მეუღლე, შოთა დვალიძე და ორი უმშვენიერესი ქალიშვილი — ელენე და ლიზი. სწორედ ნუნუმ გვიამბო ცოტა რამ ამერიკული საშობაო და საახალწლო ტრადიციების შესახებ და იმაზე, თუ როგორ აღნიშნავენ ამ დღესასწაულებს იქ მყოფი ქართველები.

ᲢᲐᲘᲛᲡ-ᲡᲙᲕᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲣᲕᲔᲒᲣᲚᲘ ᲒᲣᲠᲗᲘ, CNN-ᲘᲡ ᲡᲐᲨᲝᲒᲐᲝ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲢᲐ-ᲙᲚᲐᲣᲡᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲩᲐᲒᲠᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲐ

ᲔᲛᲐ ᲢᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

— შობას ამერიკაში მცხოვრებთა უმრავლესობა 25 დეკემბერს აღნიშნავს. შობის დღესასწაულს ამ ქვეყანაში, მადლიერების დღის შემდეგ, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომ, ამერიკელები თადარიგს წინასწარ იჭერენ და მზადებას უკვე 22 ნოემბრიდან, მადლიერების დღიდან იწყებენ. ძნელია სიტყვებით გადმოსცე, თუ როგორ ტრანსფორმაციას განიცდის ამერიკა საშობაოდ. მთელი ქვეყანა საშობაო ფერებით ირთვება. ქუჩები წითელი და მწვანე ფერებითაა მორთული. მაღაზიები, შენობები, საცხოვრებელი სახლები საშობაო დეკორაციებითა და ფერადი ნათურებითაა დამშვენებული, ყველგან საშობაო სიმღერები ისმის. მაღაზიებს უამრავი მყიდველი სტუმრობს, რადგან ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მალე შეიძინოს საშობაო საჩუქრები. ეს პერიოდი სავაჭრო ბიზნესისთვის ყველაზე მომგებიანია, რადგან ამერიკის მოსახლეობა საშობაო საჩუქრების შესაძენად ყოველ წელს მილიონობით დოლარს ხარჯავს. ამ დროს ამერიკის საფოსტო სამსახურიც საგანგებო რეჟიმში მუშაობს, რადგან ამერიკული ტრადიცია გახლავთ, შობის დღესასწაულზე მეგობრებისა და ახლობებისთვის მისალოცი ბარათების გაგზავნა. ჩვენგან განსხვავებით, ამერიკელი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგილოცავთ შობას, თუ დარწმუნებულია, რომ ქრისტიანი ბრძანდებით. ამერიკაში უამრავი აღმსარებლობის ადამიანი ცხოვრობს, ამიტომ ვიღაცისთვის სიტყვები: „მერი ქრისტმას“, შესაძლოა, შეურაცხმყოფელი იყოს. ამიტომ ამერიკელები თავს იზღვევენ და მეტწილად ერთმანეთს ასე ულოცავენ: გილოცავ დღესასწაულსო. ქრისტიანული შობის დღესასწაულს ემთხვევა ებრაელების რელიგიური დღესასწაული „ხანუკა“ და აფრიკულ-ამერიკული დღესასწაული „კვანზა“. ხოლო ცოტა უფრო ადრე აღინიშნება ინდური დღესასწაული „დივალი“. ასე რომ, როდესაც ამერიკაში დღესასწაულს გილოცავენ, შესაძლოა, იგულისხმებოდეს როგორც შობა, ასევე „ხანუკა“, „კვანზა“, „დივალი“ ან უბრალოდ ახალი წელი. როგორც ხედავ ამერიკაში შობის მილოცვის პროცესი არც ისე ადვილია, როგორც საქართველოში.

— **შობის დადგომას ქართველი მრევლი ეკლესია-მონასტრებში ეგებება. ამერიკელები სად ხვდებიან ქრისტესშობას?**

— შობის დღესასწაული ამერიკაში

ძალიან კომერციალიზებულია. სამწუხაროა, მაგრამ აქ შობას მატერიალური დატვირთვა უფრო აქვს, ვიდრე სულიერი. ხალხი და მათ შორის ჩემი ოჯახიც ისე ვართ გართულ საჩუქრების შეძენით, ნაძვის ხის მორთვით, რომ შობის ნამდვილი მნიშვნელობა გვავიწყდება. ეს ხომ ის დღესასწაულია, როდესაც კაცობრიობას, ყველაზე ძვირფასი საჩუქარი მოევლინა ჩვენი მხსნელის, იესო ქრისტეს სახით. შობის

ჩვენ, მე და ჩემი ოჯახიც 7 იანვარს ვზეიმობთ ქრისტესშობას

ღამეს ამერიკაში მცხოვრებ ბავშვებთან მოდის სანტა-კლაუსი, ჩვენებურად თოვლის ბაბუა. მაგრამ სანტა-კლაუსსა და თოვლის ბაბუას შორის დიდი განსხვავებაა. სანტა წმინდა ნიკოლოზის ტრანსფორმირებული ვარიანტია. ცნობილია, რომ წმინდა ნიკოლოზი საჩუქრებს ურიგებდა გაჭირვებულებს. ამიტომ მისი ცხოვრების ისტორიის მიხედვით იშვა ამერიკელი სანტა-კლაუსი. ის ჩრდილოეთ პოლუსზე ცხოვრობს და ირმების მარხილით დაფრინავს. შობის ღამეს საკვამურიდან ყველა ბავშვს საჩუქარს უგდებს. ამერიკელ სანტა-კლაუსს დამხმარეებიც ჰყავს — მწვანე სამოსში გამოწყობილი ჯუჯები, რომლებსაც ელფებს ვუწოდებთ. ამერიკაში მცხოვრებ ბავშვებს სჯერათ, რომ სანტას კარგი და ცუდი ყოფაქცევის ბავშვების სია აქვს და მხოლოდ კარგებს აჯილდოებს საჩუქრებით. შობას ამერიკელები ძირითადად ოჯახთან ერთად ატარებენ. შობის ღამეს ხდება საჩუქრების გაცვლა. საჩუქრები ლამაზ საშობაო ქაღალდებშია შეფუთული. ტრადიციულ ამერიკულ საშობაო სუფრაზე არის შემწვარი ინდაური, შებოლილი ხორცი, გოგრის ნამცხვარი და პუდინგი. მაგრამ საშობაო მენიუ შტატების მიხედვით, განსხვავებულია. ვაშინგტონში, სადაც მე ვცხოვრობ, შობისთვის კონგრესის შენობის წინ უზარმაზარ ნაძვის ხეს დგამენ. ამ ნაძვის ხის საშობაო ნათურებს ცერემონიულად ანთებს თავად ამერიკის პრეზიდენტი. ამ დროს გუნდი საშობაო სიმღერებს მღერის და ეს ცერემონია მთელი ამერიკის მასშტაბით ტელევიზიებით გადაიცემა.

— ახალი წლის დადგომას როგორ ხვდება ამერიკა?

— გაგიკვირდებათ, მაგრამ შობის დღესასწაულთან შედარებით, ამერიკაში ახალი წლის შემობრძანებას ნაკლები პომპეზურობით აღნიშნავენ. ის კი არა და ახალი წლისთვის საშობაო დეკორაციების უმრავლესობა უკვე ჩამოხსნილიც კია ხოლმე. შობისგან განსხვავებით, ახალ წელს ამერიკელები არა მხოლოდ ოჯახის წევრებთან, არამედ მეგობრებთან ერთადაც ხვდებიან. საინტერესო სანახაობა იმართება ახალი წლის ღამეს ნიუ-იორკში. ტაიმ-სკვერში აღიმართება უზარმაზარი ვერცხლისფერი ბურთი, რომელიც ახალი წლის დადგომამდე ერთი წუთით ადრე ნელ-ნელა დაბლა ეშვება, იქ შეკრებილი ხალხი კი იწყებს დათვლას, ვიდრე 12 საათი შესრულდება. ყოველ წელს, ამ ცერემონიას ნიუ-იორკში დაახლოებით მილიონი ადამიანი ესწრება, ხოლო მილიარდი მაყურებელი წამყვანი ტელევიზიების პირდაპირი ეთერით ადევნებს თვალს ამ სანახაობას. მე ორჯერ მქონდა შესაძლებლობა დავსწრებოდი ვერცხლისფერი ბურთის დაშვების ცერემონიას. ფანტასტიკური განწყობილება გეუფლება, როდესაც უამრავი ადამიანი ერთად ემშვიდობება ძველს და სიხარულით ხვდება ახალ წელს.

— საინტერესოა, როგორ ემზადება საახალწლო დღესასწაულებისთვის ტელეკომპანია „სი-ენ-ენი“?

— ჩვენი ტელეკომპანიის შენობაც ირთვება საშობაო ორნამენტებით. რაც ძალიან გვახარებს, არის ის, რომ თანამშრომლებს ყოველ წელს გვირიგებენ საშობაო ბონუსებს ანუ დამატებით ფულს საჩუქრად. „სი-ენ-ენი“ აწყობს საშობაო წვეულებას და რა თქმა უნდა, ეს წვეულებები ვაშინგტონის საუკეთესო რესტორნებსა და კლუბებში ეწყობა. ამ წვეულებებზე კომპანია სიმბოლურ საჩუქრებს გადმოგვცემს, მაგალითად, მაისურებს „სი-ენ-ენის“ სიმბოლიკით, ჩემოდნებს და ა.შ. წინასაშობაო პერიოდში კი თანამშრომლებს ტელეკომპანიაში მიგვაქვს სახლში მომზადებული კერძები და ტკბილეული. სამუშაო მაგიდებზე ერთმანეთს ვუტოვებთ მისალოც ბარათებს. ხშირად ხდება ისე, რომ შობის დღესასწაული სამუშაო დღეს ემთხვევა. ასეთ დროს ჩვენი კომპანიის ხელმძღვანელობა საშობაო სუფრას სამსახურში უკვეთს და სხვადასხვა რესტორნის წარმომადგენლები ჩვენსავე სამსახურში გვემსახურებიან.

— ამერიკაში მცხოვრები ქართველები როგორ აღნიშნავთ შობა-ახალ წელს?

— ვაშინგტონში მყოფი ჩვენი ქართველი მეგობრების უმრავლესობა, შობას მართლმადიდებლური კალენდრის მიხედვით, 7 იანვარს აღნიშნავს. ჩვენც, მე და ჩემი ოჯახიც 7 იანვარს ვზეიმობთ ქრისტესშობას, მაგრამ აქვე გამოგიტყდები, რომ ამერიკული ტრადიციებიც შევითვისეთ. მაგალითად, თუ უწინ ბავშვებს საჩუქრებს 7 იანვარს ვჩუქნიდით, ახლა ამას 25 დეკემბრის ღამეს ვაკეთებთ. ეს ცვლილება ჩვენს საშობაო ტრადიციებში ჩემი უფროსი ქალიშვილის, ელენეს გამო შევიტანეთ. ელენეს ამერიკელი მეგობრები საჩუქრებს 25 დეკემბრებს იღებდნენ, მასთან კი სანტა-კლაუსი ყოველთვის აგვიანებდა მოსვლას. ამის გამო ბავშვი ძალიან წუხდა, ამიტომ იძულებული გავხდით, ჩვენს ოჯახშიც ამერიკული ტრადიცია დაგვემკვიდრებინა. 7 იანვარს ვაშინგტონის მართლმადიდებლურ ტაძარში საშობაო წირვა აღევლინება და მთელი ოჯახით ამ წირვას ვესწრებით. მოგვიანებით, ქართველ მეგობრებთან ვიკრიბებით და ტრადიციულ ქართულ სუფრას ვაწყობთ. სხვათა შორის, წელს ამერიკაში მცხოვრები ოთხი ქართული ოჯახი, საშობაო წირვის დასრულების შემდეგ, მთებში მივემგზავრებით დასასვენებლად. იქაც ქართულად ვიზეიმებთ შობას და სუფრაზე აუცილებლად გვექნება კარგი ქართული ღვინო. ძველით ახალ წელსაც ქართველი მეგობრების გარემოცვაში ვზეიმობთ. ამ დღეს ვცდილობთ, რომ რამდენიმე დღით ქალაქგარეთ გავიდეთ. იშლება ტრადიციული ქართული სუფრა, ვირჩევთ თამადას, ისმის „მრავალჟამიერი“ და ქართული სადღეგრძელოები. საახალწლო სუფრას ამშვენებს საქართველოდან გამოგზავნილი ჩურჩხელები, გოზინაყი, ფელამუში და სხვა კერძები. ■

7 იანვარს ვაშინგტონის მართლმადიდებლურ ტაძარში საშობაო წირვა აღევლინება

მარინა კახიანის სილამაზის საიდუმლო

„თუკი ქალი საკუთარ თავს სათანადოდ უვლის, წლების მატება, მის სილამაზეს და მომხიბვლელობას ვერაფერს დააკლებს. თუმცა, ცხოვრებაში ისეთი რაღაცეებიც ხდება, რაც ადამიანს თავისებურ დაღს ასვამს“, — მითხრა ქალბატონმა მარინა კახიანმა, რომელიც ამაყობს იმით, რომ არანაირი პლასტიკური ოპერაცია არ გაუკეთებია.

„მახსოვს, ერთხელ თავიც კი გადავიპარხე“

სოფო ჭონიშვილი

— ბავშვობაში ძალიან პრანჭია ვყოფილვარ. თურმე, მთელ დღეებს სარკის წინ ვატარებდი, ათასნაირ ვარცხნილობას ვიკეთებდი და თან, ვცეკვავდი. ამის გამო, მშობლებმა, 4 წლის გოგონა ქორეოგრაფიულ სასწავლებელში მიმიყვანეს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არაჩვეულებრივი ბავშვობა მქონდა. ძალიან აქტიური, ყველგან და ყველაფერში პირველი ვიყავი.

— თანატოლებში თავს რით იწონებდით?

— თავმომწონე და ამაყი არასოდეს ვყოფილვარ. მაგრამ მიმაჩნია, რომ თანატოლებში მართლაც გამორჩეული გახლდით. თან, დედა ყოველთვის ლამაზად და მოდურად მაცმევდა.

— სკოლის პერიოდში თმაზე ბაფთები თუ გეკეთათ?

— კი (*იცინის*). მახსოვს, დედა თმაზე უზარმაზარ თეთრ ბაფთებს მიკეთებდა და სკოლაში ისე მიშვებდა. ყველაზე მეტად, პირველი სექტემბრის მოახლოება მიხაროდა, რადგან ვიცოდი, რომ წინ კიდევ ერთი საინტერესო წელი მელოდა: სკოლაში უამრავ სპექტაკლს ვდგამდით, შემოქმედებით საღამოებს ვაწყობდით.

— ბავშვობის ფოტოებზე, თითქმის ყველგან, გრძელი თმა გაქვთ...

— თითქმის მთელი ბავშვობა გრძელი თმა მქონდა. ხშირად ნაწნავებსაც ვატარებდი და კიკინებითაც დავდიოდი (*იცინის*).

— ბავშვობაში დედის მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით სარული თუ გიყვარდათ?

— ო, ძალიან. თუ დედა შინ არ იყო, შემეძლო, მთელი დღე მისი ფეხსაცმლით „მეპრაკუნა“. როცა მასთან მეგობრები მოვიდოდნენ და თუკი რომელიმე მათგანი ფეხსაცმლის გამოცვლას მოინდომებდა, ეს ძალიან მიხაროდა — ჩუმად მივეპარებოდი და ვიცვამდი.

— სკოლის დამთავრების შემდეგ, გოგონების უმეტესობა იმიჯს რადიკალურად იცვლის. თქვენ თუ შეიცვალეთ გარეგნობაში რაიმე?

— ჩემი იმიჯის ჩამოყალიბება სკოლის პერიოდში მოხდა. სკოლის დამთავრების შემდეგ, უკვე საკმაოდ დახვეწილი გემოვნება მქონდა. სხვათა შორის, ამაში უდიდესი წვლილი ქორეოგრაფიულ სასწავლებელს მიუძღვის... თმა პირველად სტუდენტობის პერიოდში, შავად შევიღებე. მას შემდეგ, თმის ფერი ბევრჯერ შევიცვალე. ალბათ, ფოტოების დათვალიერებისას ამას თქვენც შეამჩნევდით.

— თქვენი აზრით, ყველაზე მეტად, რომელი ფერი გიხდებათ?

— მიმაჩნია, რომ ყველაზე მეტად შავი ფერის თმა მიხდება. თუმცა, არანაკლებ მიხდება აგურისფერიც.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხართ?

— სილამაზის სალონში მხოლოდ თმის შესაჭრელად და შესაღებად მივდივარ, ვარცხნილობას კი ყოველთვის თავად ვიკეთებ.

— თმის მოვლის რაიმე განსაკუთრებული მეთოდი ხომ არ გაქვთ?

— ისეთი არაფერი. უბრალოდ, ვცდილობ, თავი კარგი, ხარისხიანი შამპუნით დავიბანო. თუ საჭირო გახდება და ჩემს თმას დამატებითი მოვლა დასჭირდება, ვიტამინებით მდიდარ ნიღაბს შევიძენ და წავისვამ. ჯერჯერობით, ამის საჭიროებას ვერ ვხედავ.

— ბოლო პერიოდია, სულ მოკლე ვარცხნილობა გაქვთ.

— როცა დეპრესიულ მდგომარეობაში ვარ, პირველი, რასაც ვაკეთებ, ის არის, რომ თმას ვიჭრი და ეს ცოტათი მამშვიდებს. მახსოვს, ერთხელ თავიც კი გადავიპარსე.

— ეი. დეპრესიული ადამიანი ხართ...

— იცით, მეუღლის დაღუპვის შემდეგ, ჩემში რაღაც-რაღაცები რადიკალურად შეიცვალა.

— ერთ-ერთ ფოტოზე მშობლებთან ერთად ხართ. დედას გამსგავსებენ თუ მამას?

— ბავშვობაში არც ერთს ვგავდი და არც მეორეს. მაგრამ ახლა, ნელ-ნელა დედას ვემსგავსები.

— ბავშვობიდან დღემდე, თქვენში კიდევ რა ცვლილებები მოხდა?

— 10 წლის წინ რომ ვიყავი, ის მარინა ნამდვილად აღარ ვარ. ამას წინათ, მეგო-

თითქმის მთელი ბავშვობა გრძელი თმა მქონდა

ძალიან პრანჭია ვყოფილვარ



ბავშვობაში არც ერთს ვგავდი და არც მეორეს

ბრებთან ერთად, ქართულ ტელესერიალს — „სახლი ძველ უბანში“ ვუყურებდი. აი, იმ პერიოდის მარინა ძალიან მომეწონა.

— საკუთარი ფოტოების დათვალიერებისას რა შეგრძნება გეუფლებათ?

— ჩემი თითოეული ფოტო ძალიან მიყვარს, რადგან ისინი ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდს მახსენებს. მათი თვალიერებისას, ხან სინანულის, ხანაც სიხარულის გრძნობა მეუფლება. ცხოვრებაში არის ისეთი პერიოდები, რომელსაც რამდენიც არ უნდა ეცადო, ვერ დაივიწყებ.

— თითქმის ყველა ფოტოზე საყურე გიკეთიათ. როგორც ჩანს, სამკაულები ძალიან გიყვართ.

— მართალი ხართ, სამკაულები ძალიან მიყვარს. განსაკუთრებით, საყურე, რომელსაც თითქმის ყოველთვის ვატარებ. მომწონს ორიგინალური და ლამაზი დიზაინის სამკაულები. ერთ ყურზე სამი საყურე მიკეთია. მოკლედ, თინეიჯერობის პერიოდში დავბრუნდი (*იცინის*).

— როგორც გატყობთ, წარბების კორექცია არ გაგიკეთებიათ.

— დიახ. მიმაჩნია, რომ ძალიან ლამაზი ფორმის წარბები მაქვს და შესაბამისად, მისი ფორმის შეცვლის სურვილიც არ გამჩენია.

— ოდესმე, თქვენს გარეგნობაში რაიმეს შეცვლის სურვილი თუ გაგჩენიათ?

— ამ თემაზე არასოდეს მიფიქრია. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ არანაირი პლასტიკური ოპერაცია არ მაქვს გაკეთებული. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ მსგავსი რაღაცების წინააღმდეგი ნამდვილად არ ვარ. თუკი ქალის სხეული პლასტიკური ოპერაციის გაკეთებას მოითხოვს, მან უკან არ უნდა დაიხიოს. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

— ფოტოების დათვალიერებისას ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ წონაში არც იმატებდით და არც — იკლებდით. დიეტას ხშირად იცავთ?

— არა. მსუქანი არასოდეს ვყოფილვარ (მხოლოდ ფეხმძიმობის დროს მოვიმატე, ცოტათი) და შესაბამისად, არც დიეტა დამიცავს. რომ გითხრათ, სპორტულ დარბაზებში დავდივარ-მეთქი, მოგატყუებთ. ყოველთვის მაქვს იმის სურვილი, რომ ვივარჯიშო, მაგრამ რატომღაც, ამას ვერ ვახერხებ. რუსთაველის თეატრში არაჩვეულებრივი სპორტული დარბაზი გაგვიკეთეს, მაგრამ თავისუფალი დრო თითქმის არ მრჩება და ამიტომაც, იქ შესვლასაც ვერ ვახერხებ.

— გაგიმხელთ, რომ წლების მატებასთან ერთად, უფრო და უფრო სიმპათიური ხდებით.

— დიდი მადლობა, კომპლიმენტისთვის.

— თქვენი სილამაზის საიდუმლოს რეცეპტს ვერ გაგვიმხელთ?

— სილამაზის განსაკუთრებული რეცეპტი არ მაქვს. უბრალოდ, ყოველთვის ვცდილობ, ძვირად ღირებული, ხარისხიანი კოსმეტიკა მოვიხმარო და ამაში ფული არასოდეს მენანება. შეიძლება, ტანსაცმელი არ ვიყიდო, მაგრამ კოსმეტიკას მაინც შევიძენ.

— მაკიაჟს ყოველდღე იკეთებთ?

— ყოველდღიურად მსუბუქ, განსაკუთრებულ შემთხვევებში კი მკვეთრ მაკიაჟს ვიკეთებ.

— ახალგაზრდობის შემდეგ, ჩაცმის სტილი თუ შეიცვალეთ?

— რადიკალურად არა. სპორტულად ჩაცმა ყოველთვის მიყვარდა. ყოველდღიურად, უპირატესობას ჯინსის შარვალს ვანიჭებ, მაგრამ თუ ვთქვათ, წვეულებაზე მივდივარ, მაშინ კლასიკურად ვიცვამ. უპირატესობას იმ სამოსს ვანიჭებ, რომელშიც თავს კომფორტულად ვგრძნობ.

— რომელია თქვენი საყვარელი ფერი?

— საერთოდ, მრავალფეროვნება მიყვარს, მაგრამ განსაკუთრებით, მაინც შავ, კლასიკურ ფერს გამოვყოფდი.

— რას ურჩევდით მანდილოსნებს იმისათვის, რომ მათ სილამაზე და მომხიბვლელობა ხანგრძლივად შეინარჩუნონ?

— არასოდეს გამოიყენონ იაფფასიანი კოსმეტიკა, ივარჯიშონ, იცხოვრონ სპორტული ცხოვრებით, იყვნენ ინდივიდუალურები, არასოდეს დაივიწყონ, რომ არიან მანდილოსნები და რაც მთავარია, საკუთარი თავის მოვლაზე უარი არასოდეს თქვან.



თმას ვიჭრი და ეს ცოტათი მამშვიდებს. მახსოვს, ერთხელ თავიც კი გადავიპარსე

მეილთან ერთად



ყველაფერში უდიდესი წვლილი ქორეოგრაფიულ სასწავლებელს მიუძღვის

დედასთან ერთად

მსუქანი არასოდეს ვყოფილვარ

მოსკოვში აგზავანილი ათუმელი პიჭის საბედისწერო მგზავრობა და ნახევრად აგებული კინოინსტიტუტის ციხე

მისი ცხოვრების გზა — ვფიქრობ, თავისთავად — არაჩვეულებრივი კინოსცენარია, სადაც რეალური და გამოგონილი კინოგმირები ერთმანეთში არიან არეულნი. ამ სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმი კი ალბათ, დაახლოებით ისეთი გამოვიდოდა, როგორიც ფელინის „ამარკორდი“ — ტკბილ-მწარე მოგონებები, დაკავშირებული წარსულთან, ფილმი გაჯერებული ნინო როტას მუსიკითა და განუმეორებელი კინომაგიით...



მანანა ჭირაქაძე

დაიბადა პროვინციულ ქალაქში, სადაც ყველაზე დიდი დღესასწაული — კინოთეატრში წასვლა იყო. ეს „წმიდათაწმიდა რიტუალი“ კვირაში ერთხელ სრულდებოდა: ახალდაბანილი და საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი და-ძმა დედასთან ერთად, ბათუმის კინოთეატრ „ოქტომბერში“ მიდიოდა, წინასწარ ნაყიდი ბილეთებით, კარგ ადგილებს იკავებდა და... იმდენი ხანი იყვნენ ბედნიერები, რამდენიც ის ე.წ. трофейный *ფილმი გრძელდებოდა, რადგან ეს 1943 წელს იყო. ამ დროს ავიწყდებოდათ, რომ მიმდინარეობდა ომი, შიმშილი გაბატონებულიყო, რომ ცხოვრობდნენ ფიცრებით გადატიხრულ, საერთოკორიდორიან ოთახში, რომ მამა ციმბირში იყო გადასახლებული და იქიდან არასდროს დაბრუნდებოდა... პირველი ფილმი, რომელმაც პატარა ბიჭს შოკი მოჰგვარა, „დიდი ვალსი“ გახლდათ.*

სულ ახლახან, ერთ-ერთი ქართული



ჩვენს ოჯახში მაშინ რუსულად არავინ მეტყველებდა

არხი უჩვენებდა რეზო გაბრიაძის სცენარის მიხედვით გადაღებულ ტელენოველებს, სადაც მთავარ როლებს შესანიშნავი სამეული — გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე და ბაადურ წულაძე ასრულებენ. სწორედ ამ ფილმზე ვფიქრობდი, როდესაც მრავალსართულიანი სახლის მეთორმეტე სართულზე, ბაადურ წულაძის ბინის კარზე ზარის ღილაკს ვაჭერდი ხელს... „თითქმის არ შეცვლილხართ!“ — ჩემს ამ ქათინაურზე მასპინძელმა კეთილად გამიღიმა...

— დავიბადე ბათუმში, წარმოშობით კი გურიიდან, სოფელ ჭანჭათიდან ვარ. სამწუხაროდ, ახლა იქ სასაფლაოს მეტი, აღარაფერი გვაქვს. ბაბუაჩემი, ლავრენტი წულაძე მღვდელი იყო და ამავე დროს — რუსულის მასწავლებელი, სოფლის სკოლაში. ის ძალიან განათლებული ადამიანი გახლდათ, კარგად იცნობდა დიდ ილიას, ვაჟა-ფშაველას. სოფელ ჭანჭათში, ოჯახში არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკა, როგორც საერო, ისე სასულიერო ლიტერატურა ჰქონდა. როდესაც ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ, დაწვეს ხატები, წიგნები, ხის ეკლესია, მაგრამ წიგნებით სავსე ერთი სკივრი მაინც გადარჩა და ეს წიგნები მთელი ცხოვრება, ჩემთან ერთად მოგზაურობენ: ჯერ ჭანჭათიდან ბათუმში ჩაიტანეს ჩემმა მშობლებმა და მამიდამ, მერე მე და ჩემმა დამ ბათუმიდან — თბილისში წამოვიღეთ. სანამ ამ სახლს ავაშენებდი, ნაქირავებიდან, ნაქირავებში „მოგზაურობდა“. ამ მგზავრობაში ბევრი დაიკარგა, დაიხა, ნაწილი კი შემორჩა და ახლა, ჩემი დიდი ბიბლიოთეკის სიამაყეა. თუ გნებავთ, გიჩვენებთ.

— სკოლაც ბათუმში დაამთავრეთ?

— დიახ, ბათუმში. იცით, ორი წლის ვიყავი, როცა მამა ციმბირში გადაასახლეს. ჩემი დის დაბადება კი გამომძიებელმა ასე „ახარა“ მამაჩემს: სოკრატ ლავრენტის ძევ, გილოცავთ, გოგონა შეგეძინათ, მაგრამ თქვენ მას ვერასოდეს ნახავთო. მამას 10 წელი ჰქონდა მისჯილი, ხოლო სასჯელის გასვლის შემდეგ, საქართველოში დაბრუნების უფლება აღარ ჰქონდა. სწორედ იმის გამო, რომ დედა სამომავლოდ მასთან ჩასვლას გეგმავდა (ჩვენთან ერთად, რაღა თქმა უნდა), რუსულ სკოლაში შემიყვანეს. ჩვენს ოჯახში მაშინ რუსულად არავინ მეტყველებდა. სკოლამდე მე უკვე რაღაც განათლება მქონდა მიღებული. სწორედ ჭანჭათიდან წამოღებულ წიგნებს მიკითხავდა მამიდა-ჩემი კატო, რომელიც მე და ჩემს დას დედასთან ერთად გვზრდიდა. ის ჩვენ გამო აღარც გათხოვილა. რუსულ სკოლაში სწავლა თავიდან გამიჭირდა, მაგრამ მალევე ავუღე ალღო და კარგი მოსწავლე გახლდით. პარალელურად, დედამ მუსიკალური სკოლაშიც შემიყვანა.

— ალბათ, ფორტეპიანოს კლასში, არა?

— (*იცინის*) არა, არა. რასაკვირველია, დედაჩემს უნდოდა, ფორტეპიანოს კლასში შევეყვანე, მაგრამ მე სხვაგვარად გადავწყვიტე, დედა კი შვილების აზრს ყოველთვის ანგარიშს უწევდა. მას ძალიან უყვარდა კინო და კვირაში ერთხელ, ფილმის სანახავად მივყავდით. მაშინ ვნახე „დიდი ვალსი“. თუ გახსოვთ, იქ ერთ ეპიზოდში შტრაუსი საოცარი გრძნობით უკრავს ვიოლინოზე. ჰოდა, მაშინ გადავწყვიტე, რომ მეც მევიოლინე გავმხდარიყავი. 4 წელი ვეუფლებოდი ვიოლინოზე დაკვრას. მერე, რევმატიზმის გამო, ფორტეპიანოზე გადასვლა მომიხდა, მაგრამ გული ვეღარ დავუდე და ასე დამთავრდა ჩემი მუსიკალური განათლება. ბათუმში, სადაც ვცხოვრობდით, იმას სახლს ვერ დავარქმევ, რადგან ეს იყო ხის თხელი ფირფიტებით შეჭედილი, გადატიხრული, საერთოკორიდორიანი პატარა ოთახი. ჩვენი „კედლის მეზობელი“, ხანში შესული ვოკალის მასწავლებელი ქალი გახლდათ. ასე რომ, მე ყოველდღე ვისმენდი არიებს სხვადასხვა ოპერიდან. ძალიან მიყვარდა ამ ქალთან სტუმრობა. ჩვენ ერთად ვარჩევდით მთელი ოპერების პარტიტურებს. ჩემი „რომანი“ მუსიკასთან სწორედ მაშინ დაიწყო და დღემდე გრძელდება.

— სკოლა რომ დაამთავრეთ, ომი უკვე დამთავრებული იყო, არა?

— დიახ. ეს იყო 1954 წელი — ომიც დამთავრებული იყო და სტალინიც გავასვენეთ. მაშინ, როგორც ახლა ამბობენ — პრესტიჟული პროფესიები იყო: მამაკაცებისთვის — საინჟინრო, ქალებისთვის კი — სამედიცინო. დედაჩემს ძალიან უნდოდა, ინჟინერი გამოვსულიყავი. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, რუსული ბრწყინვალედ ვიცოდი და გადავწყვიტეთ, რომ მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში ჩამებარებინა. იცით, ამ დროს თბილისშიც კი არ ვიყავი ნამყოფი. ჩამსვეს მატარებელში, მომცეს რაღაც მისამართი

და 3 დღის შემდეგ, საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ამოვყავი თავი. საბუთები ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში შევიტანე. მე, როგორც ოქროს მედალოსანს, უგამოცდოდ მეკუთვნოდა ჩარიცხვა. საბუთებს გადახედეს, კი, ბატონოო, — მითხრეს, — ჩარიცხვის პრობლემა არ არის, ოღონდ, საერთო საცხოვრებელში ადგილები აღარ გვაქვს და მოგვიტანე საბუთი, რომ საცხოვრებელი ადგილი გაქვსო. ვიდრე ამ საბუთს მივიტანდი, გადავწყვიტე მენახა, სად მდებარეობდა „ვგიკი“ (კინემატოგრაფიის ინსტიტუტი). ჩავჯექი ტროლეიბუსში, მივდივარ და მივდივარ, დამთავრდა მოსკოვი, დაიწყო ფიცრული სახლები, ვიფიქრე — გზა ხომ არ ამერია-მეთქი? მაგრამ გამოჩნდა ცნობილი მოქანდაკე მუხინას სკულპტურა — „მუშა და კოლმეურნე“, ვე-დეენ-ხა (*გამოფენა*), გორკის სახელობის კინოსტუდია და იქვეა „ვგიკიც“. მაშინ ინსტიტუტის შენობა ბოლომდე არ იყო აშენებული. ფაკულტეტებიდან ყველაზე მეტად, კინოსარეჟისორო მომეწონა და საბუთები იქ შევიტანე.

— რატომ მაინცდამაინც სარეჟისოროზე?

— კინოს მიმართ ჩემი სიყვარულის შესახებ უკვე მოგახსენეთ, მაგრამ გამომრჩა მეთქვა, რომ უკვე მეცხრე კლასიდან კინომექანიკოსის ასისტენტად ვმუშაობდი. ფირის კოლოფები დამქონდა ერთი კინოთეატრიდან მეორეში. მაშინ ერთი ფილმი ერთდროულად, ორ კინოთეატრში გადიოდა. ოღონდ, პირველში სეანსი ნახევარი საათით ადრე იწყებოდა, ჰოდა, უკვე დაწყებული ფილმის პირველი ნაწილები, გვერდით ქუჩაზე მდებარე, მეორე კინოთეატრში გადამქონდა... მერე და მერე, კინოს გაშვებაც მანდვეს... მოკლედ, საბუთები შევიტანე, მაგრამ ცოტა ადრე მომივიდა, რადგან იქ გამოცდები აგვისტოში იწყებოდა (მედალს იქ მნიშვნელობა არ ჰქონდა). რა ვიცოდი, თუ აგვისტოში მთელი საბჭოთა კავშირი მოაწყდებოდა „ვგიკს“?! ყველა ტური გავიარე. ჩემთან ერთად, ბოლო ტურამდე იყო ვასია შუქშინი. ის ჩარიცხეს, მე კი — როდესაც ჩარიცხვის საკითხი წყდებოდა, სულ უბრალო რამ — ცნობა მომთხოვეს, შრომითი საქმიანობის შესახებ, რომელიც არ მქონდა.

— მერე, როგორ განვითარდა მოვლენები?

— ბათუმში დავბრუნდი. დედაჩემი ძალიან განიცდიდა. ხომ იცით, პროვინციის ამბავი — ყველამ ყველაზე ყველაფერი იცის. ჩემი კლასიდან ყველა ჩაირიცხა სადღაც, ოროსანიც, სამოსანიც და მე, ოქროსმედალოსანი, დავრჩი ასე!.. სიკო დოლიძე ჩვენი შორეული ნათესავი იყო და მას სთხოვეს — იქნებ, ანახვო ბიჭს კინოგადაღებაო. ის მაშინ მიუზიკლს იღებდა, „ეთერის სიმღერას“.

— თქვენ მხოლოდ თვალყურის დევნებით შემოიფარგლეთ?

— (*იცინის*) არა, სწორედ ამ ფილმში შედგა ჩემი სამსახიობო დებიუტი, რომელიც კრახით დასრულდა. წარმოიდგინეთ სცენა ამ მიუზიკლიდან: დილაა, მრგვალი კიბით, ღიღინ-ღიღინით ეზოში ჩადის ფალიაშვილის როლის შემსრულებელი მსახიობი: სცენარის მიხედვით, ამ დროს, ეზოში ორი კაცი ნარდს თამაშობს და რასაკვირველია, მღერის (მიუზიკლია!). საამისოდ ერთი კაცი შეარჩიეს, „მასოვკიდან“ და ამ დროს, სიკომ მე მომკრა თვალი. ჩამაცვეს, გამიკეთეს ულვაში და ამიხსნეს, რომ ნარდის თამაში და სიმღერა ერთდროულად უნდა დაგვეწყო. მე კი ეს ვერ მოვახერხე: ხან სიმღერა მავიწყდებოდა, ხან — ნარდის კამათლის გაგორება. ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაახლოებით მეცხრამეტე დუბლის შემდეგ, გამწარებულმა სიკო დოლიძემ იყვირა, — მომაცილეთ ეს ბიჭი, თორემ მოვკლავო! აი, ასე დამთავრდა ჩემი კინოდებიუტი.

— მოსკოვში როდის დაბრუნდით?

— მომდევნო წლის აგვისტოში, რადგან უკვე ვიცოდი, რომ გამოცდები ამ დროს იწყებოდა.

— მაშინ ვის აჰყავდა ჯგუფი და საქართველოდან თქვენ გარდა სხვა აბიტურიენტებიც თუ იყვნენ?

— ჯგუფი ალექსანდრ დოვჟენკოს აჰყავდა. მაშინ, ის უკვე მსოფლიო მასშტაბის რეჟისორი იყო. რაც შეეხება ქართველებს, — ჩემთან ერთად, გიორგი შენგელაია და ოთარ იოსელიანი აბარებდნენ.

— მერე, სამივე ქართველი მიგიღეს?

— დიახ და ამან ძალიან გამაკვირვა. როდესაც ისევ შრომითი საქმიანობის შესახებ ცნობის საკთხი დადგა, მე ისეთი საბუთი წარვადგინე, რომელმაც დოვჟენკოზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა (*იცინის*): ამ ცნობაში სიკო დოლიძე წერდა, რომ უჩემოდ ლამის ვერ გადაიღებდა ფილმს, რომ ამ სურათის შექმნაში ძალიან მნიშვნელოვანი როლი ვითამაშე.

— როგორი სტუდენტობა გქონდათ? საინტერესოა, სამი სრულიად განსხვავებული ქართველი ბიჭი თუ მეგობრობდა?

— ოო, ჩვენ ძალიან ვმეგობრობდით. არაჩვეულებრივი პერიოდი იყო. ოთარი ძალიან უცნაური ვინმე იყო — მაღალი, გამხდარი, ეგზოტიკური გარეგნობის ყმაწვილი, რომელსაც გულზე სამი სამკერდე ნიშანი ჰქონდა დაბნეული: სამბოში მიღებული პირველი თანრიგის, კალათბურთში პირველი თანრიგის და სპორტის კიდევ რომელიღაც სახეობის. ვეუბნებოდი, — ოთარ, მოიხსენი ეგ „ზნაჩოკები“, რომელი

იმდენი ლამაზი ქალი მიყვარდა, იმდენს ვმოგზაურობდი გადაღებების დროს, რომ არჩევანი ვერც ერთზე ვერ შევაჩერე

სამბისტი შენ მყავხარ-მეთქი?! ის ამით აგიჟებდა ხალხს, ყურადღებას იპყრობდა. ერთხელ „ვგიკ“-ის კორიდორში ვდგავარ, ოთარი მომიახლოვდა და შეთქმულივით ჩამჩურჩულა: შენთან ახლა ერთი კაცი მოვა. მას ვუთხარი, რომ შეგიძლია, იარაღი აყიდვინო და დაელაპარაკეო. წარმოგიდგენიათ, რა დამემართებოდა. კინაღამ გავგიჟდი კაცი. აი, სულ ასე ფანტაზიორობდა და რაღაცებს თხზავდა. საერთოდ, სტუდენტობის დროს უკვე ემჩნევა ადამიანს, რას გააკეთებს მომავალში.

— სანამ ფილმს გადაიღებდით, მგონი, თქვენი ნამდვილი სამსახიობო დებიუტი შედგა, არა?

— დიახ. ეს იყო მიშა კობახიძის სადიპლომი სურათში — „ქორწილი“, მერე კი წამოვიდა და წამოვიდა მოწვევები სხვადასხვა რეჟისორისგან.

— სადიპლომო ნამუშევრად რა ფილმი გადაიღეთ?

— (*იცინის*) იცით, მე, ოთარ იოსელიანმა, გიორგი შენგელაიამ და კიდევ ბევრმა ქართველმა რეჟისორმა დიპლომი დიდი ტანჯვა-წვალებით მივიღეთ. მაშინ საშინელი ცენზურა იყო დაწესებული. მე „ფორმალისტად“ შემრაცხეს და ფილმის გადაღება ამიკრძალეს; ოთარ იოსელიანის სადიპლომი ფილმსაც ასეთივე ბედი ეწია; მხოლოდ გიორგი შენგელაიამ მოახერხა თავისი პირველი ფილმით — „ალავერდობა“ — დიპლომი დაეცვა, მაგრამ ისიც ძალიან დიდ



საუკეთესო ტანსაცმელში გამოწყობილი და-ძმა დედასთან ერთად, ბათუმის კინოთეატრ „ოქტომბერში“ მიდიოდა

ცეცხლი ადამიანისათვის მეგობარიცაა და მტერიც ანუ რამდენადაც აუცილებელია იგი ჩვენს ყოფაში, იმდენადვე საშიშიც გახლავთ. ხანძარი ათასობით ადამიანის სიცოცხლეს იწირავს, ყველაფერს ანადგურებს. ძველად, საქართველოში, ხანძრის დროს ეკლესია საგანგებო ზარებს რეკდა, ქალაქს მკვიდრნი კი ხანძრის კერისკენ მიიჩქაროდნენ და რითიც შეეძლოთ, ცეცხლს უმკლავდებოდნენ. საქართველოში ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური ოფიციალურად, 1825 წლის 24 დეკემბერს შეიქმნა. მოგეხსენებათ, მეხანძრეთა პროფესია სიკვდილთან თამაშია, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართველი მეხანძრეები უკან არ იხევენ და ცეცხლთან საბრძოლველად ყოველთვის მზად არიან.

მარეხ ჭონიმვილი

ისანი-სამგორის რაიონის საგანგებო სიტუაციის განყოფილების უფროსი, **ტიტე ჯიჭონაია:**

— მამაჩემი ზუგდიდის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურში მუშაობდა. მისგან ვიცოდი, რომ ეს პროფესია გმირობას, ვაჟკაცობას და თავდადებას მოითხოვდა. მეხანძრედ მუშაობაზე არასდროს მიოცნებია. სკოლის დამთავრების შემდეგ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე. პირველი კურსის სტუდენტი გახლდით, როცა სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამიწვიეს. „სამხედროდან“ რომ ჩამოვედი, მამა დამეღუპა და იძულებული გავხდი, სამსახური მეშოვა. მუშაობა სამგორის რაიონში, მეხანძრედ დავიწყე. 4 წლის განმავლობაში, თან ვმუშაობდი და თან, ინსტიტუტში ვსწავლობდი. ჰოდა, ეს საქმე ისე შემიყვარდა, რომ გადავწყვიტე, მთელი ცხოვრება მეხანძრე ვყოფილიყავი და უკვე 21 წელია, ამ პროფესიას ვემსახურები.

— თქვენი პროფესიის წყალობით, ალბათ, სიკვდილისთვის არაერთხელ ჩაგიხედავთ თვალებში...

— რა თქმა უნდა. იცით, ხანძარი სულიერი არსებასავითაა: სულ ცდილობს, გაგეპაროს, მაგრამ ბოლოს, აუცილებლად დაგემორჩილება. ადრე, გარდაბნის რაიონში, სართიჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე ჭაბურღილი მუშაობდა. მართალია, შემდეგ ის დახურეს, მაგრამ ერთი ორმო

წინააღმდეგობას წააწყდა. მოკლედ, მაშინ ისეთი დრო იყო, ფანტაზიას გილვიძებდა იმისთვის, რომ როგორმე სათქმელი გეთქვა, მთავრობა მოგეტყუებინა და ჩვენ ამას ვახერხებდით... მე გიორგი შენგელაიას მოკლემეტრაჟიანი ფილმის — „ჯილდოს“ რეჟისორი გავხდი. გიორგის ამ დროს ფილმში — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ — იღებდნენ და მან შემომთავაზა — მხოლოდ ასე თუ მოახერხებ დიპლომის აღებასო. ასე რომ, თან მას დავეხმარე, სადიპლომი ფილმის გადაღებაში და თან, ჩემი საქმეც გავაკეთე. მიშა კობახიძის „ქორწილსაც“ არ იღებდნენ, — ამაში დიპლომს ვერ მოგცემთო. მაგრამ როგორც ადრე გითხარით, ცხოვრებაში ხდება სასწაულები: ამ დროს, ობერჰაუზენის ფესტივალზე მიშას ამ ფილმს გრან-პრი მიენიჭა და საქმეც გამოსწორდა... სადიპლომო ნამუშევრის მერე, მეც მომცეს ფილმის გადაღების ნება და გადავიღე კიდეც.

— რომელი ფილმი იყო ეს?

— ეს „ფეოლა“ იყო ... ახლა უკვე ცნობილი „ფეოლა“.

— საუცხოო ბინა გაქვთ — უბრალო, სადა, კომფორტული და

ბუბა კიკაბიძე, ბაადურ წულაძე და დოდო აბაშიძე

რაც მთავარია, მთელი ფართი ლამაზად გაქვთ ათვისებული.

— ეს ორივემ მოვახერხეთ, მაგრამ ლომის წილი მაინც ჩემს დას, ლედის მიუძღვის. ის პროფესიით არქიტექტორია.

— დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ. კიდევ, რისი კოლექცია გაქვთ?

— მაქვს ფოტო და სხვადასხვა დროის ცნობილი მხატვრების ალბომები, ჯაზისა და კლასიკური მუსიკის ჩანაწერების კოლექცია. აგრეთვე ესტრადიდან — „ბითლები“ და ელვის პრესლი. ამ კოლექციას მთელი ცხოვრება ვაგროვებ.

— უცხოეთში თუ მოგზაურობდით?

— იცით, მე დიდი ხანი невыездной ვიყავი. ეს სიტყვა მარტო რუსულ ენაში არსებობდა (*საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ გასვლის ფაქტობრივი უფლების არმქონე მოქალაქეს ნიშნავდა. — ავტ.*). მხოლოდ 1989 წელს, 9 აპრილს შემდეგ მოვახერხე პარიზში გამგზავრება.

— იქ მგონი, ნათესავები გყავთ.

— მამაჩემის ძმა იქ ცხოვრობდა. ის გარდაიცვალა, მაგრამ დამრჩნენ ბიძაშვილები, მათი შვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები. ჰოდა, პირველი, რაც გავაკეთე, პარიზში რომ ჩავედი, — ოთარ იოსელიანს დავურეკე. მთელი ორი თვე მე, ოთარი და გუჯიკა ამაშუკელი ერთად ვიყავით.

— გუჯიკა ამაშუკელი ვინ არის?

— ჩემი ბავშვობის მეგობარია, ბათუმელი ბიჭი. ახლა პარიზის ნომერი პირველი იუველირია. უმდიდრესი კაცია — აი, ეს (*კედელზე გაკრულ აფიშაზე მიმითითებს, რომელზეც სამკაულია გამოსახული. — ავტ.*), მისი ნამუშევრების გამოფენის აფიშაა.

— საქვეყნოდ ცნობილია თქვენი პლატონური სიყვარულის შესახებ, მერილინ მონროს მიმართ...

— ო-ო, ის ნომერი პირველია! ნომერი მეორე — ბრიჟიტ ბარდო, მესამე — რომი შნაიდერი გახლავთ.

— მათ მიმართ თქვენმა ტრფობამ ხომ არ განაპირობა ის, რომ ახლა მარტო ხართ?..

— რა ვიცი, ასე მოხდა. ისე მომივიდა, როგორც პურიტანის ვირს. იმედია, ისე არ დაწერთ, როგორც ერთმა ჟურნალისტმა გააკეთა — „პურიტანის ვირის“ ნაცვლად, „პურიტანელი ვირი“ დაწერა და შესაბამისად, მე ვირად გამომიყვანა... პურიტანი იყო გლეხი, რომელსაც ჰყავდა ვირი. მან ვირს მარჯვნივაც თივა დაუყარა და მარცხნივაც. ვირმა იმდენი იფიქრა, რომელი თივის ჭამით დაეწყო, რომ შიმშილით მოკვდა (*იცინის*)... ჰოდა, მეც სწორედ ასე მომივიდა: იმდენი ლამაზი ქალი მიყვარდა, იმდენს ვმოგზაურობდი გადაღებების დროს, რომ არჩევანი ვერც ერთზე ვერ შევაჩერე.

— ამაზე ახლა, წლების გადასახედიდან, გული არ გწყდებათ?

— მიუხედავად ჩემი არასენტიმენტალურობისა — კი, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს ბავშვები და ადვილად ვამყარებ მათთან კონტაქტს.... არა, არა, მე არასოდეს შემცოდებია თავი. მქონდა პერიოდი, როცა არსად ვმუშაობდი და არანაირი შემოსავალი არ მქონდა, მაგრამ ჩემთან იყო ჩემი და, ჩემი ბიბლიოთეკა და მუსიკა — ანუ ჩემი სამყარო... არის ასეთი მწერალი — შალამოვი, რომელიც სულ ბანაკებსა და გადასახლებებში იყო. ის ამბობს, — თუ გინდა, გაძლო ზონაში და შენი ღირსება არ დაკარგო, 3 პრინციპი უნდა დაიცვა: არ დაიჯერო, არ შეგეშინდეს და არაფერი მოითხოვო. ჩვენ ხომ ამ სამყაროში, ერთ დიდ ზონაში ვცხოვრობთ! ჰოდა, მეც ამ სამი პრინციპით ვხელმძღვანელობდი მთელი ჩემი ცხოვრება... ■

სიკვდილთან თამაში, ცეცხლთან ბრძოლა და ხანძრის მაგივრად ალმოჩენილი შიშველი ქალი

ღია დარჩა, რომელშიც ნავთობის ნარჩენები იყო. ამ ორმოში მოსახლეობას ხან ღორი, ხან — საქონელი უვარდებოდა. ამიტომაც, ერთმა კაცმა, რომელსაც ამ ორმოში საქონლის ძებნა ხშირად უწევდა, ნავთობის ნარჩენებს ცეცხლი წაუკიდა იმისათვის, რომ ამოეწვა. ამან ძალიან დიდი ხანძარი გამოიწვია. მის ჩაქრობას მთელი რესპუბლიკის მეხანძრეები, 3 დღის განმავლობაში ვცდილობდით. მახსოვს, აზერბაიჯანელ მეხანძრეს წყლის ჭავლი მოხვდა და ცეცხლის ორმოში ჩავარდა. საშინელი სიტუაცია იყო. ბიჭი ჩვენ თვალწინ, ცოცხლად იწვოდა და მიშველეთო, — გვეხვეწებოდა, მაგრამ უძლურები ვიყავით...

— ხანძრის დროს განსაკუთრებით სახიფათო რა ტიპის შენობებია?

— ყველაზე სახიფათო იტალიური ეზოებია, რადგან ამ ტიპის შენობებში ცეცხლი ადვილად „იპარება“ და კედლებს შიგნითაც აღწევს; კორპუსში კი ხანძარი შესაძლოა, მეორე ოთახს მოედოს, მაგრამ გვერდითა ბინაში არ გავრცელდეს...

— ხანძრის გარდა, სხვა ექსტრემალურ სიტუაციებშიც ხომ არ გირეკავენ დახმარების სათხოვნელად?

— როგორ არა?! ერთხელ გამოგვიძახეს და გვითხრეს: მე-8 სართულზე, სახლში 5 წლის ბავშვია ჩაკეტილი და კარს ვერ ვაღებთო. რა თქმა უნდა, დასახმარებლად წავედით. ადგილზე მისულები ბინაში ფანჯრიდან შევძვერით და კარი გავაღეთ. მაშინ, დედის რეაქციამ ძალიან გაგვაკვირვა — ის საერთოდ არ ნერვიულობდა. როცა ვკითხეთ, ბავშვი მარტო რატომ დატოვეთ-თქო, გვიპასუხა: არავინ მყავს და, აბა, ვის დავუტოვებდიო?!. იყო შემთხვევა, როცა ვიღაცამ დაგვირეკა: მეზობელი ქალი სახლში ჩაიკეტა. მგონი, რაღაც უჭირს და კარს ვერ გვიღებსო. მეხანძრეები მის ბინაშიც ფანჯრიდან შევიდნენ, ოთახები დაათვალიერეს, მაგრამ ვერავინ იპოვეს. მეზობელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბინის პატრონი მოგვეძებნა. გვიმტკიცებდა: ბრახუნის ხმა გავიგონე, ნამდვილად შინაა. ჩვენი ბიჭები სააბაზანოს კართან მივიდნენ, რომელიც ჩაკეტილი აღმოჩნდა. რა უნდა ექნათ? — შეამტვრიეს. თან, ამ დროს ერთმანეთს რაციით ვუკავშირდებოდით. ბიჭებს ვკითხე: რა ხდებამეთქი? მიპასუხეს: ცოცხალია, ცოცხალი, მაგრამ შიშველიაო. თურმე, სააბაზანოს კარი ჩაჰკეტვია და რომ ვერ გაუღია, შიშით გული წასვლია (*იცინის*).

— რატომღაც, მეხანძრე და დომინო ერთმანეთთან ასოცირდება...

— ჰო, მაგრამ დომინოს სათამაშოდ ნამდვილად არ გვცალია. უკვე გვაღიზიანებს, როცა გვეკითხებიან: წყალი გაქვთ? დომინო იცით?.. ამას წინათ, „კავეენი“ ჩატარდა, სადაც მეხანძრეები, პატრულისა და „03“-ის თანამშრომლები ვმონაწილეობდით. ამ „კავეენით“ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ განათლების დონით არავის ჩამოვუვარდებით, რომ ქართველ მეხანძრეებს ინტელექტი არ გვაკლია.

— თქვენს პროფესიაში ყველაზე მეტად რა გიზიდავთ?

— იმაზე დიდი ბედნიერება არაფერია, როცა ადამიანს ეხმარები. ჩვენ, მეხანძრეები ყოველთვის მობილიზებულები ვართ, რათა ხალხს დახმარება გავუწიოთ. ახლა ახალ მანქანებს, ახალ ტექნიკას ველოდებით, რაც მუშაობას გაგვიადვილებს.

— როცა ხანძრის ჩასაქრობად მიდიხართ, შიშის გრძნობა არ გეუფლებათ?

— გამოგვიძახებენ თუ არა, ეგრევე „ვითიშებით“, შიში გვავიწყდება და მხოლოდ იმაზე ვფიქრობთ, რომ ადამიანებს უნდა დავეხმაროთ. შემდეგ კი, როცა ხანძარს ვხედავთ, მას ისე აღვიქვამთ, როგორც მტერს, რომელსაც უნდა შევებრძოლოთ და დავამარცხოთ.

ამის შემდეგ, ბატონ ტიტეს სახალისო ამბების გახსენება ვთხოვე, მაგრამ მას, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თანამშრომლებმა — გია ბარბაქაძემ და ლერი ახალკაციშვილმა დაასწრეს.

გია ბარბაქაძე:

— მეორე კლასში ყოფნის დროს დამიწერია, რომ მეხანძრეობა მსურდა. ეს ამბავი გამოსაშვებ საღამოზე, მასწავლებელმა შემახსენა. სკოლის დამთავრების შემდეგ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე და თან, სწავლის პარალელურად, მუშაობა მეხანძრედ დავიწყე. მაშინ გავიფიქრე: აი, ბავშვობის ოცნება ამისრულდა-მეთქი (*იცინიან*). სახანძრო სამსახურში ახალი მისული ვიყავი, როცა ცვლის უფროსად დამნიშნეს. მახსოვს, პირველად რომ გამოგვიძახეს, ორსართულიანი სახლი იწვოდა, რომლის გვერდით ავტოგასამართი სადგური იყო. მივაღწიეთ იმას, რომ ცეცხლი არ გავრცელებულიყო და ხანძარი ჩავაქრეთ. ამ დროს ძალიან ბედნიერი ვიყავი, ქვეყანა ჩემი მეგონა და მსურდა, ჩემი „ვაჟკაცობის“ ამბავი ყველას შეეტყო. საღამოს, იმ ადგილას ტიტე წავიყვანე და ვუთხარი: ნახე, აქ ხანძარი მე ჩავაქრე-მეთქი. ტიტემ ნასახლარს შეხედა და ირონიულად მკითხა: ჩააქრე თუ ჩაქრაო? მოკლედ, ორსართულიანი სახლიდან მხოლოდ ფუნდამენტი გადაურჩა ხანძარს.

მეორე კლასში ყოფნის დროს დამიწერია, რომ მეხანძრეობა მსურდა

ლერი ახალკაციშვილი:

— ძალიან ბევრი უცნაური გამოძახება გვაქვს. ერთხელ დაგვირეკეს, მისამართი

ერთხელ გამოგვიძახეს და გვითხრეს: მე-8 სართულზე, სახლში 5 წლის ბავშვია ჩაკეტილი და კარს ვერ ვაღებთო

გვიკარნახეს და ყურმილში გვიყვირეს: დროზე მოდითო. რა თქმა უნდა, დანიშნულების ადგილას მივედით, მაგრამ ხანძრი ვერსად შევნიშნეთ. ერთი მეხანძრე ამ სახლში მაინც შევიდა და უკან შეშლილი სახით დაბრუნდა. თქვა: აქ სად მოგვიყვანეს? სახლში მშობიარე ქალია. ამათ „სახანძრო“ კი არა, „სასწრაფო“ სჭირდებათო (*იცინის*)... ძირითადად, ახალმოსულებს ვეხუმრებით და ვხალისობთ ხოლმე. მათ ათასგვარ გამოცდას ვუწყობთ.

— მაგალითად?

— მათთან გასახუმრებლად, ძირითადად იმ შლანგს ვიყენებთ, საიდანაც წყლის ჭავლი გამოდის. ახალმოსულებს ვეუბნებით: თუ სამსახურის დაწყება გინდა, ეს შლანგი უნდა გაბეროო. ბევრი ჩვენს ხუმრობას ვერ ხვდება და მის გაბერვას მართლა ცდილობს (*იცინის*).

გია:

— როცა ხანძარია, ელექტროენერგია ითიშება ხოლმე და ამ დროს ვიყენებთ სპეციალურ ავტომობილს, რომელსაც განათების მანქანას ვეძახით. მისი მეშვეობით ვანათებთ იმ ადგილს, სადაც მეხანძრეებმა უნდა იმუშაონ. გამოძახებისას ყველა ერთად გავდივართ, მაგრამ ერთხელ, ისე მოხდა, რომ ეს განათების მანქანა შედარებით ადრე მივიდა. ხალხმა ყვირილი დაიწყო: ჩქარა, წყალიო. როცა მათ უპასუხეს: ჩვენ წყალი არა გვაქვს, ეს განათების მანქანაა, ხალხი გაგიჟდა: ლამის მთელი უბანი გადაიბუგოს და ჩვენ კიდევ განათება გვინდა?! რომ მოდიოდით, წყალი ვერ წამოიღეთო (*იცინის*)?.. ■

საახალწლო გადარბენები ჩაფიქრებული სურვილები

„ახალი სამოსის შესაძენად ფულს თქვენი რედაქცია მიგზავნის?“

2008 წლის დასაწყისი, ცნობილი ადამიანებისთვის, შემოქმედებითი თვალსაზრისით, აქტიურობით გამოირჩეოდა და ისინი იმედს გამოთქვამენ, რომ ეს აქტიურობა პასიურ ფაზაში არ გადავა. ზოგიერთ მათგანს კი საახალწლო გუნება-განწყობილება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა ვითარებამ გაუფუჭა. მიუხედავად ამისა, მათ საახალწლო სუფრაც გაშალეს, ნაძვის ხეც მორთეს და საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვაც არ დაივიწყეს.

სოფო ჭონიშვილი

„მთელი ღამე ქუჩაში ვიყავი...“

ანანო მუსავია:

— 2008 წელი ჩემთვის ძალიან აქტიურად დაიწყო: უამრავ კონცერტში მივიღე მონაწილეობა. ამას დაემატა „ჯეოსტარის“ ფინალიც. მოკლედ, გადარბენაზე ვიყავი.

ოო... ჩურჩხელაზე ვგიჟდები

— ახალ წელს შეცვლილი იმიჯით შეხვდი?

— ყოველთვის ვცდილობ, ამ დღესასწაულისთვის განსაკუთრებულად გამოვიპრანჭო, რათა მთელი წლის განმავლობაში, ღამაზი და მომხიბვლელი ვიყო. ახალი წლის ღამეს ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი უამრავი კოსტიუმის მორგება მომიხდა. რაც შეეხება ვარცხნილობას, არ შეიცვლია. ამ ბოლო დროს გადავწყვიტე, თმა აღარ შევიჭრა.

— ახალ, 2008 წელს სად შეხვდი?

— მართალია, ასტროლოგები გვირჩევდნენ, ვირთხის წელს შინ, ოჯახის წევრებთან ერთად შეხვდით და ეს ვირთხას ძალიან მოეწონებაო, მაგრამ ეს ვერ მოვახერხე — მთელი ღამე ქუჩაში ვიყავი.

— ნაძვის ხის მოსართავად თუ მოიცალე?

— სამწუხაროდ, ვერა. ის ჩემი ოჯახის წევრებმა მორთეს.

— საახალწლო სუფრის სამზადისში თუ მონაწილეობდი?

— როგორ არა?! ორი საფირმო სალათა და კიდევ, გოზინაყი მოვამზადე. ვფიქრობ, ძალიან გემრიელი იყო და ყველას მოეწონა.

— 12 საათზე სურვილები თუ ჩაიფიქრე?

— ამას ყოველ ახალ წელს ვაკეთებ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მავიწყდება, რა ჩავიფიქრე.

— ეი. არ იცი, სურვილები გისრულდება თუ არა?

— (*იცინის*) ნაწილი მისრულდება, ნაწილი — არა.

— საახალწლო სუფრიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— ოო... ჩურჩხელაზე ვგიჟდები.

„ახალი წლის დღეებში რა დროს სიები და ბიულეტენები იყო?!“

გიორგი ყიფშიძე:

— სადღესასწაულო განწყობილება პოლიტიკოსებმა გაგვიფუჭეს. აბა, ახალი წლის დღეებში რა დროს სიები და ბიულეტენები იყო?!

— საახალწლო განწყობილება ისე გაგიფუჭეს, რომ ნაძვის ხეც არ მოგირთავს?

— ოჯახის წევრებთან ერთად, ნაძვის ხე კი მოვრთე, მაგრამ...

— ახალ წელს სად შეხვდი?

ოჯახის წევრებთან ერთად, ნაძვის ხე კი მოვრთე, მაგრამ...

— ტრადიციულად, ყოველ ახალ წელს შინ ვხვდები და გამონაკლისი არც წელს დამიშვია. 12 საათზე ჭიქაში შამპანურს ვასხამ, ვილოცები, მერე კი მეგობრებთან ერთად, საქეიფოდ მივდივარ.

— ახალ წელს რაიმე თუ ჩაიფიქრე?

— კი. სხვათა შორის, რასაც ახალ წელს ჩავიფიქრებ, ყოველთვის მისრულდება.

— საახალწლო კერძებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— უუფ... მაგარია ქართული საახალწლო სუფრა. განსაკუთრებით, გოზინაყი და საცივი მიყვარს.

— ამბობენ, ახალ წელს ახალი სამოსით უნდა შეხვდეო...

— შენ რა, მეხუმრები?

— რატომ გგონია?

— აბა, ახალი სამოსის შესაძენად ფულს თქვენი რედაქცია მიგზავნის?

— ???

— აბა, ამ კითხვას რომ მისვამ, მსახიობებს სად გვაქვს იმდენი ფული, რომ ყოველ ახალ წელს ახალი ტანსაცმელი შევიძინოთ (*იცინის*)?! არ გეწყინოს, ვხუმრობ.

„ახალ წელს სათანადო განწყობილებით ვერ შევეგებე“

თაკო ჩხეიძე:

— საერთოდ, ეს დღესასწაული ძალიან მიყვარს და მის მოახლოებას ყოველთვის

ახალ წლამდე 5 დღით ადრე, ნაძვის ხე მე და ჩემმა შვილმა ერთად მოვრთეთ

სულმოუთქმელად ველი, მაგრამ წელს, ცხოვრებაში პირველად, ისე მოხდა, რომ ახალ წელს სათანადო განწყობილებით ვერ შევეგებე. ეს ალბათ, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შედეგი იყო. მიუხედავად ამისა, ნაძვის ხე მაინც მოვრთე და ოთახები ფერად-ფერადი „წვიმებით“ გავალამაზე.

— ნაძვის ხის მორთვაში შენ შვილი არ მონაწილეობდა?

— როგორ არა?! ახალ წლამდე 5 დღით ადრე, ნაძვის ხე მე და ჩემმა შვილმა ერთად მოვრთეთ.

— როგორი იმიჯით შეხვდი ახალ წელს?

— საერთოდ, ასეთი ტრადიცია მაქვს — ყოველ ახალ წელს ახალი სამოსით ვხვდები. ახლა ბოლო დღემდე ვერ გადავწ-

ყვიტე, რა უნდა ჩამეცვა. ეს ალბათ, იმ განწყობილების ბრალი იყო, რომელზეც უკვე გითხარი. მაგრამ ახალი წლის დადგომამდე ერთი დღით ადრე, კოსტიუმი მაინც შევიძინე.

— საახალწლო სუფრის სამზადისში თუ მონაწილეობდი?

— საერთოდ, ქართული სუფრა ძალიან მიყვარს, განსაკუთრებით კი — საახალწლო. ამიტომაც, ამ სამზადისში ყოველთვის აქტიურად და თანაც, სიამოვნებით ვმონაწილეობ.

— გოზინაყის მომზადება თუ გეხერხება?

— გოზინაყს ყოველთვის ბებია ამზადებს და მას ვეხმარები ხოლმე.

— საახალწლოდ, ოჯახის წევრებს საჩუქრები თუ მოუმზადე?

— რა თქმა უნდა, ამას ყოველ წელს ვაკეთებ. მაქსიმალურად ვცდილობ, ამ დღეს ყველა გავახარო. ჩემს შვილს თოვლის ბაბუის არსებობის თან სჯერა, თან — არა. ამიტომაც ვუთხარი: თუ მის არსებობას არ დაიჯერებ, საჩუქრებს აღარ გამოგიგზავნის-მეთქი.

— თოვლის ბაბუამ წელს თუ მოუტანა საჩუქარი?

— მან თოვლის ბაბუას წერილი მისწერა და მითხრა: როცა ბარათის გასაგზავნად წახვალ, მეც გამოგყვები და მაშინ დავიჯერებ, რომ ის მართლაც არსებობსო. წელს, მისი სურვილი იყო, რომ თოვლის ბაბუას პულტიანი თვითმფრინავი მოეტანა.

— შეუსრულდა სურვილი?

— აბა, რა! თოვლის ბაბუა ხომ გულს არავის დასწყვეტს.

— ახალ წელს სად შეხვდი?

— ახალ წელს შინ, ოჯახის წევრებთან ერთად შევხვდი, მერე კი მეგობრები შევიკრიბეთ და კარგად გავერთეთ.

„2 იანვარს მეგობრის ბავშვი მოვნათლე"

ბედინა:

— ახალ წელს ჩვეულებრივად ვხვდები. ამ დღისთვის განსაკუთრებულად არასდროს ვემზადები. ისე, ბავშვობაში ეს დღესასწაული ძალიან მიყვარდა. სხვათა შორის, წლევანდელი ახალი წელი ჩემთვის კარგად დაიწყო — 2 იანვარს მეგობრის ბავშვი მოვნათლე.

— შენთვის 2007 წელი როგორი იყო?

— საშინელი.

— რატომ?

— რა ვიცი, აბა?! 2007 წელს უამრავი ცუდი რამ მოხდა, ბევრი პრობლემა გამიჩნდა. მოკლედ, გასულ წელს ვერ ვიტანდ. იმედი მაქვს, 2008 წელი უკეთესი იქნება.

— შინ, ნაძვის ხის მორთვაში თუ მონაწილეობდი?

— (*იცინის*) ნაძვის ხის მორთვა ბავშვობაში მიხაროდა, ახლა კი წინასაახალწლო განწყობილებას ოჯახში დედა ქმნის.

— ახალი წლის საღამოს რაიმე თუ ჩაიფიქრე?

2007 წელს უამრავი ცუდი რამ მოხდა, ბევრი პრობლემა გამიჩნდა

— არა, მეოცნებე ნამდვილად არ ვარ. ყოველთვის ვფიქრობ იმაზე, რისი გაკეთებაც შემიძლია.

— საახალწლო კერძებიდან, ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— სიმართლე გითხრა, განსაკუთრებულად არაფერი მიყვარს. უბრალოდ, ვჭამ იმისთვის, რომ შიმშილით არ მოვკვდე.

— ახალი წლისთვის დედას კერძების მომზადებაში არ მოეხმარე?

— როცა შინ ვარ, დედას რაღაც-რაღაცებში ვეხმარები. და კიდევ, როცა ძალიან მშია, კერძის მომზადებას თავადაც ვახერხებ, მაგრამ რაც შეეხება საახალწლო სუფრას, ისეთს ვერაფერს მოვამზადებ, რომ სუფრაზე მისი დადება ღირდეს.

— საახალწლოდ გარდერობი თუ განაახლე?

— ამისთვის სად მეცალა? — გადარბენაზე ვიყავი.

— ახალ წელს სად შეხვდი?

— სამეგრელოში. კერძოდ, ხობში, ღია ცის ქვეშ, კონცერტში ვმონაწილეობდი.

— არ დათვერი?

— საერთოდ, ალკოჰოლის გადაჭარბებული დოზით მიღება არ მიყვარს. ასე რომ, ძალიან არ დავმთვრალვარ. ახალი წლის ღამეს შამპანური ვწრუპე.

„აღმოჩნდა, რომ ოჯახში არანაირი საჭმელი არ მქონდა..."

ნინა წკრიალაშვილი:

— 2008 წელი, შემოქმედებითი თვალსაზრისით, ჩემთვის ძალიან კარგად დაიწყო. უამრავ კონცერტში ვმონაწილეობდი. 31 დეკემბერს ბათუმში გავემგზავრე და ღია ცის ქვეშ ვიმღერე. საერთოდ, ბათუმში ახალი წლის შეხვედრა, ძალიან კარგად მაქვს დაცდილი. ბოლო 4-5 წელია, ამ დღესასწაულს შინ აღარ ვხვდები.

— ნაძვის ხე 31 დეკემბერს მორთე?

— საერთოდ, საახალწლო სამზადისს 20 დეკემბრიდან ვიწყებ და არა მარტო ნაძვის ხეს, არამედ მთელ სახლს ვრთავ. წელს, ჩემს ნაძვის ხეს უამრავი ლამაზი სათამაშო მივუმატე.

— ახალ წელს განსხვავებული იმიჯით შეხვდი?

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქერა ფერის თმას ისე შევეჩვიე, რომ ვეღარ ველევი. წლევანდელ ახალ წელს გამონაკლისი დავუშვი და თმა შევიკარი.

— სხვების მსგავსად, სილამაზის სალონში შენც 2 კვირით ადრე ჩაეწერე?

— იმ სილამაზის სალონში, სადაც თმას ვივარცხნი, „ბლატები" მაქვს და რა დროსაც არ უნდა მივიდე, ყოველთვის ურიგოდ მემსახურებიან. რაც შეეხება მანიკიურს, ამისთვის მართლა 2 კვირით ადრე ჩავეწერე. მოკლედ, 31 დეკემბერს, დილიდანვე საკუთარი თავის მოწესრიგებით ვიყავი დაკავებული, საღამოს კი ბათუმში გავემგზავრე.

— დიზაინერები გვეუბნებიან, რომ წელს მოდური ფერები ნაცრისფერი და შავია. შენ რა ფერის სამოსში შეხვდი ახალ წელს?

— ამ მხრივ ვიაქტიურე და ორივე ფერის კაბა ვიყიდე: ახალი წლის ღამეს ნაცრისფერი ჩავიცვი, მეორე დღეს კი შავი.

— დატვირთული გრაფიკის გამო, ალბათ, საახალწლო სუფრის სამზადისში მონაწილეობა ვერ მიიღე...

— წინა წლებში, როცა ახალ წელს შინ ვხვდებოდი, საახალწლო სუფრისთვის ბევრ რაღაცას თავად ვამზადებდი. მაგრამ ამ ბოლო დროს, დედაჩემი მომზადებულ კერძებს და ტკბილეულს მიგზავნის. შარშან ბევრ კონცერტში მივიღე მონაწილეობა და

ბევრ კონცერტში მივიღე მონაწილეობა და შინ მხოლოდ 2 იანვარს შევედი

შინ მხოლოდ 2 იანვარს შევედი. აღმოჩნდა, რომ ოჯახში არანაირი საჭმელი არ მქონდა. არადა, ძალიან მშიოდა და იძულებული გავხდი, ჩაი დამელია.

— საახალწლო კერძებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— როცა ბევრ კერძს ერთად ვხედავ, რატომღაც ჭამის მადა მეკარგება და მშიერი ვრჩები. ისე, ყველაზე მეტად გოზინაყი მიყვარს.

— ახალი წლის ღამეს სურვილები თუ ჩაიფიქრე?

— კი, ჩავიფიქრე. სხვათა შორის, ამას ყოველ ახალ წელს ვაკეთებ. წინა წელს რაც ჩავიფიქრე, ამრიდა. ვნახოთ, 2008 წელი თუ ამისრულებს თხოვნას. ■

ქართული სუფრის მადლი და თამადა, რომლითაც უცხოელები მოიხიბლნენ

ვის უძღვნის თამადობას და როგორ იმორჩილებს თანამეინახე ქალბატონებს გოგი დოლიძე

2008 წელში ეს „გზის“ პირველი ნომერია. შეძლებისდაგვარად ვეცდებით, თქვენი საახალწლო განწყობილების შექმნაში, მცირეოდენი წვლილი ჩვენც შევიტანოთ. ახალი წლის ღამეს, ქართველების უმეტესობა, ოჯახში, სუფრასთან ხვდება. ქართული სუფრა კი თამადის გარეშე, წარმოუდგენელია. იმაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ჩვენი საახალწლო ნომრის თამადა, დიდხანს არ გვიფიქრია. არჩევანი ყველასთვის საყვარელ კინომცოდნეზე და ჩოხოსან რაინდზე, გოგი დოლიძეზე შევაჩერეთ. საპატიო მისიას მაკისრებთო — გვითხრა და ჩვენთან საუბარი ისე დაიწყო, როგორც სუფრასთან თამადობა.

თამუნა კვინიკაძე

— წარმოიდგინეთ მთებში ჩაფლული პატარა სოფელი, რომელშიც პოლიციის ერთი პატარა „ბუტკა“ დგას. იქ ოფიცერი და სერჟანტი მსახურობენ. დაკავებული პირებისთვის კი სპეციალური სათავსი აქვთ გამოყოფილი. მაგრამ ისე ხდება, რომ მთელი წლის მანძილზე, სოფელში ერთ დამნაშავესაც კი ვერ აკავებენ. იცით, როგორ სრულდება ეს ამბავი?

— **არა და ყურადღებით გისმენთ.**

— ვერც ჩემი თანამეინახენი ხვდებიან. როგორ შეიძლება დასრულდეს და სულგანაბულნი მისმენენ. ერთ დღეს, სერჟანტი ოფიცერთან მიდის და ეუბნება: გავიგე, ერთმა კაცმა, მდინარის მეორე ნაპირზე მდგარ კაცს ქვა ესროლაო. სასწრაფოდ შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ. „დამნაშავე“ და „დაზარალებულიც“ თან იახლეს. აღმოჩდა, რომ მდინარის სიგანე 22 მეტრი, ქვის წონა კი 6 კილოგრამი იყო. „დამნაშავემ“ დანაშაული არ უარყო, ღირსი იყო და ვესროლეო, — განაცხადა. ეჭვი შეეპარათ, ამსიმძიმე ქვას 22 მეტრზე როგორ გადააგდებდაო და მას იმავეს გაკეთება მოსთხოვეს. ჯერ შემაგინოს და მერე ვესვრიო, — მიიღეს პასუხად. „დაზარალებულმა“ ვერ შეაგინა, შესაბამისად, ვერც „დამნაშავემ“ შეძლო 6-კილოგრამიანი ქვის 22 მეტრზე გადაგდება. იცით, რატომ ვერ შეაგინა? — იმიტომ, რომ წინაღამეს ერთად ნაქეიფრები იყვნენ. აი, ეს არის ქართული სუფრის მადლი; ვინ არ დალევს ამ სადღეგრძელოს?!

— **ბატონო გოგი, სიტყვა „თამადა“ საიდან მოდის?**

— ამ სიტყვის წარმომავლობაზე კამათობენ. ზოგს ბერძნული წარმოშობის ჰგონია, ამ აზრს ვეწინააღმდეგები. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში წერია, რომ თამადა ნადიმის ხელმძღვანელს ნიშნავს.

— **როგორი უნდა იყოს კარგი თამადა?**

— თამადას სუფრის „შეკვრა“ უნდა შეეძლოს. მან უნდა იცოდეს, ვინ არიან მისი თანამეინახენი, რა მოსწონთ, რა — არა, რაში აგყვებიან, რაში — არა; დაზვერვითი სამუშაო უნდა ჩაატარო. ზოგს ცეკვა სიამოვნებს, ზოგს სიმღერა ან ლექსის თქმა. სადაც მე ვთამადობ, იქ საოცარი წესრიგია. ჩემი ნებართვის გარეშე, არავის აქვს სუფრიდან გასვლის უფლება. სიგარეტის მოწევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ვინც აშავებს, ვსჯი.

თამადას სუფრის „შეკვრა“ უნდა შეეძლოს

— **როგორი ფორმით?**

— იმ შემთხვევაში, თუ ჩემი თანამეინახე სუფრიდან დაუკითხავად გავიდა და გარკვეული ხნის შემდეგ მობრუნდა, ჩემს მოადგილესთან ერთად, როგორც ცუდი თამადა, ჯარიმას ვსვამ. მერე ის დანაშაულს ხვდება, უხერხულობის განცდა ეუფლება და მთავაზობს, რომ ჯარიმას თვითონაც დალევს. მაგრამ მას ამის უფლებას არ ვაძლევ.

— **სუფრასთან წესრიგის დამყარება ქალბატონებთანაც არ გიჭირთ?**

— ოო! ეს ის საკითხია, რომელსაც ყველაზე ადვილად ვაგვარებ. თუ მათი მხრიდან, უყურადღებობას შევნიშნავ, ვეუბნები, ქალბატონო! მიჩვეული ვარ, რომ ყველა ლამაზი ქალი მე მიყურებს, თქვენ რატომ მაკლებთ ამ სიამოვნებას? იმწამსვე ყველა ჩუმდება. ამ სიტყვების მოსმენით, თავის დოზა სიამოვნებას იღებენ და მერე, ადვილად მემორჩილებიან. ყველაზე კარგი, სუფრის პატარა ჭიქებით დაწყება. პატარა ჭიქას არავინ „იპარავს“. ამ მხრივ ძალიან ვერაგი კაცი ვარ. 7-8 სადღეგრძელოს შემდეგ, სუფრა ეშხში შედის. შეიძლება ითქვას, რომ თამადობის მონაცემები, ყმაწვილკაცობიდანვე მქონდა. თანატოლებთან სუფრებს ხშირად ვუძღვებოდი. ერთხელ მამას ჩემი თამადობისთვის მალულად მოუსმენია. მეორე დღეს მოვიდა და მითხრა: რა არის, კაცო, რას პუტუნებ, ეგ არის თამადობაო?.. გაკვირვებული დავრჩი და ვკითხე, ცუდად მოვიქეცი-მეთქი? თამადის მთავარი დანიშნულება ის არის, რომ სუფრის არც ერთი წევრი უდღეგრძელებელი არ უნდა დაგრჩესო. ეს ის პერიოდი იყო, როცა ჯერ სტალინის, შემდეგ — ბერიას, ბიუროს სადღეგრძელოებს ამბობდნენ. ახალგაზრდებს მეტი არ გვინდოდა და ვთვრებოდით (*იცინის*). დაკვირვებული ვარ, როცა თამადობა არ მიწევს, რამდენიც უნდა დავლიო, ნაკლებად ვთვრები.

— **რატომ?**

— თამადას გონება სულ დაძაბული აქვს, რომ რაიმე არ გამორჩეს. ყოველი სიტყვა უნდა გათვალოს. ეს ადვილი საქმე არ არის. ჩემი მეგობრები („მტრები“ მათ შორისაც ხომ არსებობენ) ამბობენ: თამადად თუ არ დანიშნე, გაიქცევაო. არადა, ეს, ასე

ჩვენ საქმისადმი სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას უნდა მივეჩვიოთ



არ არის. აბა, გაბედე და რომელიმე მათგანს გამართული წვეულების გაძღოლაზე უარი უთხარი, იმ წუთში საყვედურებით აგავსებს. იმის სახლში თუ ითამადე, ჩემთან რაღა გემართებაო.

— თქვენ თამადობის ამბავი, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და ოკეანის გაღმა ქვეყანაში ჩააღწია. როგორ მოხიბლეთ ამერიკელი ჟურნალისტი, ამის შესახებაც მიამბეთ.

— შარშან „ვაშინგტონ პოსტი მეგეზინის“ ჟურნალისტი ბილ თომასი ჩამოვიდა, რომელსაც ქართული სუფრის ფენომენზე, სტატიის დაწერა ჰქონდა დავალებული. მისი მასპინძლობა მე მომანდვეს. იმ დღეებში, „ჩოხოსან რაინდთა დასის“ ერთ-ერთი წევრის — ლევან სიჭინავას დაბადების დღე იყო. თომასი ამ სუფრაზე მივიპატიჟეთ. ყანწიც დავალევინეთ. აღფრთოვანებული იყო, ემოციას ვერ ფარავდა, ფოტოებიც გადავიღეთ. მან ჩვენს სტუმართმოყვარე ქვეყანაზე შემდეგ ვრცელი 11-გვერდიანი სტატია დაბეჭდა „ვაშინგტონ პოსტ მეგეზინში“ (25.03.07), სათაურით — „საქართველოს სადღეგრძელო“.

მე სუფრის გაძღოლა ინგლისურ ენაზეც შემიძლია. საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის თანამშრომელმა ამერიკელმა მოქალაქემ, რომელსაც სტატია ინტერნეტში უნახავს, მთხოვა, რომ ხელშეკრულება გამეფორმებინა და მოწვეულ უცხოელ სტუმრებთან მეთამადა. მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უარი ვუთხარი. ოპერაცია მაქვს ახალი გაკეთებული და ვერ დავლევ-მეთქი. ნუ დალევ, ისე ითამადეო. ავუხსენი, ასეთი რამ საქართველოში არ ხდება-მეთქი. არადა, მისი წინადადება ჩემთვისაც მისაღები და ხელსაყრელი იყო. მამას ერთი შესანიშნავი მეგობარი ჰყავდა, ბიძინა ღოღობერიძე („წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო“ — მუსიკის ავტორი), რომელსაც ქეიფი უყვარდა. ერთ საღამოს სუფრიდან შინ რომ დაბრუნებულა, მეუღლეს საყვედური უთქვამს: რა არის, ასე ხშირად რატომ სვამო? — დღეს რომ არ დამელია, არ გამოდიოდა, მითხრეს, რამდენსაც დალევ, იმდენ თუმნიანს მოგცემთო. აი, შენ 120 მანეთი, 12 ჭიქა დავლიეო. ამის გაგონებაზე მისი მეუღლე უფრო გაცხარებულა — შენ მოისპე, სხვა დროს 20 ჭიქაზე მეტს სვამდი და დღეს რაღა დაგემართაო. მეც ამდაგვარი ამბავი დამემართა, როცა ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი ვთქვი, მეუღლემ მისაყვედურა: სხვა დროს ქეიფში ღამეებს ათენებდი და რაღა ახლა გახდი ცუდადო.

— ყველაზე ბევრი, რამდენი დაგილევიათ?

— ეს იმას ჰკითხეთ, ვისთან ერთადაც დამილევია. 5-6 ლიტრს ვსვამ. ერთხელ ხარაგაულში, ექაურ ცნობილ თამადას, ნოდარ ებანოიძესაც კი ღირსეული მეტოქეობა გავუწიე. 7 ლიტრამდე დავლიე. წლების წინ, გურიაში მივდიოდი სტუმრად. ოჯახის მასპინძელმა მანქანაში 1 ყუთი შამპანური ჩადო. ვურჩიე, ეგ არ გვეყოფა და კიდევ დაამატე-მეთქი. ჩემი ნათქვამი სასაცილოდ არ ეყო. მაშინ გურიაში კარგად ვიქეიფე, თავი არ დამიზოგავს. ჩემს მასპინძელს კი უთქვამს: ერთი გამწლეული კაცია და როგორ ვიფიქრებდი, ამდენის დალევას თუ შეძლებდაო.

ერთხელ საახალწლო საღამოზე კახეთში სტუდენტებთან ერთად ვიყავი წასული. ბუნებრივია, საღამოს დასრულების შემდეგ, კახელები გაგვიმასპინძლდნენ. ჩვეულება მაქვს, ნადიმის ბოლოს, ერთ ჭიქას კართან ვსვამ. ტრადიცია არც იქ დამირღვევია. კიბესთან რომ გამოვედი, იქაც დავლიე; ბოლოს კი, ჭიშკართანაც მოვითხოვე. ჩემი საქციელით გაკვირვებულმა მასპინძელმა მითხრა: შენს სახლშიც თუ ასე სვამ, ღმერთმა შეგარგოს, მაგრამ თავს რატომ იკლავო (*იცინის*).

— კარგ თამადას სადღეგრძელო წინასწარ მოფიქრებული არ უნდა ჰქონდესო, — ამ აზრს ეთანხმებით?

— რა თქმა უნდა. მშობლებს რომ დალოცავ, მეორე სასმისით დედმამიშვილები არ უნდა ადღეგრძელო — არ მოგისმენენ. იმას, თუ რა სადღეგრძელოს სთავაზობ, თანამეინახე ვერ უნდა ხვდებოდეს. ქართული სუფრა მართლა დიდი აკადემიაა. სუფრასთან ყველა პრობლემის გადაჭრა შეიძლება. წარსულში უბრწყინვალესი თამადა იყო შალვა დადიანი, მასზე ლეგენდები დადის. თამადა უპირველეს ყოვლისა, კარგად აღზრდილი, ამოდ მოუბარი უნდა იყოს და ხალხში ვეებერთელა ავტორიტეტით სარგებლობდეს. თითოეულ თანამეინახეს იმ სუფრასთან გატარებული დრო, დაუვიწყარ მოგონებად უნდა უქციოს.

თამადა კარგად აღზრდილი, ამოდ მოუბარი უნდა იყოს და ხალხში ვეებერთელა ავტორიტეტით სარგებლობდეს

— ყველაზე უცნაური სასმისი, რომლითაც დაგილევიათ?

— ლამპის შუშა და ქალის ტუფლი. ლამპის შუშით რეზო ჩხეიძის მამის ხსოვნის სადღეგრძელო დავლიე. რა სასმისითაც არ უნდა ვსვამდე, ნელ-ნელა ვსვამ. ისე ნელა, ზოგს ჰგონია, ვერ დალევსო. ერთხელ, ნატაშას (რამაზ ჩხიკვაძის მეუღლე) დაბადების დღე იყო. სუფრა ერთ-ერთ რესტორანში ჰქონდათ გაშლილი. კონკურსი გამოცხადდა, იმას, ვინც ყველაზე კარგ სადღეგრძელოს იტყოდა, ოდესის ბილეთებით აჯილდოებდნენ. მე შამპანური გავხსენი, ვეებერთელა ვაზაში მთლიანად ჩავასხი და ნატაშას სადღეგრძელო ერთი ამოსუნთქვით დავლიე. რამაზმა იხუმრა, რაღად უნდა ბილეთი, იმდენი გაზები მიიღო, ოდესამდე ისედაც უკვე გაფრენილიაო.

— ქალი და ქართული სუფრა...

— (*მაწყვეტინებს*) ქალის გარეშე სუფრას ეშხი არა აქვს. ჩვენ ხომ ყველაფერს თქვენთვის ვაკეთებთ. ნადიმის დროს არაერთ ქალბატონს გამოვტყდომივარ, რომ ჩემი თამადობა, მას მივუძღვენი. ამას გაგრძელებებიც მოჰყოლია, ქალის გულის მოსაგებად, ათასი ხერხი არსებობს. კარგი ახლა, ქალებზე ნუ მალაპარაკებთ.

— ასე ორი სიტყვის თქმა რომ არ შეგფერით...

— (*იცინის*) თქვენ იცით, რატომ მიიწვია ნატო ვაჩნაძე ალექსანდრე წუწუნავამ ფილმში „ვინ არის დამნაშავე?“ მისი თვალებიდან ქართველი ქალის სხივი მოდიოდაო. მე ამ სხივის სადღეგრძელოს, ყოველთვის ვსვამ.

— ქალ თამადებს თუ იცნობთ?

— თამადობა არ არის ქალის საქმე. არ მომწონს, ჩვენ მათ უნდა მოვეფეროთ, ვეთაყვანოთ, ლექსები ვუძღვნათ. ერთხელ მანდილოსანს ექსპრომტად ვუძღვენი: „შენ ჯერ მომწონხარ, მერე მიყვარხარ, თანაც მიყვარხარ ისე ძლიერად, რომ რაც მივქარე, რასაც მივქარავ, სულ ყველაფერი მეპატიება“. როგორია?

— კარგია. წინასწარ თავიც დაგიზღვევიათ. წლის ამ პირველ დღეებში რა სადღეგრძელოს ეტყოდით ქართველ ხალხს?

— ჩვენ საქმისადმი სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას უნდა მივეჩვიოთ. ერთმანეთის გვერდით დგომა და პატივისცემა ვისწავლოთ. ყველა საქმე, უდიდესი პასუხისმგებლობით ვაკეთოთ. რადგან უჩვენოდ არ აეწყობა ის დიდი საქმე, რასაც სახელმწიფო ჰქვია.

„ენერგიულო" თოვლის ბაბუა და ბუზრიჯან ნამოყვანილი ნაშუბი

„მეც მაქვს რაღაც კომპლექსები და სხვათა შორის, არცთუ ისე ცოტა", — მითხრა თიკა ფაცაციამ, რომელიც ახალი წლის დღეებში ძალიან დაკავებული გახლდათ და იმისთვისაც კი ვერ მოიცალა, რომ კერძები მოემზადებინა. როცა თიკას კომპლიმენტებით ავსებენ ან აკრიტიკებენ, ცდილობს, არ გაწითლდეს, მაგრამ ეს არ გამოსდის.

„ათი წლის წინ გავთხოვდი და მაშინ სხვანაირად ვამროვნებდი..."

ლიკა ქაჯაია

— თიკა, რა ხდება შენკენ ახალი? როგორც ვიცი, ერთ-ერთ სიმღერაზე კლიპს იღებდი...

— ჰო, მაგრამ ეს საქმე ცოტა ხნით გადავდე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ საახალწლო კლიპი გადავიღე.

— კლიპი რომელ სიმღერაზე გადაიღე და ვინ არის მისი რეჟისორი?

— ეს კლიპი ახალ სიმღერაზე გადავიღეთ, რომელსაც „ამ ახალ წელს" ჰქვია. მას ერთი კონკრეტული რეჟისორი არ ჰყავს. მის გადაღებაზე ჩემმა სამეგობრომ იზრუნა და შესაბამისად, მეგობრული კლიპი გამოგვივიდა.

— ახალ წელს სად შეხვდი?

— მერიის წინ გამართულ კონცერტზე, სადაც შევასრულე ძველი ქართული სიმღერა — „თოვლი მოდის", ოღონდ, გარემოქცეული ვარიანტი.

— შენს საახალწლო იმიჯზე ვინ იზრუნა?

— დათუნა სულიკაშვილმა. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ ძალიან ლამაზი, ვერცხლისფერი კომბინეზონი მეცვა.

— საახალწლო სუფრისთვის კერძები თავად მოამზადე?

— ვაიმე, ვერა. ამისთვის დრო ვერ გამოვნახე და ამიტომაც, გოზინაყიც კი შევიძინე.

— თიკა, როგორი უნდა იყოს თავისუფალი ადამიანი?

— თავისუფალია ადამიანი, როცა ის საკუთარი თავის ბატონ-პატრონია, არავის ზემოქმედების ქვეშ არაა და აკეთებს იმას, რაც სურს.

— თავისუფლება უკომპლექსობასთან ასოცირდება?

— გარკვეულწილად, კი, მაგრამ შეიძლება, ადამიანი თავისუფალი იყოს და ამავე დროს, რაღაც კომპლექსი ჰქონდეს.

— შენ უკომპლექსო ადამიანი ხარ?

— არა, რა თქმა უნდა, მეც მაქვს რაღაც კომპლექსები და სხვათა შორის, არცთუ ისე ცოტა.

— იქნებ, რომელიმე მაინც დამისახელო...

— ვაიმე, ასე უცებ ვერ გავიხსენებ (*ფიქრობს*)... იცი, მეშინია რისკზე წასვლის, საკუთარ თავზე გარკვეული პასუხისმგებლობის აღება მიჭირს. ისე, ეს უფრო შიშია, ვიდრე კომპლექსი.

— რატომ გეშინია? ხომ გაგიგონია, — ვინც არ რისკავს, შამპანურს ვერ დალევსო.

— ჰო, მაგრამ ჩემი ქმედებით არ მინდა, ვინმეს ზიანი მივაყენო და ამით, თავისუფლებას გარკვეულწილად, ვიზღუდავ. ზოგჯერ ძალიან მინდება, რაღაც გავაკეთო, მაგრამ უკან ვიხევ.

— ამბობენ, რომ კლუბებში, კონცერტებზე უფრო თავისუფალი ხარ, ცხოვრებაში კი — მეტად თავშეკავებული. ამ მოსაზრებას ეთანხმები?

— იცი, რაღაც დოზით, ეს სიმართლეს შეესაბამება. მუსიკა ყველანაირი კომპლექსისგან მათავისუფლებს. როცა ვმღერი ან ვინმეს ვუსმენ, უფრო ლაღი ვხდები... ყველგან ერთნაირად ვერ მოიქცევი და ამიტომაც, წვეულებაზე, შეხვედრაზე შედარებით თავშეკავებული ვარ. მოკლედ, იმის მიხედვით ვმოქმედებ, თუ როგორ სიტუაციაში ვარ. ადამიანს რაღაც კომპლექსი უნდა ჰქონდეს, რომ არ გაგიფრინოს. ხომ გაგიგონია, — გიჟი თავისუფალიო. როცა ადამიანი საღად აზროვნებს, ბოლომდე თავისუფალი ვერ იქნება. არსებობს ისეთი რაღაცები, რაც სრულ ჭკუაზე მყოფმა არ უნდა გააკეთოს.

— კომპლიმენტი, კრიტიკა, ჭორი — ამ ყველაფრის მიმართ როგორი რეაქცია გაქვს?

— კომპლიმენტი მსიამოვნებს. რაც შეეხება კრიტიკას, გააჩნია, ვინ მაკრიტიკებს: თუ ისეთი ადამიანი მაძლევს შენიშვნას, ვინც მიყვარს, ამას აუცილებლად გავითვალისწინებ, მაგრამ როცა უსაფუძვლოდ მაკრიტიკებენ, ეს მაღიზიანებს. აი, ჭორზე კი არანაირი რეაქცია არ მაქვს.

— ანუ „ბკიდია", რას იტყვიან შენზე?

— იცი, ამ სიტყვის გამეორება არ შემიძლია, ესეც მაკომპლექსებს... ხალხის მოგონილ ამბებს ყურადღებას არ ვაქცევ.

— სლენგს, ქუჩურ სიტყვებს არ იყენებ?

— მაქსიმალურად ვცდილობ, ამისგან თავი შევიკავო.

— რამ შეიძლება გააწითლოს თიკა ფაცაცია?

— ალბათ, ზედმეტმა ქებამაც და კრიტიკამაც. ამ დროს ვცდილობ, თავი შევიკავო, მაგრამ არაფერი გამომდის, მაინც ვწითლდები.

— როგორ ფიქრობ, შეყვარებულმა წყვილმა ქორწინებამდე ერთად უნდა იცხოვროს?

— დღეს უკვე ისეთი დროა, რომ მსგავსი რამ აღარ მეუცხოება. ვფიქრობ, ამას თავისი პლუსი აქვს.

— რას გულისხმობ?

— ამ შემთხვევაში, რაღაც შეცდომებისგან დაზღვეული ხარ და ოჯახიც უფრო მყარი იქნება.

— მაგრამ შენ ასე არ გაგიკეთებია...

— იცი, რა, მე ათი წლის წინ გავთხოვდი და მაშინ სხვანაირად ვაზროვნებდი.

— ჩაცმის სტილში რაიმე თუ გაკომპლექსებს?

— არა, ამ მხრივ მთლიანად თავისუფალი ვარ. უბრალოდ, არის რაღაცები, რასაც არ გავაკეთებ — მაგალითად, საცურაო კოსტიუმში ჟურნალისთვის ფოტოს არ გადავიღებ.

— იმიტომ, რომ შეიძლება, ეს ოჯახის წევრებს არ მოეწონოთ.

— ჰო, ეგეც არის და თანაც, გაშიშვლება არაფერში მჭირდება.

— კარგი, მაშინ, როგორ ფიქრობ — რატომ შიშვლდებიან გოგოები ფოტოკამერების წინ?

— იმიტომ, რომ ეს სიამოვნებას ანიჭებთ, ამაში გარკვეულ თანხას იღებენ და ა.შ.

— საცურაო კოსტიუმში სურათს არანაირი თანხის გამო არ გადაიღებ?

— ოოო, არ ვიცი, თანხას გააჩნია (*იცინის*).

— მაგალითად, 500 დოლარისთვის.

— არა, ნამდვილად არა.

— კარგი, 5.000 დოლარისთვის.

— არც ამ თანხისთვის (*იცინის*). ჩემს თავს უფრო ძვირად ვაფასებ.

— 50.000?

— ეგ კარგია. ალბათ, გადავიღებდი.

— ალბათო, — ამბობ ანუ მაინც დაფიქრდებოდი?

— რა თქმა უნდა, დავფიქრდებოდი.

— საახალწლო ცრურწმენების თუ გჯერა?

— რაღაცებს ვითვალისწინებ, მაგრამ მაგიდის ქვეშ არასდროს შევმძვრალვარ (*იცინის*).

— ვთქვათ, ზიხარ საახალწლო სუფრასთან. ჯერ 12 საათი არ შესრულებულა და გეუბნებიან: თიკა, თუ შენ მაგიდაზე ახვალ და ცეკვას დაიწყებ, სურვილი აგისრულდებაო...

— ავალ!

— მიუხედავად იმისა, რომ იქ უცხო ადამიანებიც იქნებიან?

— მერე რა?! თუ მომცემენ იმის გარანტიას, რომ სურვილი ამისრულდება, მაგიდაზე ასვლა და ცეკვა რა პრობლემაა?..

— თიკა, თოვლის ბაბუა არსებობს?

— სამწუხაროდ, ამის აღარ მჯერა.

— ადრე ხომ გჯეროდა?

— კი და სხვათა შორის, საკმაოდ დიდხანს მჯეროდა.

— თოვლის ბაბუა რას გჩუქნიდა ხოლმე?

— აღარ მახსოვს. ეტყობა, ისეთი დასამახსოვრებელი არაფერი მოუტანია. ერთადერთი, ის მახსოვს, რომ დედაჩემს ჰქონდა კალამი, რომელიც ძალიან მომწონდა. ჰოდა, ახალი წლის ღამეს, ჩემი საჩუქრების პარკში სწორედ ეს კალამი აღმოვაჩინე. ძალიან გამიხარდა, რომ ის უკვე ჩემი იყო, მაგრამ გულიც დამწყდა, რადგან მივხვდი, რომ ეს საჩუქარი თოვლის ბაბუას არ მოუტანია.

— წელს ალბათ, მეუღლემ გაგიწია თოვლის ბაბუის მაგივრობა...

— მეუღლე მეუღლის მაგივრობას გამიწევს (*იცინის*).

— ვთქვათ, მოხდა ასეთი რამ: ახალი წლის ღამეს, კონცერტიდან დაბრუნებულს, შინ თოვლის ბაბუა დაგხვდა, რომელსაც ნაშები ჰყავს ამოყვანილი...

— ანუ თოვლის ბაბუა „სნეგურორჩკებითურთ“ (*იცინის*)?

— არა, ნაშებით.

— ეგ როგორ? ბინაში როგორ შევიდოდნენ?

— ბუხრიდან ჩამოვიდნენ.

— იცი, ბუხარი არა მაქვს და შესაბამისად, ვერ შემოვიდოდნენ. თუ მაინც შემოვიდნენ, დავიწყებ იმის გარკვევას, თუ ვინ გაუღო მათ კარი და „კალთებს დავიხევ“ (*იცინის*). მათ მოვთხოვ, სასწრაფოდ დატოვონ ჩემი ბინა.

— და ქმარს არაფერს ეტყვი?.

— რა უნდა ვუთხრა?! საახალწლო კონცერტზე ჩემი ქმარი აუცილებლად ჩემთან ერთად იქნებოდა.

— ვთქვათ, მოხდა ისე, რომ ის შინ დარჩა.

— ახლა რას მეუბნები, ქმარს ღალატის დროს შევუსწარი (*იცინის*)?

— არა, უბრალოდ, „უნამუსო“ თოვლის ბაბუამ ნაშები ამოუყვანა და შენმა მეუღლემ სტუმრები ვერ გაყარა.

— რას მეუბნები, ბაბუამ ნაშები საჩუქრად მოუყვანა?.. ქმარს ვეტყვი, რომ ეს პრობლემა მოაგვაროს (თუ ამას პრობლემა ჰქვია) და სიტუაციიდან გამოსავალი იპოვოს.

— დაბოლოს, გაიხსენე ახალი წელი, რომელმაც ყველაზე მეტად დაგამახსოვრა თავი.

— რა ვიცი, ასეთი გამორჩეული ახალი წელი არ მქონია. თითოეული წლის დადგომას თავისი ხიბლი ჰქონდა, მაგრამ საუკეთესო წინ მელის.

— ახალი წლის საღამოს თოვლის მოსვლას არ ნატრობ ხოლმე?

— არა, რადგან ზამთარი არ მიყვარს.

— არც გუნდაობა გიყვარს?

— ერთადერთი, თხილამურებზე დგომა მიყვარს. ■

საშობაო ტკაცუნა იუბილარია

ერთ-ერთ ყველაზე კაშკაშა და ხმაურიან საბავშვო გასართობს — საშობაო ტკაცუნას 160 წელი უსრულდება. ეს სასაჩუქრე შეკვრის მსგავსი, მოგრძო ფორმის მქონე ტკაცუნა, სულ რამდენიმე საშობაო ატრიბუტთაგანია, რომელთაც რაიმე განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია და დღემდე, არნახული პოპულარობით სარგებლობს. ბევრი ბრიტანული ფაბრიკა დღემდე, ძველი ყაიდის ტკაცუნებს უშვებს და მთელ მსოფლიოშიც წარმატებით ყიდის. საერთოდაც, მიჩნეულია, რომ ტკაცუნა პირველად სწორედ ბრიტანელებმა შემოიღეს. კერძოდ, 1847 წელს, შობამდე რამდენიმე დღით ადრე, პარიზში ჩასულმა სახელგანთქმულმა ბრიტანელმა კონდიტერმა თომას სმიტმა დააფიქსირა, თუ მისი ფრანგი კოლეგები ნუშიან ტკბილეულს სადღესასწაულო შესახვევ ქაღალდში როგორ ახვევდნენ. ამ პატარა ტკბილმა შეკვრებმა მალე ბრიტანეთშიც მოიკიდა ფეხი. 13 წლის შემდეგ კი, ისევ თომას სმიტმა საზოგადოებას შესთავაზა სათამაშო, რომელსაც საკონდიტრო ნაწარმის ფორმა ჰქონდა, გახსნისას ტკაცანის ხმას გამოსცემდა, ნაპერწკლებს ყრიდა, შიგნით კი მის პატრონს რაიმე სახალისო სიურპრიზიც ხვდებოდა. ამჟამად, ნებისმიერი ფორმისა და ზომის ტკაცუნები იყიდება, თუმცა ძველებური „სასაჩუქრე შეკვრები“ ბავშვებსაც და მოზრდილებსაც ისევ გამორჩეულად უყვართ. ■

ყველაზე გავლენიანი ბავშვები



ინგლისურმა ჟურნალმა — Forbes მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ბავშვების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომლის პირველ ხუთეულში ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის 3 (მათგან 2 — აყვანილი) შვილი შევიდა. რეიტინგში (რომელშიც მხოლოდ 5 წლამდე ასაკის ბავშვები მონაწილეობდნენ) პირველი, ჯოლისა და პიტის ერთი წლის ღვიძლი ქალიშვილი შილო აღმოჩნდა. მეორე ადგილზე ჰოლივუდის კიდევ ერთი ვარსკვლავური წყვილის — ტომ კრუზისა და მსახიობ კეტი ჰოლმსის გოგონა, სური კრუზი გავიდა. მესამე და მეხუთე ადგილები ისევ ჯოლი-პიტის შვილებმა — ზახარამ და პაქსმა დაისაკუთრეს. რეიტინგ-

ის პირველი ხუთეული ბრიტნი სპირსისა და კევინ ფედერლაინის ვაჟმა, შონ პრესტონ ფედერლაინმა დააგვირგვინა. მეექვსე ადგილზე გოლფისტ ტაიგერ ვუდსის ვაჟი სემ ალექსის ვუდსი, მეშვიდეზე კი — მადონასა და გაი რიჩის აყვანილი შვილი, დევიდ ბანდა გავიდნენ. მერვე ადგილი, 2007 წლის დასაწყისში გარდაცვლილი, „პლეიბოის“ ვარსკვლავის ანა ნიკოლ სმიტის ქალიშვილს ერგო, მეცხრე კი — ვიქტორია და დევიდ ბექჰემების შვილებმა — ტაი, რომეო და კრუზ ბექჰემებმა გაიყვეს. ■

ყველაზე გავლენიანი ბიზნესმენი

ჟურნალმა Fortune-მ გამოაქვეყნა 25 ყველაზე წარმატებული ბიზნესმენის სია, რომელშიც ამერიკელი, იაპონელი, ინდოელი და სხვა ქვეყნების ბიზნესმენებიც შევიდნენ. რეიტინგის პირველ ათეულს კომპანია Apple-ის დამფუძნებელი სტივ ჯობსი უდგას სათავეში. ექსპერტთა აზრით, მან წარმატებას ხუთ დარგში: კომპიუტერულ და ფიჭური ტელეფონების სფეროებში, კინემატოგრაფში, მუსიკალურ ინდუსტრიასა და საცალო ვაჭრობაში მიაღწია. მეორე ადგილზე აღმოჩნდა მედიაკორპორაცია News Corporation-ის აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, 76 წლის რუპერტ მერდოკი, რომელიც საკუთარ იმპერიას 1953 წლიდან ქმნის. მესამე პოზიციაზეა საინვესტიციო ბანკ Goldman Sachs-ის აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ლოიდ ბლანკფეინი. მეოთხე ადგილი კომპანია Google-ის აღმასრულებელ დირექტორ ერიკ შმიტსა და კომპანიის ორ დამფუძნებელს — ლარი პეიჯსა და სერგეი ბრინს ერგოთ. ცნობილი ფილანთროპი და ფინანსისტი უორენ ბაფეტი მეხუთე ადგილზე გავიდა. მეექვსეზე ნავთობის კონცერნ Exxon Mobil-ის აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე რექს ტილერსონია. მხოლოდ მეშვიდე ადგილს დასჯერდა კორპორაცია Microsoft-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ბილ გეიტსი. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს, ისიც აღინიშნოს, რომ გეიტსი ამჟამად სულ უფრო მეტ დროს მისი და მეუღლის მიერ შექმნილ საქველმოქმედო ფონდს უთმობს. მერვე ადგილზეა კომპანია General Electric-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი ჯეფ იმელტი. სიაში შესული ყველაზე გავლენიანი იაპონელი — კომპანია Toyota-ს პრეზიდენტი კაცუაკი ვატანაბე მეცხრე აღმოჩნდა. რეიტინგის პირველ ათეულს კი, Proqter end Gamble-ის აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ალან ლაფლი ასრულებს. ■

2008 წელს პროდუქტების ფასები გაიზრდება

გაზეთ Financial Times-ის პროგნოზების თანახმად, 2008 წელს კვების პროდუქტების საგრძნობი გაძვირებაა მოსალოდნელი. საინვესტიციო ბანკ Credit Suisse-ის სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ პროდუქტების სწრაფი გაძვირება კიდევ 3-5 წლის მანძილზე მაინც გაგრძელდება. 2007 წლის განმავლობაში მსოფლიო ბაზრებზე ხორბლის ფასი გაორმაგდა, რეკორდი მოხსნა სიმინდისა და ბრინჯის ფასებმაც. 10 დეკემბრის მდგომარეობით, რუსეთში სამომხმარებლო ფასების ზრდამ 11,1% შეადგინა. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორმა რუსლან გრინბერგმა კი სურსათზე ფასების ზრდა 2007 წლის ერთ-ერთ მთავარ მოვლენადაც კი დაასახელა. გრინბერგის აზრით, ეს ზრდა სხვადასხვა ფაქტორით — მაგალითად, ცუდი მოსავლით. გარდა ამისა, სწრაფად მზარდი ეკონომიკების ქვეყნებში — მაგალითად, ჩინეთსა და ინდოეთში საშუალო კლასი და შესაბამისად, იმ ადამიანების რიცხვიც იზრდება, რომლებმაც უკეთესი პროდუქტებით კვება დაიწყეს.

„თუმცა საქმე არც ისე ცუდადაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს, — მიაჩნია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ხორბლის სპეციალისტს რაზა აბასიანს. — მოთხოვნის ზრდის პრობლემა დროებითია, რადგან ბაზარი ჯერაც ბიოსათბობზე გაზრდილ მოთხოვნასთან შეგუების პროცესშია. ეს ახალი მოვლენაა, მაგრამ ბაზარი მას თანდათან და სწორედაც რომ ბიოსათბობის საჭიროებებისთვის მარცვლეულზე მოთხოვნის გაზრდით დაარეგულირებს“. და მაინც, იმავე გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პროგნოზით, 2016 წლისთვის ხორბალი ბოლო 6 წელთან შედარებით, 21%-ით, ბრინჯი — 37%-ით, კარაქი — 43%-ით, ხოლო ყველი 33%-თ მეტი ეღირება. ■

„ᲡᲘᲜᲘᲔ ᲥᲕᲔᲚ“, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

როგორ ემზადება ახალი წლის შესახვედრად ქართულ-ჩინური ოჯახი საქართველოში? — ამის გასარკვევად, შარდენის ქუჩაზე მდებარე ჩინურ რესტორანს მივაკითხე, რომლის მეპატრონე — ჩინელი იუ ჰუა, იგივე სტივი გახლავთ, მეუღლე კი — ქართველი სალომე მელთაური ჰყავს. ინტერვიუს ჩასაწერად მისულმა შევიტყვე, რომ იუ ჰუა თურმე საქართველოში არ იმყოფებოდა და ამიტომაც, მხოლოდ სალომე ჩავწერე, რომელსაც ჩინური საახალწლო ტრადიციების შესახებ ვესაუბრე.


ქართულ-ჩინური ოჯახი

ანუ ქართულ-ჩინური ოჯახის ორი საახალწლო ზეიმი და ლობიო – გოზინაყის ნაცვლად

ᲗᲝᲠᲜᲘᲙᲔ ᲧᲐᲧᲠᲘᲛᲕᲘᲚᲘ

— როგორ ემზადებით განსხვავებული ტრადიციების მქონე ორი ადამიანი ერთ ოჯახში ახალი წლის შესახვედრად?

— რადგან საქართველოში ვიმყოფებით, ახლა ქართული ტრადიციის მიხედვით ვემზადებით: ვრთავთ სახლს საახალწლო მოსართავებით, ნაძვის ხეს ვდგამთ, ვემზადებით გოზინაყის მოსამზადებლად.

— რა განსხვავებებია ჩინურ და ქართულ ახალ წელს შორის?

— ქართული ახალი წელი ქრისტეს დაბადებას (25 დეკემბერი, ძვ. სტ. 7 იანვარი) უკავშირდება და იანვარში ვდღესასწაულობთ. ჩინური ახალი წელი კი — გაზაფხულის დადგომიდან იწყება.

— როგორ ხვდებიან ჩინელები ახალ წელს?

— ჩინელები ახალ წელს ძალიან ხმაურიანად, ზარ-ზეიმით, თან ოჯახის სრული შემადგენლობით ხვდებიან. ყველა მაქსიმალურად ცდილობს, დაბრუნდეს ოჯაში, თუ ქალაქიდან ან ქვეყნიდანაა წასული, რომ ერთად შეხვდნენ ახალ წელს. ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი შუშხუნით, დიდი ხმაურის გამომცემი, სხვადასხვაგვარი დასარტყამი ინსტრუმენტით შეხვდნენ, რათა ავი სულები და ბოროტი აურა არ გადაჰყვეთ ახალ წელიწადში — ანუ ხმაურმა შეაშინოს და გასულ წელში დატოვოს ისინი... ჩვეულებრივად, ჩვენსავით, 12 საათზე ხვდებიან, ერთმანეთს ულოცავენ. მეორე დღეს, ისევე, როგორც ჩვენში, ნათესავებთან და ახლო მეგობრებთან სტუმრად მიდიან.

— როგორია ჩინელების საახალწლო სუფრა?

— არც ისეთი მრავალფეროვანი სუფრა აქვთ. საახალწლოდ აუცილებლად ამზადებენ თევზს და პელმენს. მათი საახალწლო სუფრა, ფაქტობრივად, ამით შემოიფარგლება.

— ტკბილეული არა აქვთ?

— მათი ტკბილეული ძალზე განსხვავდება ჩვენი ტკბილეულისგან. შეიძლება, ტკბილი ლობიო, ფაფა ან რაღაც ცომეული მოამზადონ, რომელშიც მწვანე ბარდა ან რაღაც მსგავს პროდუქტს დებენ, რომელიც ჩვენთვის ძალზე უჩვეულოა.

— ნაძვის ხე თუ აქვთ?

— არა, ნაძვის ხეს არ დგამენ.

— რა სასმელია საახალწლო სუფრაზე?

— ჩაი და უფრო — არაყი. თანამედროვე ჩინეთში თანდათან ფეხს იკიდებს ღვინის კულტურა, მაგრამ ადამიანთა უმეტესობა ჯერ კიდევ ძველი ტრადიციების მიმდევარია.

— თამადობის მაგვარი ინსტიტუტი ხომ არ აქვთ?

— არა, თამადა არ ჰყავთ. უფრო, თავისუფალი სუფრა აქვთ — ვისაც რისი თქმის სურვილი უჩნდება, იმ სადღეგრძელოს ამბობს.

— თქვენს ოჯახს ახალ წელს მეკვლე თუ ეყოლება?

— კი, აუცილებლად ეყოლება.

— ქართველი თუ ჩინელი?

— ალბათ, უფრო, ჩინელი.

— საჩუქრების მიძღვნის ტრადიცია თუ აქვთ?

— კი. მეგობრები უძღვნიან ერთმანეთს საჩუქრებს. წითელ კონვერტსაც მიართმევენ, რომელსაც ხუმბაო ჰქვია. მას ხშირად, ბავშვებს ჩუქნიან, შიგ ფულს დებენ და მერე მშობლები ამ ფულით მათ საჩუქრების შერჩევაში ეხმარებიან.

— რას ნიშნავს „ხუმბაო“?

— „ხუმ“ — წითელს ნიშნავს, „ბაო“ — ჩანთასაც, კონვერტსაც და ჯიბესაც.

— რა კერძები დაამშვენებს თქვენ ოჯახის საახალწლო სუფრას?

— ჩვენ ალბათ, რესტორანში შევხვდებით ახალ წელს და კერძებიც შერეული იქნება — გოზინაყიც იქნება, ჩურჩხელაც, პელმენიც და თევზიც.

— სასმელი?

— სასმელიც შერეული იქნება, რაღა თქმა უნდა.

— პირადად თქვენ წელიწადში ორ ახალ წელს აღნიშნავთ — 31 დეკემბერს და 18 თებერვალს. ისევითვე განწყობილებით ხვდებით ჩინურ ახალ წელს, როგორითაც ქართულს?

— ალბათ კი, იმიტომ, რომ ისეთივე ემოციური დატვირთვა მოჰყვება, როგორიც ქართულს. ჩინური ახალი წლისთვისაც ძალზე დიდი სამზადისი გვაქვს ხოლმე ყოველთვის.

— როგორ გაიცანით თქვენი მომავალი მეუღლე?

— ჩინურ რესტორანში ვმუშაობდი მიმტანად, რომლის ხშირი სტუმარი იყო სტივი. ზუსტად ორწელიწად-ნახევარში სამუშაოდ თავის რესტორანში გადამიყვანა. ორი წლის შემდეგ კი ვიქორწინეთ. ოთხ წელზე მეტია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ.

— ქართული სუფრის ტრადიციებიდან, თქვენს მეუღლეს რომელი მოსწონს?

— თამადის ტრადიცია მოსწონს ძალიან და ხშირად ირჩევენ კიდეც ჩემი მეგობრები თამადად. უკვე კარგად იცის თამადობა, ასწავლეს.

— ალბათ, ქართული ენაც კარგად იცის, ხომ?

— სადღეგრძელოები კარგად იცის, მაგრამ ლაპარაკი უჭირს.

— დაბოლოს — როგორ არის ჩინურად „გილოცავთ ახალ წელს“?

— „სინიე ქველ“. ■

ახალი წელი - დღესასწაულთა მეფე

აი, ახალი წელიც დადგა... ბევრი ჩვენგანი 31 დეკემბრის ღამეს ჩვეულებრივი ცდუნების წინაშე დგება და ახალი წლის პირველსავე დღიდანვე, საკუთარ თავს სრულიად ახალ ცხოვრებას ჰპირდება. სტანდარტულ საახალწლო სურვილებში, პირველ რიგში იგულისხმება, რომ ყველაფერი ცუდი და უსიამოვნო ძველ წელს გავატანოთ და 1-ელი იანვრის ღამეს იმედითა და ნატვრით შევხვდეთ.

როგორ ჩაიარა კიდევ ერთმა წელმა? საბედნიეროდ, ჩვენი აუხდენელი თუ ასახდენი ოცნებების სიაში სიყვარული ყოველთვის პირველ ადგილს დაიკავებს. ასეა — უსიყვარულოდ ცხოვრება უინტერესოა — თუნდაც ტკივილიანი, უპასუხო სიყვარულიც კი სჯობს მის არარსებობას. გსურთ, თქვენი სასიყვარულო ურთიერთობა დამდეგი წლიდან უფრო იღბლიანი იყოს? მაშინ გირჩევთ ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინოთ.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ ახალი წლის შესახვედრად მხოლოდ გოზინაყი, საცივი და შამპანური არ კმარა. ეს ყველაფერი რომ შეირგოთ, სასურველია, სადღესასწაულო განწყობილება შეიქმნათ და იგი არა მარტო საახალწლო ღამეს, არამედ რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნოთ. თუმცა, ჩვენში ხომ ერთის მაგივრად ორი ახალი წელია და თუკი 1-ელი იანვრის ღამეს არცთუ სახარბიელო განწყობილებით შეხვდით, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ გაქვთ.

თურმე ჩვენი მხიარულება — სიცილი, ცეკვა თუ სიმღერა, არც მეტი და არც ნაკლები, ქიმიურ ნივთიერებაზე — ენდორფინზე ყოფილა დამოკიდებული. ეს ნივთიერება კი ტვინმა რომ გამოყოს, მისი პროვოცირებაა საჭირო.

როგორ შეიქმნათ საზეიმო განწყობილება

საამისოდ, პირველ რიგში, უნდა იცოდეთ, რა ცვლილებები ხდება ადამიანის ორგანიზმში, როცა ის კარგ ხასიათზეა. ამ დროს ტვინი გამოყოფს ორგანულ ნივთიერებას. ე.წ. ენდორფინს, რომლის ზემოქმედება აისახება ადამიანის გარეგნობაზე, ქცევაზე და ა.შ. ამის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგალითად, უსაყვარლესი ადამიანის დანახვა, საქმეში წარმატება, ფულის მოგება... თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ ადამიანს მაინც ეცვლება მიმიკა, საუბრის მანერა, გულის ცემის რიტმიც კი. რა ხდება? — შესაძლოა, ეს სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვანაირად ახსნას. სინამდვილეში კი ტვინმა ორგანიზმისთვის ნარკოტიკის მსგავსი ნივთიერების (ენდორფინის) მიწოდება შეწყვიტა და შესაბამისად, ამაღლებული განწყობილებაც გაქრა. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ კარგი გუნება შევინარჩუნოთ? — აუცილებელია ახალი „გამაღიზიანებლის“ მოძებნა და ეს ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რადგან ჩვენს ორგანიზმში „ნარკოტიკის“ გამოყოფას ჩვენვე ვაკონტროლებთ. ერთი სიტყვით, ჩვენს კარგ ხასიათზე ყოფნის პროვოცირება ჩვენსავე ხელშია. ეს რომ გამოგვივიდეს, პირველ რიგში, კარგად უნდა ვიცნობდეთ საკუთარ თავს. მაშ ასე, ენდორფინი გამოიყოფა, როცა: ადამიანს რაღაცის მიმართ ინტერესი აქვს, როცა სიახლის მოლოდინშია, როცა სასიამოვნო ამბის გაგებას ესწრაფვის, როცა რაღაც ახალს გეგმავს და სიტუაციის ბატონ-პატრონია; როცა მიზნისკენ მიმავალ გზაზე აქტიურობს და პიროვნული ზრდის მოთხოვნილება აქვს.

ფერები, მელოდია და მუსიკა

რომელი ფერი როგორ მოქმედებს ადამიანზე, ეს ზოგადად ცნობილია, მაგრამ შეიძლება კონკრეტულ ადამიანთან ზოგადი პრინციპები არ გამოდგეს. მაგალითისთვის, სადღესასწაულო განწყობილება ასოცირდება ღია ფერებთან, ენერგიულობა — წითელთან, თეთრი — სისუფთავესთან. თუმცა არ არის გამორიცხული, იგივე წითელი ფერი ვინმეში უარყოფით ემოციას იწვევდეს, ვინაიდან უსიამოვნო ამბავს აგონებდეს.

რაც შეეხება მუსიკას, აქაც ზუსტად იგივე რამ ხდება. არსებობს მელოდიები, რომლებიც კარგ განწყობილებას მომენტალურად უზრუნველყოფს და — პირიქით. დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ დადებითი ემოცია შეიძლება ისეთმა მელოდიამაც შეგვიქმნას, რომელიც ზოგადად მხიარულებასთან არ ასოცირდება. ის სიმღერა კი, რომელიც ადამიანის ცხოვრების საუკეთესო პერიოდს უკავშირდება, მასზე ყველაზე დადებით გავლენას ახდენს. რაც შეიძლება ხშირად მოუსმინეთ თქვენს საყვარელ სიმღერებს და უპირატესობა მიანიჭეთ იმ ფერებს, რომლებიც ენდორფინის გამოყოფაში ნამდვილად დაგეხმარებათ.

დღესასწაულთა მეფე

ერთ-ერთი დღესასწაული, რომლის მოახლოება ნებისმიერ ადამიანს ახალისებს, ახალი წელია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალ წელს აქვს თავისი რიტუალური მხარე (ნაძვის ხის მორთვა, გოზინაყის, საცივის მომზადება, ახლობლებთან სტუმრობა და მოლოცვა...), რომელთა შესრულება დადებითი განწყობილების თანხლებით ხდება.

ახალი წლის დღესასწაულს „ავტომატურ რეჟიმში“ კარგ ხასიათზე მოჰყავს ადამიანი — ანუ არავინ სვამს კითხვას: რატომ უნდა ვიყო მხიარულად, ან რატომ უნდა მოვრთო ნაძვის ხე ბრჭყვიალა სათამაშოებითო? — რადგან ბავშვობიდან მოყოლებული, ყველანი ამ რიტუალს ვასრულებთ. ბევრი ამბობს, ახალი წელი ბავშვობასთან მაბრუნებსო. ე.ი. რა ხდება? — ყველა ბავშვი ახალ წელს საოცრებებს ელის და ეს მოლოდინი დიდობაშიც არ ქრება. მაშ, მორთეთ ნაძვის ხე, გაშალეთ საახალწლო სუფრა და ნატვრაც ჩაუთქვით. გახსოვდეთ, საახალწლო განწყობილება გადამდებია.

დაივიწყეთ ძველი წყენა

ერთი რამ უდავოა — დღესასწაულებზე ადამიანები უფრო მიმტევებლები ხდებიან, ივიწყებენ წყენას და მზად არიან, ერთმანეთს სიკეთე უსურვონ. ერთმანეთის ლხინის გაზიარებაც ერთგვარი რიტუალია. როგორც ამბობენ, ქვეყნად უკვალოდ არაფერი იკარგება — ანუ თუ დადებითი ენერგიის გამცემი ხარ, ის აუცილებლად დაგიბრუნდება. დღესასწაულს თან ახლავს დადებითი ენერგიის გაცვლა. მოკითხვამ, დალოცვამ, საჩუქარმა უხალისოდ მყოფ ადამიანსაც კი შეიძლება ხასიათი გამოუკეთოს, დადებითი ემოცია გაუძლიეროს — ე.ი. ისიც არ დავიწყებიათ, ახსოვთ და უყვართ. ასე რომ, დაეხმარეთ ერთმანეთს დადებითი ემოციის „პროვოცირებაში“, ნუ დაგენანებათ თბილი სიტყვები.

რაც შეეხება სასმელს...

სასმელიც სადღესასწაულო რიტუალის ნაწილია, თუმცა განწყობილების შეცვლა სულაც არ არის დამოკიდებული მიღებული სასმლის რაოდენობაზე. აქ სხვა რამეს — დალოცვასა და ჭიქის ჭიქაზე მიჭახუნების რიტუალს ექცევა ყურადღება. და, რაც ყველაზე მთავარია: სასმელი, სადღეგრძელო იძლევა მუხტს საიმისოდ, რომ თანამესუფრეს მიეხმატკბილო. სასმელი ერთმანეთის დადებითად შეფასებაშიც „გვეხმარება“, შექება კი ადამიანს ახარებს.

ქალი და მამაკაცი

სადღესასწაულო განწყობილება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზეც დადებითად მოქმედებს, ვინაიდან ყველანაირ დღესასწაულს თან ახლავს სიახლე — იქნება ეს ინტერიერის, სუფრისა დიზაინი, ულტრათანამედროვე ჩაცმულობა, ახლებური ვარცხნილობა, განსაკუთრებული მაკიაჟი თუ სხვა. მაგრამ ქალმა სიახლე არა მარტო სუფრაზე, არამედ ინტიმურ უთიერთობაშიც უნდა შეიტანოს. როდესაც ბინის ინტერიერს შეცვლით, არც საწოლი ოთახი დაგავიწყდეთ: კედლებზე ჩამოკიდეთ წითელი და ოქროსფერი სათამაშოები, საწოლები ლამაზი ბალიშებით მორთეთ.

ასე რომ, იმხიარულეთ, იხალისეთ. თავად თუ არ შეუქმნია საკუთარ თავს საზეიმო განწყობილება, სხვა ძნელად თუ მოახერხებს ამას. ბოლოს და ბოლოს, თუ მხიარულების ინიციატორი არ იქნებით, ის დადებითი მუხტი მაინც მიიღეთ, რომელსაც სხვები გაჩუქებენ. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ნაბახუსევი: ვინ არის დამნაშავე და რა უნდა ილონოთ?

საერთოდ, ნაბახუსევის საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალება სმა-ჭამაში (დიახ, დიახ, თურმე, ნაბახუსევს ღორმუცელობაც იწვევს) ზომიერების დაცვაა. მით უფრო, რომ საამისო წესები სხვადასხვა ხალხის მარტივი პრაქტიკითა და დროითაცაა გამოცდილი.

1. სმისას გრადუსს ღვინიდან უფრო მაგარ სასმელებზე გადასვლით უნდა მოუმატოთ.

2. მაგარ ალკოჰოლს საკვებიც ყუათიანი უნდა დააყოლოთ (ოღონდ, ზედმეტად ცხიმიან საჭმელს მაინც უნდა მოერიდოთ, თორემ დარტყმას ღვიძლიც მიიღებს).

3. სასმელები ერთმანეთში არ უნდა აურ-დაურიოთ და არც კოქტეილების სმით გაერთოთ.

4. ერთი საღამოს განმავლობაში მხოლოდ ერთი ნედლეულისგან, მაგალითად, ყურძნისგან (ღვინო და კონიაკი) ან მარცვლეულისგან (ლუდი, არაყი, ვისკი) დამზადებული სასმელი უნდა მიირთვათ.

5. მაგარი და სადესერტო ღვინოები მცირე დოზებად უნდა სვათ, რადგან მათი შემცველი შაქარი ნაბახუსევის პრობლემებს კიდევ უფრო გაგიმწვავებთ.

6. თუ გადამეტებული სმა-ჭამისთვის თავის არიდებას ვერ ახერხებთ, მაშინ სუფრასთან დაჯდომამდე კარაქიანი პურის პატარა ნაჭერი უნდა შეჭამოთ. ამის შედეგად კუჭის კედელზე გამოკრული ცხიმის ფენა ალკოჰოლის სწრაფ ათვისებას შეუშლის ხელს.

7. ახალ წელს ზედმეტი სმა-ჭამისგან თავის შეკავება პრაქტიკულად, შეუძლებელია. მაგრამ თუ ხვდებით, რომ დილით ნაბახუსევზე ყოფნა არ აგცდებათ, მაშინ ამისთვის თადარიგი საღამოსვე უნდა დაიჭიროთ და, ვთქვათ, გააქტიურებული ნახშირის, ციტრამონის ან ასპირინის რამდენიმე აბი დალიოთ.

დილით კი... ბუნებრივია, ბალიშიდან თავის წამოწევა გაგიჭირდებათ. ამიტომ დროა, თავის ტკივილის გასაყუჩებელი, წყალში ხსნადი შუშხუნა აბები მოძებნოთ. ეს ნაბახუსევის პირველი წუთების შემამსუბუქებელი უმარტივესი „სასწრაფო დახმარებაა“. მაგრამ თუ ამის შემდეგაც ყველაზე ადვილი და სასურველი ლოგინში წოლა და სიკვდილი მოგეჩვენებათ, „წყლის პროცედურაზე“ გადასვლის ანუ წინასწარ მომარაგებული მინერალური წყლის ბოთლის გახსნის დრო დგება.

ნაბახუსევზე ადამიანს, პირველ რიგში, წყურვილი აწუხებს. მიზეზი კი ისაა, რომ ამ დროს სისხლში ალკოჰოლითა და ჭარბი საკვების მიღებით გადატვირთული ღვიძლის მიერ ჯერაც გადაუმუშავებელი ტოქსინების დიდი რაოდენობა რჩება. არადა, ორგანიზმიდან მათი დროული გამოდევნა აუცილებელია. ამისთვის კი, პირველ რიგში, ბევრი სითხე (არანაკლებ 2 ლიტრისა) უნდა მიიღოთ. თავიდან ყველაფერს რომელიმე მინერალური წყლის (მაგალითად, „ბორჯომის“ ან „ნაბეღლავის“) მიღება სჯობს. თუ თავის ტკივილს გულძმარვაც დაემატება, მაშინ კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობის „ჩამქრობი“, ტუტე შემადგენლობის მინერალური წყლის მოძებნა მოგიწევთ. მერე კი უკვე უბრალო წყლის, მაგარი ჩაის, ყავის, ახალგამოწურული წვენების თუ ბალახების ნახარშების მიღებაც შეგიძლიათ.

თუ გარკვეული დროის შემდეგ იმასაც მიხვდებით, რომ აშკარად „საიქიოდან მობრუნდით“, ყველაზე კარგი, გრილი შხაპის მიღება იქნება. ამ გზით ტოქსინებს (რომლებიც ორგანიზმიდან კანის ფორებიდანაც გამოიყოფა) სასწრაფოდ ჩამოიბანთ და კანიც ძველებურად „სუნთქვას დაიწყებს“. გარდა ამისა, გრილი წყალი სისხლძარღვების მატონიზებელიცაა და წნევას დაბლა სწევს. ოღონდ, არ დაგავიწყდეთ, რომ წყალი გრილი უნდა იყოს და არა ყინულივით ცივი, რადგან ასეთი წყალი სისხლძარღვებს მკვეთრად ავიწროებს, შევიწროებული სისხლძარღვები კი სპაზმის, გულის რიტმის დარღვევის და საერთოდ, მთელ ორგანიზმს ძალზე დიდი დატვირთვის საფრთხეს უქმნის. ნაბახუსევზე აბანოში ან საუნაში წასვლაც ასევე არ არის რეკომენდებული.

შხაპის შემდეგ, ალბათ, სამზარეულომდე მიღწევის ძალაც გექნებათ. მით უფრო, თუ გეცოდინებათ, რომ ნაბახუსევიდან საჭმლით ან სასმლით გამოსვლის უამრავი საშუალება არსებობს. კლასიკური საშუალების დევიზი კი ასე ჟღერს: „რამაც მომკლა, იმან გამაცოცხლოს!“ ანუ ერთი სირჩა არაყი და კარგი საუზმე მხოლოდ მალამოდ თუ მოგედებათ. ოღონდ, არამც და არამც არ გადაამლაშოთ, თორემ დილით ყველაფრის

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Æåíñêèé æóðíàë	11.65	69.7
4. Æåíñêîå çäîðîâüå	7.00	41.8
5. Ñàíäðà	4.00	24.0
6. Âñå äëÿ æåíùèíû	0.80	19.9
7. Ãëàìóð	7.20	43.2

პრესის გავრცელების საგენტო
ELVA
ქ. თბილისი
ოსლბაძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kviriscpalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

თავიდან დაწყება მოგიწევთ. რაც შეეხება გამოცდილ ხალხურ მეთოდს ანუ ნაბახუსევის ლუდით მოხსნას, მას სპეციალისტები არ იწონებენ. მათი თქმით, ეს სასმელი შეიცავს ნახშირორჟანგს, რომელიც მხოლოდ დათრობის ახალ წრეზე თუ წაგიყვანთ. სიფრთხილე გმართებთ მწნილის წვენით ნაბახუსევზე გამოსვლის რუსული კლასიკური მეთოდის გამოყენებისას: ამ შემთხვევაში, ადამიანი მდგომარეობიდან მწნილის წვენში არსებული ვიტამინების დიდ დოზასა და მჟავას გამოჰყავს. ამ მხრივ საუკეთესო ვარიანტი — კომბოსტოს მწნილის წვენია, რადგან კიტრის ან პამიდვრის მწნილში მთელი სიმჟავე ძმარშია წასული, ხოლო ვიტამინები პრაქტიკულად, არ არსებობს. ასევე საკმაო ვიტამინებისა და მჟავას დოზის პოვნა შეიძლება კეფირსა და მაწონში, აგრეთვე, აირანსა და კუმისში და ა. შ. ამ მეთოდის მთავარი პლუსი მაინც ისაა, რომ დედამიწის რომელ წერტილშიც არ უნდა იმყოფებოდეთ, იქაურ სამზარეულოში რაიმე მწნილს ან ამჟავებულ რძეს მაინც აუცილებლად აღმოაჩენთ. მინუსი კი ის გახლავთ, რომ გაღიზიანებულ კუჭზე მჟავა მაინცდამაინც კარგად როდი იმოქმედებს.

ახლა კი საფუძვლიან სადილზე გადასვლაც შეგიძლიათ. ნაბახუსევზე გულისრევის შეგრძნების მოხსნასა და ორგანიზმში გაჩაღებული „რევოლუციის“ განეიტრალებას განსაკუთრებით კარგად ცხელი ხორცის წვნიანით (ხარჩოთი, ჩიხირთმითა და ა.შ.) და აგრეთვე, ბორშჩითაც შეძლებთ. თუ ამ საშუალებებიდან ხელთ არც ერთი არ აღმოგაჩნდებათ, მაშინ სპეციალური საახალწლო „ნოუ ჰაუთი“ უნდა ისარგებლოთ და პატარა ქვაბში ღორის თავ-ფეხის საცივი („ხალადეცი“) წამოადუღოთ. შედეგად მიიღებთ სქელ ხორცის ბულიონს, რომელიც თქვენს მდგომარეობაში პირდაპირ მისწრება იქნება. ოღონდ, არც ამჯერად დაგავიწყდეთ, რომ ბულიონი ძალიან ცხიმიანი არ უნდა იყოს.

თუ ზემოთ მითითებული რჩევებით ბეჯითად ისარგებლებთ, ნაბახუსევზე გარე სამყაროს თვალს უფრო ადვილად გაუსწორებთ. ამის შემდეგ კი უკვე დროა, სუფთა ჰაერზეც გახვიდეთ და აქტიურადაც იმოძრაოთ, რაც მეტი ჟანგბადი ხვდება ადამიანის ფილტვებში, უფრო სწრაფად უძგერს გული, რომელიც თირკმლებსა და ღვიძლში მეტ სისხლს ატარებს და შედეგად, ორგანიზმიდან საკვებისა და ალკოჰოლის ნარჩენებიც უფრო სწრაფად გამოიდევნება.

მაგრამ თუ ნაბახუსევზე საწოლიდან წელი ვერაფრით აითრიეთ, პირში ერთი ლუკმის ჩადებაც კი გაგიჭირდათ, ჩათვალეთ, რომ იმ უმძიმეს შემთხვევასთან გაქვთ საქმე, როცა ისევ ვერტიკალური მდგომარეობა უნდა მიიღოთ და ყოველ ნახევარ საათში ერთხელ შემდეგი სიტყვებიც გაიმეოროთ: „ღმერთო, ჩემდა თავად, ცხოვრებაში კიდევ დამლევის!..“

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

ოჯახის პედიატრი

შეკითხვები პედიატრს

0-დან 1-მდე

ბავშვის ფსიქოლოგია

როგორ შევურჩიოთ ბავშვს ფაფა

შეაგროვე და აკინძე

ჟურნალი ჟურნალში

ფეხბურთი

3.01.–9.01.2008

ყვირილები

საახალწლო ამბები

ბებიაჩემმა წამლები, მათ შორის, ანალგინ-„პიდარასტი" უჩვენა, იმ ექიმის გაოცებული თვალები უნდა გენახათ...

დავეჭყანები და გულს გავუხეთქავ-მეთქი, – გამოვნახე გამოსავალი, მაგრამ არ გაჭრა.

გრაფი თარხანი

...წყალი იმ სიტყვებზეც რეაგირებდა, რომელსაც მეცნიერი ქაღალდზე წერდა და წყლიან ჭურჭელზე ამაგრებდა.

ფოტოტესტი

თუ თავი მეოთხე ვირთხის ადგილას წარმოიდგინე, ბევრი ფიციმტკიცი არ უნდა, რომ სიდედრის მსხვერპლი ხარ. ხომ გამოვიცანი?

სიტუაცია

არის თუ არა დოლგარმონი სამოთხეში?



ლიპზე დაეცა, ავტობუსის დარჩენილი ნაწილი ლიპით „გაიარა" და თავით მძღოლისკენ ზურგით მდგარი სკამის წინ დაერჭო, რომელზეც ქერა ქალბატონი იჯდა

ოაზ ოაზ ოაზ

1 წელი ჩემ ირგვლივ უსიტყვო ტრიალის მეტი, არაფერი უკეთებია. ბოლოს, გაბედა და პაემანი ვაკის პარკში დამინიშნა. იმ დროს, იქ ტურებსაც კი ეშინოდათ გამოჩენის. ბიძამისს ვუთხარი: ასე მითხრა და მგონი, მთლად დალაგებული ვერაა-მეთქი. გაეცინა და მიპასუხა: სვანია, გოგო და ტყეში დაგპატიჟა, აბა, სვანს რუსთაველზე რა უნდაო (თვითონაც სვანი იყო)?! მეორედ 5 წლის შემდეგ დამირეკა და ისევ დამპატიჟა, ოღონდ — კაფეში. გამეცინა. მკითხა: რა გაცინებს, დანახარჯს მე გადავიხდიო. ეს ამბავი ბიძამისს მოვუყევი. ახლა ის მოკვდა სიცილით, — კიდევ 5 წელი აცალე. იქნებ, მოიფიქროს და რესტორანში დაგპატიჟოსო. მაგრამ ის საერთოდ დამეკარგა და ასეთი კაცების გადამკიდე, დავრჩი გაუთხოვარი. კურიოზი მეოთხე: მირეკავს ვიღაც და სვანური ბარიტონით მეკითხება: ალო, ჩელიაბინსკია, ჩელიაბინსკი? — არა, თბილისია-მეთქი! — ვუპასუხე. მესმის, ვიღაცას ეუბნება: ეს სად დამარეკვინე, ბიჭო? ცოტა ხნის მერე, ისევ დარეკა. ახლა სხვა მეკითხება: — საიდან არის? — ეს ბრაზილიაა და მე ფიორელა ვარ, მორელი-მეთქი, — ვუპასუხე. გაიცინა და გათიშა. მესამედ დარეკა: ალო, ჩემი ტელეფონი დაიმახსოვრე? — კი-მეთქი. — ჰოდა, დაგირეკავ! თინეიჯერი შინაბერა“.

მოსწრებული დედა

„4 წლის წინ, როდესაც სკოლაში ვიყავი, მეგობრები მოვიდნენ და მახარეს: შენმა ძამიკომ ცოლი მოიყვანაო. 17 წლის ასაკში მულიკო გავხდი. გესმით ალბათ, მოტაცებული გოგო და თანაც, 14 წლის, როგორი ძნელი დასაწყნარებელი იქნებოდა. გზაში მარიგებდნენ, თუ როგორ უნდა დამეწყნარებინა რძალიკო. მთელი საგვარეულო დაიძრა მანქანებით, რომ გოგო დაეწყნარებინათ. როგორც იქნა, მივედით. შევედი ოთახში და წინასწარ მომზადებული ტექსტის სათქმელად რომ მოვემზადე, ის შემომეხვია და იყვირა: ვაიმე, მულიკო მოვიდაო. ასე შეგვრჩა რძალი, რომელიც დილაობით მაღვიძებდა, „ტელეღიპუცები“ დაიწყოო. ახლა უკვე 3 წლის გიო გვყავს. ისე, რა არის მული?! მე ისევ მარტო დავდივარ და ის კი დედაა. მიყვარხართ. ვარდენა“.

„მგზავრების“ თავგადასავალი

„მარი, ხუთშაბათს ამ ნომერზე 77 მესიჯი მქონდა და მხოლოდ შენთან ვამესიჯებდი. ახლა 4 მესიჯი მაქვს. :) თან, ყველა არ მიგიღია. არ ვარ ახლა მე ღირსი, რომ ბევრი მესიჯი დამიბეჭდო? ხალხი რომ ამბობს, კანიბალკას სულ უბეჭდავო, აბა, გაიგონ, რის ფასად ხდება ეს. ჰოდა, დღეს (კვირას), „მგზავრები“ ისევ შევიკრიბეთ და კლუბის გეგმებზე ვილაპარაკეთ. მერე ამოვედით ჩემს სახლში და მე, როგორც შეფმა, :) გავეცი განკარგულებები და „მგზავრები“ ისე დაფაცურდნეეენ... ჯერ ხომ ილინი, ლელუჩია და მგლის და ვერ ავაწყვიტეთ კარტოფილს — 2 წუთში გაფცქვნეს და დაჭრეს (მე ამ რთულ პროცედურას, „კაკ მინიმუმ“, 2 საათს ვანდომებ), მერე, მისი შეწვა ლელუჩიამ ითავა; ილინმა კვერცხი იმდენ ხანს თქვიფა, რომ „გამოაკვერცხა“ საცოდავი, შემდეგ ძეხვთან ერთად კარგად შებრაწა და საფირმო კერძიც მზად იყო. :) სხვაც ბევრი ვიფუსფუსეთ „მგზავრების“ ქალებმა და სუფრაც გაიშალა. პავლიკამ თამადობა იკისრა და წავიდა მამაპაპური ქეიფი, „საფერავით“. :) ილინი დათვრა და როგორც ყოველთვის, გაფრენები დაიწყო. ისეთებს იძახდააა, რომ ეს „წესიერი“ ბავშვები ასტრონომიული სიჩქარით „ვხუჭავდით“ ყურებს. მე კი რა კითხვა გამიჩნდა, იცით? გასულ კვირას რომ ერთი წერდა, მთელი მშობიარობის პროცესში „გზას“ ვკითხულობდიო, „გზას“ თუ კითხულობდა, რა ამშობიარებდა? მაგისთვის ეცალა? :) კანიბალკა“.

ნაპწკენი

„წელს, ბარბარობას ვაგზალზე გავედი. იქ ერთი „ციგანკა“ იდგა და მითხრა: — მიდი, რა, „დუხები“ იყიდე, ახალი წელი მოდის და შენს თავსაც გაუკეთე საჩუქარი და მეც ფულს ავიღებო. — არ მინდა, ქალბატონო, თავი დამანებე-მეთქი, — ვუთხარი და იცი, რა მიქნა? — თითზე მიპწკინა. რას მერჩოდა, ნეტავი? თითი ნახევარი საათი მტკიოდა. რა უცნაურები არიან ეს ციგნები — თითზე პწკენაო, კაცოოო... მაგარი საახალწლო მილოცვა იციან. არც გამიშვებდა, ჩემი ელამი თვალებით რომ არ შემეხედა. მგონი, ამან მიშველა. გიჟ-ხიფათა“.

წითელთავიანი ფანები

„ეჰ, საქართველო რის საქართველოა, საახალწლო ამბავი რომ ახალ წლამდე ან მის შემ-

რამდენს იწონის დიდი საზამთრო?

„ზამთარი კი არის, მაგრამ მე ზაფხულის ამბავს მოგწერთ. VII კლასში ვიქნებოდი, როცა ჩემი თავი დიდი მეგონა და დავიჟინე, ფერისცვალებისთვის ბაზარში მე წავალ და ხილს ვიყიდი-მეთქი. თან, მეგობარიც წავიყოლე. ვიყიდე ატამი, ვაშლი, მსხალი და სხვა დიდი ზომის ხილი. ჯერი საზამთროზე მიდგა. გამყიდველს ვეუბნები — 3-კილოგრამიანი საზამთრო მინდა-მეთქი. შეიცხადა: ოჰ, მაგხელა საზამთრო სად ვნახოო? ვიფიქრე, ალბათ, ამხელა საზამთრო არ იშოვება-მეთქი და მიამიტი სახით, როგორც შემეძლო, დავამშვიდე: — კარგი, 2-კილოიანი იყოს-მეთქი. ბოლოს, მომიბრუნდა და მეუბნება: — ჩემი გოგო, დაადე ხელი იმას, რომელიც გინდა, ნუ დამტანჯე კაციო. მე კი 17-კილოგრამიანს დავადე ხელი. ირგვლივ სიცილი ატყდა, მე კი გავწითლდი, მაგრამ რა მექნა? — მე საზამთროს პირველად ვყიდულობდი და მამას კი შინ სწორედ ასეთი დიდი საზამთრო მოჰქონდა. თავის დროზე, ამას არსად ვყვებოდი, რადგან მრცხვენოდა, მაგრამ ახლა, ამ ამბავზე კარგად ვხალისობ. ომეგა“.

დეგ არ მოხდეს. ჰოდა, 23-ში დაგვიდგა ახალი წელი და თვით შაკირა გვეწვია. დიდუუუ, იქ ამბავი იყოოო... ჯერ იყო და, ხალხს საათნახევრიანი ჭყლეტის შემდეგ დაუდგა ნანატრი წუთი. ბევრი იძახა შაკირამ: დედაააა, რამდენი ხალხია, რა ლამაზი ქალაქი გაქვთო (დავიჯერო, ახლა მაგას 100 ათასი კაცი და რიყე გაუკვირდა?!) და ბოლოს გვიმღერა კიდეც. ამ დღესასწაულს ის საჩუქრებიც დაემატა, ჩვენი ძვირფასი სამართალ და წესრიგის დამცველები რომ გვირიგებდნენ — უჰ, სულ წითელ-წითელი, 5-ნომრიანი ქუდებით გვასაჩუქრებდნენ. მათ მაგივრად მე შემრცხვა. რომ გადახედავდი რიყეს, სულ წითლად ელავდა ათასობით ადამიანის პოლიტიკური თავი. ნეტავ, თუ მიხვდა ის მინერალურ წყალს მონატრებული, დალოცვილი მომღერალი, რატომ ჰქონდათ მის ფანებს აწითლებული თავები? მეეჭვება, რაღაც... ეჰ, ამ კონცერტს მოჰყვა ჭყლეტა და მეც, მანტოს ღილები, კაშნე და ნახევარი შარვალი იქ დავტოვე. ამას ვინ ამინაზღაურებს, ნეტავ? შაკირა? არა მგონია. :) მიყვარხართ. თოლია“.

ვის აძლევენ ცოლები?

„ჩემმა ჭკვიანმა დაიკომ, თავის დაბადების დღის სუფრაზე ამაყად განაცხადა: მე მიშას ვაძლევ, ხალხოო. ჩემმა სიძემ გაიღიმა. მე ეს ამბავი უკომენტაროდ ვერ დავტოვე და ვთქვი: ხედავთ, ხალხო, ცოლი მიშას აძლევს და ის ამას ურცხვად, ქმრის თანდასწრებით აცხადებს; ეს ხომ უხერხულია-მეთქი. ჩემმა ძვირფასმა მეუღლემ კი ამოიოხრა და თქვა: რა გინდათ, ამ კაცს ყველაფერი გარკვეული ჰქონია, ვფიქრობ, უხერხული ეგ კი არა, ის არის, რომ მე ისიც არ ვიცი, ჩემი ცოლი ვის აძლევსო... რა მექნა? შემეცოდა და გავუმხილე, ვისაც ვაძლევდი. „ვოტ ტაკ!“ ხედავთ, სადამდე მივედით? — ცოლები აძლევენ და ქმრები ამას არ აპროტესტებენ. გკოცნით, მუტანტის ცოლი“.

ასოიანი ნომერი

„მიყვარხართ, „გზა“-ელებოოო! რა მოხდა? სულ რაღაც 1 კვირით დავაგვიანე, მაგრამ კურიოზი — კურიოზია. ნუ, დედა მყავს ისეთიიი... არ გეგონოთ, ვიღაც გაუნათლებელი ქალი იყოს, ლექტორია! მაგრამ ხანდახან, ისე ჭედავს, რომ... ერთხელ მოვიდა და მეუბნება: დედიკო, დასარეკი მაქვს და რაღაც უცნაური ნომერი მომცეს, მე კი არ ვიცი, როგორ დავრეკო, იქნებ, დამეხმაროო. მეც შევიფერე და ვუთხარი: მომეცი ეგ ნომერი-მეთქი. მომცააა... დავხედე ფურცელს და წერია: ტ. 52-... გამოვშტერდი და ვკითხე: „დე, რა არის ამაში უცნაური?“ დედამ კი მიამიტად მიპასუხა: — ხედავ, ციფრები და ასოებია ნომერში და ეს როგორ უნდა ავკრიბო, ვერ ვხვდებიო. რომ ავუხსენი, შერცხვა. არავისთან მოჰყვე, დედიკოო, — მთხოვა. მეც შევპირდი, მაგრამ ხედავთ, თქვენ გამო პირობა დავარღვიე. დე, არ გეწყინოს, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ! ენაჭარტალა მავნე“.

რა დაემართა პირს?

„ახალი წელი ხომ უამრავი სასწაულის მომტანია? ჰოდა, სანამ 31-ში, 12 საათი შესრულდება, კერძოდ კი 10 წამი რჩება ახალი წლის და ახალი ოცნებების ასრულებამდე, ფურცელზე უნდა დაწერო შენი ოცნება, დაწვა, ფერფლი შამპანურში ჩაყარო და მისი დალევა მოასწრო. ჰოდა, ერთ ახალ წელს, როცა სურვილი დავწერე, ფურცელს ცეცხლი წავუკიდე და ჭიქაში ჩავაგდე და... თურმე, ცეცხლმოკიდებული ფურცელი ჭიქას მიჰკვრია, მე კი ეს ვერ შევნიშნე და როცა ჭიქა პირთან მივიტანე, ცეცხლმოკიდებული ფურცელი პირში შემიფრიალდა. ჩემს პირს რა დაემართა, ამას აღარ მოვყვები. უბრალოდ, ვიტყვი, რომ მთელი ახალი წლის დღეებში საჭმელი არ მიჭამია. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩემს სურვილებს ფურცელსა და ცეცხლს აღარ ვანდობ. :-) მარი, გილოცავ ახალ წელს და ზღვა მესიჯს გისურვებ. ყველას გილოცავთ. მიყვარხართ. ანდრომედე“.

თოფი და ძვალი

„ჩემმა მეზობელმა მარიმ გადაწყვიტა, ახალ წელს სოფელში, დედამთილთან შეხვედროდა. ყველანაირად მოემზადნენ, ბოლოს კი ნამცხვრები დააცხვეს და ისეთ ოთახში შეინახეს, სადაც ბავშვები იშვიათად შედიოდნენ. ეს ოჯახი ნამეტნავად

მკვლელები

„მარ, არ გინდა, „გზავნილებში“ რუბრიკა — „ეს რა შუაშია, მაგრამ“... შექმნა? აი, მაგალითად მე, აქ უკვე დავამესიჯე. მართლა რა შუაშია და ჩემს სახლში საშინელი „მკვლელობა“ მოხდა. საცოდავი გოჭუნა უდროოდ გამოსალმეს სიცოცხლეს. მე თვითმხილველი და ამასთანავე, გამომძიებელი ვარ. ეს საშინელი დანაშაული ჩაიდინეს „წინა“ და „გვერდითა“ მეზობლებმა. მე მათ მივუსაჯე 10-10 წელი, მაგრამ... გამისაჩივრეს... სასამართლოს დადგენილებით, ამ კრიმინალებს სამი თვის განმავლობაში, ჩემს ოჯახში ფეხის დადგმა აეკრძალათ! უი, ის დამავიწყდა, რომ მოსამართლეც მე ვიყავი... ლიკ-ლიკა!“.

თუ ფენიქსივერცხლიდან
გაგრილხარ, ბოთლში ჩასაბარე და
ფასიან ფასფოლოგზე გადადი.

სტუმართმოყვარე გახლდათ. მარის ქმარი, ტარიელი მონადირეებს ხშირად იფარებდა, სუსხიანი ღამეების დროს. 31 დეკემბრის ღამეს, დედამთილს იმ ოთახის კარის დაკეტვა დაავიწყდა, სადაც ნამცხვრები შეინახეს. ჰოდა, ეს ჩვენი მონადირეები იქ შებრძანებულან, თავიანთი ძაღლებით და შეუჭმელი ერთი ნამცეცი ნამცხვარიც არ დაუტოვებიათ. :) ამ ამბის შემდეგ, მარის მონადირის და ძაღლის კი არა, თოფის და ძვლის დანახვაც არ უნდა. არგელოდი".

სიზმარა

„შარშან დედაჩემმა შემომთავაზა, რომ ახალი წლის ღამეს, ბალიშის ქვეშ სარკე ამომედო და სიზმარში საბედოს ვნახავდი. მე ასეთი რაღაცების არ მჯერა და არც მაინტერესებს, ვინ იქნება ჩემი ქმარი. დედას ვუთხარი, რომ ასეთი რამ მეორედ აღარ ეთქვა. ახალი წლის ღამეს, დასაძინებლად რომ ვემზადებოდი, ბალიშის ქვეშ პატარა სარკე აღმოვაჩინე. რა თქმა უნდა, ეს დედაჩემის ნამოქმედარი იყო და ძალიან გავბრაზდი. გადავწყვიტე, სამაგიერო გადამეხადა და სანამ დავიძინებდი, მაგარი სიზმარი მოვიგონე. მეორე დღეს დედაჩემი მეკითხება: — აბა, შვილო, რა ნახე სიზმარშიო? — მე არ მითქვამს, რომ მისი ნამოქმედარის შესახებ ყველაფერი ვიცოდი და გულუბრყვილო სახით დავიწყე მოყოლა: — ვნახე, რომ ვითომ, პურის საცხობში მუშაობდი. მოზილე დიდი ცომის გუნდა, მაგრამ ბოლოს, ის ისე დაპატარავდა, რომ ერთი საშუალო ზომის პური გამოაცხვე-მეთქი. (იმ ერთ პურში ჩემი თავი ვიგულისხმე, რადგან დედისერთა ვარ, რასაც დედა მშვენივრად მიხვდა). მერე ჩამოვთვალე ჩემი რამდენიმე „პაკლონიკი", რომლებიც პურის საყიდლად მივიდნენ დედაჩემთან, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო, უკან ხელცარიელნი გაბრუნდნენ. ბოლოს, ერთ კარგ ბიჭზე ვუთხარი, რომ ის მივიდა პურის საყიდლად. მას კი ფულიც არ გამოართვი, ისე გაატანე-მეთქი. დედაჩემს სახე გაუნათდა და კმაყოფილმა ჩაილაპარაკა: მე ყველაფერს მივხვდიო (ანუ, ვითომ მიხვდა, რომ იმ ბიჭს გავყევი ცოლად, რომელმაც პური იყიდა). მე კი გაოცებული სახით ვკითხე: რას მიხვდი-მეთქი? — ახლავე გეტყვი, რას ნიშნავს ეგ სიზმარი, ოღონდა, ჯერ მოყოლას მორჩიო. მეც განვაგრძე — ის იყო, მაღაზიის დაკეტვას აპირებდი, რომ ის ბიჭი მობრუნდა, ნახევრად შეჭმული პური მოგიტანა, დაგიგდო მაგიდაზე და ჩხუბი დაგიწყო: ეს რა არის, პურის გარდა ყველაფერია, ასეთი უგემური არაფერი მიჭამიაო. ეს რომ ვთქვი, დედაჩემს ფერი წაუვიდა. იფიქრა, რომ გათხოვების შემდეგ, ცუდ რაღაცას გავაკეთებდი და ქმარი უკან დამაბრუნებდა. კინაღამ დედაჩემი ვიმსხვერპლე. ისეთი იჯდა, თითქოს ვინმე მოუკვდა. თავიდან კარგად ვიმხიარულე, რადგან ჩანაფიქრი განვახორციელე, მაგრამ მერე, დედა შემეცოდა და სიმართლე ვუთხარი. ისე იყო შეშინებული, რომ აღარ მიჯერებდა და ლამის „ბიბლიაზე" დამაფიცებინა. ბოლოს, როგორც იქნა, დავაჯერე, რომ ეს სიზმარი მე გამოვიგონე. დიკო".

„პატრონტაჟი"

„მამა მყავს, ძალიან მაგარი მონადირე. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, იმდენი ხორცი მოჰქონდა (ხან დათვის, ხან ტახის), რომ შეიძლება ითქვას, მწვადებზე გაზრდილი ვარ. მაგრამ ახლა, სანადიროდ რომ მიდის, ხორცის მაგივრად რკო მოაქვს და სულ იმის გვსაყვედურობს, ცუდი თვალი გაქვთო. :) ჰოდა, ყოველ ახალ წელს, ერთი-ორი ჟაკანი უნდა დაგვიგრუხუნოს ხოლმე. შარშან თოფი საგულდაგულოდ გაწმინდა, ტყვიები „პატრონტაჟში" ჩაალაგა, სადღაც „მიაბრესტა" და დაიწყო ჩვენი საცოდაობა: ხალხი ჭიქებს აჭახუნებს, ზეიმობს, ჩვენ კი მამაჩემის საგულდაგულოდ შენახულ „პატრონტაჟს" ვეძებდით. დადიოდა და თან იგინებოდა, ამის პატრონი და იმის პატრონი. ჩემი „ის" სად არის, ჩქარა მოძებნეთო. ეჰ, მაგარი ახალი წელი მქონდა".

ბებოს კავალერი

„წლების წინ, ბიძაჩემმა, რომელიც თბილისში სწავლობდა, საახალწლოდ მშობლიურ ზუგდიდში გამგზავრება გადაწყვიტა და ამ მიზნით, ღამის მატარებლის ბილეთების რიგში ჩადგა. უცებ, ასევე რიგში მდგომი ქერა, ლურჯთვალება, ლერწამტანა ფერია შენიშნა (ასე იგონებს დღემდე). მერე გაარკვია, რომელი ვაგონის, რომელი კუპას ბილეთი შეიძინა გოგონამ და იმ კუპეს ყველა დანარჩენი ბილეთის მეპატრონე თავად გახდა იმ მიზნით, რომ ახალი წლის ღამეს მარტონი შეხვედროდნენ კუპეში. თურმე, ბიძაჩემი შამპანურითა და ტკბილეულით „აღჭურვილი" ელოდა გოგონას კუპეში. მალე, „ფერიაც" შემოფარფატდა. შემოვიდა და შემოიყვანა მოხუცი ბებო... თურმე, ბებიამისისთვის უყიდია ბილეთი. ჰოდა, ღიმილშემხმარ ბიძაჩემს ჩააბარა მისი თავი და მშვიდად დატოვა მატარებელი. მთელი ღამე ახველებდა თურმე, საწყალი ბებო. ჩავიდა მეორე დღეს მშობლიურ ზუგდიდში, ბაქტერიებით გაჟღენთილი და საახალწლო განწყობილებაწაშლილი ბიძაჩემი. :-) პოეზიის დედოფალი".

უბრალოდ... მიხეილი

„პირველ რიგში, მინდა, სრულიად საქართველოს მივულოცო ახალი წელი და სრული სახელმწიფოებრივი ჰარმონია ვუსურვო. რაც შემეხება მე, ალბათ, ახალი მგზავნელები არ მიცნობენ. არაა პრობლემა, მალე გაგაცნობთ თავს, ჩემი „სპირტიანი" ამბების თხრობით (ალბათ, არც ძველებს ვახსოვარ). კანიბალკას მოვიკითხავ. მივესალმები შენს იდეას, „მგზავრებთან" დაკავშირებით. აქვე მინდა დავამატო, რომ მიუხედავად ჩემი პასიურობისა, რაც „გზაში" დამესიჯებას ეხება, სურვილი მაქვს, კლუბის ჩამოყალიბებაში

რაიმე, თუნდაც ეპიზოდური როლი მეც მერგოს. ლელუჩია, გეფერები, ჩემო კარგო, კარგი ადამიანი ხარ. რაც შეეხება იმ ცნობისმოყვარე ადამიანებს, ვისაც აინტერესებდა (გასულ დღეებში), თუ ვინ ვარ, მინდა, მათ გასაგონად ვთქვა, რომ ჩემი სახელი და გვარი მიხეილ ესკობარია, მგზავნელებისთვის კი უბრალოდ, მიხეილი".

ავტონომია „გზავნილებში"

„შე მარიკუდა, შენა! რა არის, ამ წინასაახალწლოდ რომ იმუქრები? რაღაცა, სვანივით აბრიალებ თვალებს! როგორ თუ „გზავნილებს" აღარ დაწერ? მერე, ამდენ გზა-კვალ აბნეულ ხალხს უპატრონოდ გვყრი, ამ ცივ სამყაროში? :(იცი, რა? ვისაც რა უნდა, ის კლუბი შექმნას, მე ავტონომიური ოლქივით ვიქნები, ჩემთვის, „სკუჩნად"... რა ვქნა, აბა, „მგზავრებს" ხომ არ შევუერთდები, ეს რუსთაველი ქალი (ძაან კი მომწონს, მაგრამ...)?! ყველას გილოცავთ ახალ წელს! დიდი სიყვარულით, ქალბატონი „ავტონომიური ოლქი", მამაცი თოჯინა".

სუფთა ჰაერი

„ჩემი საახალწლო ამბავი ისევ ბახუსს უკავშირდება. შარშანწინ, პირველში, სახლში გალეწილი მთვრალი მივბრძანდი, ჩემს ოთახში შევედი და ბიჭმა სუფთა ჰაერი მოვინდომე. ჰოდა, ფანჯარები გამოვაღე (გარეთ თოვდა), ტანსაცმელი გავიხადე და ლოგინზე წამოვგორდი (მცხელოდა). დილით გავიღვიძე და კარგად დაყენებულ, ძველბიჭურ ხმაზე ავლაპარაკდი. თან, იმან გამაცოფა, რომ არავინ დამხედა და დამიკიდეს, რა... კიდევ კარგი, ანთება არ ავიკიდე. ესაა ყურადღებაა? დედა, წელს მაინც მომხედე, არ გამყინო. ბებერი".

გიიინება

„ახლა ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც ქუთაისში მოხდა. ერთ ენაბლუს ქალმა სასამართლოში უჩივლა, — დედა შემაგინაო. ქუთაისელმა კი მოსამართლის წინაშე თავი იმართლა: ბაااااატონო მოოოოსამართლევ, მე გიიიიინებას საფიჩხიაზე როოო დااااავიწყებ, „ავტოზااااოდში" ვამთავრებ და მااااგან სად გااااااااიგოო? აბა, ასეთი რამეებიც ხდება ქუთაისში. ესმერალდა".

გაფშეკილი

„ახლა უნივერსიტეტის ეზოში ვზივარ და საშინლად მცივა, მაგრამ ვუძლებ. იცი, რატომ? უნივერსიტეტში მინდა გადმოსვლა, დღეს საბუთები უნდა შევიტანო; შემდეგ, გამოცდები იქნება და მეც გავწევრდები ლანკას „VIP-კლუბში"... კურიოზისა კი რა გითხრათ, სულ სასაცილო და სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდები ხოლმე. აი, ახლაც, შევედი, არა, შევეტენე ავტობუსში. როგორც იქნა, ვიპოვე ერთი ფეხის დასადგმელი ადგილი და „მოვკალათდი", მაგრამ მძღოლმა ისეთი „ტორმუზი" ხია, სულ ფრიალ-ფრიალით გავერჭვე თავით ფანჯარაში. ფანჯარაში მინა გატეხილი იყო და შემცვლელად, სკოჩი გადაეკრათ და ქე გავხვრიტე თავით. ახლა ვზივარ და ცალკე სიცივისგან, ცალკე სკოჩის წებოსგან გაფშეკილი მაქვს თმა... მიმიღებენ უნივერსიტეტში? MEID IN GURIA".

ვისია თაიგული?

„ერთ მშვენიერ დღეს დედაჩემი და მამაჩემი მელიქიშვილზე სეირნობდნენ. რაღაცაზე წაკამათდნენ. გაბრაზებული დედა წინ წავიდა. მამაჩემმა ყვავილების დახლი შენიშნა და დედას დაუძახა: მოდი, ყვავილები აირჩიეო. დედაჩემმა იფიქრა — ალბათ, შერიგების მიზნით ყვავილები უნდა მომართვასო და იქვე, მოშორებით დადგა, რადგან მამაჩემს პირდაპირ კი არ მიეჩეჩებინა ყვავილები, არამედ ცოტა მანძილი გაევლო და ისე მიერთმია. როგორც იქნა, მამაჩემმა ულამაზესი თაიგული აარჩია და იქვე მდგარ დოდო აბაშიძის ძეგლთან დადო. თან, დაამატა — ეჰ, რა კარგი მსახიობი იყო, ცხონებულიო. მოკლედ, დედაჩემი „გაღიმებული" დატოვა. ახლა, როცა მამა დედას რაღაცას სთხოვს, დედა ეუბნება: წადი და დოდო აბაშიძემ გაგიკეთოსო. ჩუმჩუმელა".

მეტყველი ქუთუთოები

„შარშან, 31-ში, ისეთი მთვრალი ვიყავი, ლაპარაკის თავი აღარ მქონდა და სუფრაზე ჩემს დაქალებს ვუთხარი: — ახლა მე ლაპარაკი აღარ შემიძლია და ყველაფერი, რისი თქმაც მინდა, ჩემს თვალებში ამოიკითხეთ-მეთქი. ამაზე ჩემი დაქალები სიცილით დაიხოცნენ, რადგან ამას რომ ვამბობდი, თვალებიც დახუჭული მქონია, ნახევრად

სლოკინი

„ადამიანს რომ სლოკინი აუტყდება, უნდა მოატყუოო. ჰოოდა, ეს კარგად იცოდა ჩვენმა მოხუცმა პაპიდამ. ზაზა (ჩემი მაზლი) მთვრალი მივიდა პაპიდასთან. ისეთი მთვრალი იყო, რომ ტა-ტა-ტაა... დააწყებინა ზაზას სლოკინი. პაპიდამ გაიხსენა სიბრძნე და ზაზას უთხრა: შვილო, აექ ფული მედო და ხომ არ აგილიაო? ზაზა აზრზე ვერ მოვიდა. პაპიდა არ მოეშვა: — კაცოო, აექ ფული დავდეო... ზაზამ ასწია თავი და ჰკითხა: — რა გინდა, ქალოო? თან, ასლოკინებდა. პაპიდამ ისევ გაუმეორა: — აექ, აექ ფული მედოო. ზაზამ უცებ ამოიხრიალა: მაშ, მე ქურდი ვარო? მერე კი წიხლი ჰკრა მაგიდას, რომელზეც ნავთის ლამპა იდგა (დენი არ იყო). ლამპა გადმოვარდა ხალიჩაზე, რომელსაც ცეცხლი წაეკიდა და ატყდა ალიაქოთი. ამ ამბავმა ზაზა გამოაფხიზლა. ცეცხლი ძლივს ჩავაქრეთ. პაპიდა მივიდა ზაზასთან და ჰკითხა: — გადაგიარა, შვილო, სლოკინმაო? კახელი სალომე".

მეძინა. მას მერე მეკაიფებიან: ისეთი მეტყველი ქუთუთოები გაქვს, ყველაფრის ამოკითხვა შევძელითო. :) პენსიონერი“.

სიურპრიზი

„ვინაიდან ჩემი დაბადების დღე არასასკოლო დროს ემთხვეოდა და მშობლები მას არასოდეს მიხდიდნენ, გადავწყვიტე, დაბადების დღე ახალ წელს გადამეხადა და უახლოესი (დაახლოებით, 30 კაცი) მეგობრები დავპატიჟე. მშობლები და ჩემი და ესენტუკიში იყვნენ (საცოდავებს „პუტიოვკა“ ზამთარში მისცეს). ჰოდა, ძმამ მითხრა, არნახულ სუფრას და დღეობას მოგიწყობო. წავიდა ბაზარში და საღამოს 10 საათზე მთვრალი მოვიდა. მოიტანა მხოლოდ ვაშლი. იმ ღამეს, ძალიან ბევრი ვინერვიულე და არ მახსოვს, როდის ჩამეძინა. პირველი საათი სრულდებოდა, ჩემმა ძმამ რომ გამაღვიძა და „ზალაში“ შემიყვანა, სადაც ზღაპრული სუფრა დამხვდა გაშლილი. ის ახალი წელი ყველაზე მაგარი იყო — ყველა ჩემთან დარჩა და დილამდე მოვილხინეთ. P.S. მარი, იცი, ძალიან მაგარი ძმა მყავდა და 1 წელია, ცოცხალი აღარაა. ძალიან მაკლია. აბლახანუმი“.

არჩევნები „გზაში“

„მგონი, დროა, გამოვერკვეთ! აბა, ჰე, ჩემო კეთილო ადამიანებო, მგზავნელთა კიდევ ერთი „VIP-კლუბის“ საარჩევნო ციებ-ცხელება დაიწყო... მააააშ, ასე... ე.ი. ამ კლუბების შექმნა-ჩამოყალიბებაზე ისეთი ამბავი ატყდა, ისე გააქტიურდა მანდილოსანთა „კლანი“ და მარიკუნაც, თავისი კეთილი გულით ისე დაგვემუქრა, რომ მგონია, „გზავნილების“ ახალი, ძალიან, ძალიან მაგარი კლუბი — „მომავლის თაობა“ არსებობას იწყებს. გელოდებით, ყველა მსურველს, განურჩევლად სქესისა, წარმომავლობისა, თანამდებობრივი სტატუსისა თუ საცხოვრებელი ადგილისა. შემოგვიერთდით, რათა ერთობლივად შევქმნათ თავისუფალი, ჯანსაღი აზროვნების მქონე მომავალი, ვაჩუქოთ ერთმანეთს ლამაზი წუთები. დაე, ჩვენი მეგობრობა საუკეთესო, მისაბაძი მაგალითი იყოს ყველა ახლანდელი და მომავალი მგზავნელისათვის. მაშ, იჩქარეთ! ვინც ყველაზე ადრე შემოაღებს კლუბ „მომავლის თაობის“ კარს, აუცილებლად მიიღებთ სიურპრიზს... გააქტიურდით, ვისაც სურვილი გაუჩნდება, ნომერი მარის გამოართვით. კატერინას კი პირადად ვეპატიჟები. მაესტრო-21“.

ღორზე მოჯირითე

„მოგეხსენებათ, ახალი წლის პერიოდში სოფელში რაც ხდება — ცა მიწაზე ჩამოაქვს ღორის ჭყივილს. ჰოდა, ამ 3 წლის წინ, სოფელში რომ ჩავბრძანდი, ბიძებმა საქმეში ჩამრთეს (ამხელა ვირს ხომ შეგიძლია, დასაკლავი ღორი მაინც დააკავო). ჰოდა, ისეთ ღორთან მიმიყვანეს, კამეჩი მიმიქარავს. გადავაჯეჭი ზურგზე და რომ წამოხტა, თავი როდეოზე მეგონა. ამხელა, 2-მეტრიანი და ასკილოიანი კაცი სულ ბუმბულივით გამიტაცა ქუჩაში. ასეთ გაწამაწიაში ვიყავი და გონს რომ მოვედი, დავინახე, დაქალის ჭიშკართან ვაგდივართ, მე და ღორი და 3 მაგარი გოგო პირდაღებული მიყურებს. ჩემმა დაქალმა კიდევ — გაიცანით, ჩემი მეგობარიაო. იმის მერე, 5 დღე ვამტკიცებდი, ვამპირი არ ვარ-მეთქი. არც ყაურმა მინდა ასეთი და აღარც — მწვადი. ბებერი“.

აღიარებული ცოდვები

„აუ, რა მოვყვე, ახალ წელთან დაკავშირებით? მას მერე, რაც ცამეტი წელი შემისრულდა, ჩემს მეხსიერებაში არც ერთი ახალი წელი არ ინახება. კი, გეთანხმებით, რომ არაა ლამაზი, მაგრამ ხომ იცით, სპირტი ადამიანის „ვინჩესტერივით“ გაუწმენდავი ვირუსია. რა ვქნა ახლა მე? ჩემი ბაღისდროინდელი ამბები მოვყვე? როგორ ვთამაშობდი ბაღის სცენაზე დოყლაპია მგლის როლს, რომელმაც ვერც ბებია შესანსლა და ვერც წითელქუდა? სამაგიეროდ, ახლა არ მყოფნის ერთ ჭამაზე სამი გოჭი, თორმეტი ქათამი და ოცდათორმეტი „ლისტი“ ხაჭაპური (იმერული). არა, არ გეგონოთ, რომ ვინმეს ვადანაშაულებ, უბრალოდ, მინდა, ახალ წელს აღიარებული ცოდვებით შევხვდე. გკოცნით, გეხვევით, გეფერებით. მიხეილ ესკობარი“.

2 ბაკური

„იმერეთის ერთ-ერთ სოფელში ვცხოვრობ. როცა პატარა ვიყავი, გადავწყვიტე, ბეკეკა შემეძინა და მამას ვთხოვე, — მიყიდე-მეთქი. იმანაც, არ მაწყენინა. არც კი ვიცი, რატომ, მაგრამ ბეკეკას ბაკურა დავარქვი. ნეტავ იცოდეთ, როგორ ვუვლიდი, თავს ვევლებოდი, მაგრამ მერე, ბეკეკა თხად გადაიქცა. მყავს ბიძაშვილი, რომელსაც ჩემი ბაკური ვერ იტანდა და სულ უკან დასდევდა. დაბმულიც რომ ყოფილიყო, აიშვებდა და გაეკიდებოდა. ბიძაშვილი მეხვეწებოდა: ან გაყიდე, ან დაკალიო. მეც, ხათრი ვერ გავუტეხე და ბაკური დავკალი. ისე, ძალიან კი დამენანააა. გავიდა რამენიმე წელი და ჩემს ბიძაშვილს ერთი ბიჭი შეუყვარდა,



ოქმიზენზოდ ქხოლოდ სიყოლოეში სვკაქენ. ჭყვიანები ქიზენს ყოველთვის ქოქენნიან.

გოხარცქედა ბოხო

„ბავშვობაში, საახალწლოდ, მშობლებმა სოფელში, ბებიასთან წამიყვანეს. ჰმ, სოფელს ვამბობ, თორემ ჩემი რაიონისგან იმით განსხვავდებოდა, რომ იქ უფრო მეტი ძროხა და ნაკლები მანქანა დადიოდა (მომინდა მეც ქალაქელობა). ჰოდა, გაშალა ბებომ საახალწლო სუფრა, სადაც იმ დროისთვის დეფიციტური „პეპსი-კოლაც“ გაიჩითა. არადა, ისე მიყვარდა ეს სასმელი, რომ ვუყურებდი, ნერწყვებს ვყლაპავდი. დავსხედით თუ არა, ეგრევე ვეცი „პეპსის“ და იმდენი ვსვი, რომ სხვა ბავშვები ჩემ მიერ გამოცლილ ბოთლებში ჭის წყალს ავლებდნენ და იმით ყლაპავდნენ თვალებზე მომდგარ ცრემლებს და ტუჩებზე მომდგარ ნერწყვს. ალბათ, ბრაზსაც. ბებომ ჩვენი მთავრობასავით, ერთი ორჯერ კი მომიწოდა წესიერებისკენ და რომ ნახა, ოპოზიციასავით ვჯიუტობდი და ჩემსას ვაწვებოდი, იმის შიშით, რომ სუფრასთან რაიმე უბედურება არ დამმართვოდა, მაგალითად, არ ჩამეფსა, პირზე რუპორივით მოყუდებული ბოთლი სანახევროდ ჩამთხარა ხახაში და თავში ხელჯოხი მირტყა. ასე, 7 ნოემბრის მიტინგივით დარბეული და „პეპსი-კოლის“ გაზისგან აცრემლებული მიმათრიეს ლოგინამდე და თავშეყრის ადგილას (სუფრასთან) გამოჩენა სასტიკად ამიკრძალეს. მაგრამ ამან, ჩემში „პეპსისადმი“ სიყვარული და მისი წყურვილი მაინც ვერ ჩაკლა და როდესაც დანარჩენები ჩემზე გამარჯვებას ზეიმობდნენ (მაშინ ასე მეგონა, არადა, ახალ წელს ზეიმობდნენ), სამზარეულოში შევიპარე, სიბნელეში „პეპსის“ ბოთლი მოვძებნე და სასურველი სითხე ეგრევე ყრონტისკენ გავიქანე. პირველი 5 ყლუპი რაკრაკით ჩავიდა, მერე კი რალაც, სიმძიმე ვიგრძენი და გემოზე მივხვდი, რომ მზესუმზირის ზეთს ვყლურწავდი. — მიშველეეეთ! — ვიკივლე მთელი ხმით, მაგრამ არ ვიცი, შიშისგან თუ ზეთის გამო, ისეთი „ბლანტი“ ხმა ამოვიდა პირიდან, როგორიც დენგამორთულ ფირსაკრავს აქვს... მშველელმაც არ დააგვიანა და სამზარეულოში პირგამეხებული ბებო შემოვარდა. ეჰ, თვითმკვლელობას (ზეთით მოწამვლას) ისევ ბებოს ხელიდან სიკვდილი ვარჩიე... კარგა ხანს რეცხავდნენ ჩემ მიერ ავანგარდისტულ სტილში „მოხატულ“ და დალაქავებულ ფანჯრის ფარდებსა და იატაკის ხალიჩებს, რადგან პირით ისეთი საახალწლო ფეიერვერკი მოვაწყვე, „ლუბოი“ ზეიმს დაამშვენებდა (სად იყო მაშინ „არიელი“, „ტაიდი“, „ვენიში“ და მსგავსი სუპერსარეცხი საშუალებები) და ყოველ რეცხვაზე ისმოდა ბებოს საფირმო წყევლა: „გოხარცქედა ბოხო, გოხარცქედა“. რაც მეგრულიდან ქართულ თარგმანში ასე ჟღერს: „გასკდი ბოხო, გაგისკდა მაგ მუცელი, ბოხო!“ ბოხო“.

გაგიჟებით. მას ბაკური ერქვა. ჰოდა, თხამ და ბიჭმაც, ანუ ორივე ბაკურიმ ჩემი ბიძაშვილი დაიწუნა. სალუკა“.

ალიკაანთ გიორგა

„იცით თუ არა, რომ მეკვლეების არჩევა სხვადასხვა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს? მაგალითად, თუ სახლში შინაბერაა, ალიკაანთ გიორგას უნდა მიმართოთ, ხოლო თუ გინდათ, რომ ხელმომჭირნედ აღარ იცხოვროთ, გუჯას ნათათოს. ჩემი სახლის მეკვლე მე ვარ. გასვლა 31-ში, ღამე მეწყება და 12 საათის მერე არ მიკითხოთ, 2 იანვრამდე სახლში არ ვიქნები. აი, 2-ში კი კარს თავით ვაღებ და „მთვრალი არა ვარს“ ვყვირი. ალიკაანთ გიორგი შინაბერებს მას შემდეგ სწამთ, რაც იეღოვა იწამეს. მის სიაში მამიდაჩემიც ჩავწერე. იეღოველი არაა, მაგრამ შინაბერაააა. რა ვიცი, იქნება, მაგის ნერვებსაც ეშველოს და მეც, მაგრამ ვაი, ის უბედური, ვინც მამიდაჩემს წაიყვანს. გკოცნით. :) ნათათო“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ამბიცია კლუბის შეფობაზე

„გუშინ მეტროთი ვიმგზავრე. ჩემ გვერდით ერთი ქალი იჯდა და „გზას“ კითხულობდა, თან სიცილით „ირღვეოდა“. მოკლედ, თავის სტიქიაში იყო. მისი შემყურე, მთელი ვაგონი იცინოდა და მეც, რადგან მის გვერდით ვიჯექი, 7-ჯერ წაკითხული ჩვენი ჟურნალი მერვედ წავიკითხე. ზემოთ რომ ამოვედი, რამდენიმე ჩემი თანამგზავრი უკვე ყიდულობდა „გზას“. იმ ქალს მაგარი რეკლამა კი გამოუვიდა, მაშ! აბსურდა“.

„სოფლის ავტობუსში ვზივარ მშვიდად, მაგრამ ვინ გაცალა? ქალი ამოდის, ვიყურები კარისკენ და... აბა, ქალი? სად არის ქალი? ის საცოდავი, ამოსასვლელში წაიქცა. ადგა და — დედაა, დედააა, კინაღამ არ წავიქეციო? მუზკას გაცნობა მინდა და რა ვქნაა? ნომერი არავინ იცით?“

„ერთ სოფელში ჯადოქრის ქოხი იდგა და „გზავნილები“ ეწერა. იქ ვინც შევიდა, აღარავინ გამოსულა. ერთხელ, მშვენიერმა ასულმა, სერაფიტამ შეაბიჯა და სამუდამოდ იქ დარჩა. „პაკაა“.

„ეჰ, მარ, აღარ მწყალობ, ხომ იცი... რატომ? მგონი, არც ახლა დამიბეჭდავ, არა? ნეტავ, ვინაა ის ბიჭი, ფეხბურთელი, თან თელაველი? ნეტავ, არ ვიცნობ? ნიკით ვერ მივამსგავსე ვერავის. მარი19“.

„საბერძნეთში ღამის პირველი საათია, მანდ კი 3. არ მეძინება და „გზით“ ვირთობ თავს. ჰოდა, ამ ჩემს ბებიას ახლა გამოეღვიძა, მომიჯდა გვერდით და მეუბნება — რატომ არ გძინავსო? ვეუბნები — „გზაში“ წერილებს ვკითხულობ-მეთქი. ვერ მიხვდა, რა „გზაზე“ ველაპარაკები და ასე მეუბნება — გზაში რომ არ იკითხო, სახლში ვერ წაიკითხავო? ჰოდა, ახლა ვიგუდები სიცილით“.

„მარორიტა, დაგიჭირე, ჩართული რომ გაქვს ტელეფონი? როგორ მეცოდები, რამდენი სამუშაო გექნებაა... ახლა, ძილი ნებისა გითხრა თუ დილა მშვიდობისა?“

„გუშინ ჩემმა 2 წლის შვილმა

თავის ახალ ფეხსაცმელში 2 თავი ხახვი და ერთი კარტოფილი ჩატენა და რის ვაი-ვაგლახით, თითის წვერებზე აიწია და ანთებულ გაზზე შემოდო. ძირი რომ გამოეწვა და ხახვმა დაიწყო შიშხინი, მაშინღა ვნახე, რომ დიდ „მსოფლიო ხანძარს“ გადავურჩით. ნატალი“.

„საახალწლოდ მე და ბიცოლაჩემმა ვიყიდეთ „ასაფეთქებლები“ და გადავწყვიტეთ, რომ საიმედო ადგილას შეგვენახა. ჰოდა, ავიღეთ და საკუჭნაოში, ქათმების საჭმლის გვერდზე დავდეთ... შესულა ბებიაჩემი და ქათმებისთვის საჭმელი წაუღია. ეს კიდევ, ნაგავი ჰგონებია და საქათმეში დანთებულ ცეცხლში ჩაუყრია... იქ ამბავი მომხდარაა... 30 ქათამი ერთდროულად მომკვდარა... ნინჩი15“.

„პარიჟანკას“ ნომერი მომეცით, რა, ან ჩემი მიეცით. უბრალოდ, „მობილი-ზაციაში“ არ მინდა ჩემი მესიჯის გამოჭენება. შემისრულე, რა, ეს თხოვნა. საახალწლო საჩუქარი იქნება შენგან. მაგ ადამიანში ბევრი ჩემთვის მომხიბვლელი თვისება აღმოვაჩინე. წინასწარ მადლობა. ფრანცუზ“.

„პრივეტ“, მარ, არ თქვა, ამ ბავშვს ხომ არ გაუფრენია, ამ ოთხშაბათ საღამოს რომ მიმესიჯებსო. უბრალოდ, ერთი სული მაქვს, როდის გათენდება და „გზას“ ვიყიდი. :) ესმერალდა“.

„კარგა ხანია, არ მომიწერია. ვმუშაობ და საქმიანი ქალი ვარ. კაბინეტი... ჩემს კართან რიგები და... აუ, ჭკუაზე არ ვარ. ახლაც მაგარი დაღლილი ვარ, მაგრამ „გზავნილები“ რომ წავიკითხე, თვალში ჩემი მესიჯი მომაკლდა. არა, არა, ასე არ შეიძლება, მარ, შეავსე, რა, უჩემობით გამოწვეული სიცარიელე. თაისი“.

„ძაან ცუდად ვარ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ბიჭს პირობა მივეცი, ცოლობაზე დავთანხმდი და ახლა ვხვდები, რომ არ მიყვარს. არადა, უკან დასახევი გზა აღარ მაქვს. თვითონ ჩემზე გიჟდება და თანაც, მის ოჯახში უკვე სარძლოდ მთვლიან. ლიკუ“.

„მოგესალმებათ, კურიოზი ანეკდოტის ძე იუმორიშვილი. ამას წინათ მასწავლებელი მეუბნება, დავალება მაჩვენეო. მეც გამახსენდა ერთი ანეკდოტი და ვეუბნები, მასწ, არაფერი გამიკეთებია-მეთქი. მერე იქ გაწევ-გამოწევები, „შენს სისხლს დავლევ“, „არასპრავედლივი“ ხელი არ იყოს, მაგრამ ახლა ისე ვარ ნაცემი, თითებიც მტკივა. აუ, რა ჯანიანი ქალი ყოფილა ეს თამილა მასწ-ი. ჯაგერი“.

„გაკვეთილზე რაღაც თემას ვკითხულობდი და „სქესის“ მაგივრად „სექსი“ წავიკითხე.

საშიში მეკვლეები

„ნეტავ იცოდეთ, როგორი შიშით ველოდები ყოველ ახალ წელს. ჰო, ჰო, მართლა! იცით, მეშინია, ტრავმატოლოგიურში არ ამოვყო თავი. ახლა, რაშია საქმე: ყოველი ახალი წლის ღამეს, ჩემი გადარეული დაქალები ჩემთან მოდიან და ჩახუტება და ამბავი დილამდე გრძელდება. ესეც იმ შემთხვევაში, თუ მათ შემოტევას გადავურჩი: დარეკავენ ზარს და კარს გავაღებ თუ არა, წამოვა კანფეტები სეტყვასავით და აღარ ვიცი, ხელები სად ავიფარო. როგორია, 7 კაცი 2-2 მუჭა კანფეტს რომ მოგათხლიშავს სახეში, მთელი ძალით? მესმის, რომ ტრადიციაა, მაგრამ როგორც ვიცი, მეკვლემ იატაკზე ორიოდე კანფეტი უნდა მიმოაბნიოს. აბა, ჩვენს წინაპრებს ის კი არ დაუბარებიათ, მთელმა ჯარმა ერთი ტომარა კანფეტი პირდაპირ თავში უნდა დაათხლიშოს მასპინძელსო. თან, ეს შოკოლადები და ჟელეები, კიდევ ჰო, რბილია და არაა მაინცადამაინც მტკივნეული, მაგრამ ეს კარამელები და კოწახურის „საწუწნი“ კანფეტები რაღა უბედურებაა? ისე ჩამილურჯდება ხოლმე სახე, რომ მეორე დღეს კაცი ვერ გაარკვევს, მთელი ღამე დაქალებთან ერთად, კაი პონტში ვიყავი თუ ფრონტის წინა ხაზზე. ნუ, კაი, ეგ ჯანდაბას, გადავურჩი კანფეტებს და მერე, რომ გამოექანებიან და წამოვა 7 წყვილი წიხლი, ეგ უნდა ნახოთ! დასწრებაზე არიან, ვინ დაადგამს პირველი ფეხს და ვინ იქნება მეკვლე. ბოლოს, იმარჯვებს ყველაზე ძლიერი, ილბლიანი და შემოეჭეჭყება, ჩემს უკვე გაგანიერებულ კარის ჩარჩოში და იწყება ახალი უბედურება: მომვარდება 7, შუშხუნებით „შეიარაღებული“ ველური და იმისთანა ბრდღვიალი გამაქვს, რომ დედაჩემი ხანძარსაწინააღმდეგო ბალონით დამდევს უკან. ამ ყოველივეს შემდეგ კი, თუ სასწაული მოხდა და გადავრჩი, ზემოთ ხსენებული გაგება, მეობა და სიყვარული იწყება. პენსიონერი“.

ჯობს, ხელოვანი ლოდის
ბანაში დაყოვნო,
ვიდრე ათეისტში.

:) ბავშვები ახარხარდნენ, მე კი იმდენად გამოვშტერდი, რომ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა და ეს „რომანტიკული“ სიტყვა კვლავ გავიმეორე. :) ეჰ, გამოვასწარი კლასიდან მასწავლებელს, თორეეემ... :) ლუჩო“.

„ამაზე მეტი კურიოზი გაგონილა? ამხელა ქალი კასრში ჩავვარდი და ისე გავიჭედე, იქიდან ამოსული აღარ ვვარგოდი. ჰო, მე გზის ერთგული მკითხველი ვარ. ბუზღუნა“.

„აუ, მარ, არ გეწყინოს, კაი?

სვანი შეყვარებულს ეუბნება: რატომ არ მირეკავ, ტელეფონი რომ არ მაქვს, იმიტომო? უჰ, უჰ! დადა“.

„სალამი, მარი. იცი, ახლა რა მაგარ ხასიათზე ვარ? გუშინ პავლიკა გავიცანი, დღეს კი სამებაში შევიკრიბეთ და კანიბალკა, ილინი, დუჩი, მგელო და მგლის და გავიცანი. მერე ლანკასთან ვიქეიფეთ, შენი თამადობით, „გზავნილების“ სადღეგრძელოც დავლიეთ, ჩვენი კლუბისაც და ყველა კარგი ადამიანისაც (აუ, ახლაღა მომერია ღვინო). კლუბი „მგზავრები“ ყველაზე მაგარია და

„კურიოზი არაა, საკუთარი თხილის მოსაპარავად „კრიშაში“ რომ ახვალ და ოთახში მაგიდაზე რომ მოადენ ბრაგვანს? მე რა ვიცოდი, თუ დიქტი დამპალი იყო? ფისო“.

„არ გსურთ, ვინმემ რომ გამაწევროთ? ან — რამდენი კლუბი იქნება? ლელუჩია, შენ ვის კლუბში ხარ? ერთის შეფი, ვიცი, რომ კანიბალკაა და დანარჩენი არ ვიცი. თაფლაკვერა“.

„თქვენთვის არასდროს მომიწერია. ისე, „გზის“ ფანი ვარ. ყველა, რომელიღაც პარტიაში წევრდება, მე კი „გზა“ ავირჩიე.

ანალგინ-„პიდარასტი“

„ბებიაჩემი მთელი 22 წელი ლოგინად იყო ჩავარდნილი და რა თქმა უნდა, „სასწრაფო“ ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახლდათ. ერთხელ, ბიძაჩემებს სერიოზული ჩხუბი მოუვიდათ და ერთმა მეორეს „პიდარასტი“ უწოდა. ბებიაჩემმა ეს რომ გაიგონა, ძალიან ეწყინა — რატომ უთხრა ეს სიტყვა ერთმა ძმამ მეორესო და რომ არ დავიწყნოდა, ანალგინის კოლოფზე დამაწერინა: „პიდარასტი“. ერთხელ, ბებო ცუდად გახდა და „03“ გამოვიძახეთ. მოვიდა ერთი ლამაზი ექიმი (ბიჭი გახლდათ) და ბებოს ეუბნება: აბა, მანახვე, რა წამლებს სვამო. როცა ბებიაჩემმა წამლები, მათ შორის, ანალგინ-„პიდარასტი“ უჩვენა, იმ ექიმის გაოცებული თვალები უნდა გენახათ... 40 წლის ქალბატონი“.

ამ პატარა მესიჯით და დიდი გულით მათ გაუმარჯოოოთ... მიყვარხართ, ბავშვებო. ლელუჩია“.

„ჩორი-ჩორიიი, „სპასიბა“, ქალაუ, ტაიკვანდოს ილეთებს ვერ მასწავლი? :) სოხუმის უნივერსიტეტიდან არავინაა? ჯიქიადან არავინ ხართ, ხალხო? ილინი ვნახე თსუ-ის ეზოში, ხალისიანი გოგო ჩანს. რატომ არ მივედი? ხომ არ მივახტებოდი, ლიმონა ვარ-მეთქი? ვის მოეწონება, ტვინს რომ გაგიბურღავენ, აუ, გამეცანიო? მე — არა... ალბათ, არც ილინს“ :)).

„ყველანი რა საყვარლები არიან. იცი, როგორ მსიამოვნებს, ასეთ სიყვარულს რომ ვხედავ? აქ ხალხი ისეთი ცივია, მხოლოდ „გზავნილებით“ ვგრძნობ, რომ ქართველებს შორის სიყვარული არ ჩამკვდარა. გიყვარდეთ ერთმანეთი, სადაც არ უნდა იყოთ. ყველანი მიტვარხართ. მიმიღებთ? ათენი, ბარბი“.

ხომ მიმიღებთ? დაიანა15“.

„მარი, შენ ხომ ხარ ჯაფარიძე? მარიო ხომ არის ჩიმარო? ჰოდა, შენ დღეიდან იქნები მარიო ჯაფარო. ხომ ჰგავს ერთმანეთს? ალბათ ფიქრობ, გააფრინაო. ნამდვილად ასეა, მარი, ათენიდან ვწერ“.

„ეჰ, რა ცუდია, დღეს მთელი დღე სინათლე არ გვაქვს, ტელეფონიც მიჯდება და რა ვქნა, არ ვიცი. ავდგები და მეუღლეს ვეჩხუბები. კაი იდეაა, მგონი“.

„კურიოზი ის იქნება, ჩემი მესიჯი რომ ვნახო „გზაში“. ეტყობა, ჩემმა მესიჯებმა „საბაჟო“ შემოწმება ვერ გაიარა. ახალი მგზავნელი (ისე, ძველი მკითხველი)“.

„იცით, ჩემი აზრი რა არის? გათხოვილები ვინც ვართ, ჩვენ ჩვენი კლუბი შევქმნათ. მერე იცით, რა მოხდება? ყველას მოუნდება ჩვენს კლუბში შემოსვლა, მაგრამ ვერავინ შემოვა. რატომ? იმიტომ, რომ გათხოვილები არ იქნებიან. ამიტომ, LILU-19, ჩემო სიხარულო, ეს გოგონები უნდა გავათხოვოთ და ჩვენს კლუბში უნდა შემოვიერთოთ. ჩვენც გავერთიანდებით და ლამაზი ოჯახებიც შეიქმნება. ხომ მაგარია? როზი“.

„ამას წინათ ღვინის ქარხანაში ვმუშაობდი და ახალი თანამშრომელი რომ მოვიდა, კონტრაქტი გაუფორმეს. მე კი ზეპირად ვასწავლე, — ეგ საგამოცდო ბილეთია-მეთქი. იმანაც ისწავლა. გუკი“.

„ყოველი ახალი წლის დილას, ბალიშის ქვეშ საჩუქარი მხვდებოდა. ძალიან მიხაროდა. ჩემი თოვლის ბაბუ ჩემი დედიკო იყო. ახლა კი აღარ მყავს ჩემი დედიკო და აღარც საჩუქარი მხვდება ხოლმე. დედამ შემაყვარა ახალი წელი. გკოცნით. ნათი“.

„ნამდვილი ბედის ირონიაა. ჩემი ერთადერთი ძმა 21 დეკემბერს ელოდა ქალიშვილის დაბადებას და 1.000 ლარ პრემიას „იხუტებდა“. პაწიამ კი — თქვენი მათხოვარი ვინ არისო?! — და 20 დეკემბერს გამოძვრა. შოკი ის კი არ იყო, რომ პრემია დაკარგა, არამედ ის, რომ ცხრა თვე მდედრს ელოდნენ და მამრი გაიჩითა! აჰაა, არჩევანიც უკვე გააკეთაა! ლოკოკინა“.

„საახალწლოდ სურვილის ჩაფიქრება გიცდიათ? მე 2-ჯერ ზუსტად ამისრულდა და წელსაც თუ ამიხდა, გაისად ამ დროს ქორწილის ამბებს მოგწერთ. :) სიყვარული მინდაააა... პარიჟანკა“.

„შარშან 3 იანვარს მქონდა შეჯიბრება ჭიდაობაში. მოკლედ, მაგრად ვიჭიდავე, გადავლეწე იქაურობა (მართალია, წავაგე, მაგრამ მაინც). ჰოდა, ეს ჩვენი „სუდია“ იყო მაგარი მთვრალი და გამარჯვებულის მაგივრად, ხელი მე ამაწევინა, რის გამოც, ზის ახლა სახლში, „პივით“ და „სილიოტკით“. რასპუტინა“.

„უსამართლობა იქნება, რომ კანიბალკას კლუბში გაწევრება მოვინდომო. მგზავნელი და მკითხველი კი ვარ, მეგრელების რძალიც, მაგრამ არავინ მიბეჭდავს. ჰოდა, ვინც ჩემს დღეში ხართ ანუ „მზედაბნელებული“ გზავნილების ავტორები, ცალკე შევქმნათ კლუბი, სახელად — „ოცნებას კაცი არ მოუკლავს“. სხვა რა გზა გვაქვს? გკოცნით. თოლია“.

„აუ, კლუბების შემქმნელების

დევიზია ისეთი, როგორიც პრეზიდენტობის კანდიდატების — წინასაარჩევნოდ. :) მე გპირდებით... და ა.შ. და მაინც, აბა, ვის უნდა კლუბ „უკარება“-ში გაწევრება? ერთად წავალთ კონცერტებზე, კინოთეატრებში, ფეხბურთზე და ა.შ. მოკლედ, მაგარ დროს გავატარებთ. თხა, თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამაო! უკარება“.

„საახალწლოდ, ბიცოლამ მეკვლის სახით, მეზობლის 5 წლის ბავშვზე შეაჩერა არჩევანი. დაიბარა და დაარიგა, 12 სთ-ის მერე შემოდი და თქვი, — ხვავი და ბარაქა ნუ მოგკლებოდეთო. იმან კი, გახდა თუ არა 12 საათი, შემოჩოჩიალდა და დაიღრუტუნა — ყვა

ეს „გზა“ სიგრძე-სიგანეზე და დავრჩით ორივენი „გაღიმებულები“. დღეს, ჯერ იმ სანზონის გზაზე ვიჯაყჯაყე, მერე 128 ნომერ „მარშრუტკაში“ ავედი. მძღოლმა ხომ დაჯდომა არ მაცალა, ლამის ძირს გამშოტა და რომ დავჯექი, სკამი სველი აღმოჩნდა. ლამის გული შემიღონდა, მაგრამ ხერხი ვიპოვე: დავიფინე ჩემი საწყალი ჩანთა და დავაჯექი ზედ. :) თუმცა, ერთი კაი საქმე გავაკეთე: გოგო აპირებდა დაჯდომას და გავაფრთხილე, რომ არ დასველებულიყო. აი, ასეთი კარგი გოგო ვარ, ვინც არ იცით. LILY19“.

„მართალია, პატარა აღარ ვარ და არც თოვლის ბაბუის არსებობის მჯერა, მაგრამ ვაი, და, არსებობს? ჰოდა, თუ არსებობს, მინდა, ერთი სურვილის ასრულება ვთხოვო: ბატონო თოვლის ბაბუავ, მინდა, ეს, უკანასკნელი ახალი წელი იყოს, რომელსაც მიშა მომილოცავს. მინდა, შობა გამითენდეს ბედნიერ და მშვიდ საქართველოში. უმორჩილესად გთხოვ, როცა უკან, შენს სამფლობელოში დაბრუნდები, მიშიკო შენთან წაიყვანე, რაა... თორემ მე წავიყვან ბებოსთან. იმ ციცქნა გოგოს თუ გაჰყვა, — ბებიას უნდა შენი ნახვაო, რომ უთხრა, — მჯერა, მეც არ დამაღალატებს. P.S. ისე, ცოტა ხნის წინ ვიყავი ბებოსთან სასაფლაოზე და მითხრა: აქაც დაგვიდგეს საარჩევნო ყუთი და ჩვენ ყველანი მიშას ვაძლევთ ხმასო. კამელია“.

„პრივეტ“, ჯაფარიძიანთ ასულო, როგორ ხარ? რა იყო, შენი ქუთაისელი მგზავნელები რომ არ აქტიურობენ? დავიჯერო, ასე გაზარმაცდნენ, ეს იმერლები? ჰო, ჩემი წინადადება, წერეთლის უნივერსიტეტში შეხვედრის თაობაზე, ისევ ძალაში რჩება (მაინც იქ ვარ, დილიდან საღამომდე). ჩემო კარგო ქუთაისელებო, დროა, აწი ჩვენც შევქმნათ კლუბი, თორემ გვაჯობეს დედაქალაქელებმა. იაქტიურეთ ვინმემ, თორემ ვინ გაუწევს კანიბალკას და მის „მგზავრებს“ მასპინძლობას, რომ დაგვპირდნენ, პირველად თქვენს ქალაქს ვესტუმრებითო? ესმერალდა“.

„კახელებო ყველა კუთხისა, შეერთდით! აბა, მითხარით, კახელებმა როგორ შევქმნათ კლუბი? ზოგი სად ცხოვრობს, ზოგი -- სად. საგარეჯოელებო, ვინ ხართ, სად ხართ, გამომეხმაურეთ მანაველს და ჩამოვაყალიბოთ ჩვენი კლუბი. სახელი ერთად შევურჩიოთ. აბა, გელოდებით“.

„ეჰ, მარ, არ ვიყავი ალბათ, საინტერესო? რა არის, თინიკო, ჰა? ასე უინტერესო რამ გაგხადა? :) ასე უნდა? მარიმ მესიჯი თუ არ დაგიბეჭდა, ესე იგი, „კატასტროფა“ იყავი, ხომ? არ დავინახო, მეორედ მესიჯში ხაჭაპური, ლობიანი და ქოლგა ახსენო, თორემ წაგიშლი მარორიტას ნომერს ტელეფონიდან და იყავი მერე „დაბლოკილი“. ახლა ჩქარა დაამესიჯე, თორემ გამორთავს ტელეფონს მარი და დარჩები ხახამშრალი, კვატო, შენა! :) „ვოტ, ტაკ!“ რუსთაველებო, მოდი, რუსთავში შევქმნათ, რა, კლუბი! მარ, გემუდარები, ნუ, ხომ იცი, რასაც? „გზავნილების“ „სნეგურაჩკავ“... ამაზონკა“.

„სულ დავიკარგე ამ ზამთრის ორომტრიალში. ახლა ვბრუნდები, ახალი ნიკით და ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებ, თქვენთან ერთად. თქვენი იმედი მაქვს, მგზავნელებო! :) პუსკა“.

„რუსთაველებო, იქნებ შევხვდეთ ერთმანეთს, მოვილაპარაკოთ და ჩვენც შევქმნათ „VIP-კლუბი“. შემეხმიანეთ, გელოდებით. პაწია“.

„მგზავნელებო, გილოცავთ ყველას ახალ წელს, გისურვებთ (ამას ჩემს თავსაც ვუსურვებ), მარის თქვენი SMS-ები არ დაებლოკოს. ერთ ახალი წლის ღამეს მე და ჩემს ძმას კარის მეზობელი გვეჯიბრებოდა, ასაფეთქებლების აფეთქებაში. კარგა ხნის „ბრძოლის“ შემდეგ, „ტყვიები“ გაგვითავდა და ჩემი ძმა ტაშის დაკვრით „იგერიებდა მტერს“. იოიო“.

„ეჰ, ახლა დავამთავრე „გზავნილების“ კითხვა და როცა შემდეგი თემის სათაური წავიკითხე, ავადსახსენებელი პირველი იანვრის ღამე გამახსენდა და იცით, რატომ? მამაჩემი ვერ იტანს ტელეფონის ვიბრაციის ხმას. ჰოდა, როდესაც უკვე შეთვრა, ამ დროს რეკავს ტელეფონი. მამაჩემმაც, მშვიდი სახით აიღო ტელეფონი, მშვიდად გამოაღო ფანჯარა და გადაუშვა ჰაერში ჩემი მობილი. სოფი“.

„თელავში ერთი „ხოხმა“ კაცი ცხოვრობდა. დიდი ულვაში ჰქონდა. ჰოოდა, ერთხელ ახალგაზრდა ბიჭმა ჩაიარა და უთხრა: ძია შაქრო, ქორწილში მივდივარ და ულვაშს ვერ მათხოვებო? შაქროც ჩაფიქრდა და უპასუხა, — შვილო, განა რა არის, გათხოვებდი, კი არ მენანება, მაგრამ ცოტა არ იყოს, „დედიშენისას“ ჭამა გიყვარს და გამითხუპნიო. :) მის რეალი, თელავიდან“.

„აუ, მეც მინდა კლუბში გაწევრება. კანიბალკა, მიმიღებ? გრაფ-ზურა“.

„მარი, დაგიჭირე, ტელეფონი ჩართული რომ გაქვს? ო, რა უნდა გითხრათ: კაი მეკვლე არავის უნდა? ერთი ახლობელია, მაგარი ფეხი აქვს, ვის ოჯახშიც შევიდა, გოგო არ დატოვა გაუთხოვარი. ჰოდა, დაპატიჟეთ, რა, ვინმემ, მეც გამოვყვები და ეგებ მეშველოს რამე? ერთი ცისფერი გავიცანი, 3 წლის წინ, ბედობას და მას მერე წელი არ „გავმაზე“, 3-4 რომ არ გავიცნო. ვითომ, შემთხვევითობაა? ახლა, ან სახლში ჩავიკეტები, ან რამეს მოვიფიქრებ, თვარა, რაცხა ვეღარ მიყურებენ ახლობლები კაი თვალით, „გათხოვებით“ მემუქრებიან. შეწირული“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ, მონდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — მეორე დედა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com. მიამბეთ, სიდედრებისა და დედამთილების შესახებ. ვისაც არ გყავთ, მშობლების, ახლობლებისა და მეგობრების მეორე დედიკოებთან ურთიერთობის ამსახველი, საინტერესო ამბების გამოგზავნა შეგიძლიათ.



პოვნილ დაკნინებულ სმას თავს იმ ჭეყანაში, სადაც ლოდი პძეზე იათია?

კარგად დააკვირდი ყველა ფოტოს და თავი ერთ-ერთი ვირთხის ადგილზე წარმოიდგინე. როლი კარგად მოირგე და შემდეგ გვერდზე ფოტოტესტის პასუხები იხილე.









1. თუ თავი პირველი ვირთხის ადგილზე წარმოიდგინე, სავარაუდოა, რომ პატივმოყვარე, ეგოისტი ადამიანი ხარ და საკუთარი თავის გარდა არავისზე ფიქრობ. გამუდმებით ვილაცას ეჯიბრები და თუ გრძნობ, რომ საქმეს ვინმე შენზე უკეთ ართმევს თავს, მაშინვე განგაშის ზარებს შემოჰკრავ და ძალას არ იშურებ, რომ ისევ ლიდერის პოზიცია დაიკავო. საამისოდ კი, არც ხაფანგს უშინდები და არც კატის კლანჭებს. ჩამორჩენა დეპრესიაში გაგდებს და ფიქრობ, რომ ცხოვრება უსამართლოდაა მოწყობილი, რამეთუ შენ გაცილებით მეტს აკეთებ, დაფნის გვირგვინი კი, სხვას ხვდება. ამასთან დაკავშირებით, ერთ ანეკდოტს გეტყვი: ვირთხა და ზაზუნა ერთმანეთს შეხვდნენ. ვირთხა ეკითხება:

— რატომ უყვარხარ ყველას? გივლიან, გეფერებიან, შენ ჩემგან ხომ მხოლოდ კუდის სიგრძით განსხვავდები?

— საქმე ის კი არ არის, რა სიგრძის კუდი გაქვს, მთავარია, იმივეზმეიკერი შეარჩიო სწორად.

2. თუ თავი მეორე ვირთხის ადგილას წარმოიდგინე, სავარაუდოა, რომ უშიშარი ადამიანი ხარ და ლელო ყოველთვის გაგაქვს. „მოწინააღმდეგეს“ ყოველთვის ღირსეულად ხვდები და მიგაჩნია, რომ ულირსი კაცის მეგობრობას, ღირსეული კაცის მტრობა სჯობია. თუმცა, ფრთხილი ხარ და წინდაუხედავ ნაბიჯს იშვიათად დგამ. შენი ცხოვრების პრინციპია — ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი. რაც შეეხება კატას, — თუ თხრი, თხრი და თავად გამოთხრი, წინასწარ მასთან „ბრძოლის“ მეთოდიც შემუშავებული გაქვს, ხოლო თუ მოულოდნელად გადააწყდი, მაშინ მაინც უკან დახევას ამჯობინებ. ერთი ანეკდოტი შენთვისაც მაქვს შემონახული: ვირთხამ ლიანდაგზე გადაირბინა და შენიშნა, რომ მატარებელს კატა მოუკლავს. „ვაა, რომელი ანა კარენინა ეს იყო, რომ მატარებელს შევარდნია?“ — გაიფიქრა და გზა განაგრძო.

3. თუ თავი მესამე ვირთხის ადგილას წარმოიდგინე, ალბათ მშრომელი ადამიანი ხარ და ყველა საქმეს პასუხისმგებლობით ეკიდები. შენი კომპანიისთვის შეუცვლელი თანამშრომელი ხარ და კოლეგებისთვის — ავტორიტეტი. ჰო, მართლა, ავტორიტეტზე გამახსენდა: საკანში ქურდები სხედან და ვახშობენ. ამ დროს საიდანღაც ვირთხა გამოვარდა, პურის ნატეხს პირი ჩაავლო და ის იყო, სოროსკენ გაიქცა, რომ ერთ-ერთმა ქურდმა მოკლა. დანარჩენებმა მისი საქციელი არ მოიწონეს:

— კი, მაგრამ რატომ მოკალი? საწყალმა, პური მოიპარა, ეი. ქურდია. თუ ქურდია, ჩვენიანი ყოფილა. თუ ჩვენიანია, მისი მოკვლის უფლება არ გქონდა. თუ დილამდე მყარ არგუმენტს არ მოიფიქრებ — რატომ მოკალი, შენც მის გზას გაგიყენებთ.

გათენდა.

— აბა, რა ქენი, მოიფიქრე?

— მაგას რა ფიქრი უნდოდა? რას გარბოდა? ძმებში დაჯდომა და ლუკმის გატეხა გაუტყდა?!

4. თუ თავი მეოთხე ვირთხის ადგილას წარმოიდგინე, ბევრი ფიცი-მტკიცი არ უნდა, რომ სიდედრის მსხვერპლი ხარ. ხომ გამოვიცანი? სწორედ ფოტოზე ალბეჭდილი ვირთხასავით გრძნობ თავს, როცა შინ ბრუნდები და გახსენდება, რომ იქ „დედიკო“ დაგხვდება და „მოგეხმატკბილება“. რას იზამ? მზითვიან ქალზე დაქორწინება თუ გინდა, ზედსიძეობის მძიმე როლიც უნდა მოირგო. ხომ იცი, შხამიან გველს როგორ უნდა დააღწიო თავი? როდესაც შორიდან შენიშნავ, უნდა გაშეშდე და თავი მოიმკვდარუნო.

5. ნათქვამია, რომ უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. თუმცა, ყველსაც გააჩნია. კარგი ყველი არც სათაგურშია და აღარც ბაზარში. თუ ამ ფოტომ ის ყველის გამიდველიც გაგახსენა, რომლისგანაც საახალწლოდ ყველი იყიდე და გულში „მოკითხვაც“ შეუთვალე, სავარაუდოა, რომ ან წინაში მოგატყუეს, ან უხარისხო ყველი შემოგაპარეს.

6. თუ ვირთხების ადგილას საკუთარი თავი კი არა, ტელევიზორის ეკრანიდან ხშირად მომზირალი სახეები წარმოიდგინე, სავარაუდოა, რომ პოლიტიკაში ჩახედული ადამიანი ხარ და კარგად იცი, თუ ვინ რას წარმოადგენს. ტყეში მეფის არჩევა გადაწყვიტეს. კენჭს ლომი, ვეფხვი, დათვი და ირემი იყრიდნენ, მაგრამ ხმათა დიდი უპირატესობით, ვირთხამ გაიმარჯვა. რატომ?.. იმიტომ, რომ ცესკოს თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი გახლდათ.



თოვლის ბაბუა წინათ ბოროტი ბერიკაცი ყოფილა



თურმე ნაძვის ხეც და თოვლის ბაბუაც კელტური ტრადიციების გადმონაშთი ყოფილა. კელტები ნაძვს ტყის სულის სახლად მიიჩნევდნენ და ამბობდნენ, რომ ის სისხლიან მსხვერპლს მოითხოვდა. ამის გამო დრუიდები ნაძვზე სხვადასხვა ცხოველის შინაგან ორგანოებს ჰკიდებდნენ ხოლმე. როდესაც მოძლიერებულმა ქრისტიანულმა სარწმუნოებამ მსხვერპლშეწირვა აღკვეთა, ევროპელებმა შინაგანი ორგანოები ხის ბურთებით შეცვალეს. შემდგომში ისინი შუშის ბურთებით შეიცვალა.

რაც შეეხება სანტა-კლაუსს, ისიც ძველი კელტური, ბოროტი ღვთაებისგან წარმოიშვა, რომელიც ჩრდილოეთის ძლევამოსილი მოხუცი გახლდათ და სიცივისა და ყინვის მბრძანებელი იყო. ძველი გადმოცემის თანახმად, ის ზურგზე ტომარამოკიდებული, კარდაკარ დადიოდა, მაგრამ საჩუქრებს კი არა, იმ სამსხვერპლოს არიგებდა, რომელიც წლის განმავლობაში არ მიჰგვარეს. მისი ვიზიტი სიკეთის მომტანი არ იყო. როგორც წესი, მისი წასვლის შემდეგ სახლში გაყინული ადამიანები რჩებოდნენ. ამისგან თავის დასაცავად, დრუიდები საერთო მსხვერპლს სწირავდნენ ბოროტ ღვთაებას. ყინვის დროს დედიშობილა ქალწულს ხეზე აბამდნენ და ტყეში ტოვებდნენ. შესაძლოა, სწორედ სამსხვერპლოდ გაწირული გოგონა იქცა ფიფქიას პროტოტიპად. ●

მოკლე ჩართვა

მგზავნელების ნომინაციები

• სხვა ნომინაციებს თქვენ გითმობთ, მე კი ერთს დავასახელებ: „საუკეთესო ანეკდოტისტი“ – და „ოსკარი“ გადაეცემა... ოლეგარიოს. არგელოდი.

• ყურადღებას „გზაში“ განგაშია! დაიკარგა „გზავნილების“ პრინცესა“, ილინ! მე მას სწორედ ამ ნომინაციაზე წარვადგენ. მომენატრე და უშენოდ მოვიწყინე. მარ, მართლა პარიჟანკა ვარ.

• „ლიდერი ქალაქი“ — ქუთაისი, „მეფე“ — ლეო91, „ყველაზე ეშმაკი, საყვარელი, სევდიანი და ჭკვიანი“ — ეშმაკუნა. „გოჭი“ — ილინ. „ნაძვის ხე“ — ნელკა. „ჩემპიონი“ — ნინო-მილანი. ეშმაკუნა.

• ჩემს თავს მივანიჭებდი „წლის ყველაზე უხმაურო მგზავნელის“ წოდებას. ხომ კარგი ნომინაციაა? ვარ ჩემთვის „სკუჩნად“, არც რაიმე პრეტენზიები მაქვს და არც არავის ვეჩხუბები.

• კარდიოლოგს წარვადგენდი ნომინაციაზე — „მის თეთრი ხალათი“. ძალიან მომწონს, მაგარი იუმორი აქვს. კარდიოლოგო, გენთალეეეეე! მახო.

• მგზავნელების „ოსკარი“, ნომინაციაში — „ყველაზე აქტიური მგზავნელი“, გადაეცეს კანბალკას. ნომინაცია — „კურიოზა ადამიანი“ — ილინ. ნომინაცია — „ყველაზე რელიგიური“ — მონასტრის ბიჭი. ნომინაცია — „უკანასკნელი ქართველი ჯენტლმენი“ — შეწირული. ნომინაცია — „ყველაზე ხალისიანი“ — ოლეგარიო. ნომინაცია — „წარმატებული დებიუტი“ — მგლის და.

• ჰო, მართლა, ნომინაცია — „ყველაზე მაგარი კლუბი“ — „მგზავრები“! მგლის და.

• კანბალკას ვანიჭებ „მგზავნელების განაბობას“. მაგარი ხარ. გიყვარ და დადა, მაგრები ხართ. ყველა კარგები ხართ, ძალიან მამხიარულებს თქვენი გზავნილები. სევდიანი.

• ნომინაცია? ხალხოოო, პირველად დავამესიჯე „გზაში“ და ჩემი ყველა მესიჯი დაიბეჭდა! მერე „გზავნილების“ გარეკანზე, კურიოზის დაბლა გამოაჭენა მარი დედიკომ ჩემი მესიჯის ამონარიდი! მერე გადავშალე და ჩარჩოშიც არ აღმოვჩნდი? მაგარია, მაგარია! მგონი, ნომინაცია „ყველაზე ილბლიანი“ მეკუთვნის?! ჰა, დებო და ძმებო? გრუზინ.

რჩევები მარტოხელა მამაკაცებს

ანუ როგორ უნდა მოიქცე, როცა ახალი წლის ღამეს სტუმრად ქალს ელოდები

როდესაც ქალი სტუმრად მოდის, ის მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობს, ისევე, როგორც შენ, მაგრამ თქვენ სრულიად განსხვავებულ თემაზე ფიქრობთ. მაშინ, როდესაც შენ ანგარიშობ, რამდენ კილოგრამ „ცოცხალ" წონას გაუძლებს შენი საწოლი, ის, ნამდვილი დეტექტივივით შენს ბინას იკვლევს, იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს, გაიგოს, რა იმალება შენს ქართულ, ჯენტლმენურ სულში.

გაქვს თუ არა გემოვნება? იუმორის გრძნობა? რა გადაცემას უყურებ მთელი ღამის განმავლობაში? რამდენად განათლებული ხარ? გაქვს თუ არა ისეთი ხელფასი, რომ მომავალში მან ტანისამოსი ბუტიკებში შეიძინოს, თუ ისევ „სექენდ ჰენდში" მოუწევს ყიდვა?

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ შენი ბინის დათვალიერებით, ის ყველაფრის შესახებ უტყუარ ინფორმაციას მიიღებს და საამისოდ, გაცილებით ნაკლები დრო დასჭირდება, ვიდრე შენ დილაობით წვერის გაპარსვას ანდომებ.

რა თქმა უნდა, ჯობდა, ის რესტორანში, შემდეგ კი სასტუმროში დაგეპატიჟა, მაგრამ ეს დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს. სულ რამდენიმე რჩევას მოგცემ და თუ მათ გაითვალისწინებ, შენი ოცნების ქალბატონი დარწმუნდება, რომ შენ სწორედ ის ხარ, ვინც მას ასე სჭირდება. საამისოდ, რამდენიმე მნიშვნელოვანი ნივთის საჭირო ადგილზე მოთავსებაა საკმარისი. არ აჩქარდე, ყველაფერი კარგად მოიფიქრე და გათვალე. განსაკუთრებით მაშინ, თუ გინდა, რომ შენს დივანზე არსებულ საეჭვო ლაქებს ყურადღება არ მიაქციოს. მაშ ასე, დავიწყეთ:

1. შენ დაგჭირდება ძვირფასი მინისგან დამზადებული 2 ბოკალი, შამპანურისთვის. ახალი წელი შამპანურის გარეშე ხომ წარმოუდგენელია. თუ ასეთ 2 ბოკალს შეიძენ, სულ რაღაც 50-70 დოლარი დაგიჯდება. მთავარია, რომ სულ 2 ცალი გინდა და არა — მთელი კომპლექტი.

2. 2 ცალი, მოზრდილი პირსახოცი. ადრე თუ გვიან, ის აუცილებლად შევა სააბაზანოში, ხელების დასაბანად. როცა ის ახალ, ფითქინა და რბილ პირსახოცს ხელს შეახებს, ფრიად საინტერესო და შენთვის სასარგებლო ინფორმაციას მიიღებს: ა) სისუფთავის მოყვარული ხარ; ბ) შენი სახლი სუფთაა. ნუუ... თითქმის სუფთა... გ) თუ შენი პირსახოცები ასეთი სუფთაა, ალბათ ზეწრებიც ასევე კარგად გამოიყურება. დამეთანხმები, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციაა.

3. ერთი ბოთლი შამპანური, რომელსაც, სავარაუდოა, რომ საახალწლოდ სამსახურში გაჩუქებენ, მაგრამ არ არის აუცილებელი, რომ ამის შესახებ ქალბატონს მოახსენო. შესაძლოა, არ დაიჯერო, მაგრამ ყველა ქალი ფიქრობს, რომ თუ მამაკაცს მაცივარში ერთი ბოთლი ჩაცივებული შამპანური მუდმივად მოეპოვება, ის კარგი სექსუალური პარტნიორია. ქალებს მოსწონთ, როცა მამაკაცი ფუფუნების საგნებზე ფულს დაუნანებლად ხარჯავს.

4. კარგი იქნება, თუ თაროზე რამდენიმე კლასიკოსი მწერლის წიგნს შემოდებ. მაგიდაზე მდგარი ცარიელი ლუდის ბოთლი მასზე შთაბეჭდილებას ვერ მოახდენს. მას ხომ უნდა, რომ შენ განათლებული და მოაზროვნე ტიპი იყო. ამიტომ, ასიამოვნე და წიგნის მაღაზიიდან რამდენიმე საჭირო წიგნი მოიტანე.

5. კარგი იქნება, თუ სახლში ცოცხალი არსება გეყოლება. ძაღლი, კატა, ზაზუნა, თევზები... კაქტუსი, ბოლოს და ბოლოს.

6. ჩარჩოში ჩასმული, ოჯახური ფოტო იმის დამადასტურებელია, რომ შენს ცხოვრებაში მის გარდა კიდევ ბევრი სხვა ადამიანი არსებობს. მათი ფოტოების დემონსტრირებით ქალბატონს დაუმტკიცებ, რომ ახლობლების მიმართ კარგად განწყობილი, მზრუნველი ადამიანი ხარ და ამ საღამოს სითბოსა და ალერსს ნამდვილად იმსახურებ.

7. რა თქმა უნდა, ცოტა მოგვიანებით, სტუმარმა შენი საწოლის სიმტკიცე უნდა გამოცადოს. ამიტომ, საწოლის მოწყობილობების შერჩევის დროს, სიფრთხილე უნდა გამოიჩინო. დაიმახსოვრე, რომ ქალებს კომფორტი და სიმყუდროვე მოსწონთ. როდესაც ის საწოლს დახედავს, 1-ელი იანვრის „ზარმაცი" დილა, სასიამოვნო მუსიკა და ცხელი, ორთქლადენილი ყავა უნდა წარმოიდგინოს. საწყალმა, ცოტა იოცნებოს, რა უჭირს...

იცი, რამდენი ძაფისგან შედგება შენი ზეწარი? რა თქმა უნდა — არა. დაიმახსოვრე, თუ 1 დეციმეტრზე 250 ძაფზე მეტი მოდის, მაშინ ზეწარზე კარგი მოციგურავესავით ისრიალებ, ხოლო თუ 150 ძაფზე ნაკლები, ამ შემთხვევაში შენი (ან მისი) ზურგი დილას წითლად იქნება აალებული, უხეში ზედაპირის გამო. ყველაზე საუკეთესო ვარიანტია, თუ ისეთ ზეწარს შეიძენ, რომელსაც გარშემო რეზინი აქვს შემოვლებული, რადგან მას ლეიბზე გადაჭიმავ და ყველაზე ვნებიანი ღამის შემდეგაც არ დაიჭმუჭნება.

ბედნიერ ახალი წლის ღამეს გისურვებთ!

არის თუ არა დოლ-გარმონი სამოთხეში

ანუ როგორ უნდა დააყენო ანტენა?



ამ რამდენიმე დღის წინ, რაღაც გადაუდებელი საქმის გამო, დილის 7 საათზე მომიწია შინიდან გამოსვლამ. გაჩერებაზე მისვლისთანავე ყვითელი ავტობუსი მოვიდა. უნდა ვაღიარო, რომ ქალაქში მათი გამოჩენის დღიდან, შიგ ფეხი არ ამიდგამს. იმ დილაუთენია კი რატომღაც მისი დათვალიერება მომინდა და ნახევრად ცარიელ ავტობუსში დაუფიქრებლად ავედი.

საკმაოდ ვრცელი „შიგთავსი“ ჰქონია-მეთქი, გავიფიქრე და ცარიელ სკამზე დავეშვი. ჩემი ადგილიდან მთელი ავტობუსი ხელისგულივით მოჩანდა. მომდევნო გაჩერებაზე მგზავრებს ახალგაზრდა მამაკაცი, ჰაერს კი არყის სუნი შეემატა. მამაკაცი კაი გვარიანად მთვრალი იყო, მაგრამ ფეხზე დგომა შეეძლო. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ ორივე ხელი ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი. იდგა და ქანაობდა. ჩანდა, დაჯდომას არც აპირებდა. შემდეგ წინ წასვლა გადაწყვიტა და ავტობუსის მოძრაობის მიმართულებით გაემართა. ამ დროს მძღოლმა დაამუხრუჭა.

ფიზიკაში არსებული ინერციის კანონის მიხედვითა და დედამიწის მიზიდულობის ძალის გათვალისწინებით, მამაკაცი წინ გადაიხარა და წაბორძიკდა, მაგრამ თავი შეიმაგრა და ისე, რომ ჯიბიდან ხელები არ ამოუღია, გზა განაგრძო. ავტობუსის 2/3 რომ გაიარა, მძღოლმა ისევ მკვეთრად დაამუხრუჭა. ამის შემდეგ რაც მოხდებოდა, ალბათ უკვე მიხვდით.

არა, მამაკაცი არ წაქცეულა. ვინაიდან ჯიბიდან ხელების ამოღება ვერ მოახერხა, წონასწორობის შენარჩუნება სცადა და მძღოლისკენ სირბილით წავიდა. ამ დროს ისეთი სიჩქარე განავითარა, თითქოს „ტურბოძრავა“ ჰქონდა ჩადგმული, მაგრამ ჯიბეში ხელებჩაყოფილი სირბილი არც ისე მოსახერხებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა გონება არყით გაქვს დამძიმებული. ჰოდა, იმასაც ფეხები აებლანდა და ღიპზე დაეცა, ავტობუსის დარჩენილი ნაწილი ღიპით „გაიარა“ და თავით მძღოლისკენ ზურგით მდგარი სკამის წინ დაერჭო, რომელზეც ქერა ქალბატონი იჯდა. როგორც იქნა, ჯიბიდან ხელები ამოიღო და თავი წამოსწია. ჯერ კიდევ იატაკზე მწოლიარემ, ქალს ახედა და ხმამაღლა თქვა:

— ვა, ქალბატონო, ეს თბილი ნიფხავი როგორ გიხდება.. — ქალმა ყვირილი დაიწყო:

— შენ ჩაგდო კუბოში პატრონმა, შენ არ გეღირსოს ამ ავტობუსიდან ჩასვლა, შენ ამოწყდი...

შემდეგ პროტესტის ნიშნად წამოხტა, მძღოლს ავტობუსი გააჩერებინა და ჩავიდა.

— ვაა, რა ავი ქალი ყოფილა, კომპლიმენტი ვუთხარი და როგორ გაბრაზდააა... — შარვალს იფერთხავდა კაცი და თან ბუზღუნებდა: — ვაა, ახალი წელი მოდის ერთ კვირაში და ცოტა დავლიე, მერე რა მოხდა? წინასაახალწლოდ კუბოში რომ ჩამდო, სადაური წესია? იქაც დავლევ, იქაცააა... ვაა, ნეტავ, სამოთხეში არაყი აქვთ (რატომრაც დარწმუნებული იყო, რომ სწორედ სამოთხეში მოხვდებოდა)? მუსიკა და დოლ-გარმონი რომ აქვთ, ვიცი, მაგრამ არაყი არ მიკითხავს, უნდა მეკითხა (ნეტავ, ვისთვის უნდა ეკითხა?)...

მთვრალი მამაკაცი კიდევ კარგა ხანს ბურტყუნებდა, მე კი კუბოსთან დაკავშირებით ჩემი რეპეტიტორი გამახსენდა, რომელთანაც ფიზიკაში ვემზადებოდი. ცოტა უცნაური კაცი იყო და უცნაური კითხვების დასმა იცოდა ხოლმე.

ერთხელ, მკითხა:

— წარმოიდგინე, რომ კუბოში წევხარ და ძალიან მოგინდა, რადიოს მოსმენა. როგორ უნდა დააყენო ანტენა? ჰორიზონტალურად თუ ვერტიკალურად, რომ სიგნალის მიღება შეძლო?

თვალები ჭერს მივაპყარი და ფიქრი დავიწყე: „აჰა, რადგან კუბოში ვარ, ესე იგი, მიწაში ვარ, როგორ ვრცელდება მიწაში ტალღები? ჰორიზონტალურად? ვერტიკალურად? ეშმაკმა უწყის“... ჰოდა, რადგან ზუსტი პასუხი არ ვიცოდი, უბრალოდ, ვუთხარი, რომ ანტენას ჰორიზონტალურად დავაყენებდი.

— რატომ?

ისევ დავიწყე ფიქრი, გავიხსენე მაქსველის განტოლება, ელექტრომაგნიტური ტალღების გავრცელების თავისებურებები, მაგრამ ახსნა ვერ მოვუძებნე. მასწავლებელი კი მეუბნება:

— კარგი, ნუ ფიქრობ ამდენს, სწორია, რომ ანტენა ჰორიზონტალურად უნდა დააყენო, მიზეზი კი ის არის, რომ ვერტიკალურად ანტენის დაყენებაში, ხელს კუბოს თავსახური შეგიშლის.

აი, ასე! მინდოდა, იმ კაცისთვის ჩემი რჩევა მიმეცა, სამოთხეში ანტენის დაყენების თაობაზე, მაგრამ რომ გავხედე, ერთ-ერთ სკამზე მიყუჟულს ისე ტკბილად ეძინა, რომ გასაღვიძებლად შემეცოდა. ●

ფიქრები

დასაწყისი იხ. „გზა“, №45-52, 2007

უკვე რამდენიმე კვირაა, „გზაში“ რეალური მოვლენის საფუძველზე აგებული დეტექტიური ამბავი იბეჭდება, რომელიც ე.წ. „რუსთაველი მანიაკის“, ფრიდონ პირტახიას მიერ ჩადენილ, სერიულ მკვლელობებს ეხება. მის მიერ ჩადენილი დანაშაულები 1999 წლის აგვისტოში დაიწყო და ბოლო მკვლელობა 2000 წლის 29 ივლისსაა დაფიქსირებული. ჩვენ მიერ წარმოდგენილ რეალურ ამბავში ყველა მოქმედი პირის სახელი შეცვლილია, მთავარი პერსონაჟის გარდა. წინა ნომერში თხრობა იმ მომენტში შევწყვიტეთ, როდესაც პროკურატურამ დაცვის თანამშრომელი, ზურა ნადიბაიძე დააკავა.

მარი ხაფარიძე

— კი, მაგრამ დავით, რატომ ფიქრობ, რომ ორივე მკვლელობა ერთი კაცის ჩადენილია?

— ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ორივე დანაშაულის ჩადენის ადგილი რაღაცით ერთმანეთს ჰგავს, მეორეც, ორივე გარდაცვლილი არასრულწლოვანია და როგორც ჩანს, ამ კაცს მცირეწლოვანი გოგონებისკენ მიუწევს გული, მესამეც — ორივე მსხვერპლი ერთნაირად, მავთულითაა დამხრჩვალი და თანაც, გაუპატიურებული.

— ექსპერტიზის პასუხი მიიღეთ? — დავითის არგუმენტებმა ნუგზარი თითქოს შეაფიქრიანა.

— კი, მივიღეთ, მაგრამ სპერმის კვალი აღმოჩენილი არ არის. გოგონა კი გაუპატიურებულია. ექსპერტის აზრით, ის დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილი, სისხლიანი დანის ტარითაა გაუპატიურებული. რაც შეეხება საცოდავ ზურა ნადიბაიძეს, მისი მეწყვილის, დავით ნაცვლიშვილის ჩვენებიდან ჩანს, რომ მას მყარი ალიბი აქვს, არც მისი სპერმის ანალიზის პასუხი დაემთხვა აღმოჩენილს, რაც კიდევ ერთი უტყუარი საბუთია, რომ ის დამნაშავე არ არის, ხოლო გოგონას ნივთები რომ მის კარადაში შეტენეთ და ამის საფუძველზე დააკავეთ, ეს უკვე დიდი ცოდვაა. შენ იცი, რომ დამნაშავეს არც მე ვინდობ და როცა ვიცი, ის კაცი ცუდის ჩამდენია, ჩემი ხელით მიცემია და სიკვდილის პირას მიმიყვანია, რომ დანაშაული ეღიარებინა, მაგრამ როცა დარწმუნებული ვარ, რომ ის დამნაშავე არ არის, ასეთ მძიმე ბრალდებას არ შევტენი.

— სხვა გზა არ არის. ვიდრე ის თავის უდანაშაულობას დაამტკიცებს, მანამდე იქნებ შენ იპოვო დამნაშავე და მერე იმასაც გამოუშვებენ. ამ ახალი წლის წინ კი გაუხსნელი საქმეები უნდა მოვიშორო.

— ახალი წელი მარტო შენთვის არ მოდის, ის ზურა ნადიბაიძისთვის, მისი ოჯახისთვის, დედისთვის და ბევრი უსამართლოდ „გაფუჭებული“ კაცისთვისაც მოდის. ზურას რა ბრალსაც წაუყენებენ, ამის გამო ციხეში არავინ გაახარებს. ჩათვალე, რომ მთელი ცხოვრება დაუმახინჯდება კაცს.

— კარგი, დავით, ამის მოსმენა არ მინდა. აქ იმისთვის მოხვედი, რომ ჩემთვის ჭკუა დაგერიგებინა? შემეშვი, თუ კაცი ხარ, ამ საქმეს აღარაფერი ეშველება და რასაც არ ეშველება, იმაზე ლაპარაკი არ ღირს. იმ საცოდავი გოგონას ოჯახის მდგომარეობაში არ შედიხარ? ხომ იცი, დაზარალებული თავს მშვიდად გრძნობს, როცა დამნაშავე გისოსებს მიღმაა.

— ერთი გაუბედურებული ოჯახის დასამშვიდებლად სხვა ოჯახები უნდა დაიღუპოს?

— მორჩა, დავამთავროთ მაგ თემის განხილვა. ციდან ჩამოფრენილი არც შენ ხარ და არც — მე. ეს ის საკითხია, რომელსაც იქ, სადაც მე, შენ და ჩვენი ბევრი მეგობარი მუშაობს, ვეტო აქვს დადებული. ყველამ ყველაფერი იცის და ვერავინ ვერაფერს ამჩნევს. მორჩა და გათავდა!

— კარგი, ნუ ცხარობ, უბრალოდ, ჩემი აზრი გითხარი.

***

ზურა ნადიბაიძე ბადრაგს გაოგნებული მიჰყვებოდა. ხვდებოდა, რომ მის ცხოვრებაში ახალი, მაგრამ ძალიან ცუდი ეტაპი იწყებოდა. წინა დღით ნაცემი და დაბეგვილი სხეული ჯერ კიდევ სტკიოდა. ფეხებს ძლივს ადგამდა და ასი წლის მოხუცივით, წელში მოხრილი და დაუძლურებული მიჩანჩალებდა. „ბევრის გაძლება არ შემძლებია, რა სუსტი ვყოფილვარ“, — ფიქრობდა ბიჭი და თავს დანანებით აქნევდა.

ერთ პატარა ოთახში შეიყვანეს და თავიდან ბოლომდე გააშიშვლეს. ბადრაგის ყველა მოთხოვნას უსიტყვოდ ემორჩილებოდა. პირი გააღებინეს და შიგ ჩახედეს, წინ გადახარეს და უკნიდან შეხედეს. თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევდა. დედა გაახსენდა, რომელიც მუდამ ჩუმი და მორჩილი ქალი ეგონა და როცა მის შვილს ხელბორკილი დაადეს, ნამდვილ აფთრად გადაიქცა. 3 კაცი ისე სცემა, რომ ყველას სილურჯეები ეტყობოდა. თავგანწირვით იცავდა შვილს, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ზურგზე ხელებდაწყობილ ზურას უკნიდან მისი მოთქმა ესმოდა და ისიც გაარჩია, როგორ მოსძახოდა დედა —

ყველაფერს გავაკეთებ, რომ სამართალი ვიპოვოო. ეს რომ გაახსენდა, ირონიულად ჩაიცინა. იცოდა, რომ მისი ცხოვრება იქ, იმ წუთში დამთავრდა, როცა ზურგზე დაწყობილ მაჯებზე ბორკილის სიცივე იგრძნო და ამას ვერაფერი შეცვლიდა, გარდა ნამდვილი დამნაშავის პოვნისა. იმის ძებნას კი ვინღა დაიწყებდა, როცა მკვლელობა გახსნილად გამოაცხადეს და „დამნაშავეც“ აგერ, ამ დამამცირებელ პროცედურას გადიოდა. როგორ უხაროდა, როცა, როგორც იქნა, სამსახური იშოვა და საკუთარი შემოსავალიც ექნებოდა. რა იცოდა მაშინ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ საქმე ასე წავიდოდა?

როგორც იქნა, მის ჩხრეკას მორჩნენ და უბრძანეს, ჩაეცვა. ამ ბრძანებასაც უსიტყვოდ დაემორჩილა. შემდეგ, გრძელი, ბნელი დერეფანი გაატარეს, ერთ-ერთი საკნის კარი გაუღეს, შიგ კინწისკვრით შეაგდეს და იქ მყოფ პატიმრებს დაუძახეს — ჩაიბარეთ, ახალი ნაბოზარი მოგიყვანეთო.

იქ მყოფებმა ინტერესით შეათვალიერეს „ოჯახის“ ახალი წევრი და თავიდან ფეხებამდე ახედ-დახედეს.

— რაზე დაგიჭირეს, ძმაო? — ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა „ნარზე“ ფეხმორთხმით მჯდარმა მამაკაცმა.

— არასრულწლოვნის გაუაპატიურებაზე, — წაყენებული ბრალი ალალად გაამხილა ახალმოსულმა.

— რაო? — რამდენიმე კაცმა ერთბაშად წარმოთქვა და რამდენიმე წამში, ბიჭი პატიმრების ალყაში მოექცა.

— შენა და, პირველი იყო? თუ რომ გაგიტკბა, მერე დაგიჭირეს? — დაინტერესდა ის, ვინც პირველად დასვა შეკითხვა.

— რა თქმა უნდა, დამნაშავე არ არის, — ზურას მაგივრად ერთ-ერთმა პატიმარმა გასცა პასუხი.

— ჰო, დამნაშავე არ ვარ, — თვალები გაუბრწყინდა ზურას, რადგან იფიქრა, რომ ამ ადამიანებმა მის თვალებში სიმართლე ამოიკითხეს.

— ააა, დამნაშავე არ ხარ, არა? უყურე შენ! მაშინაც ასეთი იდიოტური გამოხედვა გქონდა, როცა იმ ბავშვს ჟიმავდი? — ეს ბოლო სიტყვები იყო, რომელიც ზურას დაამახსოვრდა. ამის შემდეგ რამდენი ხანი უძლებდა წიხლებსა და დედის გინებას, არ ახსოვს. მხოლოდ ის ახსოვს, რასაც ამ დროს ფიქრობდა — „უნდა გავუძლო, არ უნდა გავტყდე, მხდალი არ უნდა აღმოვჩნდე, ღმერთო, ძალა მომეცი, რომ ამ ყველაფერს გავუძლო“.

მერე უცებ დაბნელდა, ირგვლივ ყველაფერს სისხლის სუნი და გემო ჰქონდა. თვალებზე აფარებულ ეკრანზე სისხლი ბლანტად ჩამოილესა და სადღაც, გულთან გაჩერდა, დაგროვდა, შედედდა და სუნთქვა შეუკრა. სწორედ სისხლის სუნს ვერ გაუძლო და არაადამიანურად დაიყვირა.

გონს ნათელ ოთახში მოვიდა. ცალი თვალი ოდნავ გაახილა და იქურობას მოავლო. მიხვდა, რომ პალატის მსგავს ოთახში იწვა. ვიღაცის ხელის შეხებაც იგრძნო. „დედა“ — გაიფიქრა და თვალები უცებ გაახილა. მის წინ თეთრებში ჩაცმული მამაკაცი იდგა და დანანებით დაჰყურებდა.

— სამოთხეში ვარ? — იკითხა ჩუმად.

— არა, ჯოჯოხეთში ხარ, ჯოჯოხეთში, რომელსაც დასასრული არასოდეს ექნება. — პასუხი თითქოს შორიდან ჩაესმა, მაგრამ თანაგრძნობის გამომხატველი ტონი მაინც დაიჭირა.

***

ფრიდონი საწოლზე გაუხდელად იწვა და ჭერს თვალის დაუხამხამებლად მიშტერებოდა. თეთრ ფონზე უსახური ფიგურები იკვეთებოდნენ. ცდილობდა, მათში რაიმე ნაცნობი დაენახა, მაგრამ ამაოდ. მერე თვალები დახუჭა და სცადა, თავისი ბავშვობა გაეხსენებინა. ვერც ეს მოახერხა. თითქოს ბავშვობა არც არასოდეს ჰქონია, თითქოს ასეთი დაიბადა და მის მეხსიერებას მხოლოდ ბოლოდროინდელი მოგონებები შემორჩენოდა. ეს მოგონებები კი გულს უწუხებდა, სულს უხუთავდა და ახრჩობდა.

წამოდგა, თითქოს რაღაც გადაწყვეტილება მიიღო. საბაზანოში შევიდა და სარკის წინ დადებულ სამართებელს დახედა. ხელში აიღო, შეატრიალა, თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, როგორ გადაისვა მაჯაზე, როგორ წამოვიდა სისხლი გადახსნილი ვენიდან, დაეწვეთა იატაკზე, მერე მდინარედ იქცა, დერეფანში გააღწია, მერე სადარბაზოში... შეეშინდა და თვალები უცებ გაახილა. ხელში შერჩენილ სამართებელს დახედა და მიხვდა, რომ გამბედაობა არ ეყოფოდა საიმისოდ, რომ სიცოცხლეს გამოსთხოვებოდა. სამართებელი ადგილზე დადო და ღრმად ამოისუნთქა.

ხელში შერჩენილ სამართებელს დახედა და მიხვდა, რომ გამბედაობა არ ეყოფოდა საიმისოდ, რომ სიცოცხლეს გამოსთხოვებოდა. სამართებელი ადგილზე დადო და ღრმად ამოისუნთქა

მის გულსა და გონებაში ერთმანეთს 2 აზრი ებრძოდა, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რომელი გაიმარჯვებდა. გრძნობდა, რომ სულში ეშმაკი ჩასახლებოდა და მის ქმედებებს ის მართავდა. „ეკლესიაში წავალ“, გაიფიქრა და ისე სწრაფად გაიხურა სახლის კარი, თითქოს ეშინოდა, უწმინდურ ძალას ეს სურვილიც არ ჩაეხშო მასში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

წყალი – მოაზროვნე ნივთიერებაა?

„გრაფო, გამიგონია, რომ უბრალო წყლით ადამიანს შეიძლება, ჯადო გაუკეთო. მართალია? ქუთაისი, ნანო“. როგორც ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, წყალი მოაზროვნე ნივთიერებაა და მას ზებუნებრივი ძალა აქვს. შემიძლია, ამის შესახებ დაწვრილებით მოგიყვე, დასკვნა კი თავად გამოიტანე.

გრაფი თარხანი

წყალი ერთადერთი სუბსტანციაა, რომელიც ბუნებაში ერთდროულად მყარი, თხევადი და აიროვანი ფორმით გვხვდება. მისი თვისებების უმეტესობა კი, ფიზიკის საერთო კანონებში არ ჯდება. წყლის თვისებების ანომალიურობამ მეცნიერები დიდი ხნის წინ მიიზიდა, მაგრამ მისი საიდუმლო მხოლოდ XX საუკუნეში გამჟღავნდა.

60-იან წლებში გერმანიის ერთ-ერთ კვლევით ცენტრში მოხდა ინციდენტი, რომელმაც წყლის ახალი თვისების აღმოჩენას ბიძგი მისცა. ლაბორატორიის თანამშრომელს გამოხდილი წყლით სავსე ჭურჭელში შემთხვევით, ჰერმეტულად დახურული, ძლიერმოქმედი შხამით სავსე ამპულა ჩაუვარდა. მას თავისი მოუქნელობის გამჟღავნების შეეშინდა და ამპულა წყალში დატოვა, რომ თანამშრომელთა წასვლის შემდეგ შეუმჩნევლად ამოეღო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მისი არსებობაც კი დაავიწყდა. ამპულა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინეს. წყლის ქიმიური ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ ის უზადოდ სუფთა იყო. გადაწყვიტეს, რომ ეს წყალი ლაბორატორიის ვირთხებისთვის დაელევინებინათ. თანამშრომელთა გასაოცრად, ვირთხები დაიხოცნენ.

გამოდის, რომ წყალმა შხამის თვისებები ისე მიიღო, რომ მასთან შეხებაში არც ყოფილა. მოგვიანებით, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ წყალი სრული ქიმიური გაწმენდის შემდეგაც ინარჩუნებს ინფორმაციას იმ ნივთიერებების შესახებ, რომლებიც მასში ელექტრომაგნიტური ტალღების სახით იმყოფებოდა. გაირკვა, რომ წყალს თურმე, განსაკუთრებული მოლეკულური სტრუქტურა აქვს, რომელიც გამუდმებით იცვლება, თუ მასზე ქიმიურ, ფიზიკურ, მექანიკურ და ელექტრომაგნიტურ ზემოქმედებას მოვახდენთ. ამ ქმედებების შედეგად, მის მოლეკულებს შეუძლია გადაეწყოს და ნებისმიერი ინფორმაცია „დაიმახსოვროს“. სტრუქტურული მეხსიერების ფენომენის წყალობით, წყალს შეუძლია, ინფორმაცია შეისრუტოს, „დაიმახსოვროს“ და გარემოსთან „გაცვალოს“; შეუძლია „დაიმახსოვროს“ სინათლის სხივი, ბგერა, აზრი და უბრალო სიტყვაც კი. როგორც თითოეულ ცოცხალ უჯრედს, რომელიც თავის გენეტიკურ კოდში ინფორმაციას მთელი ორგანიზმის შესახებ ინახავს, ასევე წყლის მოლეკულას შეუძლია შეინახოს ინფორმაცია.



წყლის სტრუქტურის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ე.წ. კლასტერებისგან (განყოფილებებისგან) შედგება, რომლებიც თავისთავად, მინიკომპიუტერს წარმოადგენს და უფრო სრულყოფილია, ვიდრე ჩვეულებრივი კომპიუტერი.

წყლის „მეხსიერების“ თითოეული კლასტერი სიდიდით 1 მიკრონის ტოლია. მასში 44 ათასი საინფორმაციო პანელია და თითოეული მათგანი, თავის სფეროზე „აგებს პასუხს“. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ წყლის თითოეულ კლასტერში უკვე ჩაწერილია ინფორმაცია, რომელიც ცნობებს არა მარტო წარსულის, არამედ მომავლის შესახებაც ინახავს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის ორგანიზმის 70% წყლისგან შედგება, არ გაგვიჭირდება შესაბამისი დასკვნის გამოტანა: ჩვენ ყველანი იოლად დასაპროგრამებელ „სისტემას“ წარმოვადგენთ. ნებისმიერი გარემო ფაქტორი, მათ შორის ერთმანეთთან ურთიერთობაც, თხევადი გარემოს ბიოქიმიურ შემადგენლობას უჯრედის დონეზე ცვლის.

ამგვარად, შეუგნებლად ვცვლით და ვაპროგრამებთ ერთმანეთს და გარშემო მყოფებსაც. გადაღლილობა, ცუდი გუნება-განწყობილება, უმიზეზო აგრესია, ნევროზული მდგომარეობა და ბევრი ავადმყოფობა — ნეგატიური ბიოინფორმაციული

ზემოქმედების შედეგია. ამიტომაა ასე მნიშვნელოვანი, რომ საკუთარ ნათქვამს ყურადღება მივაქციოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი სიტყვები გარემოზე ზემოქმედებას ახდენს. ნეგატიური ფიქრებით ადამიანს შეუძლია „მოწამლოს“ ყველაფერი, რაც წყალს შეიცავს. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ შტორმები, წყალდიდობები და სხვა ბუნებრივი კატაკლიზმები ენერგოინფორმაციული გარემოს დაბინძურებაზე წყლის რეაქციას წარმოადგენს. ასე გვიბრუნებს წყალი ჩვენ მიერ მასში ჩადებულ ინფორმაციას.

რუსეთში, ჯანდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ ლაბორატორიაში ჩაატარეს ცდა, რომლის დროსაც, ექსტრასენსებს წყალზე დისტანციური ზემოქმედება დაავალეს. მათ ავადმყოფი ადამიანის სნეულება წყლის სტრუქტურაზე უნდა გადაეტანათ. მერე წყალში ინფუზორიებს უშვებდნენ, რომლებიც გარკვეული დროის შემდეგ, პარალიზდებოდნენ. ცდა მრავალჯერ გაიმეორეს და ყველა შემთხვევაში ერთსა და იმავე შედეგს იღებდნენ.



შეგვიძლია თუ არა, ჩვენი აზრებით, გრძნობებითა და სიტყვებით წყალზე ზემოქმედება მოვახდინოთ? მეცნიერებს ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვთ — რა თქმა უნდა, შეგვიძლია! ბრიტანელმა მკვლევრებმა ჩაატარეს ცდა, რომლის დროსაც, წრეში 10 ადამიანი დასვეს, შუაში, წყლით სავსე ჭურჭელი დადგეს და სთხოვეს, რომ სიყვარულით სავსე აზრები „გაეგზავნათ“ წყლისთვის. რამდენიმე ხნის შემდეგ, წყალი გაცილებით გემრიელი გახდა და წყაროს წყლის თვისებები შეიძინა.

დადგენილია, რომ საერთო ინფორმაციული ველის წყალობით, წყალი ადამიანთან კავშირს არ წყვეტს, მისგან რა მანძილზეც არ უნდა იმყოფებოდეს. თუ ადამიანს ხიფათი შეემთხვევა, ამ დროს წყალი სტრუქტურას იცვლის. არსებობს სხვა, კიდევ უფრო საინტერესო ფაქტი: თუ წყალზე, რომელსაც კონკრეტული ადამიანის შესახებ ინფორმაცია აქვს დამახსოვრებული, რაიმე საშუალებით ზემოქმედებას მოვახდენთ, ამით აუცილებლად ვიმოქმედებთ იმ ადამიანზეც და მის ქცევასა და ჯანმრთელობაზე გავლენას ვიქონიებთ.

იაპონელი მეცნიერი, იმოტო მასარუ ცდებს ატარებდა: ის ყინავდა წყლის წვეთებს, შემდეგ მათ ძლიერი, ელექტრონული მიკროსკოპის საშუალებით აკვირდებოდა, რომელსაც ფოტოკამერა ჰქონდა დამონტაჟებული. ჭუჭყიან წყალს სტრუქტურა მთლიანად შეცვლილი და დარღვეული ჰქონდა, ხოლო წყაროს წყალს — ჩამოყალიბებული სტრუქტურა და ლამაზი ფიფქის ფორმა. შემდეგ, პროფესორმა გადაწყვიტა, წყალზე მუსიკის ზემოქმედების შედეგი შეესწავლა. ის წყლით სავსე ჭურჭელს 2 დინამიკს შორის დგამდა და რამდენიმე საათის განმავლობაში ტოვებდა. შემდეგ, წყალს ყინავდა, ფოტოს უღებდა. მოლეკულების სტრუქტურა, სხვადასხვა მელოდიის მიხედვით, მკვეთრად იცვლებოდა. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ წყალი იმ სიტყვებზეც კი რეაგირებდა, რომელსაც მეცნიერი ქაღალდზე წერდა და წყლიან ჭურჭელზე ამაგრებდა.

1932 წელს მსოფლიო სენსაციურმა ცნობამ გააოცა: აღმოჩნდა, რომ ჩვეულებრივი წყლის გარდა, დედამიწაზე „მძიმე“ წყალიც არსებობს. მის მოლეკულაში, წყალბადის ნაცვლად, მისი იზოტოპი — დეიტერიუმი შედის, რომელიც ბუნებაში ძალზე მცირე რაოდენობით არსებობს. ამ ცოტა ხნის წინ კი გაირკვა, რომ „მძიმე“ წყალი ადამიანის ორგანიზმის შემადგენლობაში შედის. წყალს, რომელიც დიდი რაოდენობით დეიტერიუმს შეიცავს, „მკვდარი წყალი“ ჰქვია. ის ორგანიზმიდან ძნელად გამოიყოფა და ნელ-ნელა წამლავს მას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ეს წყლის ინფორმაციული დაბინძურებითაა გამოწვეული. დადგენილია, რომ თუ ადამიანის ნააზრევი მძიმე და ნეგატიურია, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, მისი ატომური სტრუქტურა შეიცვალოს, წყალბადის ატომები გაორმაგდეს, დამძიმდეს და „მკვდარ წყლად“ გადააქციოს.

ცოტა ხნის წინ თურქმა მეცნიერებმა კიდევ ერთი სახეობის წყალი აღმოაჩინეს და მას მაღალიონიზებული უწოდეს. დამკვირვებელთა თვალწინ, 5 საათის განმავლობაში წყალში ისეთი ქიმიური რეაქციები მომდინარეობდა, რომლებსაც ქიმიკოსები ადრე, წარმოუდგენლად მიიჩნევდნენ. მკვლევრებმა ერთ ჭურჭელში, ბენზინით გაზავებული წყალი ჩაასხეს, მეორეში — საკანალიზაციო სისტემიდან ამოღებული. ორივე მათგანში იონიზებული წყალი ჩაამატეს. თვალნათლივ ჩანდა, რომ ჭუჭყიანი წყლის გასუფთავების პროცესი თვალსა და ხელს შუა დაიწყო და 2 საათის შემდეგ, კრისტალურად სუფთა წყლად გადაიქცა. შემდეგ იგივე ცდა გუბეში დამდგარ წყალზე ჩაატარეს და აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ გუბის წყალი, არამედ გუბის გარშემო არსებული მიწაც კი გაიწმინდა. ის მეცნიერები, რომლებიც ამ ცდებზე მუშაობდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ წყალი „აზროვნებს“. მათ მიაჩნიათ, რომ ამ წყლის საიდუმლოს ბოლომდე ამოხსნა ადამიანებს მსოფლმხედველობის ახალ სიმაღლეზე აიყვანს.

ბრაუნ თარხანი

ქმარი — მითოლოგიური ჰეროსონაჟი თუ ადამიანი?

ჩემი პაციენტებისგან ასეთი ფრაზები გამიგონია: „ჩემი ქმარი უცხოპლანეტელია. მისი არ მესმის"; „ჩემს ქმარს შემწვარ-მოხარშულს ვიცნობ, ის ჩემთვის წაკითხული წიგნია". როგორც ერთი, ისე მეორე აზრი მხოლოდ გამოუცდელობის შედეგია. ჭკვიანმა ქალმა იცის, რომ ასეთი რამ წარმოუდგენელია და რომ ნებისმიერი ქმარი რთული და არაერთმნიშვნელოვანი არსებაა. ახლა ვეცდები, რომ ქმრებზე გავრცელებული მითები გავაბათილო.



სულაც არ არის იოლი, რომ მამაკაცი აიძულო, ქმარი გახდეს — ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპი სწორედ ეს გახლავთ. თუ ქალისთვის არსებობის ერთ-ერთი ყველაზე სასურველი რამ — ოჯახია, მამაკაცისთვის ყველაფერი საპირისპიროდაა. ქორწინება მისთვის გმირობის ტოლფასია, რადგან ამ დროს მას ბევრ რამეზე უწევს უარის თქმა... ამ მითს თავად მამაკაცები ავრცელებენ, რათა ქალების თვალში უფრო მეტი ფასი დაედოთ.

სინამდვილეში, გარკვეულ ასაკში მამაკაცებს გაცილებით მეტად სჭირდებათ ოჯახური სიმყუდროვე, ვიდრე ქალებს. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ მათთვის ასეთი პერიოდი 30 წლის შემდეგ დგება. საქმე ის გახლავთ, რომ სწორედ ამ ასაკისთვის, ყველაზე ზარმაცი და არაცნობისმოყვარე მამაკაციც კი საკუთარი თავისა და ცხოვრების შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობს და აღმოაჩენს, რომ წინ თურმე არაფერი საინტერესო და განსხვავებული არ ელის, ხოლო ადრინდელი გასართობები აღარ აინტერესებს.

სიტუაციას ისიც ამძიმებს, რომ სწორედ ამ ასაკში მამაკაცი ყველაზე რთულ, სოციალურ კრიზისს განიცდის. ბუნებრივი კალენდრის მიხედვით, მამაკაცისთვის 30 წელი პიკია — მოწიფულობის ხანა. ამის გამო მას არასრულფასოვნების კომპლექსი უჩნდება და სწორედ ამ დროს ფიქრობს საიმედო ზურგზე.

უნდა ითქვას, რომ ქალის ცხოვრებაში 30 წლის ასაკში სრულიად განსხვავებული პროცესები მიმდინარეობს. ის თავდაჯერებულია, სხვადასხვა ასაკის მამაკაცების ყურადღებას იპყრობს და კარიერაც წინ მიდის. ასე რომ, ვის აქვს შესახვეწნად საქმე, ეგ ჯერ კიდევ გასარკვევია.

ერთ ანეკდოტს შეგახსნებთ: ქალი მაშინ ამბობს, ჩასაცმელი არ მაქვსო, როდესაც გარდერობში ახალი ტანისამოსი არა აქვს, ხოლო მამაკაცი — როცა გარდერობში სუფთა ტანისამოსი არ დარჩა. ეს ძველი ანეკდოტია. ახლა კი სხვა დროა. ახლა ასეთ მამაკაცებს აღარ „ამზადებენ". თანამედროვე მამაკაცს ვეღარ აიძულებ, რომ რამდენიმე წლის წინ ნაყიდი კოსტიუმი ჩაიცვას, რომელიც „ჯერ კიდევ კარგად გამოიყურება". ისინი კარგად ერკვევიან ჰალსტუხის ფერებში და პრინციპული აზრი აქვთ, წინდის ყელის სიგრძესთან დაკავშირებით.

იმისათვის, რომ მამაკაცის ბუნებაში კარგად გარკვეულიყვნენ, მეცნიერებმა ასეთი ცდა ჩაატარეს: მათ სუპერმარკეტში დიდი სარკე დააყენეს და დააკვირდნენ, ვინ იხედებოდა მასში უფრო ხშირად. მამაკაცები დიდი უპირატესობით ლიდერობდნენ.

თანამედროვე ქმრები აღარ მიიჩნევენ, რომ მაიმუნზე ოდნავ უკეთესი გარეგნობა უნდა ჰქონდეთ. ისინი შესაძლოა, მანიკიურისა და პედიკიურის რიგშიც კი შეგხვდნენ.

მამაკაცის „გამოყენება" საშინაო საქმეებშიც შესაძლებელია. მაგალითად, მრავალწლიანი „ვარჯიშის" შედეგად, ის შესაძლოა, ნაგვის გადაყრას შეაჩვიო. თავდაპირველად, დარწმუნდი, რომ მან ნამდვილად იცის, სად დგას ნაგვის ვედრო. შესაძლოა, არ იცოდეს, შეკითხვის კი ერიდებოდეს. დელიკატურად მიანიშნე და შეეცადე, თავიდან ნაგავი ერთად გადაყაროთ, რამდენიმე ხნის შემდეგ კი უკვე დამოუკიდებლადაც შეძლებს.

რა თქმა უნდა, ყველა ქალმა იცის, რომ იდეალური ქმრები არ არსებობენ. „ავიყვან", რაც შემხვდება და გავწვრთნი", — თუ ასე აზროვნებ, იცოდე, რომ ასეთი რამ მხოლოდ ძაღლის მისამართით შეგიძლია გაიფიქრო. მამაკაცებზე ეს არ ჭრის.

ყველა ნაკლი, რომელიც შენი აზრით, ქმარს იდეალთან მიახლოებაში ხელს უშლის, შე-

გიძლია, სამ სახეობად დაყო:

1. ნაკლი, რომლის გამოსწორებაც საჭირო კი არა, სავალდებულოა. როგორც წესი, ამის წინააღმდეგი თვითონაც არ იქნება. სიმართლე რომ გითხრა, ის ხომ სწორედ ამის გამო დაქორწინდა.

2. ნაკლი, რომელთან ბრძოლაც უშედეგოა, მაგრამ თუ გსურს, შეგიძლია შეეგუო. ქმარი მას თავის მიღწევად, ტემპერამენტისა და აღზრდის შედეგად მიიჩნევს.

3. ნაკლი, რომელთან შეგუებაც შეუძლებელია. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, კეთილისმსურველები გეუბნებიან, რომ ის არაფერში გჭირდება, ჯობს გასცილდე და უკეთესი მოძებნო. ხანდახან ამ რჩევას ყური უნდა მიუგდო...

ქალს, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მსხვერპლშეწირვა შეუძლია, რადგან ბუნებამ ის დიდი მოთმინების უნარით დააჯილდოვა, მაგრამ ღირს კი, უღირს ადამიანზე ამ სიმდიდრის დახარჯვა და საკუთარი და სხვისი სიცოცხლის გამწარება? ყველაზე თვალსაჩინო და გავრცელებული მაგალითია — ალკოჰოლიზმი და ნარკომანია. შესაძლოა, ამ ნაკლს ებრძოლო და გაიმარჯვო კიდეც, მაგრამ პარადოქსი ის გახლავთ, რომ ოჯახები სწორედ მას შემდეგ ირღვევა, როდესაც მიზანი მიღწეულია.

იცი, რა უთხრა გამოჯანმრთელებულმა ქმარმა ცოლს?.. რომ არა შენი იდიოტური ჩიჩინი, თავად, დიდი ხნის გამოჯანმრთელებული ვიქნებოდიო, — და ის თავისებურად, მართალია. ადამიანს ყოველთვის უჭირს დანაშაულის გრძნობასთან გამკლავება. მისთვის გაცილებით იოლია, საშინელი დღეები დაივიწყოს და ყველაფერი ხელახლა დაიწყოს. ციინიკურად ჟღერს, მაგრამ ამ ცხოვრებაში ყველაფერს თავისი ფასი აქვს.

დამეთანხმებით, რომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ქმარი ცოლს ფიზიკურად უსწორდება. ასეთ დროს, უკვე დამშვიდებული ქმარი ცოლს ეუბნება, — რომ მიყვარხარ, იმიტომ გცემო. ასე ის ქმრები იქცევიან, ვინც თავს, სოციალურად და პიროვნულად, მსხვერპლად მიიჩნევენ. დროთა განმავლობაში, ეს ქმედება დაავადებად ყალიბდება, რომელსაც ფრიად მომხიბვლელი და ლამაზი სახელი — „საკეისრო ჭკუასუსტობა“ ჰქვია. ასე ეწოდება ფსიქოზის იმ ფორმას, რომლის დროსაც, ავადმყოფი გადაჭარბებულ აგრესიას ამჟღავნებს.

ასე რომ, უყვარხარ მას თუ არა, სულერთია — თუ ქმარი გცემს, თავს უნდა უშველო.

„დედამთილი — ავი ძაღლი, ყელში მეჩხერს, როგორც ძვალი“, — ასეთი ცუდი გამოძახილი აქვს ფოლკლორს შენს მეორე დედაზე. როდესაც ქალები ერთმანეთთან დედამთილებზე ჭორაობენ, გაცილებით მკვახე სიტყვებს იყენებენ. ნუ მოუსმენ ასეთ რძლებს — ეს ყველაფერი მხოლოდ ცრუგანგაშია. ამბობენ, რაც უფრო ახლო კავშირი აქვს ქმარს დედასთან, მით მეტ საფრთხეს წარმოადგენს ოჯახისთვის. სინამდვილეში, ეს საპირისპიროზე მეტყველებს და იმის დასტურია, რომ შენი დედამთილი საუკეთესო დედა და ღირსეული ადამიანია. დედის მოყვარული მამაკაცები კი, როგორც წესი, ისეთ ცოლებს ირჩევენ, რომლებიც დედებს ჰგვანან. გამოდის, საერთოც ბევრი გექნებათ. თუ მამაკაცს არ შეუძლია, 2 საყვარელ ქალს შორის კომფორტულ ურთიერთობას შეუწყოს ხელი, ეს მისი ნაკლია და შენ ხომ ასეთ კაცს გაჰყევი ცოლად?.. ასე რომ, დედამთილი არაფერ შუაშია.



ქალები ხშირად წუწუნებენ იმის გამო, რომ მათი ქმრები ხვრინავენ. დედამიწაზე მცხოვრები, 30 წელს გადაცილებული ყოველი მეორე ადამიანი ხვრინავს. თქვენ შორის ვინ დაიწყებს ხვრინვას პირველი და ვინ იქნება უბედური მსმენელი, — ეს ჯერ კიდევ საკითხავია. სტატისტიკა ცხადყოფს, რომ 6 მხვრინავ მამაკაცზე 4 მხვრინავი ქალი მოდის.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ — მამაკაცის ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ მთელი მისი ცხოვრება კრიზისული პერიოდებისგან შედგება. პირველი რთული პერიოდი 1 წლის ასაკში დგება, ხოლო ბოლო — სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას — 63 წლის ასაკს ემთხვევა. მამაკაცები თავიანთ ქმედებებს სწორედ ამ კრიტიკული წლებით ხსნიან (მათ შორის — ღალატსაც) და ფსიქოლოგები მათ ეთანხმებიან.

დავუშვათ, მოზარდის კრიზისს მშობლები უმკლავდებიან, მაგრამ 25 წლის ასაკში, როდესაც მამაკაცი ვაჟკაცდება და თავდაჯერებული ხდება, კრიზისის მეორე პერიოდი დგება, რომელსაც თვითონ უნდა გაუმკლავდეს. ამას გადააგორებს და დგება ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი კრიზისის პერიოდი — 40 წელი. ამ დროს, ქმრებს უჩნდებათ 2 თვისება, რომელიც აქამდე არ ჰქონდათ — სენტიმენტალურობა და ეჭვიანობა. ეს კი შეშფოთებას იწვევს. ზოგი სასმელს ეტანება, ზოგი — აზარტულ თამაშებს, ზოგი კი მელანქოლიაში ვარდება. მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ ამ კრიზისის დაძლევაში ახალგაზრდა საყვარელი დაეხმარება.

მამაკაცისთვის არანაკლებ რთული პერიოდია 60 წელი. ამ დროს მას სიბერის შიში ეუფლება. ხვდება, რომ ახალგაზრდობა გაფრინდა, მაგრამ ამასთან შეგუება უჭირს. ქალს კი ამ დროს, ერთი გზა რჩება: შეიცოდოს ის და დაეღოდოს იმ დროს, როდესაც ყველაფერი გამოსწორდება...

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები



1. ვარ 35/157/57 სიმპათიური, კარგი ხასიათის მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილ და მოსიყვარულე მამაკაცს.

2. ვარ მაღალი, შავგვრემანი, ნორმალური გარეგნობის ქალბატონი. გავიცნობ 182 სმ-ზე მაღალ, შავგვრემან, განათლებულ, უზრუნველყოფილ, 42-48 წლამდე ასაკის, მარტოხელა, ნორმალურ, თბილისელ მამაკაცს.

3. ვარ 34/157/57, სიმპათიური, კარგი ხასიათის, სისუფთავის და სიმყუდროვის მოყვარული მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი ყველა ამ თვისების დამფასებელს.

4. როგორ გავიგო მე-20 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი?

5. ვარ 34 წლის, გასათხოვარი, სიმპათიური მანდილოსანი. მინდა სიყვარულით შევქმნა ოჯახი. იქნებ ვირთხის წელში ვიპოვო ის, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებ.

6. ვარ 32 წლის ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ ქართველ, ნამდვილ მამაკაცს. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ, გასართობად არ მცალია.

7. მყავს 37 წლის, გასათხოვარი მეგობარი, ჭკვიანი, ინტელიგენტი, პროფესიით ექიმი, მაღალი, სიმპათიური, კარგი დიასახლისი, სამსახურით უზრუნველყოფილი.

8. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, მორწმუნე, წყნარი ბუნების და თავისი შრომით წარმატებულ ბიჭს, ლამაზი მეგობრობისთვის. ვარ ერთგული და მორიდებული.

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28 წლის ასაკიდან მამაკაცს.

10. გამარჯობა. მე ვარ 95 წლის, თინეიჯერი ბებო! გავიცნობდი ჩემი ასაკის, ზრდილობიან ბაბუს.

11. ვარ 20 წლის, სასიამოვნო და მხიარული გოგო. სამეგობროდ გავიცნობდი 20-დან 28 წლამდე ბიჭს. არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

12. ვეხმაურები 25 წლის ბაჩოს. შენსავით არც ფულიანი ვარ და არც მესამე თაობის მობილური მაქვს. ახლა მამის ტელეფონით ვამესიჯებ. :) კარგი sms-მეგობარი ვიქნები. ფიფქია-19.

კაცები

13. გილოცავთ დამდეგ ახალ წელს! გავიცნობ 35 წლამდე, თბილისელ, სექსუალურ გოგონას, ჯერ სამეგობროდ. დავიწყოთ ახალი წელი სექსით. გიგი, 36 წლის.

14. ნუთუ არავის არა გაქვთ ცოტაოდენი ფული? ოჰ, როგორ მინდა, დაიპყროთ ჩემი პატარა გული... მე ასაკი არ მაკლია, თუმცა არ ვარ ბებერი, არც ტვინი არ მეღვრება და არც გახლავართ ჩერჩეტი. მე დავეძებ მანდილოსანს, ვინც გამიგებს გულით, მთავარია, სიყვარული, არა მხოლოდ ფული. ვნახოთ ერთი, ეს მესიჯი როგორ გავა „გზაში“, თუკი ვინმეს დაგეკვასოთ, მოგაკითხავთ სახლში.

15. ვარ 19 წლის, ცისფერთვალება და ქერა, 173/68. გავიცნობდი სიმპათიურ გოგონას. რაც მთავარია, თბილს და საყვარელს. ჩემი სახელია ნიკა.

16. ერთ დროს მდიდარიც ვიყავი და 2 სახლი მქონდა თბილისში. ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, სამი წელია. მისი გერმანიაში ოპერაციის გამო გავყიდეთ ბინა და ახლა მარტო მე და ჩემი პატარა შვილი ვცხოვრობთ. ახლა ქირით ვართ. მე ვმუშაობ ერთ-ერთ



თუ „ჭახმელიას“ ამ ოქტომბერში,
ის ერთი დღეში გაიგლის.
თუ ოქტომბერში, 10 დღე
მაინც სტრესდება.

სამინისტროში. მსურს ოჯახის შექმნა.

17. „გზა“ №52, პირველი მესიჯის ავტორის, 30 წლის პედაგოგის ნომერი მომეცით.

18. გთხოვთ გამომიგზავნოთ „გზა“ №48, პირველი მესიჯის ავტორის ნომერი.

19. ვეხმაურები „გზა“ №46, მე-8 მესიჯის ავტორს და დამიმესიჯოს. ჯ.

20. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა“ №52, პირველ რესპონდენტთან. წინასწარ გიხდით მადლობას.

21. ვარ 27 წლის, ერთგული, პატიოსანი, მეგობრული და სიყვარულით აღსავსე. ვცხოვრობ ბოლნისში. გავიცნობ, ოჯახის შექმნის მიზნით, სუფთა წარსულის მქონე, წესიერ გოგოს. დათო.

22. დამიმესიჯე ქალებიდან ორი ნომრის მობილურის ნომერი. წინასწარ გმადლობთ.

23. ვარ თბილისელი, 26 წლის, sms-მეგობრობისთვის გავიცნობ 18-26 წლამდე გოგონას.



24. ვეძებ მარნეულის რაიონში, სოფელ წერეთელში მცხოვრებ, დარეჯან გივის ასულ შუბითიძეს. დაჯი, შემეხმიანე ჟურნალ „გზაში“. გაგახარებ, მჯერა. უცნობი ნაცნობი.



• ათენიდან გწერთ. ჩვენი დარდი ახლა, არჩევნებია. აქ, როგორც ადრე, ახლაც გააყალბებს საკონსულო, მთავრობის სასარგებლოდ. როდის ეშველება საქართველოს? უიმედო.

• მივმართავ ჩვენზე განაწყენებულ მესიჯის ავტორს. ათენიდან შეიძლება კარგ მესიჯებს ვერ ვგზავნით, მაგრამ მარიმ იცის, რომ აქ ჩვენ ყოველგვარ სიხარულს მოკლებული ვართ და გვიბეჭდავს. ამით ის ჩვენ სიცოცხლის სტიმულს გვაძლევს. თქვენ კი ძალიან მატკინეთ გული, მაგრამ მაინც გილოცავ ახალ წელს. გაიხარე! გერასიმე.

• უკაცრავად და, ასე უხეშად რომ გვლანძღავ, ათენში მყოფ ქუთაისელებს, მორიდება მაინც გქონდეს. მერედა, ნუ კითხულობ, ვინ დაგაძალა? 13.07.

• ნელკა, ძვირფასო, არსად დავკარგულვარ, უბრალოდ, ბედი არ მწყალობს და ვერ ხვდება ჩემი მესიჯები „გზაში“. გაკოცე. 13.07 ნიკიტა.

• ვეხმაურები „გზა“ 51-ში, „სხვადასხვაში“ რიგით მეორე მესიჯის ავტორს (სამწუხაროდ, ნიკი მითითებული არ არის), რომელიც საბერძნეთში მცხოვრებ ქუთაისელებს ბანძებს და სოფლელებს უწოდებს და მათი მესიჯებით გაღიზიანებულია. ჩემო კარგო, მოდი, ვისაუბროთ ყოველგვარი „ვილკის“ ყელზე მიბჯენის გარეშე. თუნდაც, ჩემი მესიჯები აიღე და მიპასუხე, რამ გამოიწვია შენში ზიზღი? მეც საბერძნეთში მცხოვრები ქუთაისელი ვარ (თუმცა, არა — ბანძი). p.s. სარკე თუ არ გაქვს, უნიტაზში მაინც ჩაიხედე. შენ ამით ყველა ქუთაისელს შეურაცხყოფა მიაყენე და ძალიან გთხოვ, ისე მიპასუხე, ნუ დაიძარღვები. ანარქია.

• „გზა“ №51-ში ვიღაც ლანძღავს ათენში მყოფ ქუთაისელებს. მინდა, მას მივმართო: ერთ-ერთი მე ვარ, ვინც აქ ამესიჯებს, ათენში მყოფი ქუთაისელი და სხვებიც ბევრნი არიან. ამიტომ კარგად დაუკვირდი, რასაც ამბობ, თორემ ერთ დილას სარკეში ჩაიხედავ და იქ დაინახავ საკუთარ, ბანძ თავს. ყველა იდეალური ვერ იქნება და აქ ყველას თავისი აზრი აქვს. ყველას სახელით გეუბნები, თუ არ მოკეტავ, მოგაკეტინებთ. ქართველებო, მიყვარხართ. ვარდენა.

• ძალიან ვწუხვარ მეგრელი მგელო-30-ის გამო. ჩემო კარგო გოგო, საიდან ასეთი სასოწარკვეთა? რა დროს სიკვდილზე ლაპარაკია, როცა სიცოცხლით სავსე ხარ. გთხოვთ, ვინც ფიზიკურად ჯანმრთელები ხართ, ნუ ქმნით ტრაგედიას და ნუ ისევდიანებთ ლამაზ გულს. მაშ, მე





2 იანვრის დილა

რა ვთქვა? გოგომ, რომელსაც მძიმედ დაავადებული გული მაქვს და ყოველდღე ვუყურებ, ფეხდაფეხ ადევნებულ სიკვდილს თვალებში. მაგრამ იცი, თეო, არასოდეს ვარ მოწყენილი. მინდა, სანამ ვიცოცხლებ, მწუხარება და სევდა შორს იყოს ჩემგან. ყველა პრობლემა მოგვარებადია, გარდა სიკვდილისა, მაგრამ სანამ მარის თავის ფრთის ქვეშ ვყავართ შეფარებული, მჯერა, სიკვდილი ვერ დაგვამარცხებს. მარი ჩვენი მფარველი ანგელოზია, მგზავნელები კი უკვდავნი არიან. ძირს, სევდა! გაუმარჯოს მხიარულ მგზავნელებს! კამელია.

• მარი, გრაფო და მგზავნელებო, უკლებლივ ყველას გილოცავთ დამდეგ ახალ წელს. სიხარული, ბედნიერება და სიყვარული არ მოგშლოდეთ. ეს წელი ყველაზე წარმატებული ყოფილიყოს თქვენთვის. ყველანი უზომოდ მიყვარხართ, ყველას გეხვევით და გკოცნით. მარი, მაპატიე, წინასწარ რომ გილოცავთ, მაგრამ მერე გამიჭირდება მოწერა. კამელია.

• მაინტერესებს, საბერძნეთში მყოფ ქუთაისელებს ბანძს რომ უწოდებს, თვითონ რომელი მთიანი მხრიდან არის? თუ საბერძნეთშია, მინდა, შემეხმიანოს და ვანახვებ მაგ სოფელოს, ქუთაისელებს.

• ბოდიში, მეგრელო მგელო, აქამდე რომ ვერ შეგეხმიანე. აქ არ ვიყავი, თბილისში. მე ის ნათია ვარ, სტადიონზე საფლავის გათხრას რომ ვაპირებდი. ჰოდა, გკოცნი ბევრს. ნათია.

• მეც მეგრელი ვარ, მაგრამ მეგრული არ ვიცი. არადა, როგორ მინდა, ვიცოდეე! ჩიო-რა.

• იცით, ნერვები რა დღეში მაქვს? ნევროპათოლოგი, ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი მაინც არავინ ხართ? მიშველეეთ! ჩიო-რა.

• გაწევრდი „მგზავრებში“ და იმგზავრე უსაფრთხოდ, შენ ჩვენთან არასდროს მოიწყენ. „მგზავრებს“ გაუმარ... სესი.

• რა ცოდოები ხართ, ვერავინ გიპოვიათ და ჟურნალის მეშვეობით აბამთ ურთიერთობებს? ნომერი არ გამომიქვეყნოთ.

• ჯინა, დაუჯერე მუკობაზიერს, ჩვენთანაა, ჩვენთან. მაგარი ჯიგრუშკა ხარ. მუკო. ისა დაა... ვინ შემიქმნა პრობლემები? ვინ ხარ? უუჰ, ეღირსა „მობილი-ზაციას“ შეწირული. :-) დუჩი.

• ეს რა გავიგე? მეგრელი მგელო მიდის? არ გრცხვენია? ხელები არ გიკანკალებდა, ამას რომ წერდი? არ გაბედო და არ წახვიდე, თორემ გაგებუტებით. როზი.

• wind69, შენც კარგი ადამიანი ხარ, ჩვენ უკვე მეგობრები ვართ. lily19, რატომ დამივიწყე? როზი.

• მინდა, სევდიას მადლობა ვუთხრა ასეთი ყურადღებისთვის. იქნებ, რამენაირად დავუკავშირდეთ ერთმანეთს? პაწია.

• აუ, კობრას მესიჯზე — „ცუდი ხასიათი“ — მაგრად ვიცინე. გაიხარე, რა! არგელოდი.

• უდიდესია თავმდაბლობის სიმაღლე, ღრმაა ამპარტავნების უფსკრული. ამიტომაც გირჩევთ, შეიყვაროთ პირველი და არ ჩაცვივდეთ მეორეში. ვერა.

• ყოველ ადამიანს სამი გული უნდა ჰქონდეს: წრფელი — უფლისათვის, მოწ-



2 ბოლო ფოტოზე,
3 — ფესტივალზე.

ყალე — მოყვასისთვის და მკაცრი — საკუთარი თავისათვის. ვერა.

• მე ვარ ე.წ. არგელოდი. ყოველ შემთხვევაში — „გზაში“. არა, ჩემო კარგო, ბანაკში მე არ ვყოფილვარ. არგელოდი.

• ისე, ჩვენში დარჩეს და, მარტო 49-ე ნომერ „გზაში“ კი არა, მუდმივად ვამესიჯებ. ალბათ, შენ მარტო ეგ ნომერი წაიკითხე. არგელოდი.

• დუჩი, გენათალოს ნათათუნა გულში. ლუციფერ, გაუ... შეწირულო, მიგტყიპავ. :)შოკოლადა, დნცკ, დნცკ, მეც მიყვარს. :) „მგზავრები“ და დედიტო ლანკა, ფორევერ! გრეენ გირლ.

• კარგი იქნება, თუ რუსთაველებიც ისევე იაქტიურებთ და ორგანიზებას გაუკეთებთ, როგორც კანიბალკას კლუბი (რასაც მივესალმები). რუსთავი მაგარია. :) სალუკა-პუპსიკა.

• ძალიან გთხოვ, მეგრელო მგელო-30, ძალიან გთხოვ, გამომეხმაურე ან შენი ნომერი მომეცი, რაღაც მინდა გითხრა. სვანსკი.

• „მგზავრები“ ძაან მაგარი კლუბია... გაუმარჯოს „მგზავრებს“... სესი.



• ბაჩო ქურასბედიანო, ჩემო სიყვარულო, ჩემო სიცოცხლევ, გილოცავ ახალ წელს. გისურვებ წარმატებულ ცხოვრებას, მუდმივ, ლამაზ სიყვარულს. მიყვარხარ. გკოცნის შენი ხატია.

• ჩემი ბაჩოს დედიკო: მზია დეიდა, პატარა, ლამაზო დედოფალო, ქრისტინა ერისთავო, გილოცავთ ახალ წელს. მინდა, სულ ბედნიერები იყოთ. მიყვარხართ, გკოცნით, ხატია.

• კობა, ახალ წელს და ქრისტესშობას გილოცავ. ლამაზი ცვლილებებისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს ახალი წელი შენთვის. ყრუუუ! სიგიჟემდე მიყვარხარ.



• მინდა, ახალი წელი მივულოცო მონატრებულ შვილებს, რომოს და ჯონის. დედის სიცოცხლეებო, მრავალს დაესწარით. რაც მე ვერ დაგლოცოთ, ღმერთმა დაგლოცოთ, სულ გახარებულები ყოფილიყავით. თქვენთან ერთად, ვულოცავ დედას, საყვარელ ძმას, ძმისშვილს, ჩემს ნათიას და ყველა ნათესავს, გკოცნით და გეფერებით. მონატრება, სევდა, ნაღველი — აი, ეს არის ჩემი ცხოვრება. გკოცნით ბევრს. ათენი. თამილა.



• ჩემი მშობლების, გელა და ენძელა ბაბუნაშვილების ოჯახს ვულოცავ შობა-ახალ წელს. ვუსურვებ ყველაფერს საუკეთესოს. დედი, ღმერთმა ჯანმრთელად გვიმყოფოს შენი ლამაზი თავი. ეს ახალი წელი სიკეთის და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის და ყველა ადამიანისთვის. გკოცნით და გეფერებათ თქვენი ნონიკო, ათენიდან.

• ჩემს საყვარელ ხალხს, ამირან დათიაშვილის ოჯახს ვულოცავ შობა-ახალ წელს. ღმერთმა მრავალი ახალი წელი გაგითენოთ. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. გკოცნით. ნონიკო, ათენიდან.



ახალი წლის საღამო ყარგად დაიწყო, მაგრამ ბოგორ დამთავრდა, არ მახსოვს.



4 იანვრის დილა

• ჩემს საყვარელ მეუღლეს, გიგა შალიკაშვილს ვულოცავ დამდეგ ახალ წელს. სიხარულო, პირველ რიგში, გისურვებ ჯანმრთელობას და ჩვენს ერთად ყოფნას. ღმერთმა მალე შეგვახვედროს ერთმანეთს. მრავალი ახალი წელი გაგთენებოდეს, ჩემო სიყვარულო, ძალიან მენატრები და მიყვარხარ. გკოცნი და გეფერები, სიხარულო. ნონიკო, ათენიდან.

• ჩემო საყვარელო მაიკო, გილოცავ დაბადების დღეს, 7 იანვარს. დიდ სიხარულს და ლამაზ სიყვარულს გისურვებ. ღმერთმა ბედნიერი დაბადების დღე და შობა-ახალი წელი გაგითენოს, შენს საყვარელ მშობლებთან და დაიკოსთან ერთად. გკოცნი და გეფერები ძალიან ბევრს. მიყვარხარ და მენატრები. შენი ნათლია, სალონიკიდან.

• გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას, ხალხო, მგზავნელებო, მარი და სრულიად საქართველოვ! ცოტა ადრიანად ქე ვწერ, მაგრამ რავი, იქნებ, ახალ წლამდე არ დაიბეჭდოს? მეოცნებე.

• ბათუმში, წულუკიძე დემეს და მის ძმაკაცებს, 2 გიოს და ლევანს და კიდევ, ორიგინალური ლექსის ავტორს ვულოცავ ახალ, 2008 წელს და ვუსურვებ ბედნიერებას. უკარება.

• ახალ წელს გაფიცებ, დაბეჭდე, რა... მინდა, ჩემს, ერაყში მყოფ „ლოვეს“ მივულოცო ახალი წელი. მიყვარხარ, საყვარელო... შენც გილოცავ, მარუს და კიდევ თქვენც, მკითხველებო. ს-ხ.

• მინდა, ინგა გიორგობიანს მთელი სულითა და გულით მივულოცო შობა-ახალი წელი. ვუსურვებ ყველაფერს კარგს, პირად ცხოვრებაში. 2008 წელი ბედნიერების წელი ყოფილიყოს. კახა, ათენი.

• ათენში მყოფ ნათია ერემეიშვილს 5 იანვარს აქვს დაბადების დღე და მინდა, მივულოცო, სულით და გულით. ნათი, გილოცავ დაბადების დღეს. ლამაზ და ბედნიერ ცხოვრებას გისურვებ, შენს უსაყვარლეს მეუღლესთან და ანგელოზ ლილესთან ერთად. ძალიან მიყვარხართ. პატარა ქალი.

• ყველას მოგილოცავთ შობა-ახალ წელს, ბედნიერებისა და წარმატებების მომტანი ყოფილიყოს. რაც მთავარია, გისურვებთ, ახალი წლისთვის სწორედ ისეთი პრეზიდენტის გამოჩენას, როგორიც „გზის“ წინა ნომრის გარეკანზე ეხატა (ეს იყო ფრაგმენტი ფილმიდან — „ოცნებაში ამოგხდებათ სული“). ჰოდა, მარ, იმედია, ამ მესიჯს 2008 წლის პირველ ნომერ „გზაში“ ვიხილავ. გკოცნით, თქვენი ლელუჩია.

• შობის ბრწყინვალე დღესასწაულს გილოცავთ ყველას. იესო ქრისტე ყოფილიყოს მთელი საქართველოს მფარველი. მარი17.

• აგნესას, ქოსას, ჯიბეს, პიტერას, სიკვდილას, რობერტას, ჯაგარას, იმედას, შავ რამაზას, პატარა აგნესას, მუშტას, რიჟას, ქავთარაძეს ვულოცავ ახალ წელს. თამო.

• ზურა ქილითაურს, რამაზ ზაზაძეს, ვიტალი ჩოჩიევს, მერაბ სტურუას, იმედა მინდიაშვილს ვულოცავ შობა-ახალ წელს. თამო.

• მარი ჯაფარიძის თამადობით, „გზის“ მთელ კოლექტივს ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე კარიერა-



ჩვენ ვეშალენ დაგვაჩოქებს!
ვნევარ და ვიწვეთ!

ში. მიყვარხართ. კახელი მგელუნა.

• ჩემს ხაშურელ ბიჭს ვულოცავ ახალ წელს და ვუსურვებ ყველაფერ საუკეთესოს. იოსებ, ძალიან მიყვარხარ და პატივს გცემ. ერთს გთხოვ, ტვინს ნუ მირევ, გთხოვ. კახელი მგელუნა.

• ჩემს სიხარულს, ლაშას ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ყველაფერს კარგს, ჩემთან ერთად. ძალიან, ძალიან მიყვარხარ. ნანა.

• ყველას! ყველას! ყველას! გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ულევ სიხარულს, „გზასთან“ ერთად. არგელოდი, ჯიგარი ხარ. გკოცნით. თქვენი როზი.

• ააეე, გილოცავთ 2008 წელს, ხალხო! კანიბალკა კლუბში მიმიღებ?

• 4 იანვარს, ჩვენს უსაყვარლეს გიორგი შუბითიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში. ღმერთი იყოს შენი მფარველი. დედიკო და მამიკო.

• თელაველო სვეტა, გილოცავ ახალ წელს, მაგრად მიყვარხარ. იცოდე, 16 აპრილს უნდა მოგიტაცო. შენი გიჟი ბიჭი.

• ამალთეა, გილოცავ დაბადების დღეს და შენთან ერთად, ყველა ქართველს ვულოცავ შობა-ახალ წელს, მრავალს დაესწარით! გკოცნით. ნიკოლი.

• ყველას მოგესალმებით და გილოცავთ ახალ წელს. მრავალს დაესწარით. wind69.

• გილოცავ ახალ წელს, დაესწარი მრავალს, მარი მაჩალაძე, დედიკო ირინა.

• გილოცავთ 2008 წელს. დაესწარით მრავალს, თქვენი ოჯახებით. მუდამ გახარებული მენახეთ, ნინო და ირინა მასწავლებელო. თქვენი მარიკელა.

• ინგა ანუ ირმა, გილოცავ შვილის იუბილეს. სასახელო გაზრდილიყოს, როგორც შენს გულს გაუხარდება. ინკოგნიტო. ქუთაისი.

• ჩემო დაიკო, თაკო, გილოცავ დაბადების დღეს! შენ ჩემი ცხოვრების დიდი იმედი ხარ. მინდა, მარად ბედნიერი და ლამაზი მყავდე. გფარავდეს უფალი. უზომოდ მიყვარხარ. ნათია.

• ვულოცავ ათენში მზიას, ნანას, ნანას, ყველა ჩაბანოელს, ახალ წელს. ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ეს წელი თქვენთვის. მიყვარხართ. მცხეთიდან, ლია და დათო გირდა. გკოცნით.

• მგლის დავ, ილინ, კანიბალკა, გილოცავთ შობა-ახალ წელს, მაგრად მეყოლეთ, ჩემო სიხარულებო, გკოცნით, ირაკლი, იგივე ბოა.

• დაბადების დღეს და შობას ვულოცავთ ჩვენს საყვარელ სიძეს, ახალსოფელში, ვასიკო კვინიკაძეს. ვუსურვებთ ყველაფერ საუკეთესოს. ახლობლები, მარტყოფიდან.

5 იანვრის დილა

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 39-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ფიფქიანელენარი



2 იანვარი

ტუსალის დღე

გარდა იმისა, რომ ეს ბედობის დღეა, თურმე ტუსალის დღეც ყოფილა. ვის-ვის და ქართველ პატიმრებს ნამდვილად სჭირდებათ მხარდაჭერა. თუ ამ დღეს 1-2 „პერედაჩს“ გააკეთებ, ხოლო მთავრობა პატიმრების რიცხვს მინიმუმ 2-ჯერ მაინც გაზრდის, ჩათვალე, რომ ეს დღე შენც და მთავრობამაც ღირსეულად აღნიშნეთ.

6 იანვარი

შუა ზამთრის დღე

ალბათ, არც კი იცოდით, რომ ეს „შუა ზამთრის მსოფლიო დღეა“. თურმე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მას საგანგებოდ აღნიშნავენ და მიღებულია, რომ სპეციალურად მოწყობილ მოედანზე, წინა წელს მოგროვილი ნაგვით დიდი ცეცხლი დაინთოს. ეს დღე თოვლის ბაბუის მთაში წასვლის სიმბოლოდ მიიჩნევა.

8 იანვარი



სრულწლოვნების ანუ „დიდ ადამიანად გადაძცევის“ მსოფლიო დღე

ეს დღესასწაული 1948 წლიდან აღინიშნება და საამისოდ, სპეციალური ცერემონიები იმართება. მაგალითად, იაპონიაში სრულწლოვნებს სწორედ ამ დღესასწაულის შემდეგ ეძლევათ სიგარეტის მოწევის, სასმლის დალევისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მოკლედ, თუ 5 იანვარს არჩევნებში მონაწილეობას მიიღებ, ჩათვალე, რომ დღესასწაული რამდენიმე დღით ადრე აღნიშნე.

11 იანვარი

„მადლობის“ მსოფლიო დღე

ეს ყველაზე „ზრდილობიანი“ დღე გახლავთ. სიტყვა „მადლობა“ — „მადლისგან“ წარმოიშვა და ამ სიტყვით ადამიანები ერთმანეთის მიმართ მადლიერებას გამოხატავენ. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს სიტყვა მაგიურ ძალას ფლობს და გვირჩევენ, ის გაღიზიანებულებმა არ წარმოვთქვათ. არჩევნებმა ჩაიარა? — მადლობა! გააყალბეს? — მადლობა! ფოტოკალენდარი წაიკითხე? — ამაზეც დიდი მადლობა.



12 იანვარი

მოტაცების მსოფლიო დღე

ამ დღეს იხსენებენ, თუ როგორ მოიტაცა ურჩხულმა ერთ-ერთი ღვთაების ცოლი — მარეანა, რომელიც ჭექა-ქუხილის ქალღმერთად მიიჩნეოდა. მოკლედ, ვისაც უკვე მოტაცებული გყავთ თქვენი გულის სწორი, გაუფრთხილდით — სხვამ არ მოგტაცოთ, — ხოლო თუ სწორედ ამ დღეს მოიტაცებ საყვარელ ქალბატონს, ჩათვალე, რომ ეს დღესასწაული ძალიან მაგრად აღნიშნე, მაგრამ გაისად ალბათ 2 იანვრის აღნიშვნა მოგიწევს (თუ დაგავიწყდა, ხელახლა გადაიკითხე, რომელი დღესასწაულია ამ დღეს).

19 იანვარი

მეუღლის დღე

მოიტაცე საყვარელი ქალბატონი? ხახვივით შეგრჩა? მაშ, დატკბი, მეუღლის საერთაშორისო დღით. ამ დღეს ქალები ქმრებს ყვავილებსა და საჩუქრებს უძღვნიან და ყურადღებასა და პატივისცემას არ აკლებენ. თუ ამ დღეს ცოლი 2 შარვალს გაგიუთოებს, ჩათვალე, რომ საუკეთესო საჩუქარი მოგიძღვნა.

21 იანვარი

ჩახუტების მსოფლიო დღე

ეს ერთ-ერთი, ყველაზე უჩვეულო დღესასწაულია, მისი ავტორი კი უცნობია. ამ დღეს „ნაციონალები“ „ლეიბორისტებს“ ჩაეხუტებიან, ქართველები — რუსებს (რამდენი მამაკაცის ოცნება ასრულდება!), ოსებსა და აფხაზებს და ვიცხოვრებთ ტკბილად და ბედნიერად, ოღონდ, გაითვალისწინეთ, რომ ამ დღესასწაულს თან ერთი პირობა ახლავს: ჩახუტება ინტიმურ ურთიერთობაში არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიზარდოს. ბედნიერ ჩახუტებას გისურვებთ!

ემიგრანტი ადამიანების ემიერ უედგენილი ახსნა-განმარტებითი ბარათები

საახალწლოდ ქეიფი, სასმელი და ბახუსი საკმაოდ აქტუალური თემაა. ამიტომ, ახლა გთავაზობთ საახალწლო „სმა-ჭამა დიდად შესარგის“ შემდეგ შედგენილ ჟურიოზულ ფრაზებს ახსნა-განმარტებითი ბარათებიდან.

1. „2 იანვარს მაღაზიაში წავედი, რომ ავადმყოფი ბავშვისთვის საჭმელი მეყიდა. 1 ქილა შედედებული რძე მოვითხოვე, მაგრამ მითხრეს, რომ თურმე საახალწლოდ, სულ გაიყიდა. შემდეგ, ხილის პიურე მოვიკითხე, მაგრამ არც ის ჰქონდათ. ძალიან ვნერვიულობდი ავადმყოფი ბავშვის გამო და არაყი ვიყიდე, რომელიც იქვე, მაღაზიაში დავლიე“.

2. „1-ელ იანვარს ვიყავი რესტორანში და იმდენი არაყი დავლიე, რომ არ მახსოვს, სადარბაზოში როგორ აღმოვჩნდი. თავი საღებავით მქონდა მოსვრილი, მარჯვენა საფეთქელთან — თმა აპარსული, ხოლო ზურგზე მეწერა: „აქ იყვნენ ნინო და თამო“. ეს საშინელებაა, სახლში როგორ უნდა მივიდე?“

3. „ასე იმიტომ დავთვერი, რომ ცოლი სასმელზე საჭმლის დაყოლების საშუალებას არ მაძლევდა. ის მეუბნებოდა: „ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს!“

4. „არაყი რომ უხარისხო იყო და წყალი ჰქონდა გარეული, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ როგორც წესი, ნახევარი ლიტრი არყის დალევის შემდეგ ფეხზე დგომა მიჭირს. დღეს კი ქუჩაში გამოსვლა და ჩხუბიც მოვახერხე, რის გამოც, გამოსაფხიზლებელში აღმოვჩნდი“.

5. „გამოსაფხიზლებელში ხელოვნებისადმი სიყვარულის გამო მოვხვდი. ტელევიზორში აჩვენებდნენ, როგორ ზეიმობდნენ ახალ წელს ცნობილი ადამიანები. გადავწყვიტე, მათზე მეტი დამელია. ისინი შამპანურს სვამდნენ, მე — არაყს. თავიდან ამას ყურადღება არ მივაქციე, ხოლო როცა გამოვფხიზლდი, უკვე გამოსაფხიზლებელში ვიყავი“.

6. „გამოსაფხიზლებელში შემთხვევით აღმოვჩნდი, რადგან არც პირადობის და არც სიფხიზლის დამადასტურებელი მოწმობა თან არ მქონდა“.

7. „სასმელმა ტვინში დამარტყა, ხოლო საპასუხო დარტყმა იმ კაცმა მიიღო, ვინც სიგარეტზე არ მომიკიდა“.

8. „ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ჩემს შვილს თოვლის ბაბუამ ველოსიპედი აჩუქა. გადავწყვიტეთ, „დაგვესველებინა“ და შეუმჩნევლად გამოვთვერი“.

9. „დიახ, 1-ელ იანვარს მეტროთი მგზავრობის დროს, არაყს ვსვამდი და ვიგინებოდი, რადგან მეტროში ასეა საჭირო“.

10. „ხომ გახსოვთ ფილმი — „ბედის ირონია ანუ გაამოთ?“ ჰოდა, მეც აბანოში დავიწყე ქეიფი, მაგრამ ლენინგრადის მაგივრად, გამოსაფხიზლებელში აღმოვჩნდი“.

11. „მე თოვლის ბაბუა ვიყავი, 10 ოჯახისთვის. ყველა ოჯახში სასმელი შემომთავაზეს. სამწუხაროდ, მხოლოდ 8 ოჯახს გავუძელი“.

12. „ჩემი მეგობარი იმიტომ დათვრა, რომ გამოცდაში ჩაიჭრა. მე კი მის მდგომარეობაში შესასვლელად დავლიე“.

13. „ქმარმა პატიება მთხოვა და შემპირდა, რომ ამიერიდან, ხელფასს რომ აიღებს, სასმელს შინ მოიტანს და იქ დალევს“.

14. „ჩვენ გვქონდა 2 ბოთლი არაყი და 2 პური. დათო ამბობდა, რომ თუ ბევრი საჭმელი გვექნებოდა, ქალები „დამძიმდებოდნენ“ და სექსი დაეზარებოდათ“.

15. „მე და ჩემი მეგობარი დავნაძლევდით, ვინ უფრო მეტს დალევდა. მან 4 ლიტრი ღვინო დალია. არ მახსოვს, მე რამდენი დავლიე, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ნაძლევი მოვიგე“.

16. „1-ელ იანვარს ღამით, შინ ნასვამი ვბრუნდებოდი. ხელში ჯოხი მეჭირა, რომ ძაღლები მომეგერიებინა. დავინახე ბოძი და ჯოხი შემოვკარი. აღმოჩნდა, რომ ეს ბოძი კი არა, პატრულის თანამშრომელი ყოფილა“.

17. „მწუხარების გამო დავლიე, რადგან ჩემმა სუფთა სისხლის ნაგაზმა ჯიშიანი ლეკვები კი არა, ახალი წლის ღამეს, მაწანწალა ძაღლის შვილები გააჩინა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

„ემეჯარები და კოცნით ყვავხრეს...“

სოფო ჭონიშვილი

ტელეწამყვან კოტიკო თოლორაიას ბევრი გოგონა გამოეხმაურა. ისინი მას სიყვარულს გულღიად და დაუფარავად უხსნიან. კოტიკოს ერთ-ერთმა თაყვანისმცემელმა ისიც კი მომწერა: „რა დარწმუნებულია, რომ ცოლს ჯერ არ მოიყვანს?! სიყვარული როდის და სად გვესტუმრება, წინასწარ არავინ ვიცით“.

„რა მოკლავს ადამიანს, რომელიც მუდამ კარგ ხასიათზეა?“

„კარგი ადამიანი ხარ, მაგრამ ის, რაც ინტერვიუში თქვი, არ მომეწონა. გირჩევ, თუ გოგო ძალიან მოგეწონება, მის მშობლებს და წარმომავლობას დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევ. მართალია, ამბობენ: დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო, მაგრამ დამიჯერე, გამონაკლისებიც არსებობენ. ანი“.

„შენ ამბობ: შეყვარებული არ მყავსო, მაგრამ მე მითხრეს, რომ ვიღაც ქობულეთელ გოგოს ეპრანჭები და მაინტერესებს, რატომ იტყუები?“

„პირველად „ჯეობარში“ გნახე და ძალიან მომეწონე. მას შემდეგ შენს გაცნობაზე ვოცნებობ. თუკი ჩემით დაინტერესდები, დამეკონტაქტე. უსაყვარლესი ხარ“.

„მიმაჩნია, რომ მე და შენ ძალიან საყვარელი წყვილი ვიქნებით. დარწმუნებული ვარ, თუ მნახავ, მოგეწონები, რადგან როგორც გარეგნულად, ისე სულიერად კარგი გოგო გახლავარ. თანაც, ერთგული, წესიერ ოჯახში აღზრდილი ვარ. გპირდები, ძალიან კარგად მოგივლი. მოკლედ, თუ დამეკონტაქტები, არ ინანებ. მპუა... ნინი 19“.

„უკვე იმდენი შეყვარებული გყავდა, რომ ალბათ, მათი სახელებიც კი აღარ გახსოვს. ამ ინტერვიუმ იმაში კიდევ უფრო დამარწმუნა, რომ შენ სიყვარულის არაფერი გაგეგება. მიუხედავად ამისა, ძალიან საყვარელი პიროვნება ხარ, კარგად აზროვნებ. შობა-ახალ წელს გილოცავ, მრავალს დაესწარი. ეშმაკუნა“.

„კოტიკო, შენ მხიარული, უდარდელი ადამიანი და თანაც, სიმპათიური ხარ. აღმოვაჩინე, რომ ბევრი საერთო თვისება გვქონია. შენთან მეგობრობა ძალიან გამახარებს. ემპი“.

„ნამდვილად არ მეგონა, თუ კოტიკო ტრადიციების მიმდევარი ადამიანი იყო. ძალიან მომეწონა მისი სიტყვები: ახლა ცოლი რომ შევირთო, საკუთარ თავთან მართალი არ ვიქნებიო. ნეტავ, სხვა ბიჭებიც ასე ფიქრობდნენ. არ გეგონოს, ჩემს ქმრობას გთავაზობდე. უბრალოდ, მინდოდა, შენ მიმართ სიმპათია გამომეხატა. პარიჟანკა“.

„ძალიან გთხოვთ, კოტიკოს ნომერი მომწერეთ. მისი გაცნობა ძალიან მინდა. თუ ნომერს მომწერთ, პირობას გაძლევთ, არ შევაწუხებ და არც იმას ვეტყვი, რომ ამაში თქვენ დამეხმარეთ. ძალიან მომწონს და იმედია, უარს არ მეტყვით“.

„ძალიან მინდა, შენთან ერთად სადმე წყნარ, მშვიდ ადგილას დავჯდე და გელაპარაკო. საოცარი ადამიანი ხარ: თბილი, მოსიყვარულე, კეთილი და განათლებული. მიყვარხარ“.

„იცოდე, შენზე „ვაფანატებ“. აბა, შენ იცი, ჩემი მესიჯი უყურადღებოდ არ დატოვო. შენს ზარს მოუთმენლად ველი“.

„მენატრები. ასე მალე რატომ დამივიწყე? ნუთუ, იმდენი მაინც ვერ მოვახერხე, რომ ხანდახან მაინც გამიხსენო? იცოდე, მე სულ მახსოვხარ და არასოდეს დაგივიწყებ. გკოცნი. სახელს შეგნებულად არ გწერ“.

„განა მართლა მიყვარხარ,/ განა მართლა მწამხარ,/ არ ვკითხულობ, ვისთან ხარ,/ როგორ ხარ და სად ხარ,/ თავი როგორ მომაწონე,/ ეს რა დამემართა. „ვსიო“, მორჩა, აღარ მიყვარხარ“.

„შენნაირი ადამიანის მეუღლეობაზე ბევრი გოგონა ოცნებობს. გაგიმხელ, რომ გამონაკლისი არც მე ვარ. თუ დამიკავშირდები, გამაბედნიერებ“.

„იცი, ოცნებას ძალიან ჰგავხარ,/ შენ ერთადერთი იმედი მყავხარ,/ დანახვის დღიდან გულში მიზიხარ,/ ეს საოცარი, ნეტავ, ვისი ხარ?!“

„ეჰ... კოტიკო, ვინ მომცა იმის ბედი, რომ შენნაირი ბიჭი ჩემი მეუღლე გახდეს?!. დღეს ნამდვილი მამაკაცები ძალიან ცოტანი არიან და ვიცი, ისინი ჩემამდე ვერ მოაღწევენ. საყვარელო, ახალ წელს გილოცავ და ბედნიერებას გისურვებ. გკოცნი უამრავს“.

„შენ და შენი ძმა არა მარტო გარეგნულად, არამედ თვისებებითაც ჰგავხართ ერთმანეთს. დედაშენი ბედნიერია, ასეთი კარგი შვილები რომ ჰყავს. ალბათ, სარძლოც კარგი უნდა... ისე, რა სისულელე ვთქვი — აბა, ცუდი რძალი ვის უნდა?! კოტიკო, დარწმუნებული ვარ, სწორ არჩევანს გააკეთებ“.

„ძალიან გამიხარდა, „ჯეობარელ“ თამუნას რომ დაშორდი. ვფიქრობ, ის შენი შესაფერისი ნამდვილად არ იყო. ვერ ვხვდები, დედამისის დასაწუნი რა გჭირდა?!. შენი ფანი“.

„კოტიკო, მიყვარხააარ!!! გამომეხმაურე, თორემ მოგეპარები და კოცნით დაგახრჩობ“.

„მიმაჩნია, რომ „ჯეობარში“ არ უნდა შესულიყავი. რატომ? — იმიტომ, რომ ისედაც პოპულარული ადამიანი იყავი. დარწმუნებული ვარ, უამრავ მესიჯს მიიღებ, მაგრამ მაინც, იმედი მაქვს, რომ გამიმართლებს და ჩემით დაინტერესდები. თაკო“.

„რამდენჯერაც გნახე, ყოველთვის გოგონებთან ერთად იყავი. ალბათ, შენზე კონკურსია გამოცხადებული. ჰოდა, გამარჯვებულს პრიზად კოტიკოს რომ „გადასცემენ“, ხომ მაგარი საჩუქარია?! ისე, საახალწლოდ ასეთ საჩუქარს არც მე დავიწუნებდი“.

„რომ ამბობ, ცხოვრებაში ერთხელ მიყვარდაო, რატომ იტყუები?! ვიცი, სიყვარული ბევრი გოგოსთვის აგიხსნია. მგონი, მაგარი მატყუარა ხარ“.

„მიყვარხარო, მიყვარხარ ძალიაააან“... რა ვქნა, რა მოვახერხო, როგორ დაგიპყრო და დაგატყვევო? ცოტაც მაცალე და ისეთ გეგმას შევიმუშავებ, რომ აუცილებლად ჩემი გახდები. აბა, შენნაირ მამაკაცს სხვას როგორ დავუთმობ?!“

„შენ ალბათ, 100 წელი არ მოკვდები. აბა, რა მოკლავს ადამიანს, რომელიც მუდამ კარგ ხასიათზეა? კარგი ადამიანი ხარ, გაიხარე. ჰო, ჩემო კარგო, ახალ წელს გილოცავ“.

***P.S.** ამ მესიჯების წაკითხვის შემდეგ, ვფიქრობ, კოტიკოს სამაყის გრძნობა დაეუფლება და იმედია, რომელიმე თქვენგანს შეეხმიანება კიდეც. წარმატებებს გისურვებთ!* ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. ფრიდრიხ ნიცშეს საკუთარი და უყვარდა.
2. ალთაფა სპილენძის ხელსაბანი ჭურჭელია.
3. ნაღარი ხნულებს შუა დარჩენილი კორდია.
4. „ლული“, „რული“ და „თვლემა“ სინონიმებია.
5. სტეფენსონის ორთქლმავალს „რაკეტა“ ერქვა სახელად.
6. იაპონელები კამიკაძეებს „ღვთიური ქარის მეომრებს“ ეძახდნენ.
7. რომანი „კლისონი და ეუენი“ ნაპოლეონ ბონაპარტეს დაწერილია.
8. ვალერი ჩკალოვის პირველი მგზავრი მისი დედინაცვალი გახლდათ.
9. ამერიკელი მძღოლები ყოველწლიურად 90 მილიონ საბურავს ცვეთენ.
10. თახვები საკმაოდ ხშირად, მათ მიერვე გადაღრღნილი ხეების წაქცევისას იღუპებიან.
11. ვაზის გასხვლისას სამერმისოდ დატოვებულ ორ ან სამკვირტიან რქას ნეკი ჰქვია.
12. ვეგეტარიანელი ბეჰემოთები წყალში დამხრჩვალი ზებრის ან ანტილოპის ხორცზეც არ ამბობენ უარს.
13. ისააკ ნიუტონი ატარებდა ბეჭედს, რომელსაც თვლად ჩვეულებრივი მაგნიტი ჰქონდა ჩამაგრებული.
14. ჩინური ტრადიციით, უმცროსმა მხოლოდ ორჯერ უნდა გაუსწოროს თვალი უფროსს — მისალმებისას და დამშვიდობებისას.
15. „ფრანცუსკი სექს — ბეზ ბელია ნატელნავა, ა რუსკი სექს — ბეზ ბელია პასტელნავა“, — ამბობს ანდრეი ალიაკინი.
16. დანამდვილებით არავინ იცის, სად და რა დროს გარდაიცვალა მანდელშტამი. იგი გადასახლებაში დაიღუპა და სადღაც საერთო საფლავშია დაკრძალული.
17. „ჟორჟ“ და „ნიკ“ — ასე მიმართავდნენ მიმოწერისას ერთმანეთს ინგლისის მეფე ჯორჯ V და რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II. ისინი დეიდაშვილები იყვნენ.

18. ასტრონავტმა ალან შეპარდმა 1971 წელს ყველასგან დაუკითხავად, მთვარეზე მისი საყვარელი სპორტის სახეობისთვის განკუთვნილი ინვენტარი — გოლფის ჯოხი და ბურთები წაიღო.
19. ლისაბონის „ბენფიკაში“ მოთამაშე ლეგენდარულ ფეხბურთელ ეუსებიოს ექვსი ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული მარცხენა ფეხზე. მიუხედავად მძიმე ტრავმებისა, იგი 37 წლის ასაკამდე თამა-

ბელი მომეც და სანეხვეზე გადამაგდე...

ინგა ჯაყელი

— კაი გამარჯობა, თქვენი! ღმერთმა ბევრ შობა-ახალ წელს დაგასწროთ! — მოგვესალმა ავტობუსში ამოსული ყაბალახიანი, ჩოხაში გამოწყობილი ჭარმაგი მამაკაცი.

— აქით მოი, ბადრია. რავა ფირალივით გამწყობილხარ, შე დაღუპულო! დაყაჩაღებას თუ გვიპირობ, ტყვილა გარჯილხარ — დავტიეთ ქალაქში წლის მოსავალიც და ფარაც, თოვლის ბაბუობა გოვუწიეთ მონატრებულ ბადიშებს და აი ქალაქელები კიდო, თავად მოდიენ სოფლებში „საყაჩაღოდ“ — ვერ ხედავ, დაკეციღი ჩანთები რო უწყვიათ ფეხებთან?! — „გაგვლანძღა“ ასევე ასაკოვანმა მამაკაცმა, გულდაგულ რომ ტენიდა ყალიონში თუთუნს.

— ასალო ხარ? სა იყავი?!

— შვილებთან. თავად არ იკადრენ ჩამოსვლა და არ მომცა საშველი დედაკაცმა: თუ იგენს მის წილს არ ჩოუტან, კბილს არ დაგადებიებო აფერზე... შენ საით იყავი, აქით?!

— არ მითხრა, კაცო, არ მითხრა!.. ლევანი „გავყიდე“, ჩემი დისშვილი...

— რავა გაყიდე, შე კაცო, თხა ხვარ იყო?!.

— თხაი არა, მარა ვირი და მუტრუკი ქე იყო. ოთხი გოგოის მერე გოუჩნდათ ჩემს დას და სიძეს და სიხარულით თან ყობოდენ, მიწაზე არ ადგმევიებდენ ფეხს, ცივ ნიავს არ აკარებდენ და გაზარდეს ხელით სათრევ საპყარად. შესახედაობა ქე ქონდა ვაჟკაცის, მარა რათ გინდა, თოხი არ დოუჭერია ხელში და არც წიგნიზა მოუკლია თავი. სანამ ცოცხალი იყო ჩემი სიძე, რა უჭირდა, მარა ორი წლის წინ მოუვიდა თავისი დრო ცხონებულს და დოუძახეს წინაპრებმა ზეცაში — დროა, აწიო!.. შემეირტყა თავში ხელი, თავის თავს არ დარდობდა: შვილი მომიკვტება უპატრონოთ, სიმინდს მაი ვერ მეიყვანს და ლობიოს, გამზადილს კიდო, ვინ მიუტანს?! აქით ლევანო დემეტანჯება და იქით მე მევიხრაკები ჯოჯოხეთშიო!.. ცოდვას ვერ ვიტყვი, მეინდომა განძრევა და გამევიდა კარში, მარა რად გინდა — მეირტყა კოჭში თოხი და ორი კვირა მკურნალობდენ ქუთეისში. ადესის მოსაკრეფად ევიდა ხეზე და მოადინა ძნეყვა ძირს. ნეტაი ქე ივარგებდეს კაცათ, მეინაყა ყოლიფერი... მას მერე, ჩემს უბედურ დას სამუშაოდ აღარც გამოუშვია. საქეიფოდ რომ გოუშობდა, მაშინაც უკან მიყობოდა — არსად წეიქცეს, მთვრალმა რამე არ მეიწიოსო. ერთი ქონდა მარტვა კაი: ზრდილობა და სიტყვა-პასუხი. მინისტრი ვერ გეტყვის იმისთანას... ხოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, უნახია სასიმამროს რაცხა სუფრაზე. მილიონერია ის კაცი, ძველი მთავრობიდან მოსდევს ქონება და ეტყობა, არც ახლა იშლის ქვეყნის ყვლეფას. იმ დალოცვილ ღმერთს არაფერი დოუნანებია მისთვის, გარდა ერთისა — მემკვიდრე არ მისცა, ბიჭი და ოთხი გომბიო ყოლია სახში. გადარეულა ლევანის დანახვაზე და უთქვია: აგი თუ უშველის ჩემს გაჭირვებას; რომელიც მეეწონება, იმას მივცემ ცოლათ, თან, ერთი ევალება მარტვა — შვილიშვილები, თავისნაირი ჯიშიანი ბიჭები გამიჩინოსო!.. გოუკითხია, ვისი შვილი იყო და მიდგომია სახლში ჩემს დას, გაპრიალებული „მერსედესით“. საერთო ნაცნობიც მიუყვანია — ამას კითხეთ ჩემი კაცობაო!.. დაპირებიენ აშენებას და წამოუყრია ჩემს დას ცრემლები:

— სუსტი დეიბადა და საქმეს ვარიდებთ, აფერი შოუძლია. თქვენ ალბათ, გვერდში მდგომი გჭირდებათო!..

— არ მინდა აფერი, ხალხმა დეინახოს, რა ვაჟკაციცაა და ბოვშები აკეთოს!

— ჩოუცმელი მყავს, დოუხურავი, ქალსაც ხომ უნდა ოქრო, საჩუქრები?! — ისევ უარობდა თურმე ჩემი და და იმ კაცს დოუგდია დოლარე-

ბის „პაჩკა“, ახლა აგი იმყოფინეთ და დანარჩენს მერე გამოგიგზავნითო.

გამომიძახა ჩემმა დამ — წაი, ნახე, გეიგე, რა ხალხია, სა მიყავს ჩემი შვილი, არ დამიღუპოსო!.. მეც წევეი და რაც იქინე ვნახე, ტყუილა არ მკითხო, მაინც ვერ გეტყვი და მოგიყობი — ოუშენებია თფილისის ცენტრში ოთხსართულიანი სასახლე, თითო სართული თითო გოგოზა, სამზითვოდ. გარაჟია წინ, იქაც ოთხი კარით, მარა 8 მანქანით — ცალკე სიძიზა და ცალკე გოგოზა... პოლის მაგივრათ სარკე პრიალობდა ფეხქვეშ. ავეჯი აღარ მკითხო — მარტვა ლოგინი იდგა იმფერი, რა მოკლავს იმაზე მწოლარეს...

— კი, მარა ამ ახალმა მთავრობამ ყველას ჩამოართვა ნაპარავი ქონება და ამას რაფრა შეარჩინეს?!

— ამისთვისაც ბლომად წოურთმევიათ, მარა განახევრებულის აფერი ეტყობა მის ქონებას... გიჟის მეტი ვინ იტყოდა ვარს, ამფერ საქმეზე?! მით უმეტეს, რომე, ჩამივარდა ფეხებში კაცი და მეც დამპირდა აშენებას, ყველა ჯიბეში მიტენიდა ფულს და კიდო, ბაჯაღლო ოქროს ბეჭედი წეიძრო ხელიდან, — ფეშქაშადო!.. ხოდა, შევიწყმიდე სული, გავყიდე დისშვილი.

— ე, ბიჭო, თუ ძმა ხარ, იმ პატიოსან კაცს სამი გოგო ხომ ყავს კიდო და მიშველე რაცხა, „გამაყიდიე“ ჩემი ზურიეც. კაი პატიოსანი ბოვშია. ეგია, სტავლიზა არც იმას მოუკლია თავი და შოფრობა ამჯობინა პრაფესორობას.

— რავა დაგამადლი, ასალო ჩემო, მარა ჩია და გალეულია შენი ბიჭი, ბდღვნად არ ეყოფა მის გოგოებს: ორი მეტრი სიმაღლე აქვენ და არც წონას უჩივიენ...

— არაა იმედი, აპა?!

— ნამდვილად არა, თვარა, შემეხვერწა კიდეც: ამისთანა პატიოსანი ბიჭი ერთი-ორი კიდო მომიძებნე და პატივისცემა ჩემზე იყოსო.

— შეიშნო ლევანიამ კაი ცხოვრება?!

— შეიშნო რომელია? — ვეღარ ვიცანი, უცხო მეგონა ვინცხა, „კასტუმში“ და „გალსტუკში“ გამოწყობილი. გადარია თფილისელები. ყველგან იგი მესმოდა: ყოლიფერში ბედი ქონია გურამიასო (სიმამრს)!..

— გოგო ეყოლებოდა მახინჯი...

— ახლა, თლათ იმფერი არ იყო და ბიჭი ჯობდა, მარა ვინ მამაძაღლი ამეიღებდა ხმას, მარტო სიმამრიც რომ მოსულიყო ქორწილში?! მოკლეთ, აშენდა ჩემი დის დაქცეული ოჯახი...

მიხვდით ალბათ, ამ დიალოგს გურიისკენ მიმავალ ავტობუსში შევესწარი, პირდაღებულიც ვუსმენდი ასაკოვან ადამიანებს და ვერ გეტყვით, რა მიხაროდა, მაგრამ მართლა მიხაროდა რაღაცა... ამ ამბით მარტო მე კი არა, ბევრი დაინტერესდა: გვერდითი სავარძლიდან წამოდგა ჭოკივით გამხდარი გურული (თერძი ბესო რომ მომაგონა, ქართული მულტფილმიდან), ულვაშზე ხელი გადაისვა და აკანკალებული ხმის „დაყენება“ სცადა:

— ბადრია ბატონო, ახლა გიცანით. თქვენი სოფელი დედულეთია ჩემი და ბოვშობაში, სანამ ბებია-ბაბუა ცოცხალი მყავდა, ხშირად გვირბენია და გვითამაშია ერთად. ხუხუნეიშვილის ბადიში ვარ მე, ლომკაციეს...

— უიმე, შემეგევლე, რავა არ მახსოვხარ?! მარა, რავა ტარანივით ჩამომხმარხარ, რაი გეტაკა, ბოვშობაში კაი მოსული მუტრუკი იყავი შენც...

— ეჰ, არ მკითხო, შემეგევლე... სულ ტყუპ-ტყუპათ აჩინა ჩემა ცოლმა ბოვშები და რომ არ ეყოთ დედის რძეი, სისხლი გამომწოვეს — მგლის მადა აქვენ, მარა რავა დავამადლი რამეს, შვილებიზა არ ვცხოვრობ ქვეყნიერობაზე?!. ახლა, ბოდიში მომიხთია, მარა გევიგონე ყოლიფერი და გადევირიე კაცი. შენ გამიჩინე იმედი და უნდა მიშველო რაცხა: სამი საცოლე ბიჭი მყავს სახლში, არც სიმაღლე დეეწუნებათ და არც წონას უჩივიენ, საახალწლო ბურვაკებივით ძლივს მიაქვთ-მოაქვთ გავა. საქმე არ უყვართ, თვარა ენები — იცოცხლე, აღესილი აქვთ ჩვენი მთავრობის კაცებივით.

— ხომ არ „ციგნობენ“?!

— უიმე, ჩემი შვილებისგან „ციგნობა“ ვინ გეიგონა?! კიდო კაი, გოგოები არ გამევიდენ, თვარა დამღუპავდნენ სიალალით და გულუბრყვილობით... უნდა ჩამასიძებიო რომელიმე და გადაარჩინო ჩემი ოჯახიც...

— კაი კაცი ხარ შენ და არ გეყოლება უნდობი შვილები. გამოგივლი ნათლიღების მერე და...

— არა, არა, არ ივარგებს გადადებული საქმე — ახლავე წამოი, დღესვე, კიდო გვაქ საახალწლო პურმარილი სახში. ჰო, ღორის თავიც ხელუხლებელი დევს, ორი დავკალით... არ მკრა ხელი, თვარა გეიგებ ჩემს სიკვტილს და სხვას არ დააბრალო, იცოდე...

— მეჩქარება, სახში მელიენ! — თქვა ბადრიამ, მარა არ გაუვიდა უარი, ასალოც წაიყვანეს და ავტობუსიდან ყაყანით ჩავიდნენ...

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

შობდა ფეხბურთს. წარმოშობით მოზამბიკელ სპორტსმენს, პორტუგალიელებმა სიცოცხლეშივე დაუდგეს ძეგლი.

20. ბოლშევიკ ლიდერთა შორის, განათლების არქონა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. წითელარმიელი მეთაურის, ვინმე ლოგოვის დოსიეში, რომელმაც ერთი ღამის განმავლობაში პეტროგრადში 300 ადამიანის დაპატიმრება მოახერხა, ეწერა: „ნე უჩილსა. ნო უმეეტ პისატ ი ჩიტატ“.

21. XX საუკუნის 30-იან წლებში გერმანიაში, ბრანდენბურგის ციხეში სიკვდილმისჯილს გილიოტინით კვეთდნენ თავს. სასჯელის სისრულეში მოყვანამდე იმ დარბაზის კედელზე, სადაც სიკვდილით დასჯა ხორციელდებოდა, ინთებოდა ტაბლო წარწერით: „თქვენი თხოვნა შეწყალების შესახებ უარყოფილია“.

22. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში სატარებლად მოსახერხებელი ზომის საათების წარმოება დაიწყეს. მათ კულონივით, ყელზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ, რადგან იმ დროისათვის ჯიბეები ჯერ არ არსებობდა.

23. სტოკჰოლმის ზოოპარკი ერთობ ორიგინალური მეთოდით ავსებს საკუთარ ბიუჯეტს. დირექცია საკმაოდ სარფიანად ვაჭრობს ფერწერული ტილოებით, რომელთა ავტორები მათ ზოოპარკში მობინადრე შიმპანზეები არიან.

24. ლეგენდარული მფრინავი ჩარლზ ლინდბერგი ბევრი ამერიკელი ქალის საოცნებო მამაკაცი იყო. თაყვანისმცემლები სამრეცხაოში ჩაბარებულ თეთრეულს აღარ უბრუნებდნენ მფრინავს და სუვენირებად ინაწილებდნენ მის პერანგებს. სახელურებს ხსნიდნენ სასტუმროს ნომრის კარს, სადაც ლინდბერგი ღამეს ათევდა. თაყვანისმცემელთა ბრბომ ერთხელ კინაღამ შეიწირა მფრინავი, როცა კანზას-სიტიში ლინდბერგი იძულებული გახდა, სიმინდის ყანაში დაესვა თვითმფრინავი, რადგან დასაფრენ ბილიკზე მისი უგუნური თაყვანისმცემლები გამოცვივდნენ.

25. ერთხელ ბელგიაში საიუველირო მაღაზიაში შეიპარა მძარცველი, რომელმაც წინასწარ გამორთო სიგნალიზაცია და გათიშა ელექტროენერგია. საქმის წარმატებით დასასრულებლად, ძვირფასეულობის ჩანთაში ჩაყრა და გაქცევაღა იყო საჭირო, მაგრამ სწორედ ამ დროს მძარცველს მაღაზიის დარაჯი წამოადგა თავზე. დენის გამორთვის გამო მას ელექტროგამათბობელი გაეთიშა და სიცივემ გამოაღვიძა.

მეტყველება

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-52

ზაზა ვაჩნაძე

ანუკიმ, მეორე დილითვე, იათოსთვის საუზმეს რომ ამზადებდა, ჩაის დასხმისას, „ყვავილების ქვეყანა“ ჩაიღიღინა.

— რა მშვენიერი ხმა გაქვს, მღერი? — გაუკვირდა იათოს.

გოგონამ ერთი-ორი ფრაზა მთელი ხმით წაიმღერა და იათო დარწმუნდა, რომ ანუკის მართლაც მშვენიერი ვოკალური მონაცემები ჰქონდა.

— შენ ნამდვილი ტალანტი ხარ, გენაცვალე! ეს ღვთის საჩუქარია და არ უნდა დაკარგო. როგორც ნამდვილ საუნჯეს, ისე უნდა მოუფრთხილდე.

— უფულოდ?

— ჰო, რა მოხდა? ვერ ხედავ, რამდენი კონკურსი ტარდება?!

— ადრე სასახლეში დავდიოდი, ნორა გელაშვილთან...

— ჰოო? ნორა კარგი პედაგოგია. გინდა, მე გამეცადინო?

— რაში?

— ვოკალში. მაგრამ ჯერ მეტყველებას უნდა მივხედოთ, ცოტა. დღევანდელ ახალგაზრდობას ისეთი საშინელი დიქცია აქვს, ეკრანს ვთიშავ ხოლმე მათ დანახვაზე.

— მეც ასეთი ცუდი დიქცია მაქვს?

— ალბათ.

— მაშინ, ვისაუზმოთ და მამეცადინეთ.

საუზმის შემდეგ, იათომ ანუკი წინ დაიყენა.

— შემოტრიალდი, — სთხოვა მან გოგონას.

— შემოვტრიალდე? თქვენ რა, პოდიუმზე ხომ არ მიპირებთ გაყვანას? თუ სილამაზის კონკურსზე?

— არა მგონია, ვინმეს ეჯობნა, ჩემი აზრით, მშვენიერი მონაცემები გაქვს, — შეაქო იათომ მოსწავლე.

— გმადლობთ, — ესიამოვნა ანუკის.

— გააღე პირი. ნიკაპი წინ წამოსწიე. ენა მაჩვენე.

ანუკი უსიტყვოდ ასრულებდა იათოს დავალებებს.

— მშვენიერია. ზოგი ისეა ხოლმე დაშლილი, თავიდანაა ასაწყობი. მეტყველება ხომ ზუსტად იმდენნაირია, რამდენი ადამიანიც დედამიწის ზურგზე დაიარება. მაგრამ არსებობს ძველი თუ ახალი თეორიები, რომელთა მიხედვითაც, მეტყველება განსაზღვრული რაოდენობის კატეგორიებად შეიძლება დავყოთ...

— ქალბატონო იათო, თქვენ რა, ლოგოპედიც ბრძანდებით?

— ცოტათი. წარმოთქმა ათასნაირია: დუდუნა, შიშინა, გრუხუნა, ლუღლუღა...

— და ეგ ყველა უბედურება მეც მჭირს?

— იცი, სწორი დიქცია რომ გქონდეს, მხოლოდ კარგი მეტყველება და ფიზიკური მონაცემები საკმარისი არ არის... უდიდესი მნიშვნელობა აქვს კულტურას ანუ განათლებას... სულიერებას, რაშიც დღევანდელი ახალგაზრდობა საგრძნობლად მოიკოჭლებთ, ხომ გამიგე?

— ჩვენ როგორებიც გაგვზარდეს, ისეთები ვართ. თქვენ? თქვენ სხვანაირები იყავით?

— ჩვენ?.. ჩვენ მართლაც, ულამაზესი ბავშვობა გვქონდა. აი, წარმოიდგინე — პატარა, საოცრად სუფთა ქალაქი... კოხტად მოვლილი ბაღებით და ბახჩებით... ვარდები, ვარდები... ეზოებში, კედლებზე, ივან და მარია, ზამბახები, გერორგინები... მაგრამ ეს ყველაფერი, არაფერი იყო იმასთან შედარებით, რაც თვითონ ამ პატარა ქალაქში ხდებოდა... კარნავალები. ჰო, ნამდვილი! ჩვენ თვითონ ვაწყობდით, ბავშვები... უფროსებიც გვეხმარებოდნენ, რა თქმა უნდა. დღეს — ჩვენს ქუჩაზე, ხვალ — მეორე ქუჩაზე, ზეგ — მესამეზე და ასე, გამუდმებული ზეიმები... მაშინ „ტვისტი“ იყო მოდაში და ისმოდა ეს „ტვისტიგენ“... აი, დღეს რომ აღდგებოდეს ის ტრადიცია!.. დღეს თუ ქალაქის მერიამ და ხელმძღვანელობამ არ გადაწყვიტა, ხელს არავინ ატოკებს... მაშინ ნიჭი როგორ დაიკარგებოდა, გენაცვალე?! თუკი ნიჭი გქონდა, აუცილებლად გამოაშუქებდა... ჩემს პირველ როლს რა დამავიწყებს?! მუსიკალურ სკოლაში „დაისი“ მოვამზადეთ, ჩვენი ძალებით. მე, რა თქმა უნდა, მაროს როლი მერგო. დიახ, და იცი, რა სასწაული მოხდა?.. კიაზოს როლზე, დედაქალაქის ოპერიდან ნამდვილი ტენორი, ნამდვილი სახალხო არტისტი, ნუგზარ ორბელიანი მოვიწვიეთ! დიახ, და რა გგონია?.. ჩამობრძანდა და ჩვენთან ერთად იდგა სცენაზე! როგორ გგონია, მას მერე, უამრავი როლი, უამრავ სცენაზე, უამრავი პრემიერა ვითამაშე, სანამ ჩემი ქალიშვილი და სიძე ავარიაში მოყვებოდნენ და მე ფეხები წამერთმეოდა... ჰო, იყო „ლა სკალაში“ სტაჟირებაც, მაგრამ იმ პირველ პრემიერას, იმ პირველი სპექტაკლის სიხარულს მაინც არაფერი შეედრება... ის სულ სხვა განცდა იყო, სხვა ბედნიერება, სუფთა, წმინდა, უმანკო, ალბათ ბავშვურიც...

ანუკი უსმენდა და ხვდებოდა, რომ ადამიანი, რაც არ უნდა ჯიჯგნოს ცხოვრებამ, თუ სულიერებასაა ნაზიარები, ფეხებწართმეულიც კი, ბევრ ფიზიკურად ჯანმრთელ, მაგრამ უსულო არსებას ათასწილად და მეტადაც სჯობს. მის წინ სწორედ ასეთი ქალბატონი იჯდა, მრავლისმნახველი, მაგრამ სუფთა და უმწიკვლო. „არ არსებობს, გოჩუნაც სწორედ ასეთია, მის ძარღვებში ხომ იათოს სისხლიც ჩქეფს და რანაირად შეიძლება, რომ ის უდანაშაულო არ იყოს?! გოჩუნა უდანაშაულო! მაგრამ როგორ უნდა გამოვიხსნა?! ქვეყანაში, სადაც ფული მარტო ჯოჯოხეთს კი არა, სამოთხესაც ანათებს, მგონი, თანაც — როგორ?!.“

ჭილამ გამომძიებლის ვინაობა დაადგინა და მალე, ანუკისთან ერთად, გური ცინცაძის კაბინეტს მიადგა.

ცინცაძემ მაშინვე იცნო გოგონა და რადგან თავს ლამაზ კაცად მიიჩნევდა და მართლაც, არცთუ ცუდი შესახედაობა ჰქონდა (მოგრძო, მოთეთრო სახე, ჭკვიანური შავი თვალები და შავი ქართული ულვაში) პერსპექტივაში, — რატომაც არა, გაჟიმვაც შეიძლებაო, — გაიფიქრა. ქალს სიგარეტიც კი შესთავაზა და დაიმედა, — კოტიკო მესხის ამბავი მე ნამდვილად, წმინდა წყლის გაუგებრობა მგონია და ჩვენს მთავრობას ეს როგორ შეეშალაო? — ისიც კი თქვა.

ჭილა ჩუმად იჯდა და უნდობლად უმზერდა გამომძიებელს, რადგან ძალიან კარგად უწყოდა, თუ რა „ჩამოსხმისაც“ ბრძანდებიან ძალოვნები და რანაირადაც უყვართ ხალხი. მართალია, მცირე გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ ეს იმ გამონაკლისებში არ უნდა შედიოდესო, — დაასკვნა. ან იმის მიხვედრას რა უნდოდა, რომ კაცს გოგონა ძალზე მოეწონა და ცოტა „ემარიაჟებოდა“ კიდეც?!.

— არა, ვერ დაგაიმედებთ, ხომ არ მოგატყუებთ, თავს ზემოთ ძალა არაა. უმძიმესი შემთხვევაა, უმძიმესი შედეგებით, — ამბობდა გამომძიებელი და სიგარეტის ღერს აწვალებდა. — შენი რა არის, რა მითხარი? — მიაჩერდა ის სახეში ანუკის.

— ქმარია ჩემი! — დაუფიქრებლად უპასუხა ანუკიმ.

— ქმარი?! ხელი გაქვთ მოწერილი? როგორ მოასწარი, განა რამდენი წლის ხარ? — არც ასეთი შეკითხვის დასმას მორიდებია ცინცაძე.

— საპასპორტო ასაკს გადავცილდი, — ჭკვიანურად უპასუხა ანუკიმ.

— ჰოდა, მინიმუმ, თხუთმეტი წელი მაინც მოგიწევს მოცდა. შესაძლოა, ოციც... — არ დაინდო გოგონა ძალოვანმა.

— ეს უსამართლობაა! — წამოიჭრა უცბად სკამიდან ანუკი. — არავინ იცის, იქ რა მოხდა, ვინ იყო ნამდვილი დამნაშავე!

— როგორ გეკადრება?! კაცი ცოცხალია და ქალი — მკვდარი... — აგდებულად მიუგდო ცინცაძემ. — მკვდარი რანაირად შეიძლება იყოს დამნაშავე? ეს ხომ აბსურდია! — და მხრები აიჩეჩა.

— მაგრამ ხომ შეიძლება, არც ერთი იყოს დამნაშავე და არც — მეორე? ხომ შეიძლება, იმ ქალს თავისი პრობლემები ჰქონდა და ამიტომ მოიკლა თავი!

— მაგრამ რაღა მაინცდამაინც მაშინ, როცა გააუპატიურეს?.. — გამომცდელად მაიჩერდა ცინცაძე ანუკის. — რადგანაც ოცდათხუთმეტი წლის იყო, მადლი მოუსხამსო, არა?.. ჩემზე რომ იყოს, დღესვე გავათავისუფლებდი, მე რომ მეხებოდეს რამე, მაგრამ მე ვინ რას მეკითხება, გენაცვალე?!

— გამომძიებელს არაფერს ეკითხებიან? — გაწელა სიტყვები გაკვირვებულმა ანუკიმ და ისევ სკამზე დაეხეთქა.

— ეკითხებიან?.. ავალებენ და ისიც თავის მოვალეობას ასრულებს — საქმეს იძიებს. მაგრამ გადაწყვეტილებას პროკურორი და მოსამართლე იღებენ, გამომძიებელი ხომ არა... — თვალები დაახამხამა ცინცაძემ. — მე შემიძლია, მხოლოდ გავიკითხ-გამოვიკითხო და თუ გაინტერესებთ და კიდევ მესტუმრებით, რასაც შევიტყობ, იმას მოგახსენებთ. გინდათ?

— ეს სისულელეა, რა შუაშია გოჩუნა?! იმ ქალს თუ არ უნდოდა, რაზე დაუძახებდა?! — ჩაერია უეცრად ჭილა. — იცით, რა ბიჭია გოჩუნა?.. ის ქალს ხელს როგორ დააკარებდა?! რა გაუპატიურება, რის გაუპატიურება!.. რას მიყურებ, ყველამაც ვიცით, რომ ტყუილად დააბრალე! რა, არა? — ვეღარ მოითმინა ჭილამ.

— შენ გაჩუმდი, რა, ჭილა, ძალიან გთხოვ, მაცალე, რა, ცოტა ხანს! — შეეხვეწა ანუკი, რადგან მიხვდა, ჭილას ლაპარაკი კარგს არაფერს მოიტანდა.

— გაუშვი, ილაპარაკოს, რას დამაკლებს?! მე კი არ დავაბრალე, როგორც იყო, ის დავწერე! — მიუგო აგდებულად გამომძიებელმა.

— შენ საიდან იცი, როგორ იყო, რა, ბალიშად ედე თავქვეშ? — არ დაუთმო ჭილამ.

— აუ, ჭილა, მაცალე, რა, გაჩუმდი! — აღელდა ანუკი.

— ჰო, ბალიშად ვედე, ბიჭო, და ახლა, თუ არ გაჩუმდები და არ მოკეტავ... — აღარ დაამთავრა მუქარის სიტყვები გამომძიებელმა.

— რა უნდა მიყო შენ მე, ბიჭო, დამიჭერ? მერე, რომ გამოვალ, სად წახვალ?! უპატრონო როა და უფულო, ფეხი დააჭირე, არა?! თქვენ ხომ ცივსისხლიანები ხართ, უმიზეზოდ სვამთ ხალხს და თუ მიზეზი უპოვეთ, ხომ... რას მიყურებ, რა?! დამიჭირე, მიდი, აი, აქა ვარ!

— ახლა გადი აქედან, რა! დროზე! და თქვენც, ქალბატონო, მიბრძანდით!

— მე კი გავალ, მაგრამ!.. შენც თუ აქედან არ გაგიტანენ, მაგ შენი სკამიანად!.. — დაემუქრა ჭილა და წამოდგა.

— თქვენ ხომ იცით, რომ ის მართლაც უდანაშაულოა, თქვენ ეს ძალიან კარგად იცით... — წამოდგა ანუკიც.

— ესენი?!. — ანუკის ეუბნებოდა და გამომძიებელს ასმენინებდა ჭილა. — მეც მიჭერდნენ რამდენჯერ, ერთ მძღოლს ფული ეცოტავა და მივაგინეთ. წამოვედით და არ დაურეკავს პატრულისთვის?! „სარეჩკა“ გაუხევია და გაუკაწრია დანით მუცელი! შეკრული არ ყოფილა?! თქვენ კაცები გქვიათ?!

— ახლა ბევრს თუ „იბლატავებ“, მართლა დავაჭერინებ შენს თავს, ბიჭო!

— ჰოდა, დააჭერინე-მეთქი, დააჭერინე! „გაგვსროკეთ“ აბა, ყველანი, ჩაგვსხით! გარეთ არავინ დატოვოთ! — ხელებს შლიდა ჭილა, ანუკი კი აწვებოდა, რომ როგორმე გარეთ გაეყვანა.

— კარგი, ჭილა, გაჩუმდი, შენი ჭირიმე, ხმა აღარ ამოიღო, გთხოვ! — აჩუმებდა გოგონა.

— კარგი, მოვდივარ, ამათიც!

ჭილამ კარი გამოაღო და გავიდა. ანუკიმ ერთი კი გახედა გამომძიებელს, მაგრამ არც ის დაემშვიდობა და კარი გაიკეტა.

— ძალიან ცუდად მოიქეცი, — საყვედურობდა ჭილას ანუკი, — რომ მცოდნოდა, არ წამოგიყვანდი...

— ძაღლები, ღორები, მთელი უბანი მაგათი გაფუჭებულია, ხან რას დააბრალებენ ბიჭებს და ხან — რას! მე რომ უპატრონო ვყოფილიყავი?!. თხუთმეტი წელი მოხდილი მექნებოდა! ჰო, რა იყო, არ გჯერა?

— ვიცი, მაგრამ ახლა არ იყო ეს საჭირო, ახლა ზედმეტი იყო ეს ყველაფერი. მე იმიტომ მივედი, რომ მინდოდა შეეხვეწნოდი, მინდოდა გული მომელბო...

— ვის? მაგათ გული სადა აქვთ, ანუკი?! აუ, შენ სად ცხოვრობ, რა ქვეყანაში, არ იცი? შარშან ოცდაათი ათასი დააწერეს მამაჩემს, არაფრის გულისთვის! ვიღაც ტიპმა ავტობუსში ქუდი მომხადა და გადამიგდო ფანჯრიდან. არ უნდა გამერტყა?.. ამას?!. თუ ეს ახვარი გავახარო, აი, ნახავ! ამის გაჩალიჩებულია. რა არ ეკითხება?.. გამომძიებელი რასაც წერს, ისეც მიდის საქმე...

არ უსმენდა ჭილა ანუკის. ჩხუბობდა, იგინებოდა და იფურთხებოდა.

ანუკი კი თავზარდაცემული იყო. იცოდა, განა არ იცოდა, უკეთესს არც არაფერს ელოდა, მაგრამ ახლა, როცა ასე პირისპირ შეეჯახა სასტიკ და პირქუშ რეალობას, როცა პერსპექტივა მთლიანად შავი რეტუშით შელებილი ჩანდა, — როგორც გვირაბში შესული მატარებელი ჩამონგრეულ ლოდებს შეასკდება და აკივლდება, ისე აკივლდა მისი სული...

„ოცი წელი, ერთი, ერთადერთი ღამე და მერე — ოცი წელი?! არა, ბოლომდე უნდა მივაწვე, თუნდაც შევაკვდე... მაგრამ რით? ამ ნაზი მკლავებით და სხეულით? როგორ, რანაირად უნდა გამოვტაცო ამ ღორებს ჩემი სიყვარული, ჩემი გოჩუნა?!.“

ანუკი პროკურატურაში წავიდა. ქალაქის პროკურორის სახელზე შეატანინეს განცხადება. გოჩუნასთან პაემნის ნებართვას ითხოვდა. სამი დღის მერე პასუხზე წერილების განყოფილებას მიაკითხა. თქვენი წერილი განხილული და ხელმოწერილია, მაგრამ არც ერთი მოადგილე არ არის, განყოფილების ხალხია და მათთან შედიო, — ურჩიეს.

განყოფილების მისაღებში პატარა რიგი იყო. ერთი ინვალიდი ბიჭი, რომელიც „კალიასკაში“ იჯდა, იათოსავით, რომ დაამტერდა ანუკის, თვალი აღარ მოუცილებია. ცოტა ხანში, ანუკის რიგიც დადგა და შევიდა.

განყოფილებაში ოთხი კაცი იჯდა. სულ ახალგაზრდები იყვნენ. ოთხივეს „საქმიანი“ „ეჭირა“. ისეთი იერი ჰქონდათ, მათზე ჭკვიანი დედამიწის ზურგზე სულიერი არ ჭაჭანებსო, — იფიქრებდა მათი შემხედვარე. ყველას ვილაც ეჯდა მაგიდასთან და ჩუმად უხსნიდა საქმის ვითარებას. ანუკის დანახვაზე, ოთხივემ თავი აიღო და გოგონას შეხედა. მერე ერთმანეთს გადახედეს. ანუკი მიჩვეული იყო, კაცები ყურადღებას რომ აქცევდნენ, მაგრამ ახლა კი შეკრთა და კართან უხერხულად გაჩერდა.

— ერთი წუთით, — ანიშნა ზრდილობიანად, მარჯვენა კუთხეში მჯდარმა ახალგაზრდა ბიჭმა და მის წინ მჯდარი ქალბატონი გაისტუმრა. — მობრძანდით!

ანუკი სკამის კუთხეში ჩამოჯდა და ჩანთა

მუხლებზე დაიდო.

— გისმენთ, — უთხრა ბიჭმა და თვალებში შეხედა.

— განცხადება მქონდა შემოტანილი. ჩემი ქმარია დაჭერილი და პაემნის უფლებას ვითხოვდი.

— გვარი?

— გოჩა კობერიძე.

— თქვენი.

— ანუკი მესხი.

— ა-ა... მეთქი, საიდან მეცნობა?.. — და ბიჭმა ლაპარაკი აღარ განაგრძო, კომპიუტერში შეიტანა გოჩუნას გვარ-სახელი და ანუკის თანაგრძნობით შეხედა.

— უარი როა, გენაცვალე, რა გიშველო?..

— რატომ? — ანუკიმ იგრძნო, როგორ აასხა სისხლმა ტვინში.

— დანაშაულია, დამამძიმებელი გარემოებებით — გაუპატიურება... — ბიჭი დამარცვლით კითხულობდა, მონიტორის ეკრანზე ტექსტს და უეცრად ანუკის მიუბრუნდა: — თქვენი გამკვირვებია, რა, ამ ქალების. თქვენს ადგილზე სიხარულით გავგიჟდებოდი, ასეთი დანაშავე თავიდან რომ მომეცილებინა. თქვენ კიდევ, დადიხართ და შეხვედრას ნატრობთ?!.

— ის უდანაშაულოა, — წამოდგა ანუკი. კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ ბიჭის დამცინავმა იერმა უკარნახა, რომ მის ნათქვამს არავითარი ფასი აღარ ექნებოდა და გაჩუმდა. — თქვენ ამას ვერ გაიგებთ... — უნებლიეთ წამოსცდა და კარი გამოიკეტა.

ქუჩაში გამოსულს, წინ ცივი ქარი შემოეფეთა. რა უნდა ექნა, ამ უსულგულო ქვეყანაში?.. მარტო იყო ანუკი, მარტოდმარტო. ქალაქი კი ბორგავდა, ქუჩაში მანქანების საცობები იყო და იდგა ერთი ღმუილი და პიპინ-ჭყვიტინი. ასე ეგონა, ქალაქიც მასთან ერთად ბღაოდა, მისი სულის მსგავსად. ნუთუ შეიძლება, რომ ერთი გიყვარდეს და მეორე — გძულდეს?! ან — ყველა გძულდეს და ერთი გიყვარდეს? ან — ყველა გიყვარდეს და ერთი გძულდეს? იქნებ, სიყვარულიც და სიძულვილიც დაავადებაა და სხვა არაფერი?.. გადამდები დაავადება, ისეთივე, როგორიც გრიპი, ჭლექი... იმწამს, ანუკის ყველა და ყველაფერი სძულდა, მთელი დედამიწა, სამყაროც და გალაქტიკაც, თავისი მზითა და ვარსკვლავებით.

შინ იათოსთან დაბრუნებულ ანუკის, რა თქმა უნდა, მარტოობა ერჩივნა, მაგრამ იქ, იათოს გარდა, მზეონა და ჭილაც დახვდნენ. ჭილას სამწვადე და ღვინო მოეტანა და ახლა, წინსაფარაფარებული, შუშაბანდში ტრიალებდა. თან, მზეონას რაღაც ანეკდოტებს უყვებოდა და ართობდა. რას წარმოიდგენდნენ ან ერთი, ან — მეორე, ან — მესამე, ანუკის გულში რა ქარიშხალი ტრიალებდა, რომ გოგონას იმწამს არავის დანახვა არ სურდა.

— არაფერს მაკეთებინებს, ქალებმა საჭმლის კეთების რაი იციათო?!. — ღიმილით უთხრა მზეონამ ანუკის. — სამი კილო მოიტანა, ორი კილო მარტო მე უნდა შევჭამოო.

— სად იყავი? — შეეკითხა ჭილა ანუკის.

— ციხეში, მამაჩემის ამბავი მაინტერესებდა, — უპასუხა ანუკიმ.

— მერე?

— ვერაფერი გავიგე, — იცრუა ანუკიმ.

— რა ვერ გაიგე?

— სად ჰყავთ.

— ალბათ, ფული უნდათ.

— ალბათ.

— გოჩუნას ამბავი არ გიკითხავს?

— არა, არა, არა! — სწრაფად უპასუხა ანუკიმ.

— ანუკი, იცი, რა?.. — და ჭილამ ველარ დაამთავრა. უნდოდა ენუგეშებინა,

მაგრამ რითი, რა ეთქვა?.. — მოდი, ვიქეიფოთ! რაც იქნება — იქნება.

— არ მექეიფება, — უთხრა ანუკიმ და ოთახში გავიდა.

იათო, რომელიც ტელევიზორს უყურებდა, თავის სკამიანად მისკენ შემობზრიალდა.

— ანუკი, რა გაიგე? — იათომ თვალები მოწკურა და ისე მიაჩერდა, თითქოს იმის მოსმენა კი არ სურდა, რასაც ანუკი ეტყოდა, არამედ იმის გაგება და ამოკითხვა სურდა მისი ტვინიდან, რასაც ანუკი დაუმალავდა და არ ეტყოდა.

— ვერაფერი, — უთხრა ანუკიმ და ტახტზე გაუხდელად მიწვა. უნდოდა, წუთით სული მოეთქვა. მაგრამ იათოსთან ერთად, ერთ ოთახში ყოფნაც გაუჭირდა. შუშაბანდიდან ჭილას როხროხი და მზეონას კისკისის ხმა შემოიჭრა. ანუკი წამოდგა და მათთან გავიდა.

— ჭილა, ხომ მოგწონს მზეონა? — მკაცრად იკითხა ანუკიმ.

ჭილა გაკვირვებული მობრუნდა. არ იცოდა, რა ეპასუხა.

— მერე?

— რა მერე? მოჰკიდე ხელი და წაიყვანე შენთან! ეგ შენი სამწვადეც შეგიძლია წაიღო და იქ შეწვა. მადონა ხომ სულ იმას ამბობს, — აქაურს ვერ შევრთავ, მთლად ხელიდან წავიდნენო.

— მერე, მე?.. მე არაფერს მეკითხებით? — გაოცდა თვალებგაფართოებული მზეონა.

— შენ? — მიუბრუნდა ანუკი მზეონას. — ჭილამ ხელი მოგკიდოს და ისე გაგიხარდება, სულ კუნტრუშ-კუნტრუშით კი არ გაჰყვები?!

— მართლა? — გაუკვირდა რატომღაც, ჭილას.

— ჰოდა, „დავაი“ ახლა ორივე, „მარშ“ აქედან, თქვენი პურმარილიანად!

— აუ, შენ რანაირი მომღერალი ხარ? მომღერლებს როგორ უყვართ ქეიფი და!.. — „გაუტყდა“ ჭილას.

— მე არ მიყვარს, მე სხვანაირი მომღერალი ვარ, — და ანუკიმ თვითონ ჩაუყარა ჭილას პარკში, დაჭრილი სამწვადე, ღვინოც ხელში დააჭერინა და კარი გამოუღო. — ერთი წუთით, — ოთახში შებრუნდა, მოუგროვა მზეონას სამოსი და გამოუტანა.

— დედამისმა რომ არ მიმიღოს? — საცოდავად იკითხა თეონამ.

— ჭილა რისთვისა გყავს?! ერთს რომ დაჰკივლებს, არა? — მიაჩერდა ანუკი ჭილას.

— ჰო, — თქვა ჭილამ და პირი ყურებამდე გაეხა.

— ჰოდა, მეყოლეთ ვარდივით, აბა, ჰე! — კარისკენ მიანიშნა ორივეს ანუკიმ.

ჭილამ გაალაჯა და მზეონაც გაჰყვა.

— დამელოდე, ეე! ჩემზე წინ გარბის... — ერთიც მოხედა მზეონამ ანუკის, თვალი ჩაუკრა და ჭილას ხელკავი გამოსდო.

ანუკი უკან შებრუნდა. ჯინსი ამოიცვა და წასასვლელად მოემზადა.

— სად მიდიხარ? — შეეკითხა იათო.

— დედა მინდა ვნახო, მალე დავბრუნდები, — უპასუხა ანუკიმ და კარი გაიკეტა.

როგორც სამი წლის უნახავები, ისე გადაეხვია დედა-შვილი ერთმანეთს. და ანუკი აბლავლდა, ზუსტად ისე, როგორც ბავშვობაში, ასლუკუნდა და ცრემლის ტბაც დააყენა. დედა კი ამშვიდებდა, ეფერებოდა და ესიყვარულებოდა.

— დედა, კიდევ ვერ ვნახავ, კიდევ ძალიან დიდხანს...

— კაი, ჩემი გოგო, დამშვიდდი, ნუ დარდობ. სად დაგვეკარგე? კინაღამ გავგიჟდით.

ანუკი დამშვიდდა და დედა-შვილს შორის სერიოზული საუბარი გაიმართა.

— არ ვიცი, რა ვქნა, — დაიჩივლა ნინიკომ. — ჩვენი საავადმყოფოში დარჩენა აღარ შეიძლება, საწოლები სჭირდებათ. — ეს კი, ჯერ უნდა იწვეს, — სან-

დროზე თქვა ნინიკომ, — როდის ეს ფეხზე გაივლის?!.

— რას იხდით, რანაირად იხდით? — დაინტერესდა ანუკი.

— რას ვიხდით, ანუკი?.. შემოსვლისას რაც გადაგვახდევინეს, წამლების თუ თაბაშირის, ეგ იყო, მერე არაფერი გადამიხდია. მთავარი ექიმი, ტატო ნემსაძე ჩემი თანაკლასელია. მაგრამ სადამდე, სულ აქ ხომ არ ვიცხოვრებთ? გამოვიდეთ და — სად წავიდეთ?.. 200 დოლარზე ნაკლებად ბინას ვერ იქირავებთო, — ყველა იმას მეუბნება.

— ეს, თუ უნდა, დარჩეს, შენ და მარიეტა ჩემთან წამოხვალთ, იათოს გაუხარდება კიდეც...

მართლაც, ასე მოხდა: ანუკი იათოსთან, დედასა და ბებიასთან ერთად დაბრუნდა. იათოს თვალები რომ გაუფართოვდა, ასევე დარჩა გაფართოებული, თუმცა პირს აღარ აჩერებდა, ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. მოსაყოლი კი ბევრი ჰქონდა, საოპერო რეპერტუარიდან, ვერც ამოსწურავდა ვერაფრით.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, — იათოს ასე დაემართა. სამი ქალი უვლიდა. მორიგეობით. განა რა უნდოდა იათოს?.. ტკბილი სიტყვა, ნუგეში და მომსმენი. ჰყვებოდა, რაც რამ გადახდენოდა, ნათამაშებ როლებსა და ნაოცნებარებზე და ქალებიც უსმენდნენ. კაი, თუ ნინიკო და მარიეტა ანუკისიანები იყვნენ, ეს მზეონა ვინღა იყო? მისი რძლის ნათესავი? არა, ცუდი გოგო არ იყო, მაგრამ ეგ იყო, თვალებს უცნაურად აცეცებდა მუდამ... ეშმაკია, ნამდვილი ეშმაკიაო, — დაასკვნა იათომ.

...რაღაცით ხომ უნდა ერჩინათ თავი და ნინიკომაც „პინგვინები“ აიყვანა, ინგლისურს ასწავლიდა. ორივენი მისმა თანაკურსელმა, თამრიკომ მიუყვანა, თვეში 50 დოლარად. ორ-ორი თვისა თამრიკომ წინასწარ მიაცემინა და ქალებმაც შვებით ამოისუნთქეს. კოტიკოს ხმა მიეწვდინა ციხიდან, — მე არა მიშავს რა, თქვენს თავს მიხედეთო, — და ნინიკომაც, ასე თუ ისე, აიწყო ცხოვრება. ქმარი ისე აღარ ანაღვლებდა, როგორც შვილი. მით უმეტეს, ანუკი გაენდო, — „ქალურობა“ არ მქონდაო და რატომაც არ ჰქონდა, ერთმაც და მეორემაც, კარგად იცოდნენ. ნინიკო ხვდებოდა, რომ ანუკი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა, ეს მის ხასიათში არ იყო, არადა, წარმოდგენა არ ჰქონდა, შვილს როგორ დახმარებოდა. კოტიკოს დაჭერის შემდეგ, ვინმესთან სამათხოვროდ წასვლა კი არა, ქუჩაში გასვლაც ესირცხვებოდა. ან იმას როგორ წარმოიდგენდა, რომ დედაც და შვილიც ერთ დღეში იქნებოდნენ — ორივეს ციხეში ეყოლებოდათ კაცები?! „არა, არა, არა, რაღაც საშინელი ტრიალებს ქართველი კაცების თავს, — ფიქრობდა ნინიკო. — ზოგი მთლად „დაჩმორდა“ და სამუდამოდ დაკარგა კაცობა, ზოგი მილიონებს ეპოტინება, ზოგი — ნარკოტიკებს და ათას შხამსა და საწამლავს, უმეტესობა კი — ციხეშია. ვისი ბრალია?.. მთავრობის, ხალხის თუ დროა ასეთი, გაუკუღმართებული?“ ნინიკო პასუხს ვერ პოულობდა. ანუკის გულჩახვეულს რომ ხედავდა, თვითონაც გული უკვდებოდა. ცდილობდა, ემხიარულა, ვითომ არაფერი ადარდებდა, უნდოდა, როგორმე ქალიშვილი სტრესიდან გამოეყვანა.

ერთხელაც, როცა მარიეტა ქმართან საავადმყოფოში იყო წასული, იათო ოთახში ტელევიზორის წინ თვლემდა, ხოლო ნინიკო და ანუკი შუშაბანდში ჩვეულებრივად, „ტყუილ“ წვნიანს, კარტოფილითა და მწვანილით, მოდაღულ ხახვთან ერთად, სადილისთვის ამზადებდნენ, ნინიკომ ამ რთულ თემაზე საუბარი წამოიწყო.

— რა მოგწონა მაინც, მაგ კაცში? ვერ ხედავ, რა ხდება?! კაცების ცვენა როა ამ ქალაქში!

— დედა, შენ ვერა ხარ, იცი, კარგად! თუნდ წყალს წაუღია მთელი საკაცეთი. მე ის ერთი კაცი მიყვარს და — დამთავრდა!

— ვიცი, შვილო, მაგრამ კაცები რომ სხვანაირები არიან?! დღეს ერთი მოსწონთ, ხვალ — სხვა.

— იმას მარტო მე მოვწონვარ.

— მეც მასე მეგონა, შენი ტოლი როცა ვიყავი. ჩემი ქმარი მთელ მსოფლიოს „მიმტკიცებდა“. სად აღარ მპირდებოდა წაყვანას?! — ყინულოვან ოკეანეში თუ კამჩატკის გეიზერების სანახავად! მაგრამ როგორც კი ფული გაუჩნდა ჯიბეში, ქუჩის ჩვეულებრივ კახპაზე დაუფიქრებლად გამცვალა.

— დედა, იცი, რას გეტყვი?.. იქნებ შენი ბრალი იყო, იქნებ შენ დაუშვი რაიმე შეცდომა, რომ მამამ სხვა ქალთან ყოფნა ამჯობინა?

— არ დაიჯერო, რა სისულელეა! ეს კაცების ხასიათია ასეთი, კაცების! ჰო, ჰო... სულ რომ ვარსკვლავებს ეთამაშებოდე და ციდან ჩამოფრენილი ანგელოზი იყო, მაინც უცბად მოსწყინდები და სხვასთან გარბის. „კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა...“ — მოიშველია ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტი ნინიკომ.

— დედა, მე აღარ ვიცი, როგორ და რანაირად მოვიქცე და შენ დამდგარხარ და ლექსებს არაკრაკებ! კაი, რა, მოვრჩეთ ამაზე.

— თუ გინდა, ერთად ვიაროთ, — შეცვალა ტაქტიკა ნინიკომ. — მე ჩემი ქმრის ამბავზე, შენ — შენი საქმროსი...

— ...რომ მთელი ქალაქის დასაცინი გავხდეთ, არა?!. დაფიქრდი, რა, სანამ რაიმე სისულელეს იტყვი!

— რა ვქნა, ანუკი, ძალიან მინდა დაგეხმარო, რამენაირად გიშველო, მაგრამ როგორ, რომ არ ვიცი?

— მე მოვიცდი, — თქვა ანუკიმ.

— რა-ა? — შეიკუმშა დედის გული, ცუდის მოლოდინში.

— ჰო, დაველოდები ოცი წელი! როგორც ოდისევსს — პენელოპე. შენც ხომ გიყვარს ლიტერატურის მოშველიება საუბარში! შვილი მეყოლება, გავზრდი და დაველოდები.

— გაგიჟდი?! — უნებლიეთ წამოსცდა ნინიკოს. — ეგ ხომ იმას ნიშნავს, რომ მთელი ახალგაზრდობა და ყველაზე ძვირფასი, ულამაზესი წლები დაისამარო!

— შენ ფიქრობ, რომ ქალი აუცილებლად კაცთან ერთად უნდა ცხოვრობდეს?

— დიახ, გენაცვალე, შენს ადგილზე, ნაყოფს ულაპარაკოდ მოვიცილებდი და გავთხოვდებოდი.

— დედა, მეორედ აღარ წამოგცდეს ეგ, გაიგე?

— გავიგე, გავიგე, მაგრამ — რით, როგორ გინდა გაზარდო? შენ შვილის გაზრდა ამ დროში ადვილი გგონია? სწავლის გაგრძელებას არ აპირებ? თოთობავშვიანი, რანაირად ისწავლი?! თუ, მაგ შენი ლამაზი ხმით აპირებ მილიონების შოვნას?

— უფულოდ? გაგიჟდი?! ვინ აგიშვებს სცენაზე?! ვინ გამღერებს, ნინიკო, დღეს საქართველოში უფულოდ?!. ჩაყვინთა შოუბიზნესმაც, რა ხანია.

— ჰოდა, მით უმეტეს. მთლად ნუ გადამიყვან ჭკუიდან. ეგ ბავშვიც ცოდვაა. მე გირჩევ, მოიცილო, სანამ დროა და მეც გამათავისუფლო და შენი თავიც.

— არა! — მკაცრად თქვა ანუკიმ.

— შენ მუდამ მასეთი ჯიუტი იყავი, გაუგონარი!..

ნინიკომ მეტი ვეღარაფერი თქვა, მხოლოდ ტუჩი მოიკვნიტა და თავი გადაქნია.

— შენ იცი, რომ რესპუბლიკის პროკურორთან შესვლას ვაპირებდი, შუბლაძესთან, — უთხრა მცირე ფიქრის შემდეგ ანუკიმ.

— მერე?

— მერე, იცი, რა მითხრეს მისაღებში თანამშრომლებმა?.. როგორ გეკადრება, გენაცვალე?! ჩვენც არ გვინახავს თვალით, მას მერე, რაც მინისტრმა წარმოგვიდგინაო. მილიონი განცხადება და წერილი გვიდევს განსახილველი და არ ვიცით, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ: სულ ცაშია, პრეზიდენტის თანაკლასელია და გვერდიდან არ იცილებსო. დაიჯერებ?.. გაჩერებულია ყველაფერი, გაყინულიო...

— გაეყინათ მაგათ გული და სული, ნაძირლები! ნამუსგარეცხილები! კაცები?.. ერთი თიხით არიან ყველანი მოზელილები, შავი თიხით! — ამოთქვა ნინიკომ და გაზეურა გამორთო.

ანუკიმ წვნიანი დაისხა. შეხვრიპა და წამოდგა. მერე ტანისამოსი გამოიცვალა. ერთხელ კიდევ შეათვალიერა თავი სარკეში და შუშაბანდში გავიდა.

— სად მიდიხარ, დედიკო? — შეეკითხა ნინიკო.

— ადვოკატი უნდა ვნახო გოჩუნასი, საქალაქო სასამართლოში, დალი კოდუა.

— გულთან ახლოს არაფერი მიიტანო, ხომ მაძლევ პირობას?

— კაი, რა, დედა, ჩემზე რომ იყოს... — მეტი ვერაფერი თქვა ანუკიმ, გარეთ გავიდა. ნინიკომ თვალი გააყოლა და მოწყვეტით დაეცა სკამზე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲒᲠᲬᲔᲚᲘᲡ ᲨᲣᲥᲠᲘᲞᲘᲠᲘ

„ᲒᲖᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ)

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲒᲖᲐᲨᲘ“ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲟᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ. ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲔᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲡᲪᲔᲗ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ „ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ“ ᲡᲕᲔᲢᲘᲡᲙᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲔᲥᲪᲔᲗ ᲗᲕᲐᲚᲘ.

1. ᲕᲘᲜ ᲓᲐᲐᲐᲠᲡᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲐᲠᲘᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ?
2. ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲔᲙᲕᲘᲡ, „ᲑᲣᲚᲑᲐᲡ“ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲛᲝᲪᲔᲙᲕᲐᲕᲔᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲖᲣᲠᲒᲡ ᲣᲙᲐᲜ, ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲐᲥᲕᲗ ᲨᲔᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ. ᲠᲐᲢᲝᲛ?
3. XVIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ, ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲘᲥᲗᲘᲝᲚᲝᲒᲔᲑᲘ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲢᲔᲕᲔᲑᲨᲘ ᲙᲝᲑᲠᲡ ᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲗ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐᲗ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲪᲝᲪᲮᲚᲝᲑᲓᲐ ᲔᲡ ᲗᲔᲕᲖᲘ. ᲠᲘᲡ �გᲐᲛᲝ ᲨᲔᲬᲧᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ?
4. ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ: „ᲠᲐᲡᲘᲐ ᲣᲓᲘᲕᲘᲢᲔᲚᲜᲐᲘᲐ ᲡᲢᲠᲐᲜᲐ, ᲨᲢᲝᲑᲘ ᲢᲘ ᲜᲔ ᲓᲔᲚᲐᲚ, ᲞᲐᲚᲣᲩᲐᲔᲢᲡᲘᲐ...“ ᲠᲐ?
5. „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲣᲚᲘᲗ, ᲡᲘᲜᲐᲖᲘᲗ, ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲜᲐᲨᲝᲑᲘ“, — ᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲘ?
6. ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲛᲐ ᲐᲛ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲞᲔᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡᲡ ᲨᲔᲐᲤᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲛᲐ, ᲪᲝᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲡᲐᲫᲘᲚᲔ ᲐᲑᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲘᲡᲬᲠᲐᲤᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ. ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲗ ᲘᲒᲘ.
7. ᲓᲐᲐᲡᲠᲣᲚᲔᲗ ᲰᲔᲜᲠᲘ ᲤᲝᲠᲓᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: „ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲘ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲜ: ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲛᲘᲘᲚᲝᲜ ᲒᲐᲡᲐᲛᲠᲯᲔᲚᲝ ᲓᲐ...“
8. ᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲗᲥᲕᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲛᲐ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲩᲐᲠᲚᲖ ᲛᲐᲙᲘᲜᲢᲝᲨᲛᲐ?
9. ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲝᲤᲝᲑᲘᲐ?
10. ᲕᲘᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ: „ᲩᲕᲔᲜᲨᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ ᲮᲔᲚᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲐᲡ ᲡᲩᲐᲓᲘᲡ ᲣᲚᲢᲠᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐ“?
11. ᲕᲘᲜ ᲓᲐ ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ᲜᲐᲧᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲪᲔᲠᲢᲘ?
12. ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲛᲞᲘᲜᲒᲘ?
13. ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲑᲝᲨᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲐᲖᲔ „ᲠᲝᲛᲐ“?
14. ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲗ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲔᲑᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲮᲛᲘᲡ ᲢᲔᲛᲑᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ.
15. ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲐᲛᲔᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲕᲘᲜ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛ ᲔᲜᲐᲖᲔ?

ᲐᲜᲔᲥᲓᲝᲢᲔᲑᲘ

***

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲒᲖᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲡ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲡ ᲓᲐ ᲘᲥᲕᲔ ᲛᲓᲒᲝᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲘᲭᲡ ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲡ:

— ᲐᲥ, ᲐᲮᲚᲝᲛᲐᲮᲚᲝ, ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲐ?

— ᲐᲠᲐ, ᲡᲔᲠ, — ᲛᲘᲣᲒᲝ ᲨᲔᲛᲙᲠᲗᲐᲚᲛᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲛᲐ. — ᲛᲔ ᲨᲣᲠᲓᲣᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲪᲐᲠᲘᲔᲚ ᲑᲝᲗᲚᲡ ᲕᲔᲡᲠᲝᲚᲔ.

***

ᲡᲕᲐᲜᲘ ᲮᲘᲓᲖᲔ ᲓᲒᲐᲡ, ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲨᲘ ᲐᲒᲣᲠᲔᲑᲡ ᲧᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲡ ᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐ. ᲔᲠᲗ ᲒᲐᲛᲕᲚᲔᲚᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐᲛ ᲡᲫᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ:

— ᲫᲛᲣᲠᲐᲓ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲐᲛ ᲐᲒᲣᲠᲔᲑᲡ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲧᲠᲘ?

— ᲐᲘ, ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲕᲓᲒᲐᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲐᲒᲣᲠᲘ ᲗᲣ ᲝᲗᲮᲙᲣᲗᲮᲔᲓᲘᲐ, ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲛᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲮᲐᲖᲔᲑᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲦᲐ ᲩᲜᲓᲔᲑᲐ?!

***

— ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲕᲐᲠ ᲗᲣ ᲐᲠᲐ?

— ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ!

— ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲡᲘᲪ ᲗᲥᲕᲘ, ᲪᲝᲚᲐᲓ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲘᲠᲗᲐᲕ?

— ᲠᲐ ᲩᲕᲔᲕᲐ ᲒᲐᲥᲕᲡ, ᲣᲪᲔᲑ ᲨᲔᲪᲕᲚᲘ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲗᲔᲛᲐᲡ.

***

ᲡᲕᲐᲜᲘ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲧᲘᲓᲘᲡ:

— ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ? — ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲘ.

— ᲐᲮᲐᲚᲘᲐ! ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ: „ᲙᲣᲖᲐᲕᲝ“ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ, ᲛᲝᲗᲠᲝᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ, „ᲙᲐᲠᲝᲑᲙᲐᲪ“ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ, „ᲞᲐᲓᲕᲔᲡᲙᲐᲪ“ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ, „ᲠᲣᲚᲔᲕᲝᲘ ᲙᲐᲚᲝᲜᲙᲐᲪ“ ᲐᲮᲐᲚᲘᲐ...

— ᲠᲐᲢᲝᲛᲦᲐ ᲧᲘᲓᲘ?

— ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲧᲘᲓᲝ.

***

— ᲑᲐᲑᲣᲐᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲓᲐ, ᲒᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲜᲓᲝᲜᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜᲝ.

— ᲑᲐᲑᲣᲐᲨᲔᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲓᲘᲠᲔ ᲘᲧᲝ?

— ᲐᲠᲐ, ᲖᲝᲝᲤᲘᲚᲘ.

***

ᲫᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ. ᲔᲠᲗᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ:

— ᲠᲝᲒᲝᲠᲐᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲪᲝᲚᲘ?

— ᲩᲔᲛᲛᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲛᲝᲛᲗᲐᲪᲐ.

— ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ, ᲙᲐᲪᲝ?

— ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ, ᲕᲘᲜᲐᲐ.

— ᲐᲑᲐ, ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘᲐᲝ?

— ᲑᲘᲭᲝ, ᲐᲑᲐ, ᲛᲢᲔᲠᲘ ᲒᲐᲒᲘᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲐᲡᲔᲗ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ?

***

ᲙᲐᲮᲔᲚᲡ ᲨᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ:

— ᲕᲔᲠ ᲓᲐᲒᲜᲔᲑᲓᲔᲑᲘ, ᲛᲘᲮᲝ, ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ.

— ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲝᲓᲔᲡ, ᲠᲐ, ᲛᲔ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲖᲔᲪ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐ ᲕᲐᲠ.

***

ᲙᲐᲪᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲡ ᲨᲔᲡᲩᲘᲕᲚᲔᲑᲡ:

— ᲔᲠᲝᲢᲘᲙᲣᲚᲛᲐ ᲡᲘᲖᲛᲠᲔᲑᲛᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲒᲐᲛᲐᲬᲐᲛᲐ.

— ᲠᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ, „ᲒᲐᲛᲐᲬᲐᲛᲐ“?

— ᲐᲑᲐ, ᲠᲐ, ᲡᲣᲚ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔᲐ.

***

ᲡᲕᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲓᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ ᲢᲘᲠᲘᲡ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲣᲠᲗᲖᲔ ᲣᲠᲔᲙᲐᲕᲔᲜ. ᲡᲕᲐᲜᲛᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲐᲘᲦᲝ ᲓᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ ᲐᲢᲘᲠᲓᲐ.

— ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ? — ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ ᲛᲔ-

გობარი.

— ჩემს ძმასაც მამა მოჰკვდომია.

***

დიდი ხნის უნახავი დაქალები ერთმანეთს ხვდებიან. ერთი მეორეს ეუბნება:

— ვაიმე, ვაიმე, შენ მთლად დაორსულებულხარ...

***

მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

— როგორ არის გერმანულად წიგნი?

— ბუხ!

— ორი წიგნი?

— ბუხ, ბუხ!

მეორე მოსწავლე მასწავლებელს ეუბნება:

— ახლა არ ჰკითხოთ, ბიბლიოთეკა როგორ არის გერმანულად, თორემ აგვაფეთქებს, ასიანი!..

***

ორი მელოტი ჩხუბობს:

— შენ უფრო მელოტი ხარ, ვიდრე მე!

— საიდან დაასკვენი? არც შენ და არც მე ღერი თმა არა გვაქვს თავზე!

— სამაგიეროდ, შენ უფრო დიდი თავი გაქვს.

***

— რა ჯიშისაა თქვენი ძაღლი?

— პოლიციის მაძებარია.

— სულ არ ჰგავს.

— არც უნდა ჰგავდეს, საიდუმლო პოლიციაში სამსახურისთვისაა გაწვრთნილი.

***

ოსმა ქვა ააგდო და ქვემოდან უყურებს.

— ოოო, რა სწორად მოდიიის...

***

სომეხმა ოქროს თევზი იპოვა. თევზმა უთხრა, არ შემჭამო და სამ სურვილს შეგისრულებო.

— კარგი, მინდა, რომ ჩემი შვილი ჰარვარდში სწავლობდეს, ლონდონის ცენტრში უზარმაზარი სახლი ჰქონდეს და შვეიცარიის ბანკში, ანგარიშზე 200 მილიონი დოლარი ედოს, ეს ერთი...

***

აზერბაიჯანელს ეკითხებიან:

— რა განსხვავებაა აკუმლატორსა და სომეხს შორის?

— აკუმულატორს ერთი პლუსი მაინც აქვს...

***

ორი პატარა ბავშვის დიალოგიდან:

— სად დაიბადე?

— საავადმყოფოში.

— რატომ, ავად იყავი?

***

ფოთის პლაჟთან ქალთევზამ ამოყვინთა ძუძუთა ბავშვით ხელში და იკითხა:

— მყვინთავი ძუკუ ხომ არ გინახავთ?

***

კაცმა წვეულებაზე ერთ ლამაზ სტუმარ ქალს ვნებიანად აკოცა.

— მაპატიეთ, ქალბატონო, ძალიან ჰგავხართ ჩემს ცოლს, გვირისტინეს.

— თქვენ თავხედი, ლოთი და სულელი ხართ! — უყვირა ქალმა.

— დედაააა, ხო ვთქვი, თლა ჩემი გვირისტინეა-თქვა, ასე ილანძღება ისიც.

ჯრიჭის საკანჭიქო

„გზის“ ერთგულ მკითხველისათვის

(პასუხები)

1. რევაზ გაბრიაძემ. იგი გახლდათ რეჟისორიც, სცენარის ავტორიცა და მხატვარიც.
2. ეს ცეკვა კარტოფილის მოსავლის აღების დროს სრულდებოდა და შემსრულებლები ჭუჭყიან ხელებს ზურგს უკან მალავდნენ.
3. ექსპერიმენტი საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამო შეწყდა. მაშინ უბრალოდ, თევზები შეჭამეს.
4. „...ავტომატ კალაშნიკოვა“.
5. ჟანა დ'არკის შესახებ.
6. შტეფან ცვაიგი.
7. „...შიში ამ გასამრჯელოს დაკარგვისა“.
8. მან პირველი წყალგაუმტარი ლაბადა გამოიგონა, რომელიც მისსავე სახელს ატარებს.
9. სიმარტოვის შიში.
10. რონალდ რეიგანს.
11. ეს რეცეპტი მარკო პოლომ, XIV საუკუნეში, ჩინეთიდან შემოიტანა. მომდევნო სამასი წლის განმავლობაში, მას მხოლოდ სასახლეთა სამზარეულოებში ამზადებდნენ და დამზადების წესიც გასაიდუმლოებული იყო. ეს ნუგბარი საყოველთაო გაყიდვაში 1630 წელს, იტალიელმა პროკოპიო კოლტელიმ გამოიტანა.
12. ასე უწოდებენ კონკურენტების განდევნის მიზნით, უცხოეთის ბაზარზე საქონლის გაყიდვას საშინაო ფასებზე ბევრად იაფად (ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც კი). ამას სხვაგვარად გადასაყრელ ექსპორტსაც ეძახიან.
13. „რომა“ ბოშათა საკუთარი სახელწოდებაა.
14. იტალია.
15. აისორები.

შობის დღესასწაულით თანაგამარჯვებას, უფალთან კაცობრივი ბუნებით დანათესავებას აღვნიშნავთ

ᲨᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲘᲨᲕᲐ ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲐ, ᲣᲤᲐᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ

„ახალი აღთქმა“ და „საეკლესიო გარდამოცემა“ შემდეგნაირად მოგვითხრობს იესო ქრისტეს შობის ამბავს: როდესაც მაცხოვრის შობის დრო მოახლოვდა, გამოიცა რომის იმპერატორ ავგუსტუს-ოქტავიუსის ბრძანება, რომლის თანახმადაც, მთელ ქვეყანაში უნდა ჩატარებულიყო საყოველთაო აღწერა, რომელიც ებრაელთა ჩვეულების თანახმად, ტომებისა და გვარების მიხედვით ტარდებოდა. თითოეულ გვარსა და ტომს თავთავისი ქალაქი და მამამთავართა სახელთან დაკავშირებული ადგილი ჰქონდა. რადგან მართალი იოსები (ვისზეც იყო დაწინდული წმინდა მარიამი) დავით მეფის შთამომავალი იყო, აღწერისთვის გალილეის ქალაქ ნაზარეთიდან, დავითის ქალაქში — ბეთლემში წავიდა, წმინდა მარიამთან ერთად. ქალაქის სასტუმროში ადგილი ვერ იშოვეს, ამიტომ, იძულებულნი გახდნენ, ქალაქის განაპირას მდებარე გამოქვაბულისთვის შეეფარებინათ თავი, სადაც მწყემსები ავდარში საქონელს აბინავებდნენ ხოლმე. სწორედ იქ, შუაღამისას მოუწია წმინდა ქალწულს მშობიარობის ჟამმა და როგორც ლუკა მახარებელი მოგვითხრობს: „შვა ძე, თავისი პირმშო, შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში“. ასეთ პირობებში, ყოვლად მოუწყობელ გარემოში იშვა მხსნელი სოფლისა — ღმერთკაცი იესო ქრისტე. „ბიბლიის“ განმმარტებლები გვასწავლიან, რომ ღამე მიანიშნებს საიდუმლოზე — ქრისტეს დაბადება ხომ უდიდესი საიდუმლო იყო, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი სასწაული. ბაგაში ჩაწოლა მიანიშნებს, რომ მაცხოვარმა ნებაყოფლობით მიიღო სიღარიბე, სელის ჩვრებში გახვევით კი თავისი, როგორც ადამიანის, ღვთის ნებისადმი მორჩილება გვიჩვენა.

დეკანოზი **ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲮᲘᲠᲢᲚᲐᲫᲔ**. *წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის მოძღვარი.*

— რას ნიშნავს უფლის განკაცება, უფლის ხორციელად შობა? როგორ შეიძლება გვესმოდეს ამ სიტყვების მნიშვნელობა?

— განკაცება, განხორციელება, უფლის ხორციელად შობა ნიშნავს, რომ ყოვლადწმინდა სამების მეორე ჰიპოსტასი, ძე ღვთისა, რომელიც მარადიულად და დაუსაბამოდ იშვების მამისაგან უწინარეს საუკუნეთა, მას შემდეგ, რაც გარდამოხდა ზეცით, მოვიდა დედამიწაზე ადამიანთა ცხონებისთვის, ღვთაებრივ ბუნებასთან ერთად შეიმოსა ადამიანური ბუნებითაც. განკაცდა, განხორციელდა ანუ ძე ღვთისამ მიიღო კაცობრივი, ადამიანური ხორცი, სული და სამშვინველი — იქმნა სრულ კაცად, მაგრამ ამავე დროს, იყო ღმერთიც — ყოვლადწმინდა სამება, ერთარსი და განუყოფელი. უფალ იესო ქრისტეს ჰქონდა სრული ღვთაებრივი და სრული ადამიანური ბუნება. ხორციელად შობის შემდეგ, უფალ იესო ქრისტეში იყო ყოველივე ღვთაებრივი და ადამიანური ბუნებისთვის დამახასიათებელი, გარდა ცოდვისა, მაგრამ ადამიანური ბუნება მთლიანდ ემორჩილებოდა ღვთაებრივ ბუნებას. მასში ღვთაებრივი და ადამიანური ბუნება მყოფობდა აბსოლუტურად შეურევნელად და უქცეველად. „შეურევნელად“ იმას ნიშნავს, რომ განკაცებულ უფალში ორივე ბუნება იმყოფებოდა, როგორც ორი სხვადასხვა ბუნება. „უქცეველად“ კი იმას გულისხმობს, რომ ძე ღვთისას მიერ ადამიანური ბუნების მიღებით არ შეცვლილა არც ღვთაებრივი და არც კაცობრივი ბუნება: არც ღვთაებრივი ბუნება ქცეულა ადამიანურად და არც ადამიანური — ღვთაებრივად; ორივე ბუნება დარჩა უცვლელად და სრულად.

— ალთქმული მესიის, მხსნელის — იესო ქრისტეს მოსვლას ადამიანები ათასწლეულები ელოდნენ: მხსნელის მოვლინების აღთქმა ადამმა და ევამ, მათი სახით კი მთელმა კაცობრიობამ შეცოდებისა და სამოთხიდან გამოძევების შემდეგ მიიღო ღვთისგან. თვით მაცხოვრის დედამიწაზე მოსვლა, შობა საუკუნეების შემდეგ მოხდა. რატომ დასჭირდა ამდენი დრო იესო ქრისტეს ამა-სოფლად მოსვლას? საერთოდ, რატომ გახდა საჭირო ღვთის განკაცება. ხომ შეიძლებოდა, ამის გარეშეც მომხდარიყო გამოხსნა?

— უფალს, რომელმაც არარაისგან შექმნა ყოველივე, ცხადია, არც განკაცების და დედამიწაზე გარდამოხდომის გარეშე გაუჭირდებოდა კაცობრიობის გამოხსნა, მაგრამ ასე ინება ღვთის განგებულებამ, რათა ადამიანური ბუნება თანამონაწილე, თანაგამარჯვებული ყოფილიყო გამოხსნისა. პირველი ცოდვით დაცემის შემდეგ შესაძლებელი რომ გამხდარიყო ადამიანის ღმერთთან შერიგება და გამოსყიდვა, ძე ღვთისას ამა-სოფლად გარდამოსვლა შეიქნა საჭირო. მას უნდა მიეღო კაცობრივი სხეული და სული, გამხდარიყო ღმერთკაცი, რათა თავისი ადამიანური ბუნებით სრულად აღესრულებინა ღვთის სამართალი, რომელიც კადნიერად დაარღვია ადამიანურმა უსამართლობამ. მას იოტამდე უნდა აღესრულებინა საღვთო რჯული, გამხდარიყო უდიდესი მართალი უსამართლო კაცობრიობის სანაცვლოდ, ესწავლებინა ადამიანებისთვის სიმართლე,

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲡᲭᲘᲠᲓᲐ ᲐᲗᲐᲡᲬᲚᲔᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲗᲥᲛᲣᲚᲘ ᲛᲔᲡᲘᲘᲡ – ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲨᲝᲑᲐᲡ?

რამდენიმე დღეში შობის ბრწყინვალე დღესასწაულს მივეგებებით. თუნდაც არაეკლესიური იყოს ადამიანი, უფლის შობის დღესასწაულს მაინც ამაღლებული, სადღესასწაულო განწყობილებით ეგებება. ჭეშმარიტად მორწმუნენი კი, წმინდა იოანე ოქროპირის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამყაროში ყველაზე დიდ სასწაულს იხსენიებენ, განიცდიან, დღესასწაულობენ... მართლაც, უდიდესი და შემოუსაზღვრელია სიხარული ქრისტესშობის დღესასწაულისა — ქრისტესშობით ჩვენთან მარადიულობა მოვიდა — იშვა უფალი, რათა ცოდვისა და მარადიული სიკვდილის ტყვეობაში მყოფ ადამიანთა მოდგმა გამოეხსნა და მოეცა გზები და საშუალებები სასუფეველში დამკვიდრების, მარადიული ნეტარი ცხოვრების მოპოვებისა“...

ყოველგვარი ცოდვის მონანიება და სინანულის ნაყოფის გამოღება. განკაცებულმა უფალმა ყოველივე აღასრულა.

შობის დღესასწაულზე ქრისტეს დაბადებას, უფლის ხორციელად შობას ვულოცავთ ერთმანეთს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. შობა აუცილებელი იყო, რათა მთელი ადამიანი — სული, სამშვინველი, სხეული (ცოდვის გარდა) — ყოფილიყო აღთქმული, მთელი ადამიანი ყოფილიყო სრულად გამოხსნილი. ის რაც აღთქმული არ იქნებოდა, ვერც გამოიხსნებოდა. შობის დღესასწაულით თანაგამარჯვებას, უფალთან კაცობრივი ბუნებით დანათესავებას აღვნიშნავთ, რასაც ნათლობითა და ქრისტეს სისხლთან და ხორცთან ზიარებით ვაღწევთ. უფალი რომ არ შობილიყო, არ განკაცებულიყო, არც მისი სისხლისა და ხორცის მიღების საშუალება მოგვეცემოდა. ეს უდიდესი საიდუმლო — ღვთის განხორციელება, კაცობრივი ბუნებით მოსვლა არის ახალი გამოცხადება, ახალი აღთქმა — განცხადდა ის, რაც დაფარული იყო. ის, ვინც შემოუსაზღვრელია, უსასრულოა, ყველგან მყოფია და ყოველივეს აღავსებს, ადამიანის სახით მოვიდა, ხორცი შეისხა, რეალურად იშვა და განიცდიდა ყოველივეს, რაც ადამიანურ ბუნებას ახასიათებს — გარდა ცოდვებისა — ცოდვა ღმერთში არ შეიძლება ყოფილიყო. ამ უდიდესი საიდუმლოს განხორციელების შემდეგ, ჩვენში სიყვარული — ქრისტესმიერი სიყვარული შემოვიდა.

მართალია, კაცობრიობა ათასწლეულების განმავლობაში ელოდა ქრისტეს შობას, მაცხოვრის მოსვლას, მაგრამ ის სწორედ იმ დროს მოვიდა, როცა საჭირო იყო. ეს მოლოდინი საჭირო იყო ერთის მხრივ იმისათვის, რომ კაცობრიობას შეეგნო თავისი უძლურება ცხონების საქმეში და დაენახა უზენაესის შეწევნის საჭიროება. მეორეს მხრივ, როგორც წმინდა მამები ბრძანებენ, სნეულებას რომ ვუმკურნალოთ, ჯერ მისი სიმპტომების გამოვლენას უნდა დაველოდოთ. ამისთვის კი დროა საჭირო. აქ ასევე უნდა გამოვლენილიყო კაცობრიობის სენის სიმპტომებიც — უსჯულოებას, მტაცებლობას და ბოროტებას კრიტიკულ ზღვრამდე უნდა მიეღწია, დამდგარიყო ჟამი სისავსისა, რათა მოსულიყო მკურნალი.

იესო ქრისტეს შობა პირველად უბრალო მწყემსებს ეუწყათ...

როგორც ლუკა მახარებელი მოგვითხრობს, ანგელოზთა დიდძალი მხედრობა გამოეცხადათ მწყემსებს, რომლებიც აქებდნენ ღმერთს და ღაღადებდნენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. სწორედ უბრალო მწყემსები იყვნენ პირველმხილველნიც ღვთაებრივი ყრმისა, რომელსაც მოკრძალებით თაყვანის სცეს. მწყემსები, რომელთა ყველაზე დიდი სიმდიდრე მათი სუფთა, წრფელი გული იყო. ეკლესიის მოძღვრების განმარტებით, მწყემსებში უნდა ვიგულისხმოთ უბრალო ადამიანები, რომლებიც წმინდა და წრფელი გულით ადიდებენ ღმერთს.

ცხადია, უფალს შეეძლო დიდებითა და პატივით მოვლენოდა ქვეყანას, შობილიყო დიდებულ სასახლეში; მისი პირველმხილველნიც ყოფილიყვნენ დიდებულნი ქვეყნისა, მაგრამ მისთვის გამოქვაბულში, ბაგასა და სიღატაკეში შობა უფრო სასურველი აღმოჩნდა, პირველი თაყვანისცემაც უბრალო ადამიანებისგან მიიღო. ამგვარი შობით გვიჩვენა მაგალითი თავმდაბლობისა და მორჩილებისა. მიწიერი დიდება და პატივი უფლისთვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, მისთვის მთავარი თავმდაბლობა, მორჩილება და წმინდა გულით თაყვანისცემა და დიდებაა.

შობის ვარსკვლავი

„სახარება“ გვაუწყებს, რომ იესო ქრისტეს შობის შესახებ აღმოსავლელ მოგვებსაც ეუწყათ, უჩვეულოდ მოკაშკაშე ვარსკვლავის გამოცხადებით. მათ არ იცოდნენ, კერძოდ, რომელ ქალაქში, რა ადგილას იშვა ღვთაებრივი ყრმა, ამიტომ იუდეის ქალაქ იერუსალიმში ჩავიდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იქ იპოვიდნენ ჩვილს — იმ დროში მთელ აღმოსავლეთში გავრცელებული იყო რწმენა, მალე იუდეაში იშვებოდა მსოფლიო მბრძანებელი, რომელსაც თაყვანს სცემდა ყველა ერი: იუდეველთა მეფის ხილვა გვსურს, სად არის იგი? — მისი ვარსკვლავი ვიხილეთ აღმოსავლეთში და თაყვანის საცემად ჩამოვედითო, მიმართავდნენ მოგვები იერუსალიმის მკვიდრთ, მაგრამ ახალშობილის შესახებ არავინ არაფერი უწყოდა. ქრისტე ხომ ბეთლემში იშვა...

კვლავ გამობრწყინდა ვარსკვლავი. მოგვებიც მიჰყვნენ. ვარსკვლავი წინ მიუძღოდა მათ: „ვიდრემდე მივიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსაც იყო ყრმაი იგი... და ვითარცა შევიდეს სახლსა მას, იხილეს ყრმაი იგი მარიამის თანა, დედის თვისისა, და დავარდეს და თაყვან-სცეს მას; და აღიღეს საუნჯეთა მათთა და შეწირეს მისა ძღუენი: ოქროი, გუნდრუკი და მური“ (მათე 2, 1-2; 9-11).

რა ვარსკვლავი იყო ეს? როგორც წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილი განმარტავს, ეს იყო საგანგებოდ შობის დღისთვის შექმნილი ვარსკვლავი. წმინდა იოანე ოქროპირი და ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი მას ვარსკვლავის სახით მოვლინებულ ანგელოზად მიიჩნევენ: „როცა ვარსკვლავზე მოისმენ, ნუ იფიქრებ, რომ ეს ერთი იმ ვარსკვლავთაგანია, რომელთაც ჩვენ ვხედავთ. არა, ეს იყო ღვთიური და ანგელოზებრივი ძალა, რომელიც ვარსკვლავის სახით გამოჩნდა“...

მოგვთა ძღვენი

აღმოსავლელმა მოგვებმა, ვარსკვლავთმრიცხველებმა სამი სახის ძღვენი მიართვეს ახალშობილს — ოქრო, გუნდრუკი და მური. ქრისტიანული მოძღვრებით, მოგვებმა სამი ძღვენი მიართვეს მაცხოვარს, თითქოსდა ნიშნად ღვთის სამსახოვნებისა, სამპიროვნებისა. ოქრო მიართვეს როგორც მეფეს, გუნდრუკი როგორც ღმერთს, მური, როგორც ადამიანს და შუამდგომელს, რომელსაც თავისი სიკვდილით უნდა დაერღვია სიკვდილის ძალაუფლება და გამოეხსნა ცოდვის მონობასა და მარადიული სიკვდილის ტყვეობაში მყოფი კაცობრიობა. უსისხლო მსხვერპლის შეწირვით კი მოგვებმა თითქოსდა დასაბამი მისცეს „ახალაღთქმისეულ“ მსხვერპლშეწირვას. ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია მიუძღვნას მოგვთა მსგავსი ძღვენი უფალს: „მოგვებმა ოქრო შესწირეს — ყველაზე ძვირფასი ლითონი, მაგრამ დავით წინასწარმეტყველი ამბობს, რომ ღვთის სიტყვა ოქროზე უფრო ძვირფასი და სანატრელია. ე.ი. თუ შევისწავლით და დავიმარხავთ სიტყვას ღვთისას, გვექნება ძღვენი, რომელიც უფლის წინაშე ოქროზე მეტად ფასობს. ეს ძღვენია ჭეშმარიტება. მოგვებმა ასევე მიიტანეს გუნდრუკი, რომელიც ზეცისკენ მიემართება, მადლიერების ძღვნად არის მიჩნეული და უფლისთვის სათნოა. თუ უფალს მადლობას მივუძღვნით, როგორც დავით მეფსალმუნე გვეუბნება, — განა გუნდრუკზე ძვირფასი არ იქნება მისთვის ჩვენი მადლიერება? დაბოლოს, მოგვებმა მური მიუძღვნეს უფალს. სიტყვა „მური“ მწუხარებას ნიშნავს. განა არ ძალგვიძს მსგავსი ძღვენის მიძღვნა უფლისადმი? განა არ უნდა ვწუხდეთ ჩვენი ცოდვების გამო? — აი, ჩვენი შესაწირი უფლისადმი“, — გვიქადაგებს წმინდა ეკლესია.

საინტერესოა, რომ მოგვთა მიერ მირთმეული ძღვენი, დღემდე ინახება. მათ მთელი ცხოვრების მანძილზე სასოებით ინახავდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, მიძინებამდე იერუსალიმის ტაძარს გადასცა. სადაც 400 წლის მანძილზე იყო დაბრძანებული. შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორმა არკადიმ კონსტანტინოპოლში გადააბრძანა, ახალი დედაქალაქის კურთხევასთან დაკავშირებით. 1453 წელს, ბიზანტიის დაცემის შემდეგ, სერბეთის დედოფალმა მარიამმა მოგვთა ძღვენი ათონის წმინდა მთაზე გადააბრძანა. ათონის წმინდა პავლეს მონასტერში დაცული ძღვენი, დღემდე საოცარ კეთილსურნელებას აფრქვევს. დროდადრო ტაძარში გამოაქვთ, რათა მორწმუნეებმა თაყვანი სცენ ამ სიწმინდეებს.

■



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-52

შუადღისი.ვის გურამს პეხვედრისთვის ყველაფერი მზად ჰქონდა. ნატო და ეკა მისი ხალხის მეთვალყურეობის ქვეშ, ამ შემთხვევისთვის საგანგებოდ დაქირავებულ ოთახში იმყოფებოდნენ. აეროპორტის მისადგომები და მოსაცდელ დარბაზში შესასვლელები გადაკეტილი იყო. შესასვლელ-გასასვლელებს მის ხალხთან ერთად, სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებიც უწევდნენ მეთვალყურეობას. სახურავებზე სამი სნაიპერი იყო ჩასაფრებული. იმ შემთხვევაში, თუ გეგეშიძე რაიმე სიურპრიზის მოწყობას შეეცდებოდა, საქმეში ისინი ჩაერთვებოდნენ და მის ხალხს გაანადგურებდნენ. თავად გეგეშიძის მიმართ კი სნაიპერებსა და ოპერატიულ თანამშრომლებს კონკრეტული მითითება ჰქონდათ მიღებული — ის ცოცხლად უნდა აეყვანათ. უკიდურეს შემთხვევაში, დაშვებული იყო მისი დაჭრა.

დღის პირველ საათზე კიდევ ერთხელ შემოიარა შენობის შესასვლელ-გასასვლელები. ყველაფერი რიგზე იყო. მისი ხალხი თვალს ადევნებდა ავტოსადგომს და მომსვლელ-წამსვლელებს. მაგრამ გეგეშიძე ჯერჯერობით არსად ჩანდა. იმაში დარწმუნებულმა გურამმა, რომ ის უკვე აქ იყო და თავადაც მთავარ დარბაზს ადევნებდა თვალს, ბოლო გაფრთხილება მისცა თავის ხალხს და მოსაცდელ ოთახს მიუბრუნდა. სწორედ ამ დროს დარეკა ლუკამაც.

— რა მოხდა?.. რამე ხომ არ შეიცვალა?! — აჩქარდა გურამი.

— ჩემი მხრიდან არაფერი შეცვლილა, — უპასუხა ლუკამ. — შენკენ რა ხდება?

— ყველაფერი კარგად არის. გელოდები.

— პირობები შეიცვალა, — აუჩქარებლად ჩაილაპარაკა ლუკამ.

— შეიცვალა?! — არ ესიამოვნა გურამს. შეხვედრის პირობების ნებისმიერი ცვლილება თავისთავად მიანიშნებდა „სიურპრიზზე“. — მაინც რას ითხოვ?

— განსაკუთრებულს არაფერს. უნდა დავრწმუნდე, რომ ნატო და ეკა ნამდვილად მანდ არიან.

— არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. ახლავე დაგალაპარაკებ ტელეფონით.

— არა!.. ტელეფონი გამორიცხე!

— მაშინ როგორ დაგარწმუნო?

— უბრალოდ... ჩემგან ერთი ადამიანი მოვა. შენ ნატოსა და ეკას უჩვენებ. ის თვითონ დამიკავშირდება და როგორც კი მეტყვის, რომ აქ არიან, მოვალ!

— არა! — სწრაფად თქვა გურამმა. — არავითარი შუამავლები!

— მაშინ შეხვედრის გადადება მოგვიწევს.

— როდემდე?! — დაიძაბა გურამი.

— მანამდე, ვიდრე აეროპორტიდან არ წახვალ!

— ვერაფერს ვხვდები... რა შუაშია აეროპორტიდან წასვლა?

— მაშინ მაინც მოვკრავ თვალს ჩემებს!

— ლუკა, ჩვენ ხომ მოვილაპარაკეთ!.. მოდი... ნატო და ეკა აქ არიან!..

— მე უკვე გითხარი სათქმელი. მოსაფიქრებლად ორ წუთს გაძლევ. თუ გადაწყვეტ, ამ ნომერზე დამიკავშირდი! — ცივად მოუჭრა ლუკამ და ტელეფონი გათიშა.

გურამს მხოლოდ რამდენიმე წამი დასჭირდა გადაწყვეტილების მისაღებად. შეხვედრის ჩაშლას, რომლისთვისაც მთელი კვირა ემზადებოდა, ისევ მცირე დათმობაზე წასვლა ამჯობინა და მაშინვე აკრიბა ლუკას ტელეფონის ნომერი.

— კარგი... ვინ მოვა შენგან და რამდენ ხანში?

— ქალი მოვა.

— ქალი? — დაიბნა ჩაჩბა.

— რა, არ გაწყობს?

— როგორ არა... მაგრამ მაინც მოულოდნელია.

— მოკლედ, სად შეგხვდეს ის ქალი?

— მოსაცდელი დარბაზის მარცხენა ფრთაში, მეორე სართულზე, დაველოდები... როგორ ვიცნო?

— თვითონ გიცნობს!

— როგორ?! — გაუკვირდა გურამს.

— იცის, რომ ყველაზე დიდი ნაბიჭვარი ელოდება!.. და ვაი, შენი ტყავის ბრალი, იმ ქალს თუ რამე არ მოეწონა!!! — ცივად ესროლა ლუკამ და ტელეფონი გათიშა.

ლუკას მიერ აღწერილი ქალი რამდენიმე წუთში გამოჩნდა. გურამს წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ გამოიყურებოდა ის, მაგრამ საოცრად ლამაზი, ტანმაღალი, ქერა და ცისფერთვალება ქალის დანახვაზე, რომელსაც ტანს ელეგანტური შარვალი და კოსტიუმი ეცვა, მიხვდა, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო ლუკას წარგზავნილი.

ქალი აუჩქარებლად მიუახლოვდა, თვალებში ჩააცქერდა და უზადო რუსულით ჰკითხა:

— გურამი ხარ?

სილამაზის მიუხედავად! ქალს არაბუნებრივად ცივი და ზიზღით აღსავსე მზერა აღმოაჩნდა. იმდენად ცივი, რომ გურამმა გაჭირვებით ამოღერღა:

— დიახ...

— გოგონასთან მიმიყვანე, — მბრძანებლურად ისროლა ქალმა.

— გამომყევით, — უპასუხა გურამმა და უახლოეს კარს მიუბრუნდა.

მცველების გარემოცვაში მყოფი ნატო და ეკა, მოთმინებით ელოდნენ მოვლენების განვითარებას. ერთადერთი, რაც იცოდნენ, ის იყო, რომ დღეს მათთვის თავისუფლება უნდა მიენიჭებინათ. თანაც გურამმა პირობა მისცა, რომ მათ შინ წასაყვანად, ერევანში პირადად ლუკა ჩამოვიდოდა. მაგრამ ლუკას მოლოდინში ოთახში მათთვის სრულიად უცნობმა ქალმა შემოაბიჯა.

ქალმა სწრაფი მზერა ესროლა ეკას და ნატოზე გადაიტანა მზერა. შემდეგ მისკენ დაიძრა, გზადაგზა მობილურ ტელეფონზე ნომერი აკრიბა და აპარატი მიახლოებისთანავე გაუწოდა. ნატომ მექანიკურად ჩამოართვა აპარატი და ყურზე მიიჭირა. იმავ წამს ყურმილში ლუკას ხმა გაისმა:

— როგორ ხარ, ნატო?

— სად ხარ, მამა?! — აჩქარდა გოგონა.

— რადგან მირეკავ, ესე იგი, ის ქალი შენ გვერდითაა!

— ჰო, — მოკლედ დაუდასტურა ნატომ.

— რაც არ უნდა მოხდეს, მანდედან მაგ ქალთან ერთად უნდა წამოხვიდე!

— ჰო... მაგრამ გამომიშვებენ?!

— ეგ ქალი ყველაფერს გააკეთებს ამისთვის!

— ვინ არის? — ჰკითხა ნატომ. — ადრე ეს ქალი არასოდეს მინახავს?

— ნატო, — მძიმედ წამოიწყო ლუკამ, — ვხვდები, რომ გაგიჭირდება ამის ერთბაშად აღქმა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს... ეგ ქალი შენი დედაა... ვანდა ანსბახი!!! და ვინც არ უნდა გკითხოს ამის შესახებ, ყველას იგივე უნდა უპასუხო!!!

— დედა?!. — ნატომ შიშითა და გაოცებით აღსავსე მზერა ესროლა ცისფერთვალება ქალს და ძალაგამოცლილს, მობილური ტელეფონი ხელიდან გაუვარდა.

ჩაჩბას ხალხისთვის დილა ჩვეულებრივად დაიწყო. ფატიმა, ჩაჩბას შინამოსამსახურე ქალი ცხრა საათისთვის მივიდა სადარბაზოსთან და მცველებთან ერთად შევიდა ბინაში. დაახლოებით ნახევარ საათში კი ჩაჩბამ მისი სუპერმარკეტში წაყვანა ბრძანა. ამისთვის ასლანმა მისი ხალხიდან ორი მცველი გამოყო.

მცველებმა, რომლებსაც უკვე მობეზრებული ჰქონდათ ყოველდღიური მარშრუტი, აფხაზი ქალი სუპერმარკეტამდე მიაცილეს. მაგრამ თავად მანქანიდან არ გადმოსულან. შინამოსამსახურეს პროდუქტების შეძენა და უკან რაც შეიძლება სწრაფად დაბრუნება უბრძანეს.

ფატიმას დაბრუნებისას, მცირე ინციდენტი მოხდა. ბომჟი, რომელიც სუპერმარკეტის სიახლოვეს მოწყალებას ითხოვდა, უხვმა სანოვაგემ მიიზიდა და ფატიმას ჩანთიდან ძეხვის მოპარვას შეეცადა. ქალმა შენიშნა უკან დადევნებული მაწანწალა და თავიდან მოსაშორებლად, ხელჩანთა მოუქნია. მაგრამ ამან მასზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მაწანწალა სწრაფად გაიჭრა წინ, ქალს სურსათით სავსე ჩანთა ხელიდან გამოჰგლიჯა და გაიქცა. იმავ წამს მანქანიდან მცველები გადმოხტნენ. მათ დანახვაზე მაწანწალამ ნაბიჯს აუჩქარა, მაგრამ მცველები სწრაფად წამოეწივნენ, წააქციეს, ჩანთა წაართვეს და წიხლები დაუშინეს. რამდენიმე დარტყმის შემდეგ, მაწანწალამ ჩანთას ხელი გაუშვა და თავის დასაცავად ზღარბივით მოიკუნტა. ეს საკმარისი აღმოჩნდა მცველების დასაშოშმინებლად. ერთ-ერთმა მათგანმა, ჩანთა მიწიდან აიღო და შინამოსამსახურეს დაუბრუნა, მეორემ კი მაწანწალას ჭკუის სასწავლებლად კიდევ ორიოდ წიხლი ჩაზილა და მანქანას მიუბრუნდა. როგორც კი აფხაზების მანქანა სუპერმარკეტს მოშორდა, მაწანწალა ფეხზე წამოიჭრა და სირბილით მიიმალა უახლოეს მოსახვევში. აფხაზი მცველები ერთობ გაოცებული დარჩებოდნენ, ის რომ ეხილათ, რაც შემდეგ მოხდა. მაწანწალამ მოსახვევი უკან მოიტოვა, იქვე მდგომ ბოლო მოდელის „მერსედესში“ ჩაჯდა, წინა სავარძელზე მჯდომ ირაკლი ვარშავიძეს მხარზე დაჰკრა ხელი და კმაყოფილმა უთხრა:

— წავედით... საქმე გაკეთებულია!..

როგორც ყოველთვის, მცველებმა ბინამდე მიაცილეს შინამოსამსახურე. თავად კი სადარბაზოს შესასვლელს დაუბრუნდნენ. ამ დროიდან საღამომდე მათ აღარაფერი ჰქონდათ გასაკეთებელი. შინამოსამსახურე საქმელს მოუმზადებდა ბინაში გამოკეტილ ჩაჩბასა და ასლანს და წავიდოდა. საღამოს ფატიმა ისევ დაბრუნდებოდა, ამჯერად, ვახშმის მოსამზადებლად. დანარჩენი დრო კი მცველებს სადარბაზოს შესასვლელისთვის უნდა ედევნებინათ თვალი, რასაც ყოველი მათგანი მოსაწყენ საქმიანობად მიიჩნევდა. მაგრამ იმ დღეს მოვლენები მათთვის სრულიად მოულოდნელი სცენარით განვითარდა.

ფატიმას წასვლიდან დაახლოებით ერთი საათი იყო გასული, როდესაც სადარბაზოს წინ, „სასწრაფო დახმარების“ მანქანა შეჩერდა.



მე აქ შვილის წასაყვანად მოვედი და ამაში ვერავინ შეიძლების ხელს!..
— შვილის?! — ეურამმა გაოცებისგან პირი დაალო

— აქ ცხოვრობთ? — სწრაფად ჰკითხა მცველებს მანქანიდან გადმოსულმა თეთრხალათიანმა ექიმმა.

— დიახ, — დაუდასტურა ერთ-ერთმა მათგანმა.

— მეთერთმეტე ბინა რომელ სართულზეა? — განაგრძო ექიმმა და ამასთან ერთად, ბრიგადის დანარჩენ წევრებს მანქანიდან გადმოსვლა მოსთხოვა.

— რაში გაინტერესებთ?! — ახმაურდნენ მცველები, როდესაც ექიმმა სწორედ ის ბინა მოიკითხა, რომელშიც მათი ბოსი იმყოფებოდა.

— სასწრაფო გამოძახებაა!.. როგორც გვაცნობეს, ვიღაც მოიწამლა! — უპასუხა ექიმმა და თავის ბრიგადასთან ერთად, სადარბაზოში შევიდა.

იმავე წამს სადარბაზოსთან „სასწრაფო დახმარების“ მეორე მანქანა მივიდა და ექიმმა იგივე ბინა მოიკითხა. მცველებს მისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. მაშინვე ადგილს მოსწყდნენ და პირველ ბრიგადას მიჰყვნენ უკან.

ორიოდ წუთში ბინის შესასვლელთან ათზე მეტმა ადამიანმა მოიყარა თავი. ამჯერად მცველებმა უკან დასწიეს ექიმები და ბინაში თავად დარეკეს ზარი. ზარს არავინ გამოხმაურებია. მომხდარით გაოცებულმა მცველებმა ზარს თავი მიანებეს, კარს მუშტები დაუშინეს და აყვირდნენ:

— ზენერ!.. ასლან!.. რა ხდება?! კარი გააღეთ, ჩვენ ვართ!..

მაგრამ ბინაში ისევ დუმდნენ.

— მეტის ცდა აღარ შეიძლება! — პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი სწრაფად ჩაერია საქმეში. — ახლავე უნდა შევიდეთ ბინაში... შეამტვრიეთ კარი!..

ჩაჩბას დუმილით დაბნეულმა მცველებმა მაშინვე შეასრულეს განკარგულება და კარის მტვრევას შეუდგნენ. მალე გასაგები გახდა, რომ რკინის მასიურ კარს წიხლებით ვერაფერს დააკლებდნენ. ამის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა ყველას განზე გადგომა უბრძანა, თავად კი პისტოლეტი მოიმარჯვა და საკეტს ტყვია დაუშინა. მეხუთე თუ მეექვსე გასროლაზე საკეტი ჩამოვარდა. მცველები გააფთრებულები დაეტაკნენ კარს, ბინაში შეცვივდნენ და გაოგნებულები გაქვავდნენ. ჩაჩბა გულაღმა იწვა დერეფანში, ხელები აქეთ-იქით გადაეყარა, პირიდან კი მოყვითალო ლორწო გადმოსდიოდა. იმავე მდგომარეობაში იყო ასლანიც, ოღონდ მას ხელში მობილური ტელეფონი ეჭირა.

— დროზე... რამე უშველეთ!.. — ექიმებს ეცნენ მცველები.

მაგრამ ექიმები სწრაფად გადგნენ უკან, მაყუჩიანი პისტოლეტები მოიმარჯვეს და ჩაჩბას მცველებს ტყვია დაუშინეს. ათიოდ წამში ყველაფერი დამთავრდა. მცველები ერთიმეორის მიყოლებით დაცვივდნენ იატაკზე. საბოლოოდ თავდამსხმელებმა კიდევ რამდენჯერმე გაისროლეს და დაჭრილებსაც ბოლო მოუღეს. მერე ჩაჩბა და ასლანი საკაცეებზე დაასვენეს, ბინიდან გავიდნენ და სწრაფი ნაბიჯით დაეშვნენ კიბეზე.

ვანდა უხმოდ დაიხარა, მობილური აიღო, შემდეგ გურამს მიუბრუნდა, თვალი თვალში გაუყარა და ყინულივით ცივი ხმით თქვა:

— გოგონა ჩემთან ერთად წამოვა!.. რამე ხომ არ გაქვს საწინააღმდეგო?!

— რაა?! — პირი დააღო გურამმა.

— გოგონა ჩემთან წამოვა! — გაიმეორა ვანდამ.

— კაი ნაგლი ყოფილხარ! — ავად ჩაიცინა გურამმა. — კარგი... გვეყოფა ლაზღანდარობა. ხომ დარწმუნდი, რომ გოგოს არაფერი უჭირს... დაუკავშირდი ლუკას!

— ვის?! — მოჩვენებით გაიკვირვა ქალმა.

— ლუკას!.. და თანაც, დროზე!..

— ოდესღაც მართლაც ვიცნობდი ასეთ ადამიანს, მაგრამ ახლა ამას მნიშვნელობა არა აქვს. მე აქ შვილის წასაყვანად მოვედი და ამაში ვერავინ შემიშლის ხელს!..

— შვილის?! — გურამმა გაოცებისგან პირი დააღო. უკეთ არც ეკა გამოიყურებოდა. ისიც გაოგნებული შესცქეროდა ცისფერთვალება ქალს, რომელიც ადრე არასოდეს ენახა.

— დიახ, დედაა!.. — მღელვარედ დაუდასტურა ნატომ.

— დროს ნუ მაკარგვინებთ... — ცივად ისროლა ვანდამ, შემდეგ კი ნატოს გახედა, — წავედით!..

— ვერსად ვერ წახვალთ! — გურამი სწრაფად გადაუდგა წინ.

— ვერ ვიტან ხეპრეებს!.. ესე იგი, მშვიდად ვერ დავშორდებით ერთმანეთს! — ავად ჩაილაპარაკა ვანდამ, მერე მობილური მოიმარჯვა, სადღაც დარეკა და გერმანულად ალაპარაკდა.

იგივე მოიმოქმედა გურამმაც. ტელეფონი ამოიღო და ლუკასთან დაკავშირება სცადა. მაგრამ ამჯერად პასუხი ვარ მიიღო. ვიდრე ის ლუკასთან დაკავშირებას ცდილობდა, ვანდამ საუბარი დაამთავრა და მშვიდად ჩამოჯდა დივანზე.

— მორჩა!.. მივდივართ!..

— გურამმა უსარგებლო ტელეფონი ჯიბეში ჩაიტენა და თავის ხალხს ნიშანი მისცა: ნატო და ეკა წამოიყვანეთო. მაგრამ ვიდრე ისინი განკარგულებას შეასრულებდნენ, ოთახში სომეხი მცველი შემოვარდა და გურამს მოახსენა:

— თქვენი ნახვა უნდათ!

— უკან გააბრუნე... არავინ... — წამოიწყო გურამმა, მაგრამ ვიდრე სიტყვას დაასრულებდა, კარი გაიღო და ოთახში რამდენიმე მამაკაცი შემოვიდა. მათგან ერთ-ერთი მაშინვე დაწინაურდა, გურამს პირადობის მოწმობა უჩვენა და თქვა:

— მე აეროპორტის უშიშროების სამსახურის თანამშრომელი ვარ!.. რა ხდება აქ?!

სომხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, რომლებიც გურამს იცავდნენ, გზა გადაუღობეს. თავადაც პირადობის მოწმობები ააფრიალეს და დაუპატიჟებელ სტუმრებს ოთახის დატოვება მოსთხოვეს. მაგრამ მათ არც კი უფიქრიათ განკარგულების შესრულება. ამის მაგივრად, სასწრაფოდ დაუკავშირდნენ თავის ხელმძღვანელობას და დამატებითი ძალა მოითხოვეს. ერთ-ერთი მათგანი კი სომეხი მილიციელების ხელმძღვანელს მიუბრუნდა და ვითარების განმარტებას შეუდგა.

— არ ვიცით, რა ხდება აქ, ბიჭებო, მაგრამ გაფრთხილებთ, რომ მაგრად გაეთხარეთ!.. ეს ქალი გერმანიის მოქალაქეა. დერეფანში კი ამ ქვეყნის საელჩოს წარმომადგენლები იმყოფებიან. ქალის განცხადებით, აქ უნდა შეხვედროდა შვილს... ალბათ ამ გოგონას...

— ამ სიტყვებთან ერთად, უშიშროების თანამშრომელმა ნატოს გახედა. — თქვენ კი გოგონა დაკავებული გყავთ. მართალია ეს თუ არა?

სომეხმა მილიციელმა დაბნეული მზერა ესროლა გურამს: ახლა როგორ მოვიქცეთო?

— თუ რაიმე გაუგებრობას აქვს ადგილი, აქვე გავარკვიოთ და გოგონა გავათავისუფლოთ. თუ მართლაც დაკავებულია, საფუძველი გაგვაცანით!.. მაგრამ ჯობია აქამდე არ მივიდეს საქმე!..

— რას ბოდავთ!.. რის დედა, რა გერმანელი!.. ეს გოგო უკრაინის მოქალაქეა! — მოთმინებამ უმტყუნა გურამს.

მისი სიტყვების საპასუხოდ, ვანდამ რაღაც დოკუმენტები გაუწოდა. გურამმა სწრაფად ჩახედა საბუთებს. მათში მითითებული იყო, რომ ვანდა გერმანიიდან შვილის — ნატალია გეგეშიძის მოსანახულებლად ჩამოვიდა, რომელიც მართლაც, უკრაინის მოქალაქე იყო.

— უკრაინის მოქალაქეობა სომხეთში დანაშაულად ითვლება? — დამცინავად იკითხა ვანდამ, როგორც კი გურამმა საბუთები დაათვალიერა.

სომეხმა მილიციელებმა დუმილით უპასუხეს.

— იქნებ გეგეშიძის შვილობაა დანაშაული? — განაგრძო ვანდამ.

მილიციელები ისევ დუმდნენ. არაფერს ამბობდა გურამიც.

— მოკლედ, ვხედავ, რომ იდიოტებთან მაქვს საქმე. კეთილი... მაშინ სხვანაირად გადავწყვეტთ ამ საკითხს! — ბრაზით ჩაილაპარაკა ვანდამ და კარს მიაშურა.

ოპერატიული ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, რიჟკოვი ბინის შესასვლელთან შეაჩერა.

— გამატარე! — მბრძანებლურად ესროლა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელმა და ხელით სცადა მილიციელის გზიდან ჩამოშორება.

— არა!.. — შეეწინააღმდეგა ოპერატიული ჯგუფის წევრი.

— მე რიჟკოვი ვარ, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი!

— გიცნობთ, მაგრამ ვიდრე კრიმინალისტები მუშაობას არ დაამთავრებენ, ბინაში ვერ შეგიშვებთ!

— ჯგუფის ხელმძღვანელს გამოუძახე! — მოტყდა რიჟკოვი და კიბის უჯრედის საპირისპირო მხარეს გადგა.

ორიოდ წუთში ბინიდან ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელმა გამოაბიჯა.

— გამარჯობა, ანატოლი, — შინაურულად მიესალმა რიჟკოვი. — რა ხდება?

— რა უნდა ხდებოდეს? — ბრაზით ჩაილაპარაკა ანატოლიმ. — საერთოდ შეიშალნენ ეს ნაბიჭვრები. მოსკოვი ადრეც არ იყო პანსიონატი, მაგრამ ასეთ

— მკვლელობა პროფესიონალების ჩადენილია. ამაზე მითითებს ჭრილობების ხასიათი. დღეუბულებს ყველა ჭრილობა სასიცოცხლო ცენტრებში აქვთ მიყენებული

საქმეს არ გადავყრივარ!.. შვიდი „ჟმურიკია“!.. (ჟმურიკი — იგივე გვამი პროფესიულ ჟარგონზე) ბინაში არ შეისვლება. ყველაფერი სისხლითაა მორწყული!..

— გარდაცვლილების ვინაობა დაადგინეთ? — აჩქარდა რიჟკოვი.

— ჯერჯერობით ვერა. ბინა გაქირავებულია. მეზობლების ჩვენებებით, ვიღაც კავკასიელები უნდა იყვნენ...

— აფხაზები... — ჩაურთო რიჟკოვმა.

— აფხაზები?.. — გაუკვირდა ანატოლის. — საიდან იცი?

— ჩემს ძიებაში ფიგურირებენ.

— იქნებ ვინაობის დადგენაში დაგვეხმარო, — გამოცოცხლდა ანატოლი და რიჟკოვს ანიშნა: გამომყევიო.

ბინის ხილვამ მართლაც, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა რიჟკოვზე. დერეფანში ოთხი გვამი ეგდო. დანარჩენი სამი კი აქეთ-იქით მიმოფანტულიყო. იატაკზე სისხლის შედედებული გუბეები იდგა. კედლები კი სისხლისა და ტვინის შხეფებით იყო დაფარული.

— როგორია პირველადი მონაცემები? — კრიმინალისტების ხელმძღვანელს ჰკითხა რიჟკოვმა.

— ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ თავდასხმა სრულიად მოულოდნელად მოხდა. იმ დროისთვის ეს პიროვნებები დერეფანში იმყოფებოდნენ. მასრების გაფანტვითა და სიუხვით თუ ვიმსჯელებთ, თავდასხმაში ხუთიექვსი ბოროტმოქმედი მონაწილეობდა. ბინის კარი დაცხრილული აღმოჩნდა. მაგრამ ეს თავდამსხმელებს არ მოუმოქმედებიათ. სადარბაზოში აღმოჩენილი იქნა „მაკაროვის“ მასრები. იმავე სისტემის იარაღი აღმოაჩნდა გარდაცვლილების ნაწილს. ამ დროს კი შვიდივე, „კოლტითა“ და „ბერეტათია“ მოკლული. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გარდაცვლილებმა თავად დაცხრილეს კარი...

— უცნაურია!.. — ჩაილაპარაკა რიჟკოვმა. — რატომ უნდა დაეცხრილათ საკუთარი საცხოვრებლის კარი?! შიგნიდან რომ ესროლათ, ვივარაუდებდით, რომ ამ გზით ცდილობდნენ თავდამსხმელთა მოგერიებას. მაგრამ ამ შემთხვევაში ისინი ბინაში მოხვედრას ცდილობდნენ!

— და შესაძლოა, ამ დროს მათთან ერთად, მკვლელებიც იმყოფებოდნენ, — შენიშნა კრიმინალისტმა.

— იქნებ ისინი ბინაში ელოდნენ! — ივარაუდა რიჟკოვმა. — ეს გასაგებს ხდის, თუ რატომ ცდილობდნენ დაღუპულები ბინაში შეღწევას.

— გამორიცხულია, — თავი გაიქნია კრიმინალისტმა. — პირველ რიგში, ამაზე მიუთითებს გვამების განლაგება და მასრების გაფანტვა. გარდაცვლილები დერეფნის სიღრმეში იმყოფებოდნენ, თავდამსხმელები კი — კართან. თანაც სასროლად მომზადებული იარაღით რომ შემოსულიყვნენ ბინაში, სურათი სხვა იქნებოდა. შეხედეთ, ყველა მათგანს აქვს იარაღი, მაგრამ არც ერთს არ უცდია მისი მომარჯვება. ყველა პისტოლეტი დამცველზე დგას! სავარაუდოდ, თავდასხმა სრულიად მოულოდნელად მოხდა. ყურადღება მიაქციეთ გვამების მდგომარეობას. თავდასხმის მომენტში გარდაცვლილები თავდამსხმელებისკენ სახით იდგნენ. ოთხი მათგანი ასევე დარჩა. ამ სამმა კი ზურგში მიიღო ტყვია. სავარაუდოდ, ისინი გაქცევას ცდილობდნენ, მაგრამ ეს ინსტინქტური რეაქცია უფრო იყო, ვიდრე გააზრებული ქმედება. შეიარაღებული ადამიანი, რომელსაც თავს ესხმიან, იარაღის ამოღებასა და თავდამსხმელის მოგერიებას ცდილობს და არა გაქცევას!.. ვფიქრობ, ამის მიზეზი მხოლოდ ერთშია: ისინი არ ელოდნენ თავდასხმას.

— უცნაურია... ძალიან უცნაური... — ჩაილაპარაკა რიჟკოვმა და კიდევ ერთხელ შეავლო თვალი გარდაცვლილთა სახეებს. ჩაჩბა მათ შორის რომ არ იყო, ეს ბინაში შემოსვლისთანავე დაადგინა. ახლა კი მათ ნაცნობების აღმოჩენას ცდილობდა.

— რას იტყვი? — ჰკითხა ანატოლიმ. — იცნობ რომელიმეს?

— ვიცნობ, — დაუდასტურა რიჟკოვმა. — ესენი ზენერ ჩაჩბას დაჯგუფების წევრები არიან.

— ოჰო!.. — წამოიძახა ანატოლიმ. — ათიოდე დღე იქნება, რაც ამათ ხალხს მოსკოვის სხვადასხვა კუთხეში ვპოულობთ. გვამების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ეს პროცესი მალე უნდა შეწყდეს.

— უკვე თუ არ შეწყდა! — ავად შენიშნა რიჟკოვმა. შემდეგ ისევ კრიმინალისტს მიუბრუნდა — კიდევ რას მეტყვით?

— მკვლელობა პროფესიონალების ჩადენილია. ამაზე მიუთითებს ჭრილობების ხასიათი. დაღუპულებს ყველა ჭრილობა სასიცოცხლო ცენტრებში აქვთ მიყენებული. თანაც ისინი მაყუჩიანი იარაღით იყვნენ აღჭურვილნი. ოთხი მათგანი მაშინვე დაიღუპა. სამი რამდენიმე წუთს კიდევ იცოცხლებდა, მაგრამ თავდამსხმელებმა ამის შანსიც არ დაუტოვეს და საკონტროლო გასროლებით გაისტუმრეს საიქიოს. რაც შეეხება მოტივს... ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს წინასწარ განზრახული მკვლელობაა. საძინებელში აღმოჩენილია ჩანთა, რომელშიც დაახლოებით ორასი ათასი დოლარი ინახებოდა. მაგრამ თავდამსხმელებმა ბინის გაჩხრეკითაც არ შეიწუხეს თავი. მათ ეს პიროვნებები დაცხრილეს და მაშინვე გაეცალნენ აქაურობას. მოკლედ რომ ვთქვა, წმინდა ბანდიტური „რაზბორკაა“!..

— მოწმეები გყავთ? — განაგრძო რიჟკოვმა.

— არა, — თავი გაიქნია კრიმინალისტმა.

— არა?! — გაუკვირდა რიჟკოვს. — როგორ თუ არა?! საცხოვრებელ კორპუსში დაცხრილეს ბინის კარი... შემდეგ მოკლეს შვიდი ადამიანი და ეს არავის უხილავს?!

— ამაში არაფერია დაუჯერებელი. პირდაპირ გეტყვით, აქ ისეთი პროფესიონალები მოქმედებდნენ, ვინმეს რომ ენახა, ახლა შვიდ კი არა, ბევრად მეტ გვამთან გვექნებოდა საქმე!.. გარდა ამისა... ჩვენ უკვე გავარკვიეთ ერთი გარემოება. აფხაზებს, ამ ბინასთან ერთად, კიბის უჯრედსა და ზედა-ქვედა სართულებზე მდებარე ბინებიც ნაქირავები ჰქონდათ. როგორც ჩანს, არ სურთ, მათ სიახლოვეს ვინმეს, ეცხოვრა. აქედან შედეგიც — მათ მკვლელობას ერთი თვითმხილველიც არ ჰყავს!

— დაუჯერებელია, რომ საერთოდ ვერაფერი შეემჩნიათ.

— ერთადერთი, რაც მეზობლებმა შენიშნეს, „სასწრაფო დახმარების“ ორი მანქანა იყო.

— „სასწრაფო დახმარების“! კიდევ კარგი... — რიჟკოვი სწრაფად მიუბრუნდა კრიმინალისტს. — რა დროს ნახეს ის მანქანები?!

— გვამების აღმოჩენამდე ცოტა ხნით ადრე.

— რამდენად ცოტა?

— თხუთმეტი ან ოცი წუთით.

— დაწვრილებით მიამბე! — მოითხოვა რიჟკოვმა.

— სათქმელი ბევრი არაფერია... ორი სართულით ზემოთ მცხოვრები მეზობელი დაავადებულია კლაუსტროფობიით ანუ დახურული სივრცის შიშით. ამიტომაც ის არასოდეს სარგებლობს ლიფტით. ბინაში ასვლისას, ამ პიროვნებამ კიბის უჯრედზე გაფანტული მასრები შენიშნა, შემდეგ კი დაცხრილულ კარს მოჰკრა თვალი. ნანახით შეშინებულმა, ბინას სწრაფად აუარა გვერდი, მაგრამ მიღიციას მაინც აცნობა მომხდარის შესახებ. ასე მოვხვდით ჩვენ აქ... შემდგომი დაკითხვისას, რამდენიმე მეზობელს „სასწრაფო დახმარების“ მანქანები გაახსენდა. მათ უჩვენეს, რომ სულ ცოტა ხნით ადრე, სადარბაზოდან საკაცეებით ორი ადამიანი გამოასვენეს და „სასწრაფო დახმარების“ მანქანებში მოათავსეს. ვინ იყვნენ ისინი, მეზობლებს წარმოდგენა არა აქვთ. ორივე საკაცეს ზეწარი ჰქონდა გადაფარებული...

— თქვენი დედაც!.. — გააფთრებულმა შეიგინა რიჟკოვმა. — და ახლა მეუბნებით ამას?!

— ეს არც ისე მნიშვნელოვანია... — დაბნეულმა წამოიწყო კრიმინალისტმა, მაგრამ რიჟკოვმა არ დაამთავრებინა. მაშინვე სირბილით ჩაუყვა კიბეს. ამასთან ერთად, მობილური ტელეფონი მოიმარჯვა, თანაშემწეს დაუკავშირდა და უბრძანა:

— ახლავე გაარკვიე „სასწრაფო დახმარებაში“, ჰქონდათ თუ არა დღეს აზიორნაიას თვრამეტში რაიმე გამოძახება!.. და თუ არ ჰქონდათ, ჩრდილოეთ ოლქში ძებნა გამოაცხადე!..

— რაზე გამოვაცხადო ძებნა? — დაიბნა თანაშემწე.

— „სასწრაფო დახმარების“ მანქანებზე!

— კი, მაგრამ — როგორ?!

— რა ვერ გაიგე, იდიოტო! — ყვირილით განაგრძო რიჟკოვმა. — გააჩერონ ყველა „სასწრაფო დახმარების“ მანქანა და რაიმე საეჭვოს შემჩნევის შემთხვევაში, მთელი შემადგენლობა დააკავონ!!!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ქიგანსწრაფული ბოგონა და 38 წლის ასაკში ახდენილი ოცნება

38 წლის ჯენიფერ ლოპესი შვილების აღზრდასა და სამსახიობო კარიერის შეთავსებაზე მრავალი წელი ოცნებობდა, მაგრამ შვილებზე ოცნება ოცნებადვე რჩებოდა. მომღერალ მარკ ენტონიზე დაქორწინების შემდეგ, ხმები მისი ორსულობის შესახებ შესაშური სიხშირით ვრცელდებოდა, მაგრამ ეს ამბავი მხოლოდ ჭორი იყო და სხვა არაფერი. როდესაც მარკს ჰკითხეს, თუ როგორი რეაქცია ექნებოდა მას, ჯენიფერი მართლა რომ დაორსულებულიყო, მომღერალმა ძალზე ორიგინალურად უპასუხა. იგი ამბობს, რომ ბედნიერებისგან აბღავლდებოდა, ქუჩებში გიჟივით ირბენდა და მის დასაოკებლად, ხელბორკილების დადება გახდებოდა საჭირო!

„მისი სანუკვარი ოცნება ასრულდა. ცოლ-ქმარი სიხარულით მეცხრე ცაზეა“ — ამბობენ მათი ახლობლები. ნოემბერში ჯენიფერის ორსულობის ამბავი დიზაინერმა ბერტო კავალიმ ოფიციალურად დაადასტურა. კავალი ლოპესისთვის კაბებს ქმნის და მისი სხეულის თავისებურებები სხვებზე უკეთ მოეხსენება. „ამ მომენტში ჯენიფერ ლოპესს სრულიად განსხვავებული ტანსაცმელი სჭირდება, რადგან ორსულადაა“, — ამბობს მოდის შემოქმედი, რომელმაც ბედნიერი ჯენისთვის უკვე მრავალი განიერი, მოხერხებული მოდელი შექმნა.

„დაგავიწყდა, დღეს რა დღეა?“ — მკაცრად იკითხა გვადალუპამ. 6 წლის ჯენიფერს პასუხის გასაცემად არ ეცალა. გოგონას თავზე ყურსასმენები ჩამოეცვა და მუსიკის ტაქტზე თავდავიწყებით ცეკვავდა. დედამ უკანალზე გემრიელად შემოსცხო და შვილის ყურადღებას მაშინღა ეღირსა... „არ გამიბრაზდე, შენი პომადა წავისვი. მე ვარსკვლავი ვიქნები და ამიტომ მუდამ ლამაზად უნდა გამოვიყურებოდე!“ — განაცხადა ჯენიმ და დედას პომადით მოთხუპნილი ტუჩებით შესცინა. „საინტერესოა, ამის მიღწევას როგორ აპირებ?“ — მრისხანედ იკითხა გვადალუპამ. „ჩემთვის სულერთია. შემიძლია ვიმღერო, შემიძლია ვიცეკვო კიდეც. მთავარია ხალხმა შემომხედოს. მე კი ღიმილით ხელს დავუქნევ“.

პუერტორიკოელი იმიგრანტების — გვადალუპა და დევიდ ლოპესების ოჯახში 3 გოგონა იზრდებოდა. უფროს ქალიშვილს — ლესლის, მშობლები მკაცრად ზრდიდნენ, უმცროსი ლინდა ოჯახის ნებიერი იყო, შუათანა გოგონა ჯენი კი ყაჩაღანას რეპუტაციით სარგებლობდა. ჯენიფერი ჩოგბურთზე დადიოდა, კათოლიკურ სკოლაში სწავლობდა და კვირაობით ოჯახთან ერთად ეკლესიაში წირვასაც ესწრებოდა, მაგრამ ცუღლუტობისთვის თავისუფალ დროს მაინც პოულობდა.

დედას კარგად ესმოდა, რომ ბრონქსის სამხრეთი რაიონი ქალიშვილების აღსაზრდელად შესაფერისი ადგილი არ იყო, მაგრამ ოჯახს რესპექტაბელურ რაიონში ბინის დასაქირავებელი ფული არ ჰქონდა. პუერტო-რიკოდან ამერიკაში გადასახლების შემდგომ გვადალუპა საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობდა, მისმა ქმარმა კი კომპიუტერულ ფირმაში იშოვა სამსახური... ფინანსურ პრობლემებზე მეტად, დედას ის საფრთხე აღელვებდა, რაც მის ქალიშვილს სამხრეთ ბრონქსის ქუჩებში ელოდა, სადაც დღისით დანებით შეიარაღებული მოზარდები დაქროდნენ, ღამღამობით კი სროლის ხმა ისმოდა. ყაჩაღანა ქალიშვილის ქუჩის მავნე ზეგავლენისაგან დასაცავად, დედამ გოგონა ქორეოგრაფიულ სკოლაში მიაბარა. ჯენი ცეკვამ საოცრად გაიტაცა. მისმა ენთუზიაზმმა გვადალუპა ჯერ გაახარა, შემდეგ კი სერიოზულად შეაშფოთა, რადგან ბავშვს ქორეოგრაფიულ სკოლაში გატარებულ საათებთან შედარებით, დანარჩენი ცხოვრება — სკოლა, საკვირაო ქადაგებები და ოჯახური სადილები (სადაც ძირითადად მუხუდოიან ბრინჯის ფლავს მიირთმევდნენ) უფერულად და უინტერესოდ ეჩვენებოდა. მშობლები 14 წლის გოგონას დაჟინებულ მოთხოვნას დამორჩილდნენ და ვოკალის გაკვეთილებზე სიარულის ნება დართეს... ჯენიფერის ბავშვური ოცნება

ვარსკვლავური მომავლის შესახებ, ნელ-ნელა ფანტაზიიდან — დასახულ მიზნად ჩამოყალიბდა.

15 წლის ასაკში ჯენიფერმა ადგილობრივ ჩხუბისთავთან რომანი გააბა. სახლში გამთენიისას ბრუნდებოდა და მშობლების პროტესტს არად აგდებდა. „რომ დაორსულდეს და სწავლა მიატოვოს?“ — ღელავდა მამა, მაგრამ მშობლების საყვედურს ჯენი საკუთარი არგუმენტებით პასუხობდა: „ჩემი მეგობრები 12 წლის ასაკიდან ბიჭებთან დადიან! უბრალო ხვევნა-კოცნას არ სჯერდებიან... ისიც მეყოფა, რომ კოცნა ყველაზე გვიან ვისწავლე“... მომავალ ვარსკვლავს ქალური სიბრძნე რომ არ გამოეჩინა, მისი პირველივე სასიყვარულო რომანი ქორწინებით დასრულდებოდა. ბოიფრენდის შეთავაზებას 15 წლის გოგონამ კატეგორიული პასუხი გასცა: — „რა აზრი აქვს ჩვენს ქორწინებას, მე ხომ ვარსკვლავი უნდა გავხდე?!“ გუნებაში კი გაიფიქრა: — მალე შენზე უკეთეს ქმარს ვიპოვიო!

„უცნობი ადამიანის წინაშე დგახარ და ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ თავი მოაწონო. „არა, არ მომწონხარ,“ ამბობენ ისინი, მაგრამ შენ არ გწყინს, უბრალოდ სხვასთან მიდიხარ!“ — უყვება ჯენი დედას და თვალები უელავს... დედას ქალიშვილის თვალების აზარტული ელვარება აშინებდა, ჯენიფერს კი ქადაგებები აღიზიანებდა, რომლებსაც მშობლები შვილს სერიოზული პროფესიის აუცილებლობის შესახებ ჩასჩიჩინებდნენ...

კათოლიკურმა აღზრდამ შედეგი მაინც გამოიღო. ჯენიფერი უფროსების ნებას დაჰყვა. კოლეჯში შევიდა და იურიდიულ ფირმაში მუშაობა დაიწყო, მაგრამ გვადალუპას სიხარულმა დიდხანს არ გასტანა: რამდენიმე თვეში ჯენი გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას გადააწყდა, რომელიც მანჰეტენის საცეკვაო სკოლაში სტუდენტების მიღების შესახებ იუწყებოდა. ის საღამო საშინელი ოჯახური სკანდალით დასრულდა. ჯენიმ მშობლებს განუცხადა, რომ არჩევანი პროფესიონალი მოცეკვავის პროფესიაზე შეაჩერა. ამ განცხადებას დედა ცრემლებით, მამა კი მრისხანებით შეხვდა, მაგრამ ოჯახურ კონფლიქტში გადამწყვეტი სიტყვა ჯენიფერმა თქვა. გოგონამ ნივთები ჩაალაგა და მშობლიური სახლი დატოვა.

მანჰეტენის საცეკვაო სკოლის მიმღები კომისიის წევრები გოგონას ვნებიანმა ცეკვამ შოკში ჩააგდო. 17 წლის ქალიშვილის ნორჩი სხეული გველივით იკლაკნებდა, თეძოები ირხეოდა, თვალებით კი პედაგოგთა თვალებს დაეძებდა და მათ მზერაში მოწონებას ხედავდა. ჯენიფერის პლასტიკით აღფრთოვანებულმა ცეკვის მასწავლებელმა, 33 წლის დეს კალდერონმა ჯენი ჯგუფში უგამოცდოდ ჩარიცხა.

მიღწეული წარმატებით გამოწვეული აღტაცება ჩამცხრალი არ იყო, რომ ჯენიფერი პირველ სერიოზულ პრობლემას შეეჯახა. მან მშობლიური სახლი ისე დატოვა, რომ ჯიბეში ერთი ცენტი არ ედო, ამიტომ უსახლკაროდ, ქუჩაში დარჩა... როდესაც შუაღამით კალდერონის ბინაში ზარის ხმა გაისმა, დესი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ზღურბლზე სტუდენტ ლოპესს დაინახავდა. გოგონამ თვალები მორცხვად დახარა და პედაგოგს უცნაური თხოვნით მიმართა. მას ქორეოგრაფიული დარბაზის გასაღები და იქ ღამის გათევის უფლების მიღება სურდა! საღამოობით ჩატარებული ცეკვის გაკვეთილები ვნებიან ღამეებში გადაიზარდა. დღისით ჯენი სამუშაოს ეძებდა. მუსიკალურ კლიპებში 20 დოლარად მონაწილეობდა და არც ერთ კასტინგს არ აცდენდა. რეჟისორთა რეაქცია მუდამ ერთნაირი იყო: — „გამოდგებით, მაგრამ ერთი პრობლემაა...“ „როლს იმიტომ არ მაძლევთ, რომ პუერტორიკოელი ვარ, არა?!“ — ამბობდა ჯენი და მამაკაცებს მისი მკაცრი მზერა შუბლს უბურღავდა. რეჟისორთა ლუღლუღი, გაურკვეველი დაპირებები და უაზრო ახსნა-განმარტებები კიდევ ერთხელ არწმუნებდა, რომ მისი ეჭვი საფუძველს მოკლებული სულაც არ იყო. ჯენიფერს საკუთარი წარმომავლობის დამალვა, აქცენტთან ბრძოლა, თმის ფერის შეცვლა და გამომწვევი სამოსის მოკრძალებული კაბებით შეცვლა არ სურდა. „ან ისეთს შემიყვარებთ, როგორიც ვარ, ან გაიძულებთ, შემიყვაროთ“, — ამ სიტყვებს ყოველი უარის შემდეგ იმეორებდა... 8 თვის შემდეგ, როგორც იქნა, ბედმა გაუღიმა.

„ჩემგან მხოლოდ უფასო ბინა და ცეკვის გაკვეთილები გჭირდება“ — ეჭვიანობის მორიგი სცენის დროს წარმოთქმულმა ფრაზამ ჯენიფერისა და ცეკვის მასწავლებლის რომანს წერტილი დაუსვა. შოუში „ბროდვეის ოქროს მიუზიკლები“ მიღებულმა როლმა გოგონას კალდერონთან დაშორება გადაატანინა. პირველ წარმატებას მიუზიკლში — „სინქრონულობა“ — მონაწილეობა, ჰოლივუდის შოუში „ცოცხალი ფერი“ (სადაც ჯენი 2000 პრეტენდენტს შორის გამოარჩიეს) მიღებული სამუშაო, სერიალები — „მეორე შანსი“, „მალიბუს გზა“ და იაპონიაში ტურნე მოჰყვა, მაგრამ ლოპესი მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებდა!

ჯენიფერის კინოკარიერა რეჟისორ გრეგორი ნავას ფილმში — „ჩემი ოჯახი“ ნათამაშები პატარა, მაგრამ შესამჩნევი როლით დაიწყო. უღიმღამო ამერიკელი ქალების ფონზე ჯენი საოცარი სინორჩითა და ელვარებით გამოირჩეოდა. დამწყები მსახიობით მოხიბლულმა ფრენსის ფორდ კოპოლამ გოგონა სურათში „ჯეკი“ მიიწვია. კრიტიკამ ფილმი ცივად მიიღო, მაგრამ საქვეყნოდ ცნობილ კინორეჟისორთან თანამშრომლობის წყალობით, ჯენიფერმა ფილმში „სისხლი და ღვინო“ როლი მიიღო, სადაც იგი თავად ჯეკ ნიკოლსონს უწევდა პარტნიორობას. მომდევნო სურათის — „ანაკონდა“ შემოსავალმა კი 100.000.000 დოლარს გადააჭარბა.

ჯენიფერი პირველი ლათინურამერიკელი მსახიობი იყო, რომელმაც იმ დროისთვის ზღაპრული ჰონორარი — 1 მლნ დოლარი მიიღო

ლოპესის სახელთან დაკავშირებულმა ორმა ამბავმა პრესა ააფორიაქა. ჯენიფერი პირველი ლათინურამერიკელი მსახიობი იყო, რომელმაც იმ დროისთვის ზღაპრული ჰონორარი — 1 მლნ დოლარი მიიღო. მეორე ამბავი მის გათხოვებას უკავშირდებოდა. ჯენის საქმრო არც ცნობილი მსახიობი იყო და არც გავლენიანი რეჟისორი. ყველასთვის უცნობი მაიამელი ოფიციანტის ერთადერთი ღირსება, მისი გარეგნობა იყო. ოჯანი ნომ ხელის სათხოვნელად იდეალური მომენტი შეარჩია. „სელენას გადამღები ჯგუფი ფილმზე მუშაობის დასრულებას რესტორანში ბანკეტით აღნიშნავდა, როდესაც ნომ სატრფოს ხელი და გული საქვეყნოდ შესთავაზა. ლოპესმა უარით ზეიმის ჩაშხამება ვერ გაბედა და წინადადება მიიღო. „ნუთუ ფიქრობთ, რომ ჩემი დონის ვარსკვლავი ჟურნალისტებს ანგარიშს ჩააბარებს?..“ ქორწილიდან 2 თვის შემდეგ პრესაში განქორწინების შესახებ პირველი პუბლიკაციები გამოჩნდა. გოგონა ჭორების გაქარწყლებას თავგამოდებით ცდილობდა და ყველა ინტერვიუში ქმრისადმი არამიწიერი სიყვარულის შესახებ საუბრობდა, მაგრამ არავის გაჰკვირვებია, როდესაც ქორწინების წლისთავზე წყვილმა განქორწინების შესახებ განცხადება გააკეთა. „ოჯახური ბედნიერების“ 12 თვე ჯენიფერს 250.000 დოლარი დაუჯდა.

სამუშაო უიღბლო ქორწინებაზე დარდის დროს არ უტოვებდა, მით უმეტეს, რომ ჯენის ამბიცია ყოველწლიურად იზრდებოდა. ლოპესმა ოლივერ სტოუნის ფილმში „მოსახვევი“ ითამაშა და ჰონორარი — 2 მლნ დოლარი მიიღო;. სტივენ სოდერბერგის სურათში — „ხილვადობის

„მისი სანუკვარი ოცნება ასრულდა. ცოლ-ქმარი სიხარულით მეცხრე ცაზეა“

გარეშე“ მონაწილეობის შემდეგ, ბავშვობის კიდევ ერთი ოცნების ასრულება გადაწყვიტა და სიმღერა დაიწყო. პირველ დისკზე მუშაობაში ჯენიმ შოუბიზნესის ყველაზე გავლენიანი ადამიანები ჩართო. მის გუნდში შედიოდნენ: მერაია ქერის ყოფილი ქმარი კერი ტომი მოტოლა, მაიკლ ჯექსონის ყოფილი პროდიუსერი როდნი ჯერკინსი, რეპერი პაფ დედი და ესპანელი მომღერალი მარკ ენტონი. სადებიუტო ალბომს On The 6 ერქვა. ეს დასახელება ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მე-6 ხაზის პატივსაცემად შეარჩია, რომლითაც ჯენი ცეკვის გაკვეთილებზე დადიოდა. გუნდის შრომამ შედეგი გამოიღო. სადებიუტო ალბომი On The 6 მსოფლიოში 8-მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა, ხოლო სადებიუტო სინგლმა If You Had My Love პლატინის სტატუსი მიიღო. ჯენიმ დამხმარე გუნდის წევრი მამაკაცებისგან ყველაზე გაბედული და უტიფარი რაინდი გამოარჩია და მასთან რომანი გააბა; ჯენიფერის ახალი რჩეული პაფ დედი გახდა. ახალი წლის ღამეს წყვილმა ნიუ-იორკის ერთ-ერთ კლუბს მიაშურა, სადაც პაფ დედიმ რეპერ შაინს სროლა აუტეხა. პოლიციამ შეყვარებულები დააკავა. ჯენიფერი მალევე გაათავისუფლეს, მის შეყვარებულს კი იარაღის უკანონო შენახვის ბრალდება წაუყენეს. წმინდა ვალენტინის დღეს წყვილმა დაშორება გადაწყვიტა. განხეთქილების მიზეზი ცხადი იყო: რეპერისთვის ამგვარი ცხოვრების წესი ერთადერთი მისაღები ვარიანტი იყო; ჯენი კი „ცუდი გოგონას“ როლს მხოლოდ თამაშობდა და ამ როლთან გამკლავება უფრო და უფრო უჭირდა. მსახიობი ნუგეშსა და თავდავიწყებას უწინდელივით სამუშაოში ეძებდა. კინოში აქტიურად თამაშობდა, დისკებსაც წერდა, მაგრამ მხოლოდ მსახიობისა და მომღერლის სტატუსი აღარ აკმაყოფილებდა. 2001წელს ჯენიფერმა მოდელირებაზე (ტანსაცმლის ხაზი JL შექმნა), ბიზნესმენობასა (გახსნა რესტორანი Madre`s) და პატარძლობაზე განაცხადა პრეტენზია...

ჯენიფერის მეორე ქმარი კრის ჯადი მისსავე დასში მოცეკვავედ მუშაობდა. არავინ იცის, თუ რას ფიქრობდა ჯენიფერი მაშინ, როდესაც მორიგი საქორწინო ავანტიურა წამოიწყო. ბევრი ფიქრობს, რომ ეს თავად ლოპესმაც არ იცოდა...

კრისისა და ჯენის ქორწინება 10 თვეში დასრულდა. ჯენი აღარ ჰგავდა იმ გარყვნილ, თავხედ ლამაზმანს, როგორადაც მას პრესა ხატავდა. დათრგუნვილი, დაბნეული გოგონა მორიგი უიღბლო ქორწინების შედეგებთან შეგუებას ცდილობდა. ბენ აფლეკმა „უკანალის“ (ეს მეტსახელი ლოპესს ჟურნალისტებმა შეარქვეს) შესახებ საგაზეთო სტატიებიდან ყველაფერი იცოდა, მაგრამ როდესაც პირადად გაიცნო, მისმა მოკრძალებულმა ქცევამ მოხიბლა. აფლეკის რომანტიკულმა შემართებამ ჯენის სულის სიმები შეარხია. ერთხელ ბენმა ჰოლივუდის ორი უმსხვილესი გამოცემის სვეტები შეისყიდა და შეყვარებულს საჯაროდ მოუბოდიშა იმის გამო, რომ ადრე მასზე ცუდი წარმოდგენა ჰქონდა! მადლიერების ნიშნად, ლოპესმა მიჯნურს ავტომობილი „ბენტლი“ აჩუქა... პრესამ წყვილს „ბენიფერი“ შეარქვა. გაზეთების პირველ გვერდს მათი სახელები მთელი წლის მანძილზე ამშვენებდა. ჯენიფერისა და ბენის ყოველი გამოჩენა სენსაცია იყო. თუ მაღაზიაში შევიდოდნენ, აუცილებლად ტანსაცმლის გამოსაცვლელ კაბინაში იკეტებოდნენ და სექსით ტკბებონენ. მათი ჩხუბი აუცილებლად სკანდალური და ხანგრძლივი იყო (ერთ-ერთი ასეთი ჩხუბის დროს, ჯენიმ აფლეკის ასისტენტ ქალზე ოდესა უიტმაიერზე იეჭვიანა, რომელიც ამავე დროს ბენის მეგობრის, მეტ დეიმონის შეყვარებული იყო და აფლეკი აიძულა, ასისტენტი სამსახურიდან გაეშვა), შერიგება კი — სკანდალური და მღელვარე. შეყვარებულები რამდენჯერმე დემონსტრაციულად დაინიშნნენ, ბეჭდები შეუკვეთეს და საქორწინო კონტრაქტიც შეადგინეს, მაგრამ ამ სიყვარულის ამბავს ლოგიკური დასასრული არ მოჰყოლია. წყვილმა ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ საჯაროდ განაცხადა და უკვე დაგეგმილი ქორწილი ჩაიშალა.

ნიშნობის ჩაშლიდან 5 თვისთავზე ჯენიფერის თითზე მსხვილი ბრილიანტით დამშვენებული საქორწინო ბეჭედი აკიაფდა. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ჯენის ახალი საქმრო მისი ძველი მეგობარი, ლათინურამერიკელი მომღერალი მარკ ენტონი იყო. მარკმა სასწრაფოდ გააფორმა განქორწინება (მისი მეუღლე, ყოფილი „მის სამყარო“ დაიანარა ტორესი იყო, რომელმაც მარკ ენტონის 2 ვაჟი — რაიანი და კრისტიანი გაუჩინა), მაგრამ წყვილი პრესის წინაშე კომენტარებისგან თავს იკავებდა. ჟურნალისტებმა ყველაზე გვიან შეიტყვეს, რომ კალიფორნიაში, ჯენიფერის მამულში „საიდუმლო ქორწილი“ შედგა, სადაც მხოლოდ 40 სტუმარი იყო მიწვეული.

ჯენიფერის დუმილმა, რომელიც ადრე პირადი ცხოვრების უმნიშვნელო დეტალებსაც კი ახმაურებდა, მარკის მეუღლის გარდა ყველა დააეჭვა. „ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ ლაპარაკს არ ვაპირებ და ჩემი ახლობლებიც ამასვე ფიქრობენ“, — მკაცრად განაცხადა მარკ ენტონიმ.

ჯენიფერმა ახალი ალბომი გამოუშვა, რომელსაც მრავალმნიშვნელოვანი სათაური „გარდაქმნა“ წაუმძღვარა და შეპარვით აღნიშნა, რომ დაინტერესებული მსმენელი ყველა კითხვაზე პასუხს ამ ალბომში იპოვიდა. შემდეგ კი კეკლუცად გაიღიმა და დასძინა: „ნუთუ მართლა ფიქრობთ, რომ ჩემი დონის ვარსკვლავი ჟურნალისტებს ანგარიშს ჩააბარებს!“

ამას წინათ, ჟურნალისტები ბავშვის ტანსაცმლის მაღაზიასთან ჩასაფრდნენ. 1 საათის შემდეგ მაღაზიის კარში ჯენი და მარკი გამოჩნდნენ. ცოლ-ქმარი ფოტოკამერების ელვარე სინათლემ დაბრმავა. პაპარაცები სენსაციის მოლოდინში წინასწარ ზეიმობდნენ. მამაკაცმა სასწრაფოდ მუქი სათვალე გაიკეთა და სახე დამალა, ლოპესი კი პირიქით, ბრბოს ხილვით ტკბებოდა. ხალხი ხარბად მიაშტერდა კოსმეტიკისგან თავისუფალ, მშვენიერ სახეს და მსახიობს უამრავი კითხვა დააყარა: „მიდი ჯენი, შენი ამბები მოგვიყევი!“. გოგონამ ბრბოს ყურადღებიანი მზერა სტყორცნა, გაიღიმა, ხალხს ხელი დაუქნია და ავტომობილში გაუჩინარდა... ■

რეპერისთვის ამგვარი ცხოვრების წესი ერთადერთი მისაღები ვარიანტი იყო; ჯენი კი „ცუდი გოგონას“ როლს მხოლოდ თამაშობდა

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

მსოფლიოთმფლობელი სტალინი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-52

ომის პირველი საათებიდანვე სტალინს ხელთ ეპყრა ქვეყნის მართვის სადავეები. ის მართავდა ფრონტსაც და ზურგსაც. მან საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობის უმძიმესი ტვირთი — ომის მსვლელობაზეც და მის შედეგებზეც, ქვეყნის, ხალხისა და არმიის ბედზეც.

სტალინის მუშაობის მასშტაბები და მოცულობა

ცეკას არქივში შემონახულია რვეულები იმ პირთა ჩამონათვლით, რომლებისგანაც სტალინმა 1941 წლის 21 ივნისის საღამოდან 28 ივნისამდე მიიღო. ეს რვეულები ბელადის მისაღების მორიგეების მიერაა შევსებული. მათში ზუსტადაა ასახული, თუ რომელ დღეს, რომელ საათსა და წუთზე მიუღია სტალინს ესა თუ ის პირი, ვისთან ერთად მუშაობდა და რამდენ ხანს. ეს დოკუმენტები, სტალინის მიერ ომის პირველ დღეებში გაწეული საქმიანობის ასახვის თვალსაზრისით, უამრავ რამეს გვიამბობს, მიუთითებს, თუ რა მასშტაბების პრობლემებზე უწევდა მას მუშაობა, ცხადყოფს, თუ ფაშისტი აგრესორის მოგერიების ორგანიზებისთვის რაოდენ მნიშვნელოვანი საქმიანობა გასწია ბელადმა. ეს დოკუმენტები 1990 წლის ივნისში ჟურნალში — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის უწყებანი“ — გამოქვეყნდა. მათი შინაარსი მტრისთვის 1941 წელს რომ გამხდარიყო ცნობილი, მას სრული წარმოდგენა შეექმნებოდა იმაზე, თუ როგორ გეგმავდნენ, ქვეყნის მეთაურის თავკაცობით, სტალინის კაბინეტში შეკრებილი პოლიტბიუროს წევრები, სამხედრო მოღვაწეები და უმსხვილესი სამეურნეო ხელმძღვანელები მეომარი სახელმწიფოს პოლიტიკას, როგორ განსაზღვრავდნენ პირველი რიგის ამოცანებს, რომლებიც საბჭოთა ხალხისა და წითელი არმიის წინაშე იდგა.

მაგალითად, იმ ჩანაწერების მიხედვით, რომლებიც იმ დღეს მძიმედ ავადმყოფი ბელადის მისაღების ჟურნალში 21 ივნისს გაკეთდა, სტალინი რამდენიმე საათის მანძილზე, მოლოტოვთან, ვოროშილოვთან, მალენკოვთან, ტიმოშენკოსთან, ჟუკოვთან, ბუდიონისთან, ბერიასა და სხვა ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად მუშაობდა. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ სტალინის სამუშაო დღე 22 ივნისს, როცა სამამულო ომი დაიწყო, დილის ოთხის ნახევარზე დაიწყო. მან ჩაატარა პოლიტბიუროს სხდომა, ხელი მოაწერა სასწრაფო დოკუმენტებს — სახელმწიფოს ყველა ძალების მობილიზაციისთვის, აგრესორის უკუგდებისა და ფრონტსა და ზურგს შორის მჭიდრო კავშირის გამაგრების მიზნით. გარდა ამისა, მან ერთი დღის განმავლობაში მიიღო ცენტრალური პოლიტიკური, სამხედრო, სამეურნეო და საერთაშორისო ორგანოების 29 ხელმძღვანელი, ზოგიერთი მათგანი კი, იმ დღეს მას არაერთხელ შეხვდა.

23 ივნისს დილის ოთხის 20 წუთიდან, სტალინი კრემლში მოლოტოვთან ერთად მუშაობდა. 6 საათსა და 25 წუთამდე იგი მუშაობდა: ვოროშილოვთან, ტიმოშენკოსთან, ვატუტინთან და სხვა მხედართმთავრებთან. მის მიერ დაბარებულ ადამიანებთან შეხვედრები და მუშაობა სტალინმა იმ დღეს, 18 საათსა და 45 წუთიდან განაგრძო და 24 ივნისის ღამის ორის 25 წუთამდე არ შეუწყვეტია. ამ დროის მონაკვეთებში სტალინმა სულ 21 კაცი მიიღო.

ასეთ დაძაბულ რიტმში მიმდინარეობდა მუშაობა ყოველდღიურად, მთელი ომის ხანგრძლივი თვეებისა და წლების განმავლობაში. ამასთანავე, მას მოეთხოვებოდა სიმშვიდის, რკინისებური თავშეკავების შენარჩუნება. უნდა მოეხერხებინა, როგორმე თავი დაეზღვია აჩქარებისა და ნაუცბადევი გადაწყვეტილების მიღებისგან, მიზანსწრაფულობისა და ენერგიულობის მაგალითი ეჩვენებინა გარშემო მყოფებისთვის. თუ იმ ადამიანებს დავუჯერებთ, ვინც სტალინთან ერთად მუშაობდნენ, ბელადი ყოველივე ამას ომის პირველსავე საათებიდან ახერხებდა.

„იმ დროსაც, სტალინი, როგორც ყოველთვის, დღე და ღამე მუშაობდა, — მოგვითხრობს მოლოტოვი. — რა დაბნეულობაზე შეიძლება ლაპარაკი, სად ჰქონდა სტალინს ამის დრო?! ან — საიდან მოიტანეს, — მეტყველების უნარი დაკარგაო?.. იბნეოდაო, — ვერ ვიტყვი, მაგრამ, ცხადია, ძალზე განიცდიდა, თუმცა გარეგნულად ამას არასოდეს ამჟღავნებდა. არ განიცდიდაო, — რომ ვთქვა, სისულელე იქნება. მაგრამ მას ისეთად სახავენ, როგორიც არ ყოფილა, — როგორც მონანიე ცოდვილს, ისე ხატავენ, ეს კი, რა თქმა უნდა, სრული აბსურდია“.

სახელგანთქმული მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ვოდოპიანოვი 22 ივნისს, როცა ომის დაწყების შესახებ შეიტყო, ჩრდილოეთიდან მოსკოვში ჰიდროთვითმფრინავით ჩაფრინდა. ქალაქ ხიმკიში (მოსკოვის ოლქში) დაჯდა და მაშინვე კრემლში გაემგზავრა. მფრინავი სტალინმა მიიღო. ვოდოპიანოვმა მას შესთავაზა, ბომბდამშენებით მიეტანათ იერიში ფაშისტურ გერმანიაზე.

„— როგორ წარმოგიდგენიათ ეს? — ჰკითხა სტალინმა და რუკასთან მივიდა.

ვოდოპიანოვმა ხაზი გაავლო მოსკოვიდან ბერლინამდე.

— აქედან უმჯობესი ხომ არ იქნება? — ჰკითხა სტალინმა და ბალტიის ზღვის კუნძულებზე მიუთითა“.

სწორედ კუნძულებიდან — სარემა (ეზელი) და ჰიუმა (დაგო) ბომბავდა საბჭოთა ავიაცია ბერლინსა და გერმანიის სამრეწველო ცენტრებს. თანაც, არ დაგავიწყდეთ, ეს ომის პირველსავე დღეებში ხდებოდა!

როცა ასეთი ფაქტების შესახებ იცი, სამარცხვინოდ გამოიყურება სიცრუე სტალინის დაბნეულობის შესახებ, რომელსაც ის თითქოს ომის პირველ საათებსა და დღეებში ამჟღავნებდა. მაგრამ ამ სიცრუეს ჯიუტად ავრცელებენ არაკეთილსინდისიერი ავტორები. მაგალითად, ედუარდ რაძინსკი ერთ-ერთ სატელევიზიო გამოსვლაში, მისთვის დამახასიათებელი ეშმაკური ღიმილით ირწმუნებოდა, რომ ომის დაწყებისთანავე *„სტალინი კრემლიდან გაიქცა... ამას მისი მისაღების აღრიცხვის ჟურნალი მოწმობს: მთელი სამი დღის განმავლობაში სტალინი თავის კაბინეტში არ გამოჩენილა“.* არადა, მისაღების საღრიცხვო ჟურნალები, როგორც უკვე მოგახსენეთ, სრულიად საპირისპიროს ადასტურებს.

სტალინის ყბადაღებული დაბნეულობის თემას უკავშირდება აგრეთვე, კიდევ ერთი ფარისევლური ლეგენდა — თითქოს სტალინმა შესთავაზა ჰიტლერს, შეეწყვიტა დაწყებული საომარი მოქმედებები იმის სანაცვლოდ, რომ მიეღო ბალტიისპირეთი, მოლდავეთი, უკრაინის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსია და ზოგიერთი სხვა საბჭოთა ტერიტორია.

უკანასკნელ წლებში ეს საზიზღარი სიცრუე კვლავ მოეფინა დემოკრატიული პრესის ფურცლებს. ამას დიდად შეუწყვეს ხელი ისტორიკოსებმა და პუბლიცისტებმა. და ყოველივე ამას სჩადიან იმის მიუხედავად, რომ სტალინმა უკვე ომის პირველსავე საათებსა და დღეებში გამოამჟღავნა გაუგონარი სულის სიმტკიცე და ფაშისტ აგრესორზე საბჭოთა ხალხის უცილობელი გამარჯვების უდრეკი რწმენა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ახალწლის დილა

დადგა ახალი წელი და ჩვენ, მიუხედავად იმისა, გვწამს თუ არა თოვლის ბაბუის არსებობის, გულის კუნჭულში მიმალული იმედით, საახალწლო სასწაულს ველით...

დეა ცუცქირიძე

ოვალურ მაგიდასთან სამნი სხედან — ანი, მაკო და ნინი. ოთახის სიღრმეში აციმციმებული ნაძვის ხე დგას. თბილა და გოგოები შილიფად არიან ჩაცმულები, მაგრამ მიუხედავად მათი ახალგაზრდობისა და თამამი ჩაცმულობისა, მათგან სასიამოვნო იმპულსი არ მოდის. ჩამქრალი ნათურები?..

ალბათ, დაღლილები არიან.

— ახლა უნდა ვიდარდოთ?! — კითხვას განცხადებასავით სვამს ნინი. მას თავისი თხელი და გრძელი ფეხები ისე გადაუჯვარედინებია, ვერაფრით გაიგებ, რომელია მარცხენა, რომელი — მარჯვენა. საკუთარ ფეხებში გადახლართული, აზრებსაც ჩახლართულს ავითარებს.

— უნდა ვიდარდოთ, ჰო? — ეს ანია. ის ამ ამბის მთავარი მოქმედი პირია, რადგან სადარდებელი, რომელიც ნინიმ შეახსენა, დაქალებს, სწორედ მას გაუჩნდა.

— „უნდა ვიდარდოთ, ჰო?“ — ეგ რა კითხვაა?! შენმა საყვარელმა მამაკაცმა, ს[illegible]ალწლო საჩუქრის ნაცვლად, ცოლი შევირ[illegible] თეო, მოგახარა...

მაკო სკამიდან დგება, მაგიდას წითელ, ხასხასა სუფრას აფარებს და ზედ თეთრი კობალტის სერვიზს აწყობს.

— რა დავლიოთ?

დარდს კონიაკი შეჰფერის.

მოქმედება თამაშს ემსგავსება. მინისპექტაკლს, სადაც რეალური ცხოვრება შელამაზებას საჭიროებს. ალამაზებენ კიდეც...

— კარგია, რომ ეს, საახალწლოდ მოხდა, — მომხდარში პოზიტივის დანახვას ცდილობს მაკო. ის ამ ოჯახის დიასახლისია და მეგობრების მხარში დგომის გარდა, სტუმრის პატივისცემაც ევალება: თუ სტუმარი დაძაბული და დადარდიანებულია, ჩვენ, ქართველი დიასახლისები სისულელეებსაც სიამოვნებით ვლაპარაკობთ მისი განწყობილების ასამაღლებლად. ალბათ ეს არის ქართული სუფრის საიდუმლოც, არა?.. სუფრული თერაპია, ურთიერთობები გაშლილ სუფრასთან, რომლებიც თითქოს თამაშის ელემენტს შეიცავს, სინამდვილეში კი, მეორე ადამიანის მოფრთხილების, მოფერების სურვილითაა ნაკარნახევი.

— ჰო, კარგია, რომ ეს, საახალწლოდ მოხდა... რადგან შენს ვახტანგს ვირთხის წელიწადში კარგს არაფერს უქადდნენ ვარსკვლავები. შენთვის შესაფერ ახალ კანდიდატს ავირჩევთ — მტრის ჯინაზე, მაგ წარუმატებელი და არშემდგარი ინტელექტუალისგან განსხვავებით, ვარსკვლავები წლეულს, საღ გონს და მოსავლის აღებას რომ ჰპირდებიან, ისეთს, — ასკვნის ნინი...

სამივე კივილით იცინის და მიუხედავად იმისა, რომ ეს სიცილი მცირედ ნევროზულია, გოგოებით სავსე ოთახში სიტყვა „არჩევნები“ შემოიჭრა.

— ჩამოვასხათ!

გამჭვირვალე ფუჟერებში ჩასხმულ კონიაკს, მაგიდიდან არეკლილი წითელი ფერი შეერია და უფრო ჩაამუქა, ბროლის ჭაღიდან დაღვრილმა შუქმა ზედაპირი გადაუსარკა, მაგრამ გოგოებზე ბევრი ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა. ბახუსი კი მოიყვანა...

უფალი, სამშობლო, ოჯახი ადღეგრძელეს... ოჯახის სადღეგრძელოზე, მაკომ გვერდით ოთახშიც შეირბინა და თავის ბუთხუზა ჩვილს დახედა.

— თემას გადავუხვიეთ... — გაახსენდა ანის.

— არა, მოთელვას ვაკეთებთ — რინგზე გასვლის წინ... — შეუსწორა მაკომ და ანისთან დიალოგი გააგრძელა.

— ქალბატონებო, ეს სადღეგრძელოები ქართველობის, ჩვენი ადათ-წესების წინაშე [illegible]კი იყო.

— არა, ეს სისხლში გამჯდარი ჩვეულებისადმი მორჩილების მარტივი მაგალითი გახლდათ.

— არა, ანი! მორჩილება, ძალადობის წინაშე ქედის მოხრას ნიშნავს: ჩვენ რაც ვთქვით, ის ხომ ჩვენი ქართველობის წინაშე ქედის მოხრა იყო?! ეს კი ამაყი ადამიანის, სიამოვნებით ჩადენილი ნაბიჯია და არა — დათრგუნვილის ქცევა.

— მაკო, მაღალფარდოვანი ხარ, ე.ი. სასმელი მოგერია.

— ვაღიარებ, მომერია. ამიტომაც, ახლა სიყვარულის სადღეგრძელოს შევსვამ. ბავშვობაში გვასწავლიდნენ, რომ არსებობს რამდენიმე სახის სიყვარული... მიჯნურობაო, სიძვაო... მაგრამ მთავარი სიყვარული ავიწყდებოდათ... ჰო — უფალი! ასე გავიზარდეთ, მაგრამ ის მთავარი ცოდნა ხომ ბუნებრივად მოვიდა ჩვენთან?! გვიმალავდნენ და მაინც ჩავწვდით მთავარს... ახლა კი, ეს, ჩვენთვის დაფარული საიდუმლო, ზედაპირზეა გამოტანილი, ადამიანები ერთმანეთს სახეში უფრიალებენ ამ სიყვარულს და ცოდნით მაინც არ იციან, გულით მაინც ვერ ხვდებიან...

— დაიცა, დაიცა... კონკრეტიკა, მეგობარო! ჩვენ დღეს ამ სიყვარულზე არ უნდა გვესაუბრა. უფრო სწორად, ვფიქრობდი — ანის სიყვარულზე ვიდარდებთ-თქო! — ჩაერია ნინი.

— ჰო, მაგრამ დარდი აქედან იწყება. ანისთვის კარგი იქნება. აბა, გაიხედე ფანჯრიდან, რას ხედავ?

— განათებულ თბილისს.

— კიდევ?

— კიდევ, განათებულ თბილისს! ლამაზ მანქანებს, სააკაშვილის სურათებში „გახვეულ“ ავტობუსებს, ვიტრინებს, ფანჯრებს, რომელთა მიღმაც სითბო იგრძნობა... კარგად თუ გადავიწევი, ტროტუარზე ფეხით მოსიარულეებსაც დავინახავ... არ მოგწონს ჩემი აღწერილი სურათი?

— მომწონს, მაგრამ მე გავაგრძელებ... მიუხედავად ამ ციმციმა და ბრჭყვიალა გარემოსი, მიუხედავად იმისა, რომ იანვრის ამ ცივ ღამეს ჰაერი გამჭვირვალე და სუფთა უნდა იყოს, მე შედედებულ, დამუხტულ ჰაერს ვხედავ, ამ უსუნო და უფერო მატერიას, რომელსაც ახლა მოლოდინის ფერიც აქვს და გემოც... უკეთ გეტყვი: ეს მოლოდინი ისე „დაბერდა“, გახრწნის საშიშროებაც ემუქრება...

— ბრავო, მაკო! კარგი იყო. ნიჭიერი ქალი ხარ. ახლა, სიყვარულზე მითხარი. ამ მოლოდინში რამდენი ურევია სიყვარული?

— ჰო-ო, ვახტანგის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, სრულიადაც არ ურევია, მაგრამ მგონი, ეგ, უფრო პოლიტიკური კითხვაა და არა პირადულ-ინტიმური, რომელიც ანისთვის უნდა დაგესვა... კარგი, არ გადაგიყვან რელსებიდან. ანი, შენ რას იტყვი?

— ასეც ვიცოდი, რომ პოლიტიკაზე გადახვიდოდით. მაკოს რა უჭირს? — ქმარი ჰყავს. მართალია, გაბუტული და გაქცეული, მაგრამ ეგ მხოლოდ დროის საკითხია, დაბრუნდება... თანაც, ეგ გაქცევაც მაკომ მოუწყო, პოლიტიკური ნიშნით. შენ რა გეშველება, ნეტავ, მზის ამოსვლას და ამინდის ცვალებადობასაც რომ პოლიტიკას უკავშირებ?

— პროტესტი არ არის მიღებული, რადგან ეს ყველაფერი სწორედაც რომ პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან.

— ვახტანგიც?

— ნინი, ნახე, რას ამბობს? დიახ, ვახტანგიც და ჩემი გაქცეული ქმარიც. გეცინება, ჰო? ოჯახი ხომ სახელმწიფოს პატარა მოდელია. ვერ ხედავ, პოლიტიკურმა სიმპათიაანტიპათიებმა, პოლიტიკაში განსხვავებულმა შეხედულებებმა როგორი ზიზღი გააჩინა?!

...დილით მაკოს პირველს გაეღვიძა. ალბათ, დედის ინსტინქტმა გამოაფხიზლა



— კარგი, მაგრამ მე და ვახტანგს არასდროს გვიჩხუბია პოლიტიკის გამო. სრულიად ვიზიარებდი მის აზრებს, სურვილებს.

— ჰო, მაგრამ თქვენი ურთიერთობა მაგალითის ძალამ დაღუპა! ქვეყანაში, სადაც წლების განმავლობაში იტყუება მმართველი, იქმნება პრეცედენტი, რომ მასაც მატყუარა გახდეს. ვახტანგი ამ შემთხვევაში, მასაა, რომელიც ცუდი მაგალითით ნასაზრდოებია, მიუხედავად იმისა, ოპოზიციონერია ის თუ „პოზიციონერი“.

— ნუ დააბრალებ პრეზიდენტყოფილს, ადამისა და ევას ცოდვებს, თავისიც ეყოფა.

— არა, ეს ბრალდება მხოლოდ მას არ ეხება. საქართველოს უახლესი ისტორია, მოყოლებული კომუნისტური მმართველობიდან, გავლენიანი მამაკაცების ტყუილებით ნასაზრდოები ქვეყნის ისტორიაა. ჰოდა, აი, შედეგიც: ვახტანგსა და მისთანებს არაფრად უღირთ ერთი ქალის მოტყუება. ჩვენი კაცები იტყუებიან, ჩვენ კი მათი მაინც გვჯერა?! ხომ გეუბნებოდი — ერთხელ მაინც შეამოწმე ეგ ტიპი-მეთქი!

— როგორ შემემოწმებინა? კუდში ხომ არ გავყვებოდი!

— რა ვიცი, ტესტი გაგეკეთებინა მისთვის, გემკითხავა, მიკროფონი მიგემაგრებინა პიჯაკზე ან ფარული კამერა...

— რას ამბობ?.. შემზარა ამ ხუმრობამ!.. რისთვის? მერე რომ მომესმინა, რომ ანი — არარაობაა, მაგას ერთი ხელის კვრა უნდა, რომ წაიცესო?!.

— ნახე, რა კარგად მოერგე პატარკაციშვილის ნათქვამს, შე პლაგიატო შენ?!

— ისე, რას ფიქრობ, რატომ გაგექცა ვახტანგი?

— ძირითადად, ანთებული თვალებისთვის. ის გოგო შენზე მშვიდი და თავდაჯერებულიაო, — მითხრა. ჰო, ეს რკინისებური არგუმენტია. პოლიტიკაშიც ჭრის.

— თან, მოთხოვნებიც მქონდა.

— რას ამბობ?! როგორი მოთხოვნები გქონდა, რიგითი თუ „ძირფესვგადგმული“? ვერ ნახე, სააკაშვილი მანამ არ გადადგა, სანამ მოთხოვნები არ აღკვეთა! მიაჩუმა ქვეყანა, როგორც თავად ამბობს — კონსტიტუციური მეთოდებით — და როცა „ბაბა“ უნდა დაგვეძახა მისთვის, გადადგა.

— ენას ძვალი არა აქვს, ყველაფერს იტყვი...

— სამაგიეროდ, ისტორიას „აქვს“ — ძვალიც და სინდისიც, ისიც იტყვის სათქმელს!..

— სულ სცდები თემას. სააკაშვილი მაშინ გადადგა, როდესაც ქვეყანა დააწყნარა თუ... გაროზგა. ვახტანგი კი, მაშინ გაიქცა, როდესაც ჩემი დაწყნარება ან გაროზგვა ვერ შეძლო! ახლა ხომ მშვიდიცა ვარ და ნაცემივითაც ვგრძნობ თავს, განა, მისთვის ეს სულერთი არ არის?!

— არა, ასე ნუ აზვიადებ. ეგენი, რაც ვთქვით, ჩვენ მივაბით ვახტანგის უფერულ ამბავს, შესალამაზებლად. სინამდვილეში, შენმა „პრინცმა“ უკეთესი ვარიანტი ნახა და მოღალატე მამაკაცის ტიპური ნაბიჯი გადადგა — სასწრაფოდ მასზე დაქორწინდა. შენ რომ არ ჰყოლოდი ყელში გაჩხერილი, მაგასაც, შენსავით, ხუთი წელი გააწვალებდა და მერე სხვაზე „იფსკვნიდა“ ჯვარს. ჰო, მართლა — ჯვარი დაიწერეს?

— არა, მარხვააო.

— ღმერთო ჩემო, ასე გაბრწყინდება საქართველო?!.

— ხედავ, რაებზე ხუმრობ!

— კარგი, ერთი. ხვალ რომ „მრავალკანდიდატიან“ არჩევნებზე წახვალ, მათ საპრეზიდენტო პროგრამებს რომ გაიხსენებ, სადაც მთავარი პრიორიტეტი — საქართველოა, მათ დაპირებებს, შეპირებებს, ცრემლებს, სიბრაზესა და ერთმანეთის მიმართ სიძულვილს ტვინში კადრებივით დაატრიალებ, მერე ნახავ, რომ თუ არ იხუმრე, ველარც გადარჩები.

— ჩვენ არ გვყავს დასაკარგი ქართველები! მაგრამ მათ შორის, ჩემი მოღალატე ვახტანგიცაა?..

— ვახტანგიც და ჩემი დათოც, — გაახსენდა მაკოს.

— ვახტანგი დაიკარგა. მაგრამ დათოს დაკარგვას ან მასთან ანგარიშსწორებას არც ვაპირებთ!

— სააკაშვილმა თქვა, — გამარჯვების შემთხვევაში, პოლიტიკურ ანგარიშსწორებას არ ვაპირებო... ეს ისე დაიჯერე, რომ ბრმად მიბაძვის სურვილიც გაგიჩნდა, ხომ?.. ეს, მას არა აქვს ადამიანური სისუსტეების გამოვლინების უფლება, მაგრამ შენ ქალი ხარ და ნება გაქვს, იყვირო, იკივლო, იტირო, ფეხები აბაკუნო!

— და ასე, კივილით შევქმნი ნათელ მომავალს ჩემი ოჯახისთვის?..

— ირგვლივ იმდენი ბნელი ძალაა!.. ფულიანებიო, უფულოებიო, მატყუარები და მკვლელებიო... რაღაცის რწმენა ხომ უნდა გვქონდეს! აი, ჩემთვის და ანისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს შენი და დათოს ოჯახს. შენ ხომ მადლობებს არ იხდიდი იმისთვის, რომ ის მზრუნველი მეუღლე იყო. მიიხედ-მოიხედე ირგვლივ და დარწმუნდები, რომ ბედნიერი ქალი ხარ, რადგან არავინ გაყვედრის, — სააბაზანოში კაფელი გავაკარი, მისაღებისთვის კი, ახალი სამეული შევიძინეო. არც შენს სავსე მაცივარზე გაქვს მადლობები მოსახდელი და არც მისი ხელით შეძენილ სუნამოებზე.

— მაგრამ ეს ხომ ბუნებრივია! რატომ უნდა ვიხადო მადლობები, როცა ის, ოჯახის უფროსის ფუნქციას ასრულებს. მეც ხომ იმას ვაკეთებ, რაც ჩემი მოვალეობაა!

— მაკო! ჩვენც ხომ იმას ვაკეთებთ, რაც გვევალება, სრულიად საქართველო, ერიც და ბერიც. ამ საკეთებელს მოლოდინი და მოთმინება დაუმატე, მადლობები, რომლებიც მთავრობას დაგებული ასფალტისა და იმ ელექტროენერგიისთვის უნდა ვუხადოთ, რომლის მოხმარებასაც, უფულობის გამო, ვერ ვახერხებთ და მიხვდები, რომ ერთი პატარა კუნჭული მაინც გაქვს იმისთვის, რომ ბედნიერი იყო. სჯეროდეს, რისიც სჯერა, შენს დათოს! რატომ იყენებ ძალას და რატომ ხარ აგრესიული, როდესაც მის რწმენას ვერაფერს აკლებ?

— მუდმივად სცდები თემას, მაგრამ ალბათ, ასე უფრო ადვილია ჩემთვის. იმაზე არ გიფიქრია, ამ რწმენის გაცრუებას რა შეიძლება მოყვეს?

— პრეზიდენტი რომ მოგვიკლეს, უამრავი ადამიანი განადგურდა მორალურად, მაგრამ ეს ხალხი ფეხზე დადგა. გადარჩენის ინსტინქტი ყოველთვის მაშინ მოდის, როდესაც ამის აუცილებლობა დგება.

საუბარი თითქოს ჩიხში მოექცა. ამიტომ, გაჩუმდნენ და მოიწყინეს. ანი აიბუზა და ფეხები სკამზე აკეცა, ნინი წამოდგა და ფანჯარასთან დადგა.

— მომენატრა დათო, — აღიარა მაკომ. — ისეთი მომენატრა, როგორიც მე მიყვარს...

— რა სისულელეა! ისეთი უნდა გიყვარდეს და გენატრებოდეს, როგორიც არის.

— არ იფიქროთ, რომ მართლა იმის გამო გამექცა, რომ მე სხვანაირად ვფიქრობ. ეგ არ არის მიზეზი. ალბათ დაიღალა.

პატარა ატირდა და მაკო საძინებელში გავიდა.

— არ გამოგვივიდა ვახტანგზე დარდი. სამაგიეროდ, დათოზე დავდარდიანდი. რა უბედურება იყო, ახალ წელს გაქცევა! — თქვა ანიმ.

ქუჩაში ხმაური გაისმა. ვიღაცას ცალი ხელი გამოეყო ფანჯრიდან და ოსტატურად ისროდა ჰაერში ფერად-ფერად ასაფეთქებლებს.

— ესეც ამ ამბის საახალწლო გირლანდა, — თქვა ოთახში შემოსულმა მაკომ, — ჩვენ ახლა სასტიკად გვეძინება, სასმელიც მოგვერია და მოგვთენთა. მაგრამ მაინც მეეჭვება, რომ დღევანდელი დღის ლოგიკური დასასრული, თუ გინდა — მოსართავი, ეს, ჰაერში გამსკდარი ფერადი „სალუტები“ იყოს! ჰო, ქართულად, რომ არ ვიცი, რა ჰქვია?..

ბავშვთან ოთახში შევიდნენ და ცოლქმრის საწოლზე ზემოდან მიეყარნენ ერთად, ისე, როგორც ადრე აკეთებდნენ ბავშვობის მეგობრები.

...დილით მაკოს პირველს გაეღვიძა. ალბათ, დედის ინსტინქტმა გამოაფხიზლა. დათო ფერხთით ეჯდა, ხელში თავისი მხოლოდშობილი ჩვილი ეჭირა და უღიმოდა. მაკო მიხვდა, რომ დათო არ იყო დაღლილი...

`imiT, rac `gzam~ gaakeTa, verc erTi televizia Tu presa ver daikvexnis~

„იქნებ, თავიანთ შვილებს მოაკლეს რაღაც და ჩემს შვილს დაეხმარონენ?!.“

„გზის“ №52-ში დაიბეჭდა სტატია, სათაურით — „დედა, მშია, ჩიჩი ინდა“, სადაც მოთხრობილი იყო პატარა ბიჭუნას, ნიკუშას შესახებ, რომელიც ცერებრალური დამბლითაა დაავადებული, მის მშობელს კი იმის საშუალებაც არ აქვს, რომ შვილი გამოკვებოს.

ლიკა ქაჯაია

შეგახსენებთ, ნიკუშა 11 წლისაა. მას არ შეუძლია მეტყველება, კონტაქტში ვერ შემოდის, ვერ ჯდება, თავს ვერ იჭერს, საჭმელს ვერ ღეჭავს. ამასთან, ხშირად ემართება კრუნჩხვები და ამ დროს, პატარას სჭირდება ისეთი პრეპარატი, რომელიც მდგომარეობიდან გამოიყვანს. თუმცა, ეს წამალი საკმაოდ ძვირი ღირს, ხოლო დედამისს — ნანა ლეჟავას (ნიკუშა მამამ 4 წლის ასაკში, მაშინ მიატოვა, როცა მიხვდა, რომ მისი შვილი ვერასდროს წამოდგებოდა ფეხზე) წამლის ფული კი არა, მისი გამოკვების საშუალებაც არ აქვს. პატარა ნიკუშას სჭირდებოდა ინჰალატორი, რათა მაშინ, როცა ცუდად გახდებოდა, ექიმების გამოძახება არ დასჭირვებოდათ (ესეც ხომ გარკვეულ თანხასთანაა დაკავშირებული). ჰოდა, კეთილშობილი ადამიანების დახმარებით, მის ოჯახს ეს პრობლემა აღარ აქვს.

ჩვენი სტატიის წაკითხვის შემდეგ, ლეჟავების ოჯახს ბევრი ადამიანი გამოეხმაურა. ისინი აღელვებულები მირეკავდნენ და პატარისთვის დახმარების სურვილს გამოთქვამდნენ. ზოგიერთი მათგანი მიბოდიშებდა კიდეც: „უკაცრავად, რომ დიდი თანხით ვერ ვეხმარები, მაგრამ ხელფასის ნახევარს მივცემო“. მინდა გითხრათ, რომ ბევრს არც პატარა ნიკუშა ითხოვდა და არც — დედამისი, ისინი მხოლოდ საკვებს გთხოვდნენ და მადლობა თქვენ, რომ კეთილშობილება გამოიჩინეთ და ამ ოჯახს დაეხმარეთ.

ამ წერილის დაბეჭდვიდან მეორე დღეს, ქალბატონმა ნანამ დაგვიმესიჯა:

„ჩემო ანგელოზო, პატარა ქალბატონო, მუხლმოდრეკილი ვდგავარ და მადლობას ისე გიხდით შენ, ჟურნალ „გზას“ და იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემი ნიკუშას გამო შეწუხდნენ. ხალხნო, თქვენ პატარა ნიკუშაც გლოცავთ. თითოეულ თქვენგანს უფალმა ის სიამოვნება არ მოაკლოს, რომელიც დღეს, ნიკამ განიცადა — მაშინ, როცა გამოეხმურნენ გემრიელი საკვებით და ინჰალატორით დაეხმარნენ. იცით, სენაკიდანაც კი დამირეკეს და შემპირდნენ: საახალწლო ნობათს გამოგიგზავნითო. ამ მესიჯს გწერთ დედა, რომელიც დღეებს თქვენს ლოცვაში დააღამებს“.

რამდენიმე დღის შემდეგ კი, ქალბატონმა ნანამ ასეთი რამ მოგვწერა:

„მუხლებზე დაჩოქილი ვდგავარ და ქედს ვიხრი ჯერ თქვენ წინაშე. რომ არა ეს სტატია და ჟურნალი „გზა“, პატარა ნიკუშასთვის არც ახალი წელი იარსებებდა და ამ დღეს მას ვერც ვერაფრით დავაპურებდი. რაც თქვენ მიერ დაწერილი სტატია დაიბეჭდა, მას მერე ნიკუშა სულ მხიარულობს. რატომ? — იმიტომ, რომ მაძღარია! ჩვენ ძალიან ბევრი ადამიანი შეგვეხმიანა და მათ დახმარების სურვილი გამოთქვეს. სიმართლე გითხრათ, ამ კეთილი ადამიანების დიდსულოვნებამ, კეთილშობილებამ შემძრა: ზოგმა ინჰალატორი მოუტანა, ზოგმა — წამლები, საკვები; ზოგიერთმა კი თავიანთი მცირე დანაზოგიდან ფული ნიკასაც უწილადა. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც არც თავად აქვთ იმდენი თანხა, რომ ფუფუნებით იცხოვრონ. ვინ იცის, იქნებ, თავიანთ შვილებს მოაკლეს რაღაც და ჩემს შვილს დაეხმარნენ?!. იცით, ფოთიდანაც კი შემეხმიანა ადამიანი, რომელიც თურმე, პატარა კაფეს თანამშრომელია და მატერიალური დახმარება გაგვიწია. მინდა, ისევ თქვენი მეშვეობით მივაწოდო ხმა ამ ადამიანებს და მადლობა გადავუხადო იმისათვის, რაც ჩემი შვილისთვის გააკეთეს. მე თითოეულ თქვენგანს ხელზე ვეამბორები და ვლოცავ. შეიძლება, ნიკა ბრმაა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის გულში ყველა იმ ადამიანს ლოცავს, ვინც მისი გასაჭირი გულთან მიიტანა, ეს კი მერწმუნეთ, იგივეა, რომ ანგელოზებმა დაგლოცონ და უფალი ამ სიკეთეს აუცილებლად დაგიფასებთ. დიდი სიყვარულით — დედა, რომლის პატარას ლამაზი დღეები აჩუქეთ. ხალხნო, მას აღარ შია! უფალი გფარავდეთ. ლიკა, იმით, რაც თქვენმა ჟურნალმა გააკეთა, ვერც ერთი ტელევიზია თუ პრესა ვერ დაიკვეხნის. ყველაფრისთვის დიდი მადლობა“.

ნინი, ბათუმიდან:

„მივმართავ ყველა ჩემს თანატოლს: ძალიან გთხოვთ, დავეხმაროთ პატარა ნიკუშას! თითოეულმა ჩვენგანმა თუნდაც, 2-2 ლარი რომ შეკრიბოთ, ამით ქალბატონ ნანას ცოტათი მაინც დავეხმარებით. ძალიან გთხოვთ, ბავშვებო, ვინც ბათუმში ვცხოვრობთ, შევხვდეთ ერთმანეთს და მცირედი თანხა შევუგროვოთ ამ ოჯახს. ასევე, გთხოვთ სხვა ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებლებს, თუ შესაძლებლობა გაქვთ, არ დაიზაროთ და სიკეთე გააკეთეთ. ერთი ადამიანისთვის 2 ლარი არაფერია, მაგრამ მას 100 ადამიანი თუ შეკრებს, 200 ლარი იქნება. დარწმუნებული ვარ, ამ სტატიას ძალიან ბევრი გამოეხმაურებით. უფალი გფარავდეთ, ყველას“.

პაწია:

„ლიკა, არ ვიცი, ამ მესიჯს დამიბეჭდავ თუ არა, მაგრამ შენი სტატიის წაკითხვის შემდეგ, ისე ცუდად გავხდი, რომ არ შემიძლია, არ მოგწერო. პატარა ნიკუშას ამბავმა შემძრა, თავი ვერ შევიკავე და ავტირდი. ცხოვრებაში პირველად დამწყდა გული, მდიდარი რომ არ ვარ და საკუთარი შემოსავალი რომ არ მაქვს. დავიჯერო, ამ სტატიას ის ადამიანები არ წაიკითხავდნენ, რომლებმაც არ იციან, ფული სად წაიღონ? ალბათ, კი. ნეტავ, ასეთ ამბებს თავისუფლად კითხულობენ, გულთან არაფერი მიაქვთ, მერე სხვა გვერდზე გადაფურცლავენ და არხეინად იწყებენ ანეკდოტების კითხვას? ნუთუ, როცა თავად დელიკატესებს მიირთმევენ, იმაზე არ ფიქრობენ, რომ ვიღაცას შია? რა მოხდება, პრეზიდენტობის კანდიდატებმა, მილიონებს რომ ხარჯავენ საკუთარი თავის პიარში, ერთი რეკლამით ნაკლები გაუშვან და ნიკუშასთვის მინიმუმი მაინც რომ გააკეთონ?.. მას შემდეგ, რაც ეს სტატია წავიკითხე, გული ისე დამიმძიმდა, მეგონა, ნიკა თავად ვიყავი და ძალიან მშიოდა. მაინტერესებს, სხვებმა რა იგრძნეს? ნეტავ, რას ფიქრობენ ის ადამიანები, რომლებსაც მისი დახმარება შეუძლიათ, მაგრამ არ ეხმარებიან? მაპატიე, ნიკა, შენი დახმარება რომ არ შემიძლია, მაგრამ მერწმუნე, შენთვის ყოველთვის ვილოცებ. უფალი მოწყალეა და ის აუცილებლად დაგეხმარება“.

ხათუნა ბახტურიძე

„ბუღი მიკვდება, ჩემი ეჯთადეჯთი შვილი საკუთარ სისხლს ჩოე ყიდის...“

5 იანვარს, 81 წლის ქალბატონი თავის დაწვას აპირებს

თამარ კაციაშვილი 5 წელია, რაც სანახევროდ დანგრეულ სახლში, ელექტროენერგიისა და გათბობის გარეშე ცხოვრობს. როგორც ქალბატონმა თამარმა გვითხრა, დახმარებისათვის ხელისუფლების წარმომადგენლებს რამდენჯერმე მიმართა, მაგრამ დახმარების მაგივრად, მხოლოდ დაპირებები მიიღო. მრავალგზის იმედგაცრუებული ქალბატონი ირწმუნება, რომ თუ მისი პრობლემები უახლოეს დღეებში არ მოგვარდება, 5 იანვარს, პროტესტის ნიშნად, თავს დაიწვავს.

— ქალბატონო თამარ, დახმარებისათვის კონკრეტულად ვის მიმართეთ?

— ვის აღარ მივმართე, შვილო. ნორიოს აღმართზე ვცხოვრობ. ჩემი ბინის გვერდით „ზაქსის“ ძველი, ცარიელი შენობა იდგა. 2000 წელს, მიწისძვრის შედეგად, ამ შენობას სახურავი ასძვრა და ჩემს სახლს დაეცა. ჰოდა, ნერვიულობის ნიადაგზე ინფარქტმა დამარტყა. რაღაც საბუთი მომცეს, იმის დასტურად, რომ ჩემი სახლი დაზიანებულია, მაგრამ ფინანსურად არ დამეხმარნენ. როგორც იქნა, 2004 წელს ცხრა ათასი ლარი გამომიყვეს, მაგრამ მხოლოდ სიტყვიერად, ჩემთვის ლარიანიც არავის მოუცია. ამის შესახებ, გიგი უგულავას წერილი მივწერე, იმან ვიღაც სხვას გადაუგზავნა, იმ სხვამ კი წერილი უკან გამომატანა და მითხრა: ამ პრობლემის მოგვარება ჩემი საქმე არ არისო. საბოლოოდ, საქმე ისე გამოიყვანეს, რომ თითქოს სახლს მირემონტებდნენ და მე კი ამაზე უარი ვთქვი. მთელი ჩემი ახალგაზრდობა იურისტად ვიმუშავე, „ულიკებიც“ მინახავს, 1937 წელიც მახსოვს, მაგრამ ასეთი ხულიგნობის მომსწრე ნამდვილად არასოდეს ყოფილვარ. ზუსტად არჩევნების დღეს, ჩემს სახლს ცეცხლს წავუკიდებ, მეც შიგნით გამოვიწვები და გვერდით მდგარ შენობებსაც გადავწვავ. აბა, ასეთ სიცოცხლეს რა აზრი აქვს?! „ფეჩიც“ რომ მაჩუქონ, ცეცხლს ვერ დავანთებ იმიტომ, რომ ბინაში ყველა მხრიდან ქარი უბერავს. ყველა „სიკეთესთან“ ერთად, შუქიც არა მაქვს — დავალიანების გამო გამითიშეს. პატარა გაზის „ბალონი“ მაქვს და ხუთ დღეში ერთხელ ვანთებ. ვიზოგავ, რომ დიდხანს მეყოს.

— შვილები არ გყავთ?

— ერთი ქალიშვილი მყავს. 30 წლის განმავლობაში, ტელევიზიაში მუშაობდა, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინ, რეორგანიზაციის შედეგად გაათავისუფლეს. ფიზიკურად შრომა არ შეუძლია და იმისათვის, რომ პურის ფული მაინც იშოვოს, საკუთარ სისხლს აბარებს. დედა ვარ და გული მიკვდება, ჩემი ერთადერთი შვილი, 30 ლარის გამო საკუთარ სისხლს რომ ყიდის. არადა, რა ქნას, ქვრივია და ორი ობოლი ჰყავს სარჩენი. ვიღას არ მივმართე დახმარებისათვის: გაჩეჩილაძესთანაც ვიყავი, დავითაშვილთანაც, მაგრამ მითხრეს, საშუალება არ გვაქვს და ვერ დაგეხმარებითო. დავით გამყრელიძესთან მინდოდა მისვლა, მაგრამ მასთან შეხვედრა საერთოდ ვერ მოვახერხე. ჯერ ოპოზიციის ლიდერია და ვერ ვნახულობ, ხელისუფლებაში რომ მოვიდეს, მერე მოიცლის ჩვენთვის? ერთხელ, საკრებულოში, ვინმე მოსიძესთანაც ვიყავი. ჩემი გასაჭირი რომ მოისმინა, მირჩია — ამ ხელისუფლების წარმომადგენლებს თავი დაანებეთ, ნუღარ უჩივით, თორემ ისეთები არიან, რაც შეგრჩათ, იმ სახლსაც დაგინგრევენ. მეც ისეთ დღეში ვარ, ჩემი ოთახიდან რომ გავდივარ, მეშინია, თავში არაფერი ჩამარტყანო. მოკლედ, მე დახმარება ვთხოვე, მან კი დამცინა. რა ენაღვლება, თვითონ ხომ ზის თბილ კაბინეტში, შუქიც აქვს, ტელევიზორიც და კომპიუტერიც.

— არჩევნებში მონაწილეობას თუ აპირებთ?

— არავითარ შემთხვევაში. ხალხის კეთილდღეობაზე არავინ ფიქრობს! ბადრი პატარკაციშვილის ოფისშიც ვიყავი. იქ დამაიმედეს, ორი თვე მატარეს აქეთ-იქით და მერე მითხრეს, ტყუილად ნუღარ მოხვალთ, ბატონი ბადრი ვერ დაგეხმარებათო... რამდენიმე დღის წინ, ტელევიზიით გამოუცხადებიათ, რომ თითქოს, სახელმწიფო სოციალურად დაუცველ ფენას ელექტროენერგიის დავალიანებას უხდისო (ესეც სხვამ მითხრა, თორემ მე ტელევიზორიც არ მაქვს, ინფორმაციას რომ მოვუსმინო). გამიხარდა, მივედი „თელასში“, მაგრამ რა... ყველაფერი ტყუილი ყოფილა. მითხრეს: ვალებს ვერ ჩამოგაწერთ, მაგრამ საახალწლოდ შუქს ჩაგირთავთო. რად მინდა შუქი, მხოლოდ ახალ წელს? ნუთუ ჰგონიათ, რომ მეც მაგათ მსგავსად მეზეიმება? 81 წლის ქალი ვარ და ჩემი ტოლები სიბნელეში კი არა, სინათლეშიც ველარაფერს ხედავენ. ერთხელ ფეხი რაღაც ნივთს წამოვკარი, დავეცი და მკლავი მოვიტეხე. „ჯი პი აის“ დაზღვევა მქონდა. მეგონა, მიმკურნალებდნენ, მაგრამ უარი მითხრეს. საბოლოოდ, რესპუბლიკურ საავადმყოფოში დამაწვინეს, სადაც პროფესიონალი ექიმების ნაცვლად, პრაქტიკანტები მკურნალობდნენ. მათაც, როცა გაიგეს, პატრონი არ მყავდა, სამ დღეში შინ გამომიშვეს.

— წამლის ვაუჩერი არ მოგცეს?

— კი მომცეს, მაგრამ რას მეყოფა? უამრავი წამალი გამომიწერეს. მარტო ერთი წამალი 28 ლარი ღირს. ამ ჩემი პენსიით რამდენს გავწვდე? თითქოს, პრობლემები მაკლდა, ახლა ისიც გამომიცხადეს: პენსიას რითიც იღებთ, ის პლასტიკური ბარათი უნდა გამოცვალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულს ვერ აიღებთო. ეს დალოცვილები ამდენს რატომ მაწვალებენ, ღმერთი არ სწამთ? ვერ ვხვდები, ამ ბარათის გამოცვლა რა საჭიროა? აქეთ-იქით სიარულისთვის არც ფიზიკური ძალა მყოფნის და აღარც — ფული. იქნებ, ვინმემ მაინც მირჩიოს, რამდენ რამეს „გავაწვდინო“ ეს ჩემი საცოდავი პენსია. ■

საბოლოოდ, საქმე ისე გამოიყვანეს, რომ თითქოს სახლს მირემონტებდნენ და მე კი ამაზე ქარი ვთქვი



ყველა „სიკეთესთან“ ერთად, შუქიც არა მაქვს — დავალიანების გამო გამითიშეს

ზუსტად არჩევნების დღეს, ჩემს სახლს ცეცხლს წავუკიდებ

ლიკა ქაჯაია

„ქალაქუჩი“ და „სოფლუჩი“ ახალი წელი

ახალი წლის დღეებში, 15 წლის ნინომ მომწერა მესიჯი, სადაც ის ამბობს, რომ ცხოვრებაში პირველად ინატრა ქალაქელობა. რატომ? — იმიტომ, რომ ახალ წელს ისე ვერ შეეგება, როგორც მისი ქალაქელი თანატოლები. მას მიაჩნია, რომ თბილისში სულ სხვანაირად ერთობიან. მესიჯის მოწერის შემდეგ, ნინომ დამირეკა და მთხოვა, თიკა ჯამბურიასთვის დამესვა კითხვა, თუ როგორ გაატარა მან ახალი წელი და ოდესმე თუ ჰქონია იმის სურვილი, რომ ამ დღესასწაულს სოფელში შეხვედროდა?

ნინო (სამეგრელოდან), *15 წლის:*

„პირველად ვინატრე, რომ სოფელში კი არა, ქალაქში ვცხოვრობდე. მართალია, ჩემი სოფელი ძალიან მიყვარს, მაგრამ აქ ყველაფერი სხვანაირადაა... მოკლედ, ახალ წელს ისეთი მოწყენილი ვიყავი, მეტი რომ არ შეიძლება და მშურდა იმ ადამიანების, რომლებიც განათებულ, თბილისის ბრჭყვიალა ქუჩებში დასეირნობდნენ. საახალწლო გადაცემებს კი ვუყურე, მაგრამ ეს 15 წლის მოზარდს ისეთ სიამოვნებას ვერ მიანიჭებს, როგორსაც ცეკვა და მეგობრებთან ერთად გართობა. ალბათ მკითხავთ — მერე, რამ შეგიშალათ ხელი, რატომ არ შეიკრიბეთ და არ იქეიფეთო? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენთან ისევ ტრადიციებს სცემენ პატივს და ამბობენ, რომ ახალ წელს ყველა თავის სახლში უნდა შეხვდეს; მეორეც, მაშინ ერთ-ერთი მეგობრის ოჯახში უნდა შევკრებილიყავით. ჩვენ შორის კი ისეთი მდიდარი არავინაა, რომ საკუთარ ოჯახში მივეწვიეთ და მესამე, ფულის შეგროვებაც გაგვიჭირდებოდა, რადგან ჩვენი მშობლები იმასაც კი ძლივს ახერხებენ, რომ სადღესასწაულო დღეებში თანხა შეაკოწიწონ და ხილი თუ ტკბილეული იყიდონ და მათ კიდევ ვეღარ შევაწუხებდით... როცა გავიზრდები, აუცილებლად ქალაქში გავთხოვდები. არა იმიტომ, რომ სოფელს ვიუკადრისებ, არამედ იმიტომ, რომ ჩემი შვილიც ჩემს სიტუაციაში არ აღმოჩნდეს. მინდა, მას მაინც გაუმართლოს და ამ ცხოვრებისგან მაქსიმალური სიამოვნება მიიღოს. ლიკ, იქნებ, თიკა ჯამბურია მოიწვიო და ის კითხვა დაუსვა, რომელიც მე გთხოვე... გკოცნით, გეხვევით და მთელ საქართველოს ვუღოცავ შობა-ახალ წელს“.

რა თქმა უნდა, ნინოს მესიჯს პასუხის გარეშე ვერ დავტოვებდით და ამიტომაც, „თინეიჯერულ პონტებში“ თიკა ჯამბურია მოვიწვიეთ.

— თიკა, როგორ ხარ?

— კარგად. ისევ საახალწლო განწყობილებაზე გახლავართ.

— ახალ წელს სად შეხვდი?

— მერიის წინ გამართულ კონცერტზე. მოგეხსენებათ, თითოეულმა მომღერალმა რეტრო-სიმღერა შეასრულა და გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ — მარიკა თხელიძესთან ერთად, სიმღერა „ანა-ბანა“ შევასრულე.

— შენს საახალწლო იმიჯზე ვინ იზრუნა?

— ყველა მომღერლის იმიჯზე დათუნა სულიკაშვილმა იზრუნა. მან ძალიან ლამაზი, ჟოლოსფერი კაბა შემიკერა. მერე, კასპში წავედი, სადაც ასევე კონცერტში მივიღე მონაწილეობა. როცა საქმეს მოვრჩი, მეგობრები შევიკრიბეთ და კარგად გავერთეთ.

— ყველაზე მეტად, რომელმა ახალმა წელმა დაგამახსოვრა თავი?

— ყველა ახალი წელი თავისებურად ლამაზი იყო. ასე რომ, ერთ-ერთი მათგანის გამოყოფა გამიჭირდება.

— როგორი იყო შენთვის 2007 წელი?

— რა ვიცი, მგონი, ჩვეულებრივი და არაფრით განსხვავებული.

— 2008 წლისგან რას ელი?

— ყველაფერ კარგს. იმედი მაქვს, რომ ის შემოქმედებითი თვალსაზრისით დატვირთული და აქტიური იქნება.

— ხომ არ იცი, სოფელში, ახალ წელს ბავშვები როგორ ეგებებიან და საერთოდ, როგორ ფიქრობ, ისინი მოკლებულნი არიან თუ არა იმ ყველაფერს, რითიც ქალაქში მცხოვრებ ბავშვებს შეგიძლიათ სიამოვნების მიღება?

— რა თქმა უნდა, ქალაქელ ბავშვებს გასართობად მეტი საშუალება აქვთ. მაგრამ წელს, ვიცი, რომ ყველა კუთხეში გაიმართა კონცერტი და დარწმუნებული ვარ, ისინიც კარგად იმხიარულებდნენ.

— ოდესმე, ახალი წლის ღამე ტელევიზორის ყურებაში თუ გაგიტარებია?

— როგორ არა და სხვათა შორის, ძალიან კარგად ვერთობოდი. სამწუხაროდ, 4 წელია, რაც საახალწლო გადაცემების ყურებას ვეღარ ვახერხებ, რადგან სულ კონცერტებში ვმონაწილეობ.

— შენ ამბობ: სამწუხაროდო...

— აბა, რა უნდა ვთქვა, როცა მართლა ასე ვფიქრობ?! ახალი წლის ღამეს ყოველთვის საინტერესო გადაცემებს უშვებენ.

— ახალი წელი სოფელში თუ გაგიტარებია?

— არა, არასოდეს.

— ამის სურვილიც არ გაქვს? არ გაინტერესებს, იქ როგორ ერთობიან შენი თანატოლები?

— კი, მაგრამ... მართალია, ახალ წელს ჩემს სოფელში არასდროს შევგებებივარ, მაგრამ ამ ჯადოსნურ ღამეს, სხვადასხვა რაიონში ვყოფილვარ და მიმაჩნია, რომ იქაც მშვენივრად ერთობიან.

— შობას სად და როგორ შეხვდები?

— არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია.

— ამ დღეს, სოფელში, შენი თანატოლები კარდაკარ დადიან და საშობაო სიმღერებს მღერიან, მასპინძელი კი მათ ხილით, ტკბილეულით და ხურდა ფულით ავსილდოებს. ამის შესახებ თუ გსმენია რაიმე?

— კი, როგორ არა?! ერთხელ წყნეთში ვიყავი. ჩვენს ჭიშკარს ბავშვები მოადგნენ და საშობაო სიმღერა შეგვისრულეს. მე კალათში ჩავაწყვე ხილი, კანფეტები და მათ გავუტანე.

— როგორ ფიქრობ, ასეთ ბავშვებს ხილი უფრო გაახარებს თუ ხურდა ფული?

— არ ვიცი, გააჩნია, ვინ რისთვის მღერის.

— შენ როგორ გგონია, რისთვის დადიან, საკუთარი სიამოვნებისთვის თუ იმის გამო, რომ მართლა უჭირთ და იმედი აქვთ, სიმღერით საკუთარ ოჯახში საშობაო სუფრას გაიმდიდრებენ ან გარკვეულ თანხას შეაგროვებენ?

— თან რაღაცებს შეაგროვებენ და თანაც — ერთობიან. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ამითაც შეიძლება სიამოვნების მიღება.

— თიკა, თოვლის ბაბუა მართლა არსებობს?

— ძალიან მინდა, რომ მისი არსებობის ახლაც მჯეროდეს, მაგრამ უკვე გავიზარდე (*იცინის*). ძალიან პატარა ვიყავი, როცა მას ჩემთვის საჩუქრები მოჰქონდა. სხვათა შორის, ის რამდენჯერმე თავადაც მესტუმრა, „სნეგურო ჩკუბთან“ ერთად. წელს, თოვლის ბაბუა შინ მე თვითონ მოვიწვიე, რათა ჩემი დისშვილები გამემხიარულებინა.

— წარმოიდგინე, ცხოვრობ სოფელში, სადაც მართალია, შუქი არის, მაგრამ ტელევიზორში არც ისე საინტერესო გადაცემებია. ასეთ შემთხვევაში, როგორ გაილამაზებდი ახალი წლის ღამეს? როგორ შეიქმნიდი სადღესასწაულო განწყობილებას?

— ყველა ჩემს მეგობარს დავპატიჟებდი და ერთად კარგად ვიმხიარულებდით: დილამდე ვიცეკვებდით და ვიხალისებდით.

— წარმატებებს გისურვებ და იმედია, მთელი წელი სადღესასწაულო განწყობილებაზე იქნები.

— დიდი მადლობა, „გზასაც“ იმავეს ვუსურვებ.

ანუ „მშურდა ადამიანების, რომლებიც თბილისის ბრჭყვიალა ქუჩებში დასეირნობდნენ“

გამოცდაურება

„ღმერთო ჩემო, უკვლანი თავის მოკვლაზე როგორ ფიქრობთ?“

„გზის“ №52-ში დაიბეჭდა 22 წლის გოგონას მესიჯი, რომელმაც თავისი გულისტკივილი სევდიანი გოგოს სახელით მოგვწერა. შეგახსენებთ, ის ამბობდა, რომ მშობლები ყურადღებას საერთოდ არ აქცევენ, მის ძმას კი თან ჰყვებიან. ამიტომაც, გოგონამ გადაწყვიტა, რომ ის მშობლებს არაფერში სჭირდებოდათ და სახლიდან წავიდა. სევდიანი ნათესავმა შეიფარა, მაგრამ როგორც ამბობს: „ხან მშიერია, ხან — მწყურვალი“. სამწუხაროდ, მან სამსახურიც ვერსად იშოვა: „ახალგაზრდა გოგო ვიხვეწები, რომ დამლაგებლად მამუშაონ, მაგრამ ყველა უარით მისტუმრებს“. ჰოდა, სევდიანი გოგო ახლა თავის მოკვლაზეც კი ფიქრობს.

„ამქვეყნად ყოველთვის არსებობს ისეთი ვიღაც, ვისთვისაც უნდა იცოცხლო“

ჩორი-ჩორი:

„გამარჯობა, ლიკა. სევდიან გოგოს მინდა ვუთხრა, რომ სიკვდილზე ფიქრს შეეშვას. დარწმუნებული ვარ, ამქვეყნად ყოველთვის არსებობს ისეთი ვიღაც, ვისთვისაც უნდა იცოცხლო. მაგალითად, მეგობრები. სევდიანო, შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებ და სიცოცხლის ხალისსაც დაგიბრუნებ. ჯერ მხოლოდ 22 წლის ხარ და ხელი არ უნდა ჩაიქნიო. მერწმუნე, ყველაფერი კარგი წინ გელის. ბედნიერებისთვის იბრძოლე! თუ სურვილი გაგიჩნდება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი“.

მაკუნა:

„სევდიან გოგოს მინდა მივმართო: ფერია, შენ შემოგევლე, მე ჩემი ოჯახით და მშობლებით კმაყოფილი ვარ, ისინი ჩემთვის და ჩემი ძმისთვის არაფერს იშურებენ, შეძლებისდაგვარად ცდილობენ, გული არ დაგვწყვიტონ. ფერია, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე გეუბნები, ჩამოდი იმერეთში და ჩემთან იცხოვრე. იცოდე, გელოდები. გაითვალისწინე, დიდი ხანია, იმაზე ვოცნებობ, რომ დაიკო მყავდეს. ჰოდა, ჩამოდი და გპირდები, მე, შენ და ჩემი ძმა დედმამიშვილებივით ვიცხოვრებთ. ძალიან მინდა, გაგიცნო. გთხოვ, დამიკავშირდი. მერწმუნე, თუ მესტუმრები, ძალიან გამახარებ. გელი გულით და სულით“.

უცნობი:

„საყვარელო, სულით ნუ დაეცემი და ცოდვას ნუ ჩაიდენ (თვითმკვლელობას ვგულისხმობ). გირჩევ, მოძღვარი აიყვანო. დამიჯერე, ის აუცილებლად დაგეხმარება. დაფიქრდი, ცხოვრება წინ გაქვს.“

თაკო:

„შენმა „ესემესმა“ გული მატკინა. ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ საიმისოდ, რომ ამდენი ტკივილის გადატანა შეძლო. ეკლესიაში შედი, ილოცე და უფალი აუცილებლად დაგეხმარება“.

ანასტასია, *13 წლის:*

„დაიკო, შენ შეცდომა დაუშვი, როცა სახლიდან წამოხვედი. მერწმუნე, არ უნდა წამოსულიყავი. ალბათ, მკითხავ: აბა, რა უნდა მექნაო? რა და მათ უნდა დალაპარაკებოდი და პასუხი მოგეთხოვა. მერე, ისინი თავიანთ ქმედებაზე დაფიქრდებოდნენ და ყველაფერი კარგად იქნებოდა. დაბრუნდი სახლში!“

მარუცა, *18 წლის:*

„სევდიანო გოგო, ნუ ინერვიულებ, ცხოვრება გრძელდება და მჯერა, ცოტა ხანში ყველაფერი კარგად გექნება. ჩემო კარგო, მშობლები თუ არა, ღმერთი აუცილებლად დაგეხმარება (ამ ცხოვრებაში უმთავრესი კი სწორედ ესაა)“.

მის რეალი:

„მიეცით სევდიანს ჩემი ნომერი და დავეხმარები“.

სოფო, *რუსთავიდან:*

„გამარჯობა, ლიკუშ. სევდიანი გოგოს მესიჯი რომ წავიკითხე, გული მომიკვდა. იცოდე, სიკვდილი არ გაბედო! ეკლესიაში მიდი და უფალი სწორ გზას გიჩვენებს. თუ სურვილი გაგიჩნდება, დამირეკე და ვიმეგობროთ“.

ნაზი ბებო:

„სევდიანო გოგო, მშობლები მეც ცუდად მექცეოდნენ. ძალიან ბევრი რამ გადავიტანე, მაგრამ ახლა ყველაფერს ვერ გიამბობ. შენზე პატარა ვიყავი, როცა უკვე 2 შვილი მყავდა და ქმარს გაშორებული გახლდით. მშობლები ყურადღებას არ მაქცევდნენ, მათ ჩემს ძმაზე ამოსდიოდათ მზეც და მთვარეც, ჰოდა... ღმერთს მივენდე, მან კი არ გამწირა. ბებო, გენაცვალე, მაგრად დადექი. შვილო, ახლა უკვე დიდი ბებია ვარ და ამ ცხოვრების რაღაც მეც მესმის. იცოდე, შენი ძმა მშობლებს ისეთ რაღაცას გაუკეთებს, რომ მათ შენი თავი სანატრელი გაუხდებათ. სხვათა შორის, ჩემს მშობლებსაც ასე დაემართათ. ჰოდა, მე მათ ყველაფერი ვაპატიე. ყველა მშობელს მოვუწოდებ: შვილებთან მიმართებაში დაფიქრდით და რამდენი შვილიც არ უნდა გყავდეთ, ყველას ერთნაირად მოეპყარით, თორემ ბოლოს, თქვენივე საქციელი სანანებელი გაგიხდებათ“.

სევდიანი, *18 წლის:*

„ლიკ, „გაუ“. სევდიანი გოგოს წერილი წავიკითხე და გული დამიმძიმდა. თუ თვითონაც თანახმა იქნება, მასთან სიამოვნებით ვიმეგობრებ. მინდა ვუთხრა: ჩემო კარგო, გული არ გაიტეხო, ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, რომლებიც დახმარების ხელს გამოგიწვდიან და მჯერა, მზე შენთვისაც გამოანათებს. რაც მთავარია, უფალი არ დაგივიწყებს და შენს წილ ბედნიერებას აუცილებლად გიბოძებს“.

უცნობი:

„ძალიან გთხოვ, თვითმკვლელობაზე აღარ იფიქრო. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და შეეცდები, დაგეხმარო. შენს მესიჯს ველი“.

ეშმაკუნა:

„თვითმკვლელობაზე არც იფიქრო, თორემ სამუდამო ტანჯვა გელის. გაუძელი ამქვეყნიურ ტკივილს და უფლის იმედი გქონდეს, მას ხომ ყველანი უზომოდ ვუყვარვართ. ღმერთს ებარებოდე“.

უცნობი:

„ამ გოგოს დახმარება ნამდვილად სჭირდება. ვარ 23 წლის, სამსახურით უზრუნველყოფილი. თუ სურვილი ექნება, შემიძლია, სამსახური შევთავაზო: სახლში მჭირდება დამლაგებელი (შვიდიდან რვა საათამდე). ფასზე შევთანხმდებით“.

გიო:

„ჩემო კარგო ადამიანო, პატარა ანგელოზო, შენი შესანიშნავად მესმის. ცოტა ხანი მოითმინე და ყველაფერი კარგად გექნება. ძალიან მინდა, ვიმეგობროთ. მოდი, მე — ძმა და შენ — და. შემეხმიანე. ლიკა, გთხოვ, სევდიან გოგოსთან როგორმე დამაკავშირე. დამიჯერე, რითიც შევძლებ, დავეხმარები“.

„შენ შეცდომა დაუშვი, როცა სახლიდან წამოხვედი...“

კიბო:

„ცხოვრებაზე ხელს ნუ ჩაიქნევ. შენს სახლში დაბრუნდი, მშობლებთან ერთად იცხოვრე და ისინი ყველანაირად გაამწარე, ანუ შეეცადე, შენს ძმაზე უკეთესი იყო“.

შაკირა:

„თვითმკვლელობაზე ფიქრიც კი არ გაბედო. გწამდეს, რომ შენს ბედის ვარსკვლავს მალე იპოვი და ის ცხოვრებას გაგიხალისებს. მშობლებს გულწრფელად დაელაპარაკე და ისინი აუცილებლად მიგიღებენ. შეუძლებელია, დედას შვილი არ უყვარდეს. იცოდე, მომავლის იმედი არ დაკარგო“.

გიორგი:

„ლიკა, გამარჯობა. ახლა წავიკითხე სევდიანი გოგოს მესიჯი და მისი დახმარების სურვილი გამიჩნდა. იქნებ, ამ გოგო-

„ჩამოდი იმედოთში და ჩემთან ისხოვრე“

ნას ტელეფონის ნომერი მომცე. მინდა, დავუკავშირდე. გპირდები, შევეცდები, რაღაცით მაინც დავეხმარო“.

უცნობი:

„გამარჯობა, ლიკა. გილოცავთ შობა-ახალ წელიწადს. მინდა, სევდიან გოგოს დავუკავშირდე, რადგან მისი დახმარება ნამდვილად შემიძლია. მე საკუთარი რესტორანი მაქვს და თან, სახლშიც მჭირდება ისეთი ადამიანი, რომელიც რაღაცებში დამეხმარება“.

მარი, *19 წლის:*

„რა გირჩიო, როცა მეც ანალოგიურ სიტუაციაში ვარ? მეც მინდა მუშაობის დაწყება, მაგრამ სამუშაო ვერსად ვიშოვე. თუმცა, იმედი ბოლოს კვდება. წარმატებებს გისურვებ!“

თათა:

„ჩემო კარგო, იმედს ნუ დაკარგავ და საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა მეორედ არც გაიფიქრო. მომავალში ღმერთი გადმოგხედავს და დაგეხმარება. დამიჯერე, ეს მართლაც ასე იქნება.“

მარიამი:

„გილოცავთ შობა-ახალ წელს. მინდა, სევდიან გოგოს გამოვეხმაურო: ჩემო კარგო, იცოდე, ნებისმიერი სირთულის დაძლევა შეიძლება. გახსოვდეს, უფალი მუდამ ჩვენთანაა და ის ყველაფერში დაგვეხმარება. თუ სურვილი გაქვს, შემეხმიანე და სამსახურის შოვნაშიც დაგეხმარები“.

ბაბაჩკა:

„ღმერთო ჩემო, ყველანი თავის მოკვლაზე როგორ ფიქრობთ? დამიჯერეთ, ცხოვრება ომია და მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დანებდე, თორემ... სევდიანო გოგო, გთხოვ, დამიკავშირდი, შენი გაცნობა ძალიან მინდა. გპირდები, ყველანაირად შევეცდები, დაგეხმარო. აბა, შენ იცი, გელოდები“.

გვანცა, *18 წლის:*

„სევდიანო, შენმა ამბავმა საკუთარი თავი გამახსენა. მეც თითქმის იმავე სიტუაციაში ვიყავი, მაგრამ ახლა, ყველაფერი კარგადაა. ასე რომ, საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, ახლა რა ცუდ დღეშიც ხარ და ამიტომაც, მინდა დაგეხმარო: შემიძლია, შენც დაგაწყებინო მუშაობა იქ, სადაც თავად ვმუშაობ. თუ ჩემთან დაკავშირებას საჭიროდ მიიჩნევ და ჩემი მხარდაჭერა ნამდვილად გჭირდება, ჩემი ნომერი ლიკას გამოართვი და დამიკავშირდი. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნება, უფალი არ გაგვწირავს“.

კესო, *14 წლის:*

„იცი, ალბათ, ყველაფერს აჯობებს, თუ შინ დაბრუნდები, მშობლებს დაელაპარაკები და ჰკითხავ: რატომ იჩენენ შენ მიმართ ნაკლებ ყურადღებას? იმედია, პასუხს გაგცემენ და ეს ნამდვილად დაგაწყნარებს“.

სალი, *17 წლის:*

„საღამო მშვიდობისა. გილოცავთ შობა-ახალ წელს. მინდა, სევდიანს გამოვეხმაურო: ამ ცხოვრებაზე ხელს ნუ ჩაიქნევ და ერთი წუთითაც აღარ იფიქრო თავის მოკვლაზე. შენ გგონია, სიკვდილი შვებას მოგიტანს? პირიქით, ჯოჯოხეთში მოხვდები და უფრო დაიტანჯები... მართალია, ასაკით შენზე პატარა ვარ, მაგრამ მაინც, გირჩევ, ეკლესიაში წადი, მოძღვარი აიყვანე და შვებას იგრძნობ. პატივისცემით“.

მორიელი:

„მეც შენს დღეში ვარ, მშობლები მეც არაფრად მაგდებენ, მაგრამ ყველაფერს ვითმენ. გისურვებ ბედნიერებას და გამძლეობას. უფალი გფარავდეს“.

„დედა, არ იდარდო, შენ ისინი ვერასდროს გაჯობებენ!“

ხატია, *16 წლის:*

„მოგესალმებით. მე ხატია ვარ, 16 წლის. მინდა, ჩემი ტკივილი გაგიზიაროთ. არ ვიცი, ამ მესიჯს რომ გიგზავნით, სწორად ვიქცევი თუ არა, მაგრამ მეტის მოთმენა და ატანა აღარ შემიძლია. ერთი ჩვეულებრივი, ლამაზი ოჯახი მქონდა. ჩემს მშობლებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. ჩემი დედიკო რელიგიური ქალი გახლდათ და ეკლესიაში ხშირად დადიოდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ უფლის რწმენა სულ სხვა რწმენაში გადაეზარდა, რის გამოც ყველამ დაცინვა დაუწყო. სწორედ ის ადამიანები (მაზლისშვილებს ვგულისხმობ) დასცინოდნენ, ვისაც ზრდიდა და თან ჰყვებოდა. არავინ უფასებს იმ სიკეთეს, რასაც დედიკო მათ მიმართ იჩენდა და სულელსაც კი ეძახიან. ბევრჯერ, მისი მისამართით ისეთი სიტყვები უთქვამთ, რომ ატირებული შინ გამოვქცეულვარ. მამაჩემს საკუთარი რძალი და ძმისშვილი ცოლის წინააღმდეგ ამხედრებენ და აქეზებენ, ცდილობენ, მამაჩემი გააგიჟონ, რათა მან დედიკოსთან იჩხუბოს. როცა ჩემი მშობლები კამათობენ, მე მათ შორის ვდგები და მამაც, ხელის გარტყმისგან თავს იკავებს. ახლა დედა ძალიან ცუდადაა (ავადმყოფობს) და ეს ტკივილი ცალკე ტანჯავს... ბიცოლაჩემი მეც ისეთ რაღაცებს მეუბნება, რომ... ის ყოველთვის მაგრძნობინებდა, მამაშენს ოჯახში კაცის ადგილი არ უკავიაო. ალბათ, მას ძალიან უნდა, რომ მამამ ავადმყოფ ქალს ცემით სული ამოხადოს, მაგრამ რატომ, ეს ნამდვილად არ ვიცი... იმიტომ, რომ ჩემს მშობლებს ასე დასცინიან, ზოგჯერ სიკვდილზეც ვფიქრობ, მაგრამ თავს დედაჩემის გამო ვიკავებ — არ მინდა, მის სიცოცხლესაც ნაადრევად მოვუღო ბოლო... ამ ყველაფერზე ხშირად ვფიქრობ და ვამბობ: რატომ? რატომ, ღმერთო? რატომ უნდა დამართოდა ეს ყველაფერი ჩემს დედიკოს, რომელსაც სიკეთის გარდა, არასდროს არაფერი უკეთებია. ყოველი მხრიდან შეურაცხყოფასა და დამცირებას ვგრძნობ. საკუთარი მეგობრებიც კი არ მინდობენ. დღეებს ტირილში ვატარებ და თან, ღმერთს შევჩივი: უფალო, რატომ დაუშვი ასეთი რამ და რატომ მატკინე გული? იმაზეც დავფიქრებულვარ, თუ რატომ ვერ იტანს ბიცოლაჩემი დედაჩემს... ახლა ვხვდები, ალბათ, მას დედაჩემის ქალობის და ადამიანურობის ყოველთვის შურდა. დედიკოზე ხომ ყველა ამბობდა: ასეთი ქალი მთელ დედამიწაზე არ დადისო. ჰოდა, ეტყობა, ბიცოლას შური და ბოღმა ამოძრავებს და გესლს ამიტომაც ანთხევს. 16 წლის ვარ და უკვე იმდენი ტკივილი მომაყენეს, რომ ამქვეყნად აღარაფრის მჯერა. ნუთუ, არ შეიძლება, რომ ყველაფერი შეიცვალოს და ისევ ისეთი ლამაზი, ბედნიერი ოჯახი მქონდეს, როგორიც ადრე გვქონდა?.. დედა, არ იდარდო, შენ ისინი ვერასდროს გაჯობებენ! ამას მე გეუბნები, შენი ხატი. ამ სიტყვებს რომ ვწერ, მერწმუნეთ, ცხარე ცრემლებით ვტირი. მეგობრებო, მირჩიეთ რამე და დამეხმარეთ. გთხოვთ“.

P.S. თუ ხატიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მას თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

დასაწყისი იხ. გვ. 8

— ვფიქრობ, ყველაზე იღბლიანი მაინც სააკაშვილია, იმიტომ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ის გაიმარჯვებს. ამავე დროს მინდა აღვნიშნო, რომ ეს წელი ყველაზე უიღბლო, „ნაციონალური მოძრაობისთვის“ იყო. ამ პარტიის ლიდერებმა საზოგადოების აგრესია გამოიწვიეს, სწორედ ამიტომ აღმოჩნდნენ კულისებს მიღმა. თქვენი ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ ძალზე მნიშვნელოვან ფაქტზე: ოპოზიციამ სერიოზულ გამარჯვებას მიაღწია, ერთმანეთს დააშორა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, რაც იმას ნიშნავს, რომ რეიტინგული პრეზიდენტი აბსოლუტურად არარეიტინგულ პარტიას ვეღარ გაამარჯვებინებს. დღეს სააკაშვილს ოპონენტებისაგან, „გაკაპარჩხებული“, გაავებული და უცოდინარი თანაგუნდელები იცავენ, რაც მის იმიჯზე ცუდად მოქმედებს. მთელ საპარლამენტო უმრავლესობაში ერთადერთი ჭკვიანი მოპაექრე, გიგა ბოკერიაა. მართალია, ის ხალხს არ მოსწონს, მაგრამ ნამდვილი საპარლამენტო მებრძოლია. ძალიან გამაოცა მაია ნადირაძის განცხადებამ, — ქვეყანა ომის პირობებშია და ასეთ დროს არჩევნების ჩატარება არ შეიძლებაო. ისტორიკოსის ოჯახში გაზრდილმა ის მაინც არ უნდა იცოდეს, რომ რუზველტი უკანსკნელად, ომის დროს აირჩიეს?!. ძალიან მაშინებს პოლიტიკური ელიტის დაბალი ინტელექტი. მოხარული ვარ, რომ სააკაშვილმა არჩევნები დანიშნა. მან შეცდომა მაშინ დაუშვა, როდესაც გამარჯვების შემდეგ, „ნაცმოძრაობა“ ახალი სისხლით არ შეავსო, როდესაც აქცენტი თანამებრძოლებზე გააკეთა და არა თანამოაზრეებზე. ოქრუაიშვილი, დავითაშვილი, ბერძენიშვილები — მისი თანამებრძოლები იყვნენ და არა — თანამოაზრეები, ამიტომაც აღმოჩნდენ ბარიკადების მეორე მხარეს.

— წლის ბოლოს საზოგადოების განსჯის საგანი ის ფაქტი გახდა, რომ სააკაშვილს ერთ-ერთ ამომრჩევლთან შეხვედრისას, გული აუჩუყდა და იტირა. თქვენ თუ გჯერათ მისი ცრემლების?

— მერწმუნეთ, სააკაშვილი ძალზე ემოციური და „გულუბრყვილოდ გულწრფელია“. ეს მე პირადად გამომიცდია მასთან ურთიერთობისას. ხშირად მიფიქრია კიდეც, — კაცი ამდენი ხანია, პოლიტიკაშია, განათლება ამერიკასა და ევროპაში აქვს მიღებული და ასეთი გულუბრყვილო როგორ არის-მეთქი?!. ჩემი აზრით, მას პოლიტიკოსობისთვის საღი ცინიზმი და გარემოცვისადმი ჯანსაღი უნდობლობა აკლია. მგონი, სააკაშვილი ღრუბლებიდან ჩამოფრინდა და ახლა იმასაც მიხვდება, რომ პოლიტიკაში მუდმივი მეგობრები არ არსებობენ, ამ სფეროში მხოლოდ დროებითი მოკავშირეები არიან. 6 წლის წინ ყველაზე კოშმარულ სიზმარშიც ვერ ნახავდა იმას, რომ ოქრუაშვილი მისი მთავარი მოწინააღმდეგე და დაუძინებელი მტერი გახდებოდა. აღარაფერს ვამბობ დავითაშვილზე...

— ბატონო რამაზ, წლის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს შორის, ყველაზე მნიშვნელოვნად რას მიიჩნევთ?

— ჩემი აზრით, ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა. ასეთი რამ საქართველოს ისტორიაში არცთუ ისე ხშირად ხდება. 2007 წელს მოხდა ის, რაც ადრე არასოდეს მომხდარა: ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა თითქმის თანაბარი შანსების მქონე პრეზიდენტობის კანდიდატები შესთავაზა ამომრჩეველს და ამით, ქართული პოლიტიკური კულტურა მაღალ საფეხურზე აიყვანა. ადრე, როგორც წესი, ერთი ფავორიტი ლიდერი იყო, დანარჩენები უბრალოდ, ფონს ქმნიდნენ. დღეს ფავორიტების რიცხვი გაცილებით მეტია.

— როგორ ფიქრობთ, რომელი პოლიტიკოსისთვის იყო ყველაზე უიღბლო შარშანდელი წელი?

— იღბლიანებიც და უიღბლოებიც, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის უნდა ვეძებოთ. ჩემი აზრით, ყველაზე იღბლიანი — ლევან გაჩეჩილაძეა: ეს ადამიანი ბოლო დროს, პოლიტიკისგან უკვე ძალზე შორს იდგა, მაგრამ სულ რაღაც ორი თვის განმავლობაში, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შუაგულში აღმოჩნდა და საკმაოდ მაღალი რეიტინგის საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა. ყველაზე უიღბლოდ ჩაითვლება ადამიანი, რომელიც აქამდე მოვლენების ეპიცენტრში იდგა, მაგრამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იძულებული გახდა, თანამდებობა დაეტოვებინა და სასწორზე დაედო საკუთარი პრეზიდენტობა.

— როგორ ფიქრობთ — 5 იანვარს სააკაშვილი ვერ გაიმარჯვებს?

— სოციოლოგიურ გამოკითხვებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, 5 იანვარს ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიაღწევს 50-პროცენტიან ბარიერს. მეორე ტურში კი, სავარაუდოდ, ლევან გაჩეჩილაძე და მიხეილ სააკაშვილი გავლენ.

— ვის მიიჩნევთ წლის სკანდალურ ფიგურად?

— თავიდან, ირაკლი ოქრუაშვილი იყო, მაგრამ ბოლოს, ბადრი პატარკაციშვილმა გადააჭარბა. მისი პოლიტიკაში მოსვლა თავიდანვე სკანდალურად დაიწყო. მართალია, ხელისუფლებამ ის ბევრ გაუგებრობაში გახვია, მაგრამ სიმართლე რომ ვთქვათ, ამ ყველაფერში მასაც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის.

ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ვადამდელი არჩევნების დანიშვნა

— როგორ ფიქრობთ — 2007 წელს მან საკუთარი თავის ლუსტრირება მოახდინა?

— მიჭირს ამის თქმა. ჩვენ ვიცით, რომ სიტყვა „ლუსტრაცია“ ნიშნავს სხვა ქვეყნის ინტერესების დაცვას საქართველოში. ასეთი ბრალდების დასამტკიცებლად, ის მასალები საკმარისი ნამდვილად არ არის, რაც ხელისუფლებას დღეს აქვს.

— თქვენი აზრით, შარშან დაწყებული მოვლენები წლეულს როგორ განვითარდება?

— 5 იანვარს საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგად ვინც არ უნდა აღმოჩნდეს ხელისუფლებაში, ქართველ ხალხს ძალზე მძიმე წლის გადაგორება მოუწევს.

— რატომ?

— შარშან მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ ამ ყველაფერს გაგრძელება უეჭველად მოჰყვება. ეკონომიკა ძალზე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდება, იმიტომ, რომ საარჩევნო კამპანიისთვის გაწეული ხარჯები ბიუჯეტს სერიოზულ ზარალს მიაყენებს.

— თუ შეგიძლიათ გაიხსენეთ რაიმე სასიამოვნო ფაქტი, რომელიც 2007 წელს მოხდა?

— მართალია, ნოემბრის მოვლენები მძიმე გასახსენებელია, მაგრამ სასიამოვნოდ გასახსენებელი გახლავთ ის, რომ საბოლოოდ, დაძაბულობა მოიხსნა, მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილების წყალობით.

— რას გულისხმობთ?

— ვგულისხმობ იმას, რომ სააკაშვილმა გადაწყვიტა, დაენიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რაც მის პოლიტიკურ სიმწიფეზე მეტყველებს. პრეზიდენტის მხრიდან ასეთი ნაბიჯის გადადგმა ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში მართლაც, კარგი სიახლეა.

— და ბოლოს — რას უსურვებთ ქართველ ხალხს?

— ქართველ ხალხს ვუსურვებ, ჩვენი სამშობლო ისეთი ქვეყნების რიგში ჩამდგარიყოს, სადაც მოსახლეობას არ ახსოვს — ვინ არის მისი პოლიტიკური ელიტა... ■

ბულბრიყვილი კრიმინალები

იყო პოლიციელი — იოლი საქმე არ გახლავთ. თუმცა ზოგჯერ, გამუდმებით ხიფათისა და სასიცოცხლო რისკის წინაშე მყოფ სამართალდამცველებს საქმეს ისევ კრიმინალები უმარტივებენ. „არაპროფესიონალიზმის“, გამოუცდელობისა თუ უბრალოდ, გონებასუსტობის გამო, ზოგიერთი ახალბედა კრიმინალი ციხისკენ მიმავალ გზას, გამომძიებლების ნაცვლად, თავადვე იკაფავს... სია, რომელსაც ამჯერად გთავაზობთ, სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელმა „ოპერებმა“ შეადგინეს და 2007 წლის მანძილზე ყველაზე დაბნეული დამნაშავეების, 10 ყველაზე სულელურ შემთხვევას მოუყარეს თავი...

მეგი ცანავა

1. ლატარიის ქურდმა თავი დაიწვა

რომი, 2007 წლის 2 ივნისი

საყოფაცხოვრებო მაღაზიის ქურდმა გაქცევა მოახერხა, მაგრამ მარკეტში დაცვის სამსახურის მიერ დამონტაჟებულმა ვიდეოთვალმა უჩვეულო ამბავი დააფიქსირა. ახალგაზრდა მამაკაცი მაღაზიაში გამთენიისას შეიპარა, თუმცა სანამ დახლიდან ან სალაროდან რაიმეს აიღებდა, უცნაური რამ მოიმოქმედა. როგორც ჩანს, წინასწარ საგანგებოდ მომზადებულ ჭურჭელს თავი მოხადა და მარკეტის იატაკზე სითხე (როგორც შემდეგ გაირკვა, ნავთი) გულდასმით, ყველა კუთხეში მოასხა. შემდეგ სანთებელი აანთო და იქაურობას ცეცხლი წაუკიდა. რამდენიმე წამში, ალი მთელ იატაკს მოედო და მალე დახლებსაც მისწვდა. იქაურობა კვამლში გაეხვია, მაგრამ ვიდეოთვალზე მაინც კარგად დაფიქსირდა, თუ როგორ აიტაცა დახლიდან, თავადაც ცეცხლის ალში გახვეულმა ბოროტმოქმედმა ლატარიის ბილეთების შეკვრა და გაუჩინარდა... მაღაზიიდან მას სხვა არაფერი წაუღია. ხანძარი უმალვე შეამჩნიეს და რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე სახანძრო სამსახური და პოლიცია გამოცხადდნენ. ცეცხლი ჩააქრეს, სამართალდამცველები კი სავარაუდო ეჭვმიტანილს დამახასიათებელი ნიშნებით — სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებების მიხედვით (სახის, კისრისა და მაჯის დამწვრობებით) ეძებდნენ.

2. გისოსებში გაჯედილი კრიმინალი

ტეხასი, 2007 წლის 8 ივნისი

დილაადრიან, ჩვეულებრივად სამსახურში მიმავალმა რესტორნის მებუფეტემ თავისი სამსახურის წინ დამონტაჟებულ გისოსებში საეჭვო ფიგურა შენიშნა. კარგად რომ დააკვირდა, დაინახა, რომ რესტორნის გისოსებში, დაახლოებით მეორე სართულის სიმაღლეზე ადამიანის ფეხები გაჩრილიყო. 45 წლის ბილი ჯორდანი რესტორნის გაძარცვას თავისებური მეთოდით აპირებდა. გადაწყვიტა, „ობიექტზე“ შუაღამეს გასულიყო, ჯერ გისოსებზე, იქიდან — წყლის სადინარ მილზე აცოცებულიყო და ასე, უახლოესი ფანჯრიდან შენობაში შეპარულიყო. მისდა საუბედუროდ, გისოსები საკმაოდ მოუხერხებელი და ამასთანავე, ვიწრო აღმოჩნდა. საკმაო სიმაღლეზე აცოცებულს, მოულოდნელად, მასში ფეხები გაეჭედა და მთელი 10 საათის განმავლობაში, იმ ადგილიდან ველარ დააღწია თავი. უბედურ დღეში ჩავარდნილი ბოროტმოქმედი ამ გაჭირვებიდან ისევ სამართალდამცველებმა იხსნეს. მებუფეტემ, რა თქმა უნდა, მაშინვე ზომებს მიმართა და პირველ რიგში, პოლიციას დაურეკა. მათთან ერთად, შემთხვევის ადგილზე გამოძახებულმა, სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა სპეციალური იარაღით გისოსები გააფართოეს და გაჭედილი კრიმინალი მრავალსაათიანი ტანჯვისგან გაათავისუფლეს. თუმცა, არა იმისთვის, რომ ის, ბედნიერი და თავისუფალი, შინ წასულიყო. რესტორნის გისოსებიდან ჯორდანმა ტეხასის საპყრობილის გისოსებში გადაინაცვლა... სამართალდამცველებმა მას ძარცვის მცდელობის მუხლი წაუყენეს და წინასწარი პატიმრობაც შეუფარდეს...

3. „ურყევი“ ბანკომატი

ტოკიო, 2007 წლის 27 ივლისი

ბოროტმოქმედმა მოპარული ავტომანქანა ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურთან ხმაურიანად დაამუხრუჭა... იმისთვის, რომ ორ თანამზრახველთან ერთად, მორიგი დანაშაული ჩაედინა. ამჯერად, ბანდიტებს სადგურთან დამონტაჟებული ბანკომატის დაყაჩაღება ჰქონდათ მიზნად დასახული. იმის გამო, რომ გახსნას ვერ შეძლებდნენ, მისი მთლიანად ადგილიდან მოგლეჯა გადაწყვიტეს. საამისოდ, სპეციალურად მომზადებული თოკი მოიმარჯვეს და დანადგარს რამდენჯერმე შემოახვიეს, შემდეგ, თოკის მეორე ბოლო ავტომანქანას გამოაბეს და დიდი სისწრაფით დაძრეს. მანქანა კი მოსწყდა ადგილს, მაგრამ ბანკომატს ძვრა ვერ უყო... როგორც ჩანს, კრიმინალები მსგავსი საბანკო აპარატურის მონტაჟისა და უსაფრთხოების საკითხებში მაინცდამაინც ვერ ერკვეოდნენ... იქაურობა ხელცარიელებმა დატოვეს, ბანკომატი კი მეორე დღესაც მწყობრში იყო და ჩვეულებრივად მუშაობდა.

4. მამლისფორმიანი ყაჩაღი

ლონდონი, 2007 წლის 13 აგვისტო

პოლიციის ინფორმაციით, კეისი კეზიმ ალკოჰოლური სასმელების მაღაზიის დაყაჩაღება უჩვეულო ფორმაში გამოწყობილმა გადაწყვიტა. შეშფოთებული თანამშრომლების თქმით, მას სახე მთლიანად წებოვანი ლენტით ჰქონდა დაფარული, ხოლო ტანზე მამლისკუდიანი ფორმა ეცვა. ბანდიტს, რომელიც შეშლილს უფრო ჰგავდა, მაღაზიის მენეჯერი ბეისბოლის ბიტით გამოუდგა. დანარჩენმა თანამშრომლებმა ის მარკეტის მოპირდაპირედ მდებარე ავტოსადგომთან მიიმწყვდიეს და გამოძახებული პოლიციის გამოჩენას დაელოდნენ. შემთხვევის ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა კრიმინალს ჯერ ფორმაში გამოწყობილს გადაუღეს სურათები, შემდეგ კი სახიდან ნიღაბი მოაშორეს და ისე დააფიქსირეს ფირზე. დაკავებულმა დაკითხვისას აღნიშნა, რომ მომხდარი ფაქტის შესახებ არაფერი ახსოვდა. მას გამოკვლევაც ჩაუტარდა, მაგრამ დადგინდა, რომ არც ალკოჰოლური, არც ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ არ იმყოფებოდა.

5. აგრესიული თინეიჯერები და დატოვებული სამხილი

ინგლისი, ედლინგტონი, 2007 წლის 6 სექტემბერი

პიტერ ედისონი და მისი მეგობარი მარკ რიდვეი ქალაქის გარეუბანში მდებარე, ბავშვთა ბანაკის ადმინისტრაციული შენობის დასარბევად გაემართნენ. ჯერ ჭურჭელი და სხვა ინვენტარი დაამსხვრიეს, ცეცხლჩამქრობები ჩამოგლიჯეს და მიმოყარეს, შემდეგ, კედლებზე უხამსი წარწერები და ნახატები დატოვეს. წარწერებს შორის, ერთი ასეთიც ერია: „აქ პიტერ ედისონი იყო!“ შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ სახელი და გვარი მაშინვე ჩაიწერა და ბოროტმოქმედის ადგილსამყოფელიც რამდენიმე წუთში დაადგინა. ორივე თინეიჯერი დამნაშავედ ცნეს და ზარალის ანაზღაურებაც დააკისრეს. გარეტ ვუდსი, რაიონის ინსპექტორი: „მრავალწლიანი მუშაობის მანძილზე, პრაქტიკაში პირველად გადავაწყდი ფაქტს, როცა დამნაშავემ ასეთი სამხილი დატოვა და საკუთარი გვარი დანაშაულის ადგილზე დაწერა“.

6. მან პოლიციელი ვერ შენიშნა

პარიზი, 2007 წლის 7 სექტემბერი

21 წლის ლუკ რუბენმა მეტროპოლიტენის სალაროს დაყაჩაღება განიზრახა და საამისოდ, საგანგებოდაც მოემზადა. თუმცა, „საქმეზე“ წასული, ბოლო მომენტში დაიბნა და დანაშაულის ჩადენას პოლიციელის თვალწინ შეუდგა. აზარტში შესულმა ბოროტმოქმედმა მოლარეს ფული მოსთხოვა და დანითაც დაემუქრა, მაშინ, როცა მის გვერდით მდგარ პოლიციელს იარაღის ლულა უკვე მისკენ ჰქონდა მიმართული და დანებებას სთხოვდა. ჟან მურეი, პოლიციელი: „არ ვიცი, რატომ ვერ შემამჩნია, მის გვერდით ვიდექი და პოლიციელის ფორმაც მეცვა...“

7. ორი დანაშაული ერთი „აღიარებისთვის“

ჟენევა, 2007 წლის 13 სექტემბერი

29 წლის ვინსენტ ესტრადამ ავტომობილი პირდაპირ სადგომიდან გაიტაცა. სამართალდამცველების მანქანა მას პოლიციის ერთ-ერთ განყოფილებასთან წამოეწია. ისიც შენიშნეს, რომ დამნაშავემ სწორედ განყოფილებასთან შეანელა სიჩქარე. დაკავებულმა ესტრადამ ახსნა, რომ თავადაც პოლიციაში მიდიოდა. როგორც გაირკვა, მის წინააღმდეგ, ოჯახურ დავასთან დაკავშირებით, სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა, რომელზე გამოცხადებასაც ესტრადა მრავალი თვის მანძილზე თავს არიდებდა. ამის გამო, მას პოლიცია ეძებდა. იმ დღეს ესტრადამ თურმე აზრი შეიცვალა და განყოფილებაში საკუთარი ფეხით მისვლა გადაწყვიტა. თუმცა, ამ ნაბიჯის გადასადგმელად, კიდევ ერთი დანაშაულის ჩადენა დასჭირდა...

8. ძილისგუდა ბოროტმოქმედი

ლივერპული, 2007 წლის 17 სექტემბერი

ჩვეულებრივ, ბოროტმოქმედი „საქმეზე“ მაშინ გადის, როცა სახლის პატრონი შინ არ იმყოფება ან კიდევ, სძინავს... ამჯერად, როლები შეიცვალა... 24 წლის მარკ სმიტი, ჰიტერ სტივენსონის სახლში ერთ საღამოს შეუმჩნევლად შეიპარა, დიასახლისს, რომელიც იმ მომენტში ოთახში აუთოებდა, გვერდით „წარმატებით“ ჩაუარა და საძინებელშიც შეიპარა. უეცრად, ხმაური რომ გაიგონა, შეშინებული — ალბათ, დიასახლისი აქეთ მოდისო, — საწოლის ქვეშ შეძვრა და დაიმალა... ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში მიყუჩებულს, ძილიც მოერია და... როცა გონს მოვიდა, დაინახა, რომ რამდენიმე სამართალდამცველი თავზე ადგა და ნჯღრევა-ნჯღრევით მის გაღვიძებას ცდილობდა... გაირკვა, რომ კრიმინალისთვის ამ ფრიად უხერხული და უსიამოვნო სიტუაციის მიზეზი, იმ დღესაც მიღებული ერთი ბოთლი არაყი იყო. სასამართლო პროცესზე მან დანაშაული აღიარა, სასჯელის ზომად კი, 18 წლით თავისუფლების აღკვეთა დაიმსახურა.

9. „გამინაღდე მილიონი დოლარი!“

ჩიკაგო, 2007 წლის ნოემბერი

ასეთი მოთხოვნით შუახნის მამაკაცმა — ლამის, განგსტერის სტილში გამოწყობილმა — სუპერმარკეტის მოლარეს დაუღრიალა. ცალ ხელში იარაღი ეჭირა, მეორეში კი — ელექტრონული ვიზა-ბარათი და მოლარეს, როგორც თავად ამბობდა, საკუთარი ანგარიშის განაღდებას სთხოვდა. მოლარე არწმუნებდა, რომ ამხელა თანხა ბარათზე არ ირიცხებოდა და შესაბამისად, ვერც მის მოთხოვნას შეასრულებდა. განრისხებული მოძალადე — 66 წლის სამუელ პორტერი ბოლოს, კრიმინალებმა დააშოშმინეს. ხელები გადაუგრიხეს, იარაღიც და ბარათიც ჩამოართვეს და ბორკილები დაადვეს. მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, ბარათზე კი, თანხა — 100 დოლარი დააფიქსირეს.

10. დანაშაულის თვითმხილველები – პოლიციელები იყვნენ

ნიუ-იორკი, 2007 წლის 11 დეკემბერი

იმ დღეს, ერთ-ერთი ქუჩა, ნიუ-იორკის სამართალდამცველებმა გადაკეტეს და შემთხვევის ადგილს, სადაც რამდენიმე წუთით ადრე, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, ლენტი შემოავლეს. იქვე, გამომძიებელს დანაშაულის თვითმხილველი ქალბატონი ჩვენებას აძლევდა. მოულოდნელად, ქალბატონის კუთვნილ ავტომანქანაში, რომელიც ორიოდე მეტრში იდგა, სულ სხვა ბოროტმოქმედი ჩახტა და მანქანა გაიტაცა. როგორც გაირკვა, მან ვერ შენიშნა, რომ იქვე უამრავი სამართალდამცველი იდგა და საგამოძიებო ღონისძიებებს ახორციელებდა. რამდენიმე წუთში, გამტაცებელი დაკავეს. თვითმხილველმა პოლიციელებმა ის ადვილად ამოიცნეს... ■

ახალი „მაზდა“

ტოკიოს მორიგ ავტოსალონზე, რომელიც მთლიანად საავტომობილო ტიუნინგს მიეძღვნება, კომპანია „მაზდა“ ახალი სედანის — Mazda Atenta-ს პროტოტიპს წარადგენს. იგი ევროპულ ბაზარზე Mazda 6-ის სახელითაა ცნობილი. გავრცელებული ფოტოების მიხედვით, სიახლე სტანდარტული Mazda 6-ისგან ახალი წინა სპოილერით, წინა საფენტილაციო ფრთებითა და 18-დუიმიანი ბორბლების დისკებით განსხვავდება. როგორც მოსალოდნელია, განახლებულ ავტომობილს დადაბლებული სპორტული შეკიდულობა და განსხვავებული ირგამწოვი სისტემა ექნება. ჯერჯერობით უცნობია ის, თუ როგორი ძრავათი დაკომპლექტდება ახალი „მაზდა“.

ახალი ჰეჩბეკი „ფორდისაგან“

Ford-ის ევროპულმა განყოფილებამ მოდელის — Focus RS — ახალი თაობის გამოშვების გეგმა გაამჟღავნა. ამის დასადასტურებლად კომპანიამ ჰეჩბეკის პირველი გამოსახულებაც კი გაავრცელა. „ფოკუსის“ ყველაზე მძლავრი მოდიფიკაციის შექმნაზე მუშაობა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაიწყო. ტესტების მსვლელობისას, ფოტოჯაშუშებმა ჰეჩბეკის პროტოტიპის გადაღება შეძლეს. მაგრამ სპორტულმა ქვეგანყოფილებამ — Ford Team RS — მხოლოდ ამჟამად მიიღო პროგრამის გაგრძელების უფლება. Focus RS-ის დიზაინის საფუძველი განახლებული Focus ST-ია. საიდუმლოდ ინახავენ ავტომობილის ტექნიკურ მაჩვენებლებს და მას მხოლოდ 2009 წელს, მოდელის პრემიერის წინ გამოააშკარავებენ. Focus RS mzad 2008 წლის შუა პერიოდში იქნება. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროსაბჭოს მიერ ატმოსფეროში მავნე აირების ამოფრქვევის შესახებ მოთხოვნების გამკაცრების გამო, „ფორდი“ Focus RS-ის გამოშვებაზე უარს ამბობდა. მაშინ ვარაუდობდნენ, რომ Ford Focus RS ტურბინირებული, 2,5-ლიტრიანი, 280 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის მოტორით აღიჭურვებოდა.

BMW-ს სიახლე

კომპანია BMW-მ ოფიციალური პრესრელიზი გაავრცელა, რომელშიც ახალი მოდელის — X6-ს ფოტოები და ვიდეორგოლებია წარმოდგენილი. BMW X6 X-Drive 50 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,4 წამში განავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია. ცნობილია ისიც, რომ მანქანას 100 კმ მანძილის დასაფარავად 12,5 ლ ბენზინი დასჭირდება. X6-ისთვის გამოყენებული იქნება სამლიტრიანი, ექვსცილინდრიანი, 300 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის მოტორი. გარდა ამისა, ევროპაში X6 კიდევ ორი დიზელის აგრეგატით დაკომპლექტდება. X-Drive35d სამლიტრიანი, 282 ცხ.ძ. სიმძლავრის მოტორით, ხოლო X-Drive30d სამლიტრიანი, 232 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავათი აღიჭურვება. კროსოვერის პრემიერა იანვარში, დეტროიტის ავტოსალონზე შედგება, ხოლო ევროპაში მისი ოფიციალური გაყიდვა მაისიდან დაიწყება. გერმანიაში მისი ფასი 61 ათას 800 ევროდან, 106 ათას 500 ევრომდე იქნება.

წლის საუკეთესო მოტორები

ცნობილი ამერიკული გამოცემა Worlrd's Auto ყოველი წლის ბოლოს საუკეთესო მოტორების რეიტინგს აქვეყნებს. გამონაკლისი არც 2007 წელია და ამერიკელებმა თავიანთი მე-14 ჰიტ-აღლუმი გამოაქვეყნეს. საგულისხმოა, რომ მათი ყურადღების ცენტრში მხოლოდ ის ავტომობილები ხვდება, რომლებიც ამერიკულ ბაზარზე იყიდება. World's Auto-ს რეიტინგი არავითარ დამატებით ნომინაციას არ ავლენს. გამოცემამ ამჯერადაც ალფაბეტის მიხედვით, მხოლოდ ათი საუკეთესო მოტორი გამოავლინა. საგულისხმოა, რომ ზოგიერთი ნომინანტი უკვე არაერთი წელია, საპატიო სიაში ხვდება. ამ რეიტინგს მიღმა, ტრადიციულად, 4,6-ლიტრიანი V8 Ford და „ტოიოტის“ 3,5-ლიტრიანი, ექვსცილინდრიანი ძრავები არ რჩებიან.



ᲬᲘᲜᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. აფალინა; 2. ბელიზი; 3. ტიტა; 4. შოლოხოვი; 5. იგი; 6. ფელეტონი; 7. ალიგატორი; 8. გაკვეთილი; 9. ხაბაზი; 10. რუნი; 11. ბაგე; 12. კრედო; 13. ბედინა; 14. კინო; 15. მაიკოვსკი; 16. მე; 17. ლუვრი; 18. აბაკა; 19. ბანკი; 20. თათი; 21. ადესა; 22. აბანო; 23. ხალა; 24. ურიკა; 25. ლამა; 26. პილიგრიმი; 37. პოლიცია; 38. აბაი; 39. თეირანი; 40. სინჯარა.

სურათზე: იზაბელ აჯანი; ჯონ კიუსაკი.

2008 წლის ჰოროსკოპი

საქმიანობა, მატერიალური მდგომარეობა და პირადი ცხოვრება

ვერძი

წინ მნიშვნელოვანი და პროდუქტიული წელი გელით. საკუთარი გეგმებისა და ოცნებების რეალობად ქცევისთვის, ძალების სერიოზული დაძაბვა მოგიწევთ. კარგი იქნება, თუ ზურგზე იმაზე მეტ ტვირთს არ მოიკიდებთ, რისი ზიდვაც რეალურად შეგიძლიათ.

იუპიტერი ცეცხლის ყველა ნიშანს უხვად დააჯილდოებს. შესაბამისად, ვერძები ახალ-ახალი გამარჯვებებისთვის უნდა მოემზადოთ. მეტიც, 2008 წელი იმ ვერძებისთვისაც სახარბიელოა, რომლებიც ყოველთვის ჩრდილში იდგნენ. ამჯერად, ისინი სერიოზულ მფარველებსაც შეიძენენ.

2008 წლის ზაფხულში გაიცნობთ გავლენიან ადამიანს, რომელთან ურთიერთობაც პერსპექტიული აღმოჩნდება. ასე რომ, თუ თავადაც იაქტიურებთ, მარტო გრძელვადიან საქმიან პარტნიორს კი არ შეიძენთ, არამედ საკუთარ კაპიტალსაც შესამჩნევად გაზრდით.

სიყვარულში საკმაოდ რთული პერიოდის გავლა მოგიწევთ. კარგი იქნება, თუ წარსულს აღარ გაეკიდებით და მზერას მომავალისკენ მიაპყრობთ.

კურო

წლის პირველ ნახევარში სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდებით და საქმიანობის ნებისმიერ სფეროში წარმატებას წარმატებაზე იზეიმებთ, მაგრამ წლის მეორე ნახევარში დღესასწაული დასრულდება და თქვენთვისაც საკმაოდ მკაცრი, დაუნდობელი ყოველდღიურობა დაიწყება. თქვენ წინაშე მდგარი ურთულესი მატერიალური საკითხებისა და ამოცანების გადაჭრას მხოლოდ მაშინ მოახერხებთ, თუ ფუტკარივით იშრომებთ.

იუპიტერის წელი კუროებს პოპულარობას ჰპირდება: მეცნიერებმა შეიძლება, პრემიები მიიღოთ, ბიზნესმენებს შემოსავლები გაგეზარდოთ, მსახიობებსა და მწერლებს კი ქება-დიდება არ მოგაკლდეთ. თუ დღემდე რელიგიურობით არ გამოირჩეოდით, დროა, პირი ეკლესიისკენ იბრუნოთ.

პირად ცხოვრებაში გასულ წელს დაწყებული ცვლილებები გაგრძელდება, მაგრამ თუ იგრძნობთ, რომ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ბოლომდე ამოწურეთ, დროა, ახალ პერსპექტიულ კონტაქტებზე იზრუნოთ.

ტყუბი

ახალი წლიდან ახალ გარემოებებთან შეგუება მოგიწევთ. ახალი ნაცნობობა და შეხვედრები ნაყოფს მალევე გამოიღებს. რა თქმა უნდა, კავშირი არც ძველ მეგობრებთან და პარტნიორებთან უნდა გაწყვიტოთ.

მატერიალური თვალსაზრისით, წლის პირველი ნახევარი ურიგო ნამდვილად არ იქნება და ბევრ თქვენგანს შემოსავლების გაზრდის შანსიც გაუჩნდება. წლის მეორე ნახევარში კი შეიძლება, ყველა მატერიალური მიღწევა ახლობლებთან ან საქმიან პარტნიორებთან დაკავშირებულმა არასახარბიელო მოვლენებმა გადაფაროს.

2008 წელი თქვენთვის ემოციური თვალსაზრისითაც ძალზე საინტერესო პერიოდი იქნება. თუ სასიყვარულო ურთიერთობა ვინმესთან ახლახან გააბით, ის აუცილებლად გაგრძელდება და ივლის-აგვისტოსთვის რაღაც უფრო სერიოზულში გადაიზრდება. შემოდგომა განცდებისა და სასიყვარულო ღელვის პერიოდი აღმოჩნდება. 2008 წელი პრობლემებით სავსე იქნება იმ ადამიანისთვის, რომელმაც დიდი ხნის წინ შექმნა ოჯახი, მაგრამ ახლა, მოულოდნელად, გულმა სხვისკენ გაუწია. ასეთებისთვის წლის მეორე ნახევარი მხილების, კონფლიქტებისა და სტრესის პერიოდი იქნება.

კირჩხიბი

ამჯერად, ადამიანებს ჩვეულებრივზე უფრო ადვილად გაიცნობთ და უფრო კომუნიკაბელურიც იქნებით. მათთან ურთიერთობა ნაკლებად დაგღლით და არც სასიამოვნო წუთები მოგაკლდებათ. წლის პირველ ნახევარში შეიძლება, საკუთარი ბიზნესი სერიოზულად განაახლოთ, კადრები გადაახალისოთ, ახალი ოფისი შეიძენოთ ან ძველი გადააკეთოთ. ბევრი თქვენგანი ბიზნესს სხვა ქალაქში ან სულაც, სხვა ქვეყანაშიც წამოიწყებს, რაც ბუნებრივია, იოლი საქმე არ იქნება.

მატერიალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით არამყარი წლის მეორე ნახევარი იქნება. ამ პერიოდში სერიოზული დანაკარგები და დაუგეგმავი ხარჯებია მოსალოდნელი. 2008 წლის პირველი ნახევარი კი ბევრად უფრო სტაბილური იქნება.

გამორიცხული არაა, რომ 2008 წლის მთავარი მოვლენები კირჩხიბებისთვის ოჯახურ და რომანტიკულ სფეროებში მოხდეს. ბევრი თქვენგანის ოჯახი შვილებითა და შვილიშვილებით აივსება. 2008 წლის მეორე ნახევარში შეყვარებულებს პრობლემები მოგიმრავლდებათ. დაოჯახებულებს კი, წლის მეორე ნახევარში შვილებთან დაკავშირებული პრობლემები არ აგცდებათ. ფეხმძიმე კირჩხიბები საკუთარ ჯანმრთელობას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული გართულებებია მოსალოდნელი.

ლომი

იუპიტერის გავლენის წყალობით, ფრიად ნაყოფიერი წელი გელით. ბევრი თქვენგანი საკუთარ თავზე არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის ხელმძღვანელობას აიღებს და ირგვლივ ძველ მეგობრებსაც შემოიკრებს. ახალ პროფესიულ დონეზე ასვლასა და საკუთარი ცხოვრების სრულად შეცვლას, სწორედ ამის წყალობით შეძლებთ. თქვენ წინაშე მდგარი ამოცანათა უმეტესობა იოლად გადაიჭრება, კონკურენტები კი ან განზე გადგებიან, ან საბოლოოდ დამარცხდებიან. შემოდგომაზე, ბევრი თქვენგანი წარსულში გაწეულ უზარმაზარ სამუშაოში კარგ ანაზღაურებას მიიღებს.

2008 წელს, ბევრი ლომისთვის, განსაკუთრებით კი ქალებისთვის, პირადი ცხოვრება სამსახურსა და კარიერაზე უფრო მნიშვნელოვანი იქნება. არასტაბილური ურთიერთობის მქონე ცოლქმრულ წყვილებში კი გაუგებრობა იმატებს და ზოგს კავშირის საბოლოოდ გაწყვეტის სურვილიც გაუჩნდება. გაუცხოება არც მეგობრულ წყვილებს ასცდებათ, მაგრამ მათ ისიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინო, რომ მსგავსი პერიოდი ყველა წყვილის აქვს და მოთმინებით უნდა აღიჭურვონ. წლის მეორე ნახევრიდან, ნათესავებთან დაკავშირებული უსიამოვნებები გედი, რომლებიც საკმაოდ დიდხანს გასტანს.

ქალწული

სირთულეებისა და თავშეკავების წელი გელით. მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება დღეს ერთი შეხედვით ძალზე მტკივნეული პრობლემების წინაშე დაგაყენებთ, მომავალში მას ამისთვის

მხოლოდ მადლობას ეტყვით. კარგი იქნება, თუ 2008 წლის პირველ ნახევარში დინების მიმართულებით „იცურავებთ“, რადგან ასე, საკუთარ ძალებსაც უკეთ გამოცდით და გარე სამყაროსაც მეტი ყურადღებით მოეკიდებით.

ამჯერად, ბიზნესში გამოცდილ ქალწულებს მხარდამჭერები მოგიმრავლდებათ და პოზიციებსაც საგრძნობლად განიმტკიცებთ.

წლის მეორე ნახევარში, სიტუაცია საგრძნობლად შეიცვლება და ბიზნესის სხვა ქალაქში ან ქვეყანაში წამოწყების მსურველები მრავალრიცხოვანი და თანაც, როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდებით. მაგრამ როგორც კი მათ გადალახავთ, თქვენს ოჯახში ჰარმონია და სტაბილურობა დაისადგურებს.

სიყვარულშიც ყველაფერი მოგიწესრიგდებათ და ოჯახური წყვილები ერთმანეთს ბევრად უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობთ. ხოლო ვისაც მეორე ნახევარი ჯერ არ გიპოვიათ, ნუ იდარდებთ — წლის მეორე ნახევარში აუცილებლად შეხვდებით ადამიანს, ვისთანაც თავს იმედიანად და კომფორტულად იგრძნობთ.

სასწორი

თქვენთვის 2008 წელი მოლაპარაკებების დაწყების, ახალი პარტნიორების პოვნის, ახალი წამოწყებების, აღმოჩენებისა და ახალი სფეროების ათვისებას წელი იქნება.

მატერიალური თვალსაზრისით, ეს წელი სტაბილურად ჩაივლის. ბევრ თქვენგანს სამსახურში დაწინაურება და ხელფასის მომატებაც ელის. ამასთან, თქვენ მშობლების ან ახლობლების მხარდაჭერის იმედი უნდა იქონიოთ. 2008 წელს, გამორიცხული არც უძრავ ქონებასთან დაკავშირებული წარმატებული ოპერაციებია. გასულ წელს წამოწყებული ყველა საქმე მხოლოდ თქვენს სასიკეთოდ დაგვირგვინდება.

2008 წელი სერიოზულ ცვლილებებს მარტო პროფესიულ სფეროში კი არა, პირად ცხოვრებაშიც გპირდებათ. ბევრი თქვენგანი ან ახალ ბუდეს აიშენებს, ანდა უკვე აშენებულის უფრო კომფორტულად მოწყობას შეძლებს. წლის მეორე ნახევარში კი შეყვარებულ წყვილებსაც გაუმართლებთ.

ღრიანკალი

ეს წელი თქვენთვის ახალი აღმოჩენებისა და სურვილების ასრულების წელი იქნება. დასახული მიზნისკენ თამამად ივლით და ჩანაფიქრსაც წარმატებით განახორციელებთ. ოღონდ, არც ის უნდა დაგავიწყდეთ, რომ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალება არ გამოდგება.

მატერიალური თვალსაზრისით, ეს წელი საკმაოდ სახარბიელო აღმოჩნდება. ბევრი თქვენგანი მიიღებს ისეთ შემოსავალს, რომელზე წარმოდგენაც კი არ გქონდათ. ამჯერად, გაუთვალისწინებელი შემოსავლის გარეშე ის ღრიანკლებიც არ დარჩებიან, რომლებსაც ბიზნესთან შეხება საერთოდ არ აქვთ.

აპრილში ან მაისში მოსალოდნელია მცირეოდენი შეფერხება, მაგრამ შემოდგომისთვის, დამსახურებულ დივიდენდებს აუცილებლად მიიღებთ.

რაც შეეხება სასიყვარულო ურთიერთობებს, ამ მხრივ, წელი ნაკლებად სტაბილური აღმოჩნდება. თუ წლის პირველ ნახევარში ძირითადად, წინ სიამაყესა და პატივმოყვარეობასთან დაკავშირებული თემები წამოიწევს, წლის მეორე ნახევარში ლაპარაკი მხოლოდ პრაქტიკულ საკითხებს შეეხება.

მარტოხელა და ოჯახური ცხოვრებით გულგატეხილ ღრიანლებს კი შეუძლიათ, ახალი რომანის დაწყების იმედი ჰქონდეთ, რომელიც აუცილებლად ქორწინებით დასრულდება.

მგვილდოსანი

ახალწამოწყებული საქმეები წარმატებით წარიმართება, მაგრამ ის შედეგს არც ისე მალე, მხოლოდ წლის ბოლოსთვის თუ გამოიღებს. ბევრი თქვენგანისთვის, განსაკუთრებით რთული დოკუმენტებთან დაკავშირებული საქმიანობა აღმოჩნდება, მაგრამ მონდომების შემთხვევაში, სირთულეების დაძლევა მაინც არ გაგიჭირდებათ. თუ კონფლიქტურ სიტუაციებში მოთმინებით აღიჭურვებით, წინააღმდეგობას ბევრად უფრო ადვილად გადალახავთ და ნებისმიერი სიტუაციიდან გამარჯვებულიც გამოხვალთ.

რაც შეეხება მატერიალურ მდგომარეობას, მთელი წლის განმავლობაში, ის შედარებით სტაბილური იქნება. მართალია, სერიოზულ ხარჯებს გვერდს ვერაფრით აუვლით, მაგრამ ისინი ძირითადად, დასვენებასთან, საოჯახო პრობლემების მოგვარებასა და პროფესიული ხასიათის საქმეებთან იქნება დაკავშირებული.

სასიყვარულო ფრონტზე ყველაფერი სახარბიელოდ წარიმართება. ოჯახური წყვილებს ერთმანეთის გაგება არ გაუჭირდებათ და შეეცდებიან, ურთიერთს გული არაფრით დასწყვიტონ. ხოლო იმათთვის, ვინც ჯერ ისევ საკუთარი მეორე ნახევრის ძიებაშია, ეს წელი ძალზე წარმატებული იქნება.

თხის რქა

2008 თქვენთვის ოცნებების ახდენის წელია. კარიერაში წინსვლა გელით და ნებისმიერ საქმეს უპრობლემოდ მოაგვარებთ. აპრილ-მაისში, მატერიალური თვალსაზრისით, მცირე კრიზისია მოსალოდნელი, რაც გაუთვალისწინებელ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ამ პერიოდში ფულს მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის წყალობით იშოვით. მაგრამ ივლისში მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდება. შემოდგომის შემდეგ კი ბევრი თქვენგანი საკუთარი საწარმოდან სერიოზულ შემოსავალს მიიღებს. საერთოდაც, საერთო ჯამში, 2008 წლის განმავლობაში, იმაზე ბევრად მეტს გამოიმუშავებთ, ვიდრე წარმოგედგინათ, ანუ თქვენი შემოსავალი ყველა ხარჯს გადაფარავს.

სასიყვარულო სფეროში ყველაფერი საუცხოოდ იქნება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა ბევრად უფრო მტკიცე, სტაბილური გახდება და შესაძლოა, სამოგზაუროდაც კი წახვიდეთ. რაც შეეხება მარტოხელა თხის რქებს, მათ წინ საინტერესო შეხვედრა, ნაცნობობა ელით და შესაძლოა, ზოგიერთმა მათგანმა წლის ბოლომდე ოჯახიც კი შექმნას.

მერწყული

სიცილი და ცრემლი, სიხარული და სევდა, წარმატება და მარცხი — 2008 წელს, ამ ყველაფრის დიდი დოზით გადატანა მოგიწევთ. წლის პირველი სამი თვის მანძილზე, ნებისმიერ წამოწყებაში წარმატება გელით. შესაბამისად, გაუმჯობესდება თქვენი მატერიალური მდგომარეობა. წლის ბოლოსთვის კი, როგორც თქვენი სოციალური სტატუსი, ისე თანამდებობრივი წინსვლა და მატერიალური მდგომარეობა თქვენს შრომისმოყვარეობაზე იქნება დამოკიდებული.

ფინანსური თვალსაზრისით, წელი საკმაოდ წარმატებული იქნება: შემოსავალი ხარჯს გადააჭარბებს და ყველანი — ვისაც კრედიტი ან ვალი გაქვთ აღებული, ყველაფერს ადვილად გაისტუმრებთ. ერთი სიტყვით, თუ გულხელდაკრეფილი არ ისხდებით, ფული ნამდვილად არ მოგაკლდებათ.

წლის პირველი ნახევარი სასიყვარულო ურთიერთობების აღდგენა-განვითარებისთვის შესანიშნავი დრო იქნება. შორეულ ქვეყნებში მცხოვრებ საყვარელ ადამიანებთან შეხვედრა და მათთან ერთად მოგზაურობა, ამჯერად, სავსებით შესაძლებელი აღმოჩნდება. შესაბამისად, გართობა და სიამოვნების მიღება არ მოგაკლდებათ. აი, წლის მეორე ნახევარში კი, თქვენი მთავარი საზრუნავი რთული და შესაძლოა, ჩიხში მოქცეული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება იქნება.

იუპიტერის გავლენის წყალობით, 2008 წელს ბევრად გაბედული და დამოუკიდებელი იქნებით. მარტოხელა მერწყულებს თებერვალში, ივლისში ან აგვისტოს პირველ ნახევარში იღბლიანი შეხვედრა ელით.

თევზები

2008 წელს, თქვენი საქმიანი აქტიურობა ლამის ყველაზე მაღალ ნიშნულსაც კი მიაღწევს. ამ პერიოდში დაწყებული საქმეები წარმატებით განვითარდება და არცთუ ურიგო შემოსავალს მოგიტანთ. საქმიან თევზებს შემოსავლების გაზრდისა და ახალ ეკონომიკურ საფეხურზე ასვლის შანსი გაგიჩნდებათ.

მატერიალური თვალსაზრისით, შედარებით სახარბიელო, წლის პირველი ნახევარი იქნება; განსაკუთრებით შემოსავლიანი — მარტის მეორე ნახევარი, აპრილი, ივლისი და აგვისტო აღმოჩნდება. აი, სექტემბრიდან კი თქვენთვის არცთუ წარმატებული პერიოდი დაიწყება. ამიტომაც, ფული რაც შეიძლება მომჭირნედ უნდა ხარჯოთ და საკუთარი შემოსავლებიც აკონტროლოთ.

თუ ჯერაც მარტოხელა ხართ, საკუთარი მეორე ნახევრის პოვნა აღარ გაგიჭირდებათ და წლის ბოლომდე ოჯახურ ბუდესაც მოიწყობთ. და კიდევ, შესაძლოა, სიყვარულმა, რომელიც ზოგიერთ თქვენგანს სულ ცოტა ხნის წინ ეწვია, ცხოვრების წესი სრულიად შეგაცვლევინოთ.

გიყვართ თუ არა ხალხმრავალი, ხმაურიანი თავყრილობები?

1. სად ამჯობინებთ ახალი წლის შეხვედრას?

ა) შინ — 2 ქულა;

ბ) სამთო-სათხილამურო კურორტზე — 2;

გ) რესტორანში — 3.

2. ვისთან ერთად გიყვართ ახალი წლის შეხვედრა?

ა) ოჯახის წევრებთან და ახლო ნათესავებთან ერთად — 3 ქულა;

ბ) ხალხმრავალ კომპანიაში, სადაც უცხო ადამიანებიც იმყოფებიან — 4;

3. როგორი მუსიკის მოსმენა გირჩევნიათ?

ა) იმასაც სჯერდებით, რასაც სამთო-სათხილამურო კურორტის რესტორანში გთავაზობენ — 1 ქულა;

ბ) აუდიოკასეტებისა და კომპაქტდისკების საკუთარი კოლექცია გაქვთ და უპირატესობას სწორედ მათ მოსმენას ანიჭებთ — 2;

გ) თავად მღერით და სხვადასხვა ინსტრუმენტზეც უკრავთ — 3.

4. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს საახალწლო სუფრა?

ა) სუფრა კერძების მრავალფეროვნებითა და სიუხვით უნდა გამოირჩეოდეს — 4 ქულა;

ბ) ზომიერება ყველაფერში საჭიროა. ასე. რომ, ზომიერების დაცვა საახალწლო სუფრაზეც მისასალმებელია — 2;

გ) სადღესასწაულო სუფრაზეც სისადავის მომხრე ხართ, ოღონდ, თქვენი აზრით, სუფრის წევრების გემოვნების გათვალისწინება აუცილებელია — 1.

5. უყურებთ თუ არა საახალწლო ტელეპროგრამებს?

ა) უყურებთ თავიდან ბოლომდე — 1 ქულა;

ბ) უყურებთ მხოლოდ იმას, რაც საინტერესოდ მოგეჩვენებათ — 2;

გ) საერთოდ არ უყურებთ — 1.

6. საახალწლოდ აგზავნით თუ არა მისალოცბარათებს?

ა) უამრავ ნაცნობ-მეგობარსა თუ ნათესავს უგზავნით მისალოცს — 3 ქულა;

ბ) უგზავნით მხოლოდ ძალზე ახლობლებს — 3.

7. საახალწლოდ უძღვნით თუ არა ახლობლებს საჩუქრებს?

ა) არა — 1 ქულა;

ბ) ტრადიციისამებრ, ყველა ახლობელს ასაჩუქრებთ — 3;

გ) მხოლოდ ოჯახის წევრებს — 2.

ტესტის შედეგები

10 ქულის ჩათვლით: თავმდაბალი და მორიდებული ადამიანი ბრძანდებით. უპირატესობას მეგობრების ვიწრო წრეში მოლხენას ანიჭებთ და არ გხიბლავთ ხალხმრავალი, ხმაურიანი თავყრილობები. პრაქტიკულობითა და ანგარიშიანობით გამოირჩევით. მომჭირნე, ყაირათიანი ადამიანი ხართ და არ გიყვართ ზედმეტი ხარჯის გაწევა.

11-19 ქულა: არასოდეს ვარდებით უკიდურესობაში. ძალზე გაწონასწორებული, შეიძლება ითქვას, „ოქროს შუალედური“ ხასიათით გამოირჩევით. უპრეტენზიო, საკმაოდ კომუნიკაბელური და კარგი თანამოსაუბრე ხართ; არც თავის გართობა გიჭირთ და არც სხვების გამხიარულება. მაგრამ ყოველივე ამას გონიერების ფარგლებში აკეთებთ.

20 და მეტი ქულა: ნებისმიერი კომპანიის სასურველი სტუმარი ბრძანდებით. კონტაქტში ძალზე იოლად შედიხართ, გიყვართ მუსიკა და გონებამახვილობითაც გამოირჩევით. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ თქვენთვის სრულიად უცხოა ანგარიშიანობა, გიყვართ ფულის ფლანგვა. უკიდურესობამდე გულწრფელი, არაპრაქტიკულობამდე კეთილი და საოცრად გულისხმიერი ხართ. ყველა აღნიშნავს, რომ შესანიშნავი ხასიათი გაქვთ, მაგრამ ცოტა მეტ პრაგმატულობას თუ გამოიჩენთ, ისევ თქვენთვის იქნება უკეთესი. ახლობლები და ნათესავ-მეგობრები ერთხმად აღიარებენ, რომ თქვენ კომპანიის სული და გული ხართ.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

3	1	6	2	7	5	8	9	4
7	2	4	8	3	9	1	5	6
9	8	5	4	1	6	7	2	3
6	9	7	1	5	3	4	8	2
8	5	2	6	9	4	3	7	1
4	3	1	7	8	2	9	6	5
1	4	9	5	6	8	2	3	7
2	6	3	9	4	7	5	1	8
5	7	8	3	2	1	6	4	9

1	5	2	7	3	6	9	8	4
4	9	3	8	1	5	7	2	6
7	6	8	2	4	9	1	3	5
2	7	9	5	8	1	6	4	3
3	1	5	6	2	4	8	7	9
8	4	6	3	9	7	2	5	1
9	8	1	4	5	2	3	6	7
5	3	7	1	6	8	4	9	2
6	2	4	9	7	3	5	1	8

2	4	9	8	7	6	5	3	1
3	8	6	2	1	5	7	9	4
1	5	7	4	3	9	2	6	8
9	7	8	6	2	4	3	1	5
6	1	5	3	9	8	4	7	2
4	3	2	7	5	1	6	8	9
5	6	1	9	4	3	8	2	7
8	2	4	1	6	7	9	5	3
7	9	3	5	8	2	1	4	6

* მარტივი

9					7		5	
	1			3				2
		7			1		6	9
		8	9		4		2	
	5		2				8	
	7		1			5		
6	9		3			4		
5				8			3	
	8		4					5

** საშუალო

		4		1			8	
1				8	7		5	
5					9			1
						7		
		6			2	4		
		2		3				
3			4					5
	2		6	5				9
	8			9		2		

*** რთული

1					5	7		
		5	9	7		1		
		6	8				5	
9				5			3	
				2				
	8							5
	4				9	8		
		1		3	4	2		
		9	6					4

რამდენად მოძნიჭლავი ადამიანი ხართ?

ყოველი დადებითი პასუხისთვის დაიწერეთ 1 ქულა, უარყოფითისთვის — 0.

1. შეგიძლიათ თუ არა, მშვიდად მოისმინოთ უსიამოვნო ახალი ამბავი?
2. დიდი მნიშვნელობა აქვს თუ არა თქვენთვის იმ ადამიანის გუნება-განწყობილებას, რომელთანაც ურთიერთობა გიწევთ?
3. შეგიძლიათ თუ არა, რომ თქვენთვის უსიამოვნო შეკითხვებზე პასუხს ღიმილით აარიდოთ თავი?
4. ხშირად შეგიმჩნევიათ თუ არა თქვენკენ მომართული აღფრთოვანებული მზერა?
5. გიყვართ თუ არა სარკეში ყურება?
6. უცნობ ადამიანთან ურთიერთობისას, ყოველთვის თავისუფლად გრძნობთ თუ არა თავს?

ტესტის შედეგები

6-5 ქულა: ზედმიწევნით დარწმუნებული ბრძანდებით იმაში, რომ განსაკუთრებული მომხიბლაობით გამოირჩევით. შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ მეტისმეტად თავდაჯერებულიც კი ხართ. თქვენთვის თითქმის წარმოუდგენელია ის, რომ ქვეყნად შეიძლება არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც თქვენ არ მოსწონხართ.

4-3 ქულა: საკუთარი ღირსების გრძნობით გამოირჩევით და საურთიერთოდ სასიამოვნო ადამიანი ხართ. არასოდეს ცდილობთ, შეიცვალოთ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ვინმეს მოაწონოთ თავი.

0-2 ქულა: საკუთარი თავით კმაყოფილი ძალზე იშვიათად ხართ. თქვენს სიმართლეში ვინმეს დარწმუნება ძალიან გიჭირთ, ვინაიდან საკუთარი თავის რწმენა თქვენ თვითონ არ გაქვთ. შეეცადეთ, იყოთ უფრო თავდაჯერებული და საკუთარ თავზეც უკეთესი წარმოდგენა გქონდეთ, სულ მალე შეამჩნევთ, რომ ირგვლივ მყოფთა თქვენდამი დამოკიდებულებაც სასიკეთოდ შეიცვლება.



ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐᲡ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲣᲭᲓᲔᲑᲐ

დღესასწაულების მომდევნო დილას, ნაბახუსევზე თავის ტკივილი მხოლოდ რიგითი თანამშრომლების ხვედრი როდია! სადღესასწაულო ღრეობები მთელი ქვეყნის ეკონომიკას უქმნის პრობლემას. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული გამოთვლები ცხადყოფს, რომ საშობაო დღესასწაულის შემდგომ, ნაქეიფარი მოსახლეობის ნაბახუსევზე „გამოსვლა“ ქვეყანას ყოველწლიურად 790 მლნ გირვანქა სტერლინგის ფასად უჯდება: ამ დღეს შრომის ეფექტიანობა განახევრებულია, თანამშრომელთა მესამედი ავადმყოფობას იმიზეზებს და სამსახურში საერთოდ არ მიდის. ამის გამო, კომპანიების ზარალი წელიწადში 50 მლნ გირვანქა სტერლინგს აღწევს. საქართველოში ამგვარი სტატისტიკური მონაცემები ჯერ არ არსებობს, მაგრამ ისედაც ცხადზე უცხადესია, რომ ჩვენს ქვეყანაში 25 დეკემბრიდან მოყოლებული, ღამის 27 იანვრამდე (კათოლიკური შობა, ახალი წელი (ახ. სტილით), მართლმადიდებლური შობა, ახალი წელი (ძვ. სტილით), ნინოობა (ახ. სტილით), ნინოობა (ძვ. სტილით), შრომის ნაყოფიერება თითქმის ნულის ტოლია!



ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲑᲐᲑᲣᲐ — ᲡᲝᲭᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ

სოჭში (სადაც ზამთრის ოლიმპიადისთვის სამზადისი მიმდინარეობს), უამრავ მშენებარე ობიექტს შორის ადგილი თოვლის ბაბუის სახლისთვისაც გამოინახა. სამხრეთულ ქალაქს ეს მშვენიერი საჩუქარი ვოლოგდის ოლქმა (სადაც ზღაპრული პერსონაჟის მთავარი რეზიდენციაა განთავსებული) მიართვა. 2-3 წელიწადში სოჭში გრანდიოზული ტურისტული კომპლექსი აშენდება, სადაც ტურისტებს უამრავი გასართობი: ატრაქციონები და ერთგვარი რუსული „დისნეილენდი“ დახვდებათ. რუსული ზღაპრების მოტივების მიხედვით შექმნილი „დისნეილენდის“ მშენებლობა სახელმწიფოს 550 მლნ ევრო დაუჯდება. თოვლის ბაბუა სოჭის ოლიმპიადის სიმბოლოს კანდიდატია და ამიტომაც, ქალაქის „ჩაწერა“ უპრობლემოდ მიიღო. მაგრამ მას სკეპტიკოსთათვის იმის დამტკიცება მოუწევს, რომ სუბტროპიკულ ზონაში ზამთრის ოლიმპიადის ჩატარება ნორმალური მოვლენაა! ოლიმპიადის დღეებში, სოჭში თოვლისა და ქარბუქის ჩატანას თოვლის ბაბუა საკუთარ თავზე იღებს. ის ხომ თოვლის(!) ბაბუაა! მთავარია, 2014 წლამდე ძალ-ღონე მოიკრიბოს და თავად არ დადნეს...

ᲛᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲘᲛᲐ

ნიუ-იორკს ერთცენტიანი მონეტების წვიმა დაატყდა თავს. ამ მონეტებს ათასობით მოსწავლე, მადლიერების დღისთვის, რამდენიმე კვირის განმავლობაში აგროვებდა. ბავშვებმა მრავალი სახლი, მაღაზია და ოფისი შემოიარეს იმისათვის, რათა თანხა შეეგროვებინათ და შემდგომ, იგი საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის გადაეცათ. მოსწავლეთა შრომა ღირსეულად დაფასდა — შეგროვილმა თანხამ 1 მლნ დოლარი შეადგინა. არქიტექტორმა ჯეიმს პოლშეკმა როკფელერ-ცენტრის საახალწლო ნაძვის ხესთან ერთცენტიანი მონეტებით ინსტალაცია შექმნა, რომელმაც 50 მ სიგრძისა და 9 მ სიგანის ფართობი დაიკავა.

ᲥᲐᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲫᲜᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ!

„ყველაზე ცუდი საყვარლების“ რეიტინგის შედგენაში 50 ქვეყნის წარმომადგენელი 10000 ქალი მონაწილეობდა. სიის სათავეში გერმანელი მამაკაცები აღმოჩნდნენ, რომლებიც დაუნდობელმა ქალებმა ეგოიზმში დაადანაშაულეს. გერმანელთა ხვედრი გაიზიარეს შვედმა მამაკაცებმაც — სუსტი სქესის წარმომადგენელთა აზრით, ისინი მეტისმეტად სწრაფები არიან; მესამე ადგილი ჰოლანდიელებს ერგოთ. მათი მთავარი ნაკლი უხეშობაა. გამოკითხვამ ცხადყო, რომ ქალის გულის მოგება მართლაც შეუძლებელია. მაგალითად, ამერიკელ მამაკაცებს საკუთარი უპირატესობის წარმოჩენა ჰყვარებიათ, ვალიელები სენტიმენტალურები არიან, თურქები კი მომაბეზრებლები და მეტისმეტად ვნებიანები ყოფილან... აღსანიშნავია, რომ ყველაზე ნაკლები პრეტენზია იტალიელმა და ფრანგმა მამაკაცებმა დაიმსახურეს.

P.S. საინტერესოა, როგორ შეიცვლებოდა რეიტინგი, გამოკითხვაში ქართველ ქალებსაც რომ მიეღოთ მონაწილეობა?!.

ᲥᲕᲘᲠᲬᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

თუ გსურთ, აქტიურად ჩაერთოთ თქვენი საყვარელი ჟურნალის განახლებაში — შემოგვთავაზოთ რაიმე იდეა, მოგვაწოდოთ ჭორმართალი საინტერესო ადამიანებზე, ოპერატიულად გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება „გზის“ პუბლიკაციებზე ან უბრალოდ, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ მესიჯი ტელეფონის ნომერზე: **8.99.17.35.27** ან მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲘᲮᲓᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ.

ფოტოკუიზები

საბა SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

საჩუქარი ფასდაკლება 5-7%

ბინა შენდება PASCHAI-ის (გერმანია) სამშენებლო ტექნოლოგიის სრული გამოყენებით

ლიმაღელი — გურამიშვილი

PASCHAI

- ბინები 65 m^2 – დან
- თანამედროვე ლიფტი
- სუპერმარკეტი
- საბავშვო ბაღი
- აფთიაქი
- სამედიცინო ცენტრი
- მიწისქვეშა ავტოსადგომი
- დაცვა
- კაფე – ბარი
- იზოლირებული, კეთილმოწყობილი ეზო 5000 m^2
- მოპირკეთებული ქუჩა და მიმდებარე ტერიტორია
- თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში